საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№43 (372)
23 – 29 ნოემბერი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## თურქეთმა, შესაძლოა, შანხაის ექვსეულის წევრობაზე იფიქროს
3



მამა დავითი (ქვლივიძე):
## თუ ასეთი თავდადებული მებრძოლები იყვნენ ადამიანის უფლებებისთვის, რატომ სააკაშვილის პერიოდში არ ილებდნენ ხმას?!
9

ნარკოპოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შერბილდეს

„არცა მამათმავალთა, არცა ჩუკენთა, არცა მაგინებელთა და არცა ლოთთა სასუფეველი ცათა ვერ დაიმკვიდრა“. ასეთი კაცისთვის წესის აგებაც კი არ შეიძლება“.

## «საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ლიბერალურ პარტიებს საქართველოში პულსი არ ესინჯებათ»
6

„ობამას ადმინისტრაცია ნამდვილად ეროდა ყველაფერში. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ ასეთი წნეხის შედეგი იყო თავის დროზე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება... ამიერიდან მილიონები აღარ წავა ისეთ უსარგებლო პროექტებზე, როგორიცაა ლგბტ-თემის დაცვა, ოჯახური ძალადობის მონიტორინგი, ქალთა უფლებები, მათი ჩართულობა პოლიტიკაში და ა.შ.“



## ბოლოს და ბოლოს, გვეტყვით, რას ნიშნავს რუსული პროპაგანდა?
10

## «რუსეთს ულტიმატუმის ენით ამერიკას ვერ ელაპარაკება და საქართველო ვის დაპკარგვია?!»
7

## «დამისახელეთ ერთი ადამიანი მაინც, რომელსაც თვალწინ ძმისშვილს მოუკლავენ, მის შვილს მანქანით გადაუვლიან და, თუ იარაღი აქვს, არ ესვრის»
8

## ამერიკაში – ტრამპი,


5
## საფრანგეთში – ლე პენი?

## საქველმოქმედო ტურნირი გოლფში ორგიით დასრულდა
13

## ავსტრიაში სასამართლომ გაამართლა მიგრანტი, რომელმაც 10 წლის ბიჭი გააუპატიურა
13

## პატრიარქის ვიზიტი და ლიბერალების გნიასი
4



პატრიარქის ვიზიტამდე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ კალაშნიკოვმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „თუ მოლდოვა დნესტრისპირეთში მიაღწევს საკუთარი ტერიტორიული კონფლიქტის გადაწყვეტას კონფედერაციის საფუძველზე და, ამასთანავე, განავითარებს ურთიერთობას რუსეთთან, ეს გახდება ნიმუში კონფლიქტის გადაწყვეტისთვის უკრაინასა და საქართველოში“.

## კიდევ რომელ ქვეყნებში შეიძლება მოხდეს «ბრექსიტი» და ტრამპი?
19

## ვახტანგ ადამიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო
20

## რუსეთის ფაქტორი – ტესტი პატრიოტიზმზე ლიბერასტებისთვის
21

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საბავშვო ევროვიზიის კონკურსში მარიამ მამადაშვილმა გაიმარჯვა



**საბავშვო ევროვიზიის სიმღერის რიგით მე-14 კონკურსის გამარჯვებული საქართველოს წარმომადგენელი მარიამ მამადაშვილია. საქართველომ საბავშვო ევროფესტივალში გამარჯვება მესამედ მოიპოვა.** საქართველომ საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებულ ქვეყნებს შორის რეკორდი დაამყარა. მსგავსი შედეგი აქამდე არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია. ამჯერად პირველი ადგილი მარიამ მამადაშვილმა მოიპოვა. ქართველმა კონკურსანტმა სომეხ კონკურენტს 7 ქულით გაუსწრო და 239 ქულით გაიმარჯვა. მესამე ადგილი იტალიელს ერგო. **მარიამ მამადაშვილმა** კონკურსზე სიმღერა „მზეო" ქართულად შეასრულა. სიმღერის კომპოზიტორი **გიორგი კუხიანიძეა.** კონკურსის ბოლოს გამარჯვებული სიმღერა „მზეო" სცენაზე 17-ვე ქვეყნის წარმომადგენელმა შეასრულა.



# საქართველოს ახალი მინისტრთა კაბინეტი ცნობილია

**პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის წევრების ვინაობა გააცნო საზოგადოებას.**

კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, ფინანსთა მინისტრ **ნოდარ ხადურს** შეცვლის **დიმიტრი ქუმსიშვილი**, რომელიც შეინარჩუნებს ვიცეპრემიერის თანამდებობას. ენერგეტიკის სამინისტროს კვლავ **კახა კალაძე** უხელმძღვანელებს, პრემიერი მიიჩნევს, რომ კალაძე წარმატებული მინისტრი იყო და დარწმუნებულია, ასევე წარმატებით განაგრძობს საქმიანობას. ვიცეპრემიერის თანამდებობას ინარჩუნებს კახა კალაძეც. ეკონომიკის მინისტრი **გიორგი გახარია** იქნება. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის თანამდებობაზე ნოდარ ჯავახიშვილს შეცვლის **ზურაბ ალავიძე**, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, **დავით ბაქრაძის** ნაცვლად, „თავისუფალი დემოკრატების" ყოფილი წევრი **ვიქტორ დოლიძე** იქნება, რომელსაც, კვირიკაშვილის თქმით, „კარგი კონტაქტები აქვს და მსოფლიო იცნობს, როგორც კარგ დიპლომატს". **დავით ბაქრაძე** კი აშშ-ში საქართველოს ელჩად დაინიშნა. კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, სხვა მინისტრები თანამდებობას ინარჩუნებენ.



## მიხეილ სააკაშვილი:
# რაც ნაკლებად ჩაერევა ამერიკა-უკრაინის საქმეებში, მით უკეთესი

**სააკაშვილი ობამას ადმინისტრაციას უკრაინისთვის იარაღის მიცემაზე უარის გამო აკრიტიკებს. „ამ ეტაპზე, რაც ნაკლებ ჩაერევა ამერიკა-უკრაინის საქმეებში, მით უკეთესი", — ამბობს სააკაშვილი. ოდესის ყოფილი გუბერნატორი ამტკიცებს, რომ ამერიკელებმა უკრაინის ოლიგარქიული ელიტა რუსული აგრესიის შესაჩერებლად საკუთარ მნიშვნელობაში დაარწმუნეს.**

„ნუ არყევ ნავს, — ამას მეუბნებოდნენ ამერიკის ოფიციალური პირები, არადა, ნავი უკვე იძირება", — ასე ხსნის საქართველოს მესამე პრეზიდენტი ჟურნალ Economist-თან ოდესის გუბერნატორობაზე უარის თქმას. სააკაშვილის მტკიცებით, ტრამპის წინამორბედებმა ვერ შეძლეს, პუტინს წინ აღდგომოდნენ, ჰილარი კლინტონმა კი საქართველოსთან ომის შემდგომ დაიწყო რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკა და მხარი არ დაუჭირა მაგნიტსკის აქტს, რომლის მიხედვითაც რუსეთის ის მოქალაქეები უნდა დაისაჯონ, რომლებიც ადვოკატ სერგეი მაგნიტსკის სიკვდილში არიან ბრალდებულნი.

# რუსეთისა და საქართველოს პატრიარქების შეხვედრა მოსკოვში

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოსკოვს ეწვია, სადაც მონაწილეობა მიიღო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს 70 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.**



„უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ თქვენ ვიზიტს, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების როლს ჩვენს ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობების შენარჩუნებაში", — განაცხადა რუსეთის პატრიარქმა კირილემ მოსკოვში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან შეხვედრისას.

„თუკი პოლიტიკოსები და დიპლომატები, როგორც წესი, ცნობიერების დონეზე მუშაობენ, ბიზნესმენები კი, როგორც ხშირად ვამბობ ხოლმე, საფულისა და კუჭის დონეზე, ეკლესიები ადამიანთა გულების დონეზე ურთიერთობენ. ადამიანთა გულების ამ კავშირის გარეშე ვერ იქნება კარგი ურთიერთობა ქვეყნებსა და ხალხს შორის. სწორედ ამიტომ **უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებ თქვენ ვიზიტს, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების როლს ჩვენს ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობების შენარჩუნებაში",** — განაცხადა რუსეთის პატრიარქმა. მისივე თქმით, დადებითად ვითარდება ორმხრივი ურთიერთობები, რადგან „ჩვენ ახლოს ვცხოვრობთ ერთმანეთთან". „პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ვცხოვრობთ ახლოს, ხშირი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან. თქვენი მღვდელმთავრები სტუმრობენ რუსეთს, ჩვენი მეუფეები ჩადიან საქართველოში, რათა წმინდა ადგილები მოინახულონ", — განაცხადა რუსეთის პატრიარქმა. პრესის თანდასწრებით გაკეთებული ამ განცხადების შემდეგ პატრიარქმა კირილემ აღნიშნა, რომ არის კიდევ საკითხები, რომლებზეც უკვე პრესის გარეშე ისაუბრებენ. „ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხისთვის", — ამის შესახებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მოსკოვში, რუსეთის პატრიარქ კირილესთან შეხვედრისას განაცხადა.

# საქართველოს IX მოწვევის პარლამენტს ირაკლი კობახიძე უხელმძღვანელებს

**მმართველი პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" წევრი ირაკლი კობახიძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ ხმათა უმრავლესობით აირჩიეს. კენჭისყრის პროცესი მეცხრე მოწვევის პარლამენტის პირველ სხდომაზე გაიმართა.**



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** 1978 წლის 25 სექტემბერს დაიბადა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დიუსელდორფის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტი, სადაც სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია მიიღო. გერმანიაშივე მიიღო დოქტორის ხარისხი სამართლის სფეროში.

2001 წელს კობახიძე შიდა ქართლში საზოგადოებრივი განათლების პროექტის კოორდინატორად მუშაობდა, რომელსაც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) ახორციელებდა. 2005–2012 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორად, 2006—2008 წლებში — ექსპერტად ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში.

2007–2008 წლებში იყო სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; 2009–2011 წლებში — ევროპის საბჭოს წარმომადგენლობის ექსპერტი სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში; 2011–2012 წლებში ის ასევე იყო ევროპის საბჭოს წარმომადგენლობის ექსპერტი სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებში; 2011—2013 წლებში საქართველოს უნივერსიტეტში ლექტორად მიიწვიეს; 2011—2014 წლებში იყო კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

2011–2012 წლებში ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროგრამის ექსპერტთა კომიტეტის წევრი იყო. 2014 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია. ირაკლი კობახიძემ პოლიტიკური კარიერია „ქართულ ოცნებაში" დაიწყო. მას აქ 2015 წლის იანვრიდან უკავია აღმასრულებელი მდივნის პოზიცია, ასევე არის პოლიტიკური საბჭოს წევრი.

## ლევან იზორია:
# თავდაცვის სისტემაში წვევამდელთა გაწვევის შეჩერების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ნაჩქარევი იყო

**თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა გააკრიტიკა თავდაცვის ყოფილი მინისტრის — თინათინ ხიდაშელის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით წვევამდელებისთვის სავალდებულო სამხედრო სამსახური გაუქმდა.**



„უშიშროების საბჭოზე ერთხმად შევთანხმდით, რომ გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდებოდა თავდაცვის სისტემაში წვევამდელების გაწვევის შეჩერებას, იყო აბსოლუტურად ნაჩქარევი. მეტსაც გეტყვით, არსებობს ამ გადაწყვეტილების ავტორის 2015 წლის ივლისში, კომიტეტების სხდომაზე გაკეთებული განცხადება, რომელიც ამბობს, რომ 2016 წელს ამ სისტემის გაუქმება არარეალისტურია და ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე წინასაარჩევნოდ სამი თვით ადრე ასეთი გადაწყვეტილების მიღება არის პოპულიზმი. დღეს გვაქვს გარკვეული პრობლემები დაკომპლექტების თვალსაზრისით, აქედან გამომდინარე, სრულიად ახალ სისტემას ვთავაზობთ წვევამდელების. თვითონ შეაფასეთ, რამდენად წინააღმდეგობრივია ეს გადაწყვეტილება — ერთი მხრივ, ამბობდე, რომ არარეალისტურია პროფესიულ არმიაზე 2016 წელს გადასვლა და ამის პარალელურად იღებდე გადაწყვეტილებას, რომლითაც აჩერებ გაწვევას ალტერნატივის მომზადების გარეშე. რამდენად სერიოზულია და რამდენად ნაჩქარევია, დასკვნების გაკეთება თქვენთვის მომინდვია", — განაცხადა თავდაცვის მინისტრმა.

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საფრანგეთში მასშტაბური ტერორისტული აქტი აღკვეთეს

**საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის — ბერნარ კაზნევის თქმით, სტრასბურგსა და მარსელში შვიდი ადამიანი დააკავეს, რომლებიც, სავარაუდოდ, თავდასხმას გეგმავდნენ. ეჭვმიტანილებს შორის ავღანეთის, მაროკოსა და საფრანგეთის მოქალაქეები არიან. სპეცოპერაციის სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.** 19 და 20 ნოემბერს ჩატარებულ ანტიტერორისტული რეიდების შედეგად აღკვეთეს დაგეგმილი ტერაქტები საფრანგეთში. მათ ორგანიზებას მიაწერენ „ისლამურ სახელწიფოს“, რომელმაც დააანონსა ევროპაში მოსალოდნელი ტერაქტები. ტერორისტული ორგანიზაცია იერიშის მიტანას ამჯერადაც მასშტაბურ თავშეყრის ადგილებში გეგმავდა.

# სამხრეთ კორეის პრეზიდენტს იმპიჩმენტით ემუქრებიან



**სამხრეთ კორეის ოპოზიციამ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყებაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. საპროტესტო აქციებში ათასობით კორეელი მონაწილეობს, რომლებიც პან კინ ხეს გადადგომას ითხოვენ. ქვეყნის ლიდერს ბრალი ედება სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებაში.**

**პაკ კინ ხე** კორუფციულ სკანდალში მას შემდეგ გაეხვია, რაც მისი მეგობარი ქალი, რომელთანაც 40-წლიანი მეგობრობა აკავშირებს, სახელმწიფო საქმეებში ჩარევასა და კორუფციულ გარიგებებში დაადანაშაულეს. წლების განმავლობაში **სუნ სილს** ხელი მიუწვდებოდა გასაიდუმლებულ ინფორმაციაზე და უპრობლემოდ გასცემდა მითითებებს, იყენებდა პრეზიდენტის პირად კონტაქტებს. პროკურატურამ სუნ სილს ოფიციალური ბრალდება დაუსწრებლად უკვე წაუყენა, ის ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასა და უფლებამოსილების გადაჭარბებაში დაადანაშაულეს. როგორც ძიებით გაირკვა, ის მსხვილ კომპანიებს საკუთარ ფონდებში სოლიდური თანხების გადარიცხვას აიძულებდა. ქვეყანაში საპროტესტო აქციები გრძელდება, პრეზიდენტმა ორჯერ საჯაროდ მოიხადა ბოდიში და განაცხადა, რომ არ გადადგება. ასეთმა განცხადებამ კი საპროტესტო აქციები ახალი ტალღით ააგორა. 12 ნოემბერს გამართულ აქციაში მოსახლეობის კოლოსალური რაოდენობა მონაწილეობდა. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, შეიქმნას საგამოძიებო ორგანო, რომელიც სრულფასოვნად გამოიძიებს მომხდარს და ხალხს ანგარიშს წარუდგენს, ამისათვის კი პარლამენტმა ორგანოს 4-თვიანი ვადა დაუწესა. ამ წუთისთვის სუნ სილი დაკავებულია, ბრალდებას ის კატეგორიულად უარყოფს.

# ჩინეთს იმედი აქვს, რომ აშშ ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობიდან გავა

**აშშ-ის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პირველივე სამუშაო დღეს ქვეყანას ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობიდან გაიყვანს. ამ დღეს ჩინეთის ხელისუფლება მოუთმენლად ელოდება.**



პეკინში დიდი ხნის განმავლობაში უსმენდნენ ობამას განცხადებებს, რომ ეს სავაჭრო ხელშეკრულება, რომელსაც 12 ქვეყანა აწერს ხელს, აშშ-ის ლიდერობას აზიაში განამტკიცებდა. ამ 12 ქვეყანას შორის ჩინეთი არ ყოფილა და პრეზიდენტი ობამა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ეს არ იყო შემთხვევითობა. ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა სწორედ ამერიკაში და არა ჩინეთში, ადგენს ვაჭრობის წესებს ოცდამეერთე საუკუნეში, რაც უმნიშვნელოვანესია ძალიან დინამიკურად განვითარებად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისთვის. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ეშ კარტერი აცხადებდა, რომ სავაჭრო ბრუნვის გაზრდას უნდა გაემყარებინა ვაშინგტონისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმნიშვნელოვანესი ქვეყნების ურთიერთობა და აქვე ხაზს უსვამდა აღნიშნული ქვეყნების მნიშვნელობას აშშ-ისთვის. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპი ამომრჩევლის წინაშეა ანგარიშვალდებული, მოსახლეობა კი გლობალიზაციისა და სხვადასხვა სახის სავაჭრო მოლაპარაკების მიმართ სკეპტიკურად არის განწყობილი. მათთვის ტრამპის განცხადება, რომ ქვეყანას პირველივე დღეს გამოიყვანს ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობიდან, წინასაარჩევნო დაპირებაა, მაგრამ არსებობს საერთაშორისო ვალდებულებებიც. სავაჭრო შეთანხმება, რომლის დარღვევასაც პრეზიდენტი ტრამპი გეგმავს, მისმა წინამორბედმა შეადგინა. ობამას რამდენიმე წელი დასჭირდა, დაერწმუნებინა პარტნიორები, რომ ეს ხელშეკრულება აუცილებელი იყო. ჩინეთი ყველანაირად ეცდება, დაანახვოს მეზობლებს, როგორ ასრულებენ დანაპირებს პეკინი და ვაშინგტონი.

# თურქეთმა, შესაძლოა, შანხაის ექვსეულის წევრობაზე იფიქროს



**თურქეთის მთავრობის განცხადებით, ანკარა არ აპირებს ურთიერთობების გადახედვას აშშ-სა და ნატოსთან. ამასთანავე, თურქეთის ლიდერმა კიდევ ერთხელ გააკრიტიკა შეერთებული შტატები იმ ქურთული დაჯგუფებების მხარდაჭერისთვის, რომლებიც ებრძვიან სირიაში „ისლამურ სახელმწიფოს“.**

„როგორ შეგიძლიათ დაიცვათ ერთი ტერორისტული ორგანიზაცია იმის გამო, რომ ის ებრძვის მეორეს. არ შეიძლება განასხვავოთ ტერორისტული ორგანიზაცია ასეთი პრინციპით: ერთზე თქვათ კარგიაო და მეორეზე — ცუდიაო. ეს არის სწორედ ის საკითხი, რომელზეც ვერ ხერხდება აზრთა შეჯერება აშშ-თან“, — განაცხადა **ერდოღანმა**. თურქეთის პრეზიდენტი ევროკავშირის წევრობის რეალურ ალტერნატივას შანხაის ორგანიზაციაში ხედავს. განცხადება ამის შესახებ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა გააკეთა. მისი თქმით, ბრექსითის ანალოგიური მოვლენები, შესაძლოა, ევროპის სხვა ქვეყნებშიც განვითარდეს, ამიტომ თურქეთმა, შესაძლოა, შანხაის ექვსეულის წევრობაზე იფიქროს. ერდოღანის თქმით, ეს საკითხი მან უკვე განიხილა რუსეთისა და ყაზახეთის პრეზიდენტებთან. თურქეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ შანხაის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა ანკარისთვის უფრო კომფორტული იქნება იმ ფონზე, რომ ევროკავშირი თურქეთის მიღების პროცესს, უკვე 53 წელია, აჭიანურებს.



# მერკელს კანცლერობა კიდევ ერთი ვადით სურს

**ანგელა მერკელმა საზოგადოებას თავისი სურვილი ამცნო — კიდევ ერთხელ გახდეს გერმანიის კანცლერი. ამის შესახებ მან 20 ნოემბერს ბერლინში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. კანცლერმა აღნიშნა, რომ მომავალი არჩევნები ბუნდესტაგში ყველაზე რთული იქნება და რომ მისი მხრიდან მეოთხე ვადით კანდიდატურის წამოყენება სწორი გადაწყვეტილებაა.**

**მერკელმა** კანცლერის პოსტი პირველად 2005 წელს მოირგო. კანცლერის არჩევნები კი 2017 წელს გაიმართება. მერკელის განცხადებით, მისთვის რთული იყო ამ გადაწყვეტილების მიღება.

„ამაზე დიდხანს ვფიქრობდი, იოლი ხომ არ არის, მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება 11-წლიანი მმართველობის შემდგომ და კვლავ წარადგინო კანცლერობაზე საკუთარი კანდიდატურა — ეს ჩემთვის არ იყო იოლი ამოცანა“, — განუცხადა ანგელა მერკელმა ჟურნალისტებს. გერმანიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომელშიც ჩანს, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს სურს, კვლავ იხილოს მერკელი ქვეყნის კანცლერად.




# აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ევროპას მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ აფრთხილებს

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ევროპა მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ გააფრთხილა. საგანგებო გზავნილში აღნიშნულია, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან თავდასხმის რისკი საშობაო პერიოდში მოიმატებს. აშშ-ის საგარეო უწყება მოქალაქეებს საშობაო დღესასწაულზე ევროპაში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს.**

ბოლო დღეებში ამერიკელ პოლიციელებს თავს 4-ჯერ დაესხნენ. ტეხასის შტატის ქალაქ სან ანტონიოში 50 წლის სამართალდამცველი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოკლეს. პოლიციელს ჯარიმის გამოწერისას გზაზე გამვლელი მანქანიდან ესროლეს. მსგავსი შემთხვევა მოხდა მისურის შტატშიც. უცნობმა შეიარაღებულმა პირმა საცობში, პოლიციის მანქანაში მჯდომ სამართალდამცველს ორი ტყვია დამიზნებით ესროლა. ფლორიდაში კი, კუნძულ სანიბელზე ორმხრივი სროლისას სამართალდამცველი მსუბუქად დაშავდა. თავდამსხმელი კი ადგილზე დაიღუპა. სამართალდამცველებზე თავდასხმის გახშირების გამო შტატებში უსაფრთოების ზომები გამკაცრდა.



# თურქეთში არასრულწლოვნებთან სექსის ლეგალიზებას აპროტესტებენ

**მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა სტამბოლში. ათასობით აქტივისტმა გააპროტესტა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვან გოგონებთან სექსის გამო მამაკაცები აღარ დაისჯებიან, თუ მათზე იქორწინებენ. კანონპროექტის მოწინააღმდეგეები აცხადებენ, რომ ეს პრაქტიკულად არასრულწლოვანთა გაუპატიურების ლეგალიზება იქნება.**

პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით პრეზიდენტმა ერდოღანმა მიმართა, რასაც ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. აქციის მონაწილეები სკანდირებენ: „ჩვენ არ გავჩუმდებით! ჩვენ არ შევეგუებით!“. ისინი მოითხოვენ კანონის გაუქმებას, მათ უერთდებიან პოპულარული პიროვნებები და პოლიტიკოსები. აქციები თურქეთის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა. აქციებმა შემდეგ პოლიტიკური ელფერი მიიღო. თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, ეს კანონი აწესრიგებს თურქეთში არასრულწლოვანთა ქორწინების ადათურ წესებს და იმ ტრადიციებს, რომელთა მიხედვითაც ოჯახები მოზარდების ქორწინებაზე ზრუნვას ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდანვე იწყებენ. არასრულწლოვანთა ქორწინების საკითხი თურქეთში ძალიან მგრძნობიარე და აქტუალური თემაა. მოგვიანებით, თურქეთის პრემიერმინისტრმა **ბინალი იილდირიმმა** პარლამენტიდან უკან გაიხმო კანონპროექტი, რომელიც არასრულწლოვნების გაუპატიურებაში ბრალდებული პირების დაუსჯელობას ითვალისწინებდა.

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამჟამად „ნაცმოძრაობა“ კოლაფსშია და პირდაპირი შეტევა პატრიარქზე შეიძლება კიდევ უფრო ძვირი დაუჯდეს, ამიტომ მისმა ლიდერებმა და მათთან დაკავშირებულმა „თვითგამოცხადებულმა ლიბერალებმა”, როგორც ჩანს, „შემოვლითი გზა“ აირჩიეს.**

**გასულ კვირას მუშაობას შეუდგა საქართველოს IX მოწვევის პარლამენტი, ცნობილია მთავრობის განახლებული შემადგენლობა, ხოლო კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთში გაემგზავრა და ქართველმა კომენტატორებმა ყურადღება მისი ვიზიტის პოლიტიკურ დატვირთვაზე გაამახვილეს.**

# პატრიარქის ვიზიტი და ლიბერალების გნიასი

### ბულდოგების ბრძოლა ხალიჩის ქვეშ

ახალმა პარლამენტმა ფუნქციობა სიურპრიზების გარეშე დაიწყო — სპიკერის, ვიცესპიკერებისა და კომიტეტების თავმჯდომარეების კანდიდატურები წინასწარვე იყო ცნობილი, ამიტომ მათ დასახელებას რამდენადმე შესამჩნევი ვნებათაღელვა არ მოჰყოლია. ორიოდე ემოციური რეპლიკა მხოლოდ პრეზიდენტ **მარგველაშვილის** გამოსვლას მოჰყვა, რომელმაც პარლამენტის პირველ სხდომაზე, **სალომე ზურაბიშვილის** თქმით, სცადა, თავი „სკოლის დირექტორად“ წარმოეჩინა. უმრავლესობის წარმომადგენელთა თანამდევი კომენტარებიდან ჩანდა, რომ პრეზიდენტის ინიციატივებს ისინი უფრო მალე დაივიწყებდნენ, ვიდრე ის პარლამენტის შენობას დატოვებდა და ამას, სავარაუდოდ, თვითონ გიორგი მარგველაშვილიც აცნობიერებდა. მთავარი დაპირისპირება პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა-მიღებისას მოხდება და მხარეები ამას, პრინციპში, არ მალავენ.

სერიოზულ დაპირისპირებას სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა შორის არ მომხდარა, მათი ქცევა და კომენტარების ქვეტექსტი აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ ძალთა ბალანსი შეიცვალა. თუ წინა მოწვევის პარლამენტში შეიძლებოდა საუბარი მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის მქონე ორ „პოლუსზე“, ახლა მათ კონფორტაციაზე აგებული საინფორმაციო მოდელი ერთობ მოძველებულად გამოიყურება, რადგან „ქართული ოცნება“ შესამჩნევ უპირატესობას ფლობს. ამიტომ ახლო მომავალში ჩვენ, სავარაუდოდ, გაცილებით ხშირად ვისაუბრებთ დაპირისპირებაზე პარტიების შიგნით და არა პარტიებს შორის, რადგან ძალები აშკარად არათანაბარია. ეს პოლიტიკურ ექსპერტებს ვარაუდებსა და გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე დაფუძნებული ანალიზისკენ უბიძგებს, რაც არც ისე კარგია საზოგადოების დემოკრატიული განვითარებისთვის, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანს, რადგან სიტუაცია ქართულ პარტიებში ძალიან ჰგავს უინსტონ ჩერჩილის მიერ ნახსენებ „ბულდოგების ბრძოლას ხალიჩის ქვეშ“; შიგაპარტიული პროცესები, ფაქტობრივად, სრულიად გაუმჭვირვალია.

**გიორგი კვირიკაშვილმა** პრემიერმინისტრის პოსტი შეინარჩუნა, ხოლო მთავრობის შემადგენლობაში რევოლუციური ცვლილებები არ მომხდარა. ეს კარგი მაგალითია წინარე მოსაზრების ილუსტრირებისთვის — თუ, **ირაკლი ღარიბაშვილის** პრემიერობის პერიოდში „კახური კლანის“ მოტივები და მისწრაფებები შედარებით იოლი გასაშიფრი იყო და საკადრო პოლიტიკაზე პირდაპირ გავლენას ახდენდა, კვირიკაშვილის მოსვლის შემდეგ სიტუაცია უფრო ბუნდოვანია. ხშირად საკმაოდ ძნელი დასადგენია, რამ შეასრულა გადამწყვეტი როლი ამა თუ იმ პიროვნების დაწინაურების საქმეში – მისმა პროფესიულმა უნარ-ჩვევებმა, ნეპოტიზმმა, სხვადასხვა ჯგუფის ინტრიგებმა თუ **ბიძინა ივანიშვილის** მოულოდნელმა, ზოგჯერ შემთხვევითმა დაინტერესებამ ამა თუ იმ პერსონით, სელექციის პროცესს მკაფიო წესები არ აქვს და ეს საზოგადოებას აბნევს. მაგალითად, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში მან ვერ იპოვა პასუხი კითხვაზე: „რატომ ჯეჯელავა?” (სხვათა შორის, იგივე ეხებოდა მის წინამორბედს განათლების მინისტრის პოსტზე). ამ ნიადაგზე იბადება ათასი ვერსია და ჭორი, რომელიც, ძირითადად, ნეპოტიზმის თემას ავითარებს და, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების იმიჯს მნიშვნელოვნად აზიანებს, თუმცა სიტუაციის შეცვლა არსებული უცნაური სისტემის პირობებში თითქმის შეუძლებელი ჩანს.

### დიპლომატიის მასტერკლასი

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ჩავიდა რუსეთში, სადაც მონაწილეობს პარტიარქ კირილეს 70 წლის საიუბილეო ღონისძიებებში. შეხვედრაზე რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელთან ილია II თქვა: „ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა უკეთესი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩვენი ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ურთიერთობა გაუმჯობესდეს. ვფიქრობ, ეს გამოგვივა. ჩვენ ვჭირდებით ერთმანეთს და ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ“ (“ინტერპრესნიუსი”). აღსანიშნავია, რომ საპატრიარქოში, ჯერ კიდევ ვიზიტის დაწყებამდე არ გამორიცხეს, რომ ილია II რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება.

პატრიარქის წინა ვიზიტები მოსკოვში საქართველოსთვის ძალზე სასარგებლო გამოდგა. შეგვიძლია გავიხსენოთ 2008 წლის ბოლო, როდესაც საქართველოს პატრიარქთან მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო სოფელ პერევიდან ჯარის გაყვანის გადაწყვეტილება. ომის დასრულებიდან ნახევარი წელიც არ იყო გასული და ქართულმა საზოგადოებამ მომხდარი აღიქვა, როგორც დიპლომატიური სასწაული, მაგრამ ყველაფერი **მიხეილ სააკაშვილმა** გააფუჭა. მან სცადა, „პერევის გათავისუფლების“ ხმაურიანი პიარაქცია მოეწყო და დამსახურება საკუთარი თავისთვის მიეწერა, შედეგად რუსი სამხედროები სოფელში დაბრუნდნენ. კომენტატორების უმრავლესობამ მომხდარი, ტრადიციისამებრ, სააკაშვილის სისულელეს მიაწერა, თუმცა მათგან ზოგმა ჩათვალა, რომ ეს გააზრებული ნაბიჯი იყო, რადგან სააკაშვილს არ სურდა, რომ **ვლადიმერ პუტინი** წარმოჩენილიყო ადამიანად, რომელსაც საქართველოსთვის სასიკეთო ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, ხოლო პატრიარქის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლებულიყო.



**პატრიარქის ვიზიტამდე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ კალაშნიკოვმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „თუ მოლდოვა დნესტრისპირეთში მიაღწევს საკუთარი ტერიტორიული კონფლიქტის გადაწყვეტას კონფედერაციის საფუძველზე და, ამასთანავე, განავითარებს ურთიერთობას რუსეთთან, ეს გახდება ნიმუში კონფლიქტის გადაწყვეტისთვის უკრაინასა და საქართველოში“**

სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა ყველაფერი, რათა მაქსიმალურად შეეზღუდა ინფორმაციის გავრცელება იმის თაობაზე, როგორ ჩავიდა 2008 წლის აგვისტოში პატრიარქი კონფლიქტის ზონაში და გადმოასვენა ჩვენი დაღუპული სამხედროების ცხედრები, რომლებიც ხელისუფლებამ ბრძოლის ველზე მიატოვა და მათ გადმოსვენებაზე არც უფიქრია. როგორ შეხვდა ილია II გენერალ **ბორისოვს** — ჯვარი ჩამოჰკიდა და მშვიდობიან მოსახლეობაზე ზრუნვა სთხოვა. მაშინ ომების ისტორიაში უპრეცედენტო რამ მოხდა — გამარჯვებული ჯარის სარდალმა დაიჩოქა, პატრიარქს კალთაზე ემთხვია და დაიფიცა, რომ მშვიდობიან მოსახლეობას ზრუნვას არ მოაკლებდა.

მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, 2013 წლის ვიზიტი, რომლის ფარგლებში, 23 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა. პუტინმა მაშინ მადლობა გადაუხადა ილია II იმისთვის, რომ ის „აკეთებს ყველაფერ შესაძლებელს ორ ჩვენს მოძმე ერს (ბრატსკიმი ნაროდამი) შორის ჰუმანიტარული, სასულიერო, კულტურული კონტაქტების შესანარჩუნებლად“. პასუხად პატრიარქმა ბრძანა: „მინდა, გადმოგცეთ დიდი მოკითხვა ჩვენი ახალი პრემიერმინისტრისაგან. ის აკეთებს ყველაფერ აუცილებელსა და შესაძლებელს, რათა დაალაგოს ურთიერთობები ყველასთან. ვფიქრობ, ის პრობლემები, რომლებიც ჩვენ შორის არსებობს, მოიხსნება და ჩვენ კვლავინდებურად ძმები ვიქნებით“. საუბარი ძმობაზე პირველმა ვლადიმერ პუტინმა დაიწყო, უწმინდესმა კი ისეთი პასუხი გასცა, ბევრ ექსტრაკლასის დიპლომატს შეშურდებოდა. მან მიანიშნა, რომ დღევანდელი ურთიერთობები არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ძმური, მაგრამ, ამასათანავე, არ უარყო თანამოსაუბრის მიერ შემოთავაზებული ტერმინოლოგია, დაუკავშირა რა ის წარსულის გამოცდილებას და იდეალურ მდგომარეობას მომავალში, რომლისკენაც მხარეები უნდა მიისწრაფვოდნენ. ამასთანავე, მოსკოვში ვიზიტისას, ილია II ხაზგასმით საუბრობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე. მან ასეთი განცხადებაც გააკეთა: „მინდა გითხრათ, რომ ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის იყო და მუდამ იქნება ძმური და მეგობრული, რუსეთი და საქართველო, როგორც ძმები, ისე იყვნენ წარსულში, მაგრამ, ალბათ, ვიღაცას შეშურდა ჩვენი კარგად ყოფნა და ხელოვნურად შექმნა მტრობა“.

### ვინ უპირისპირდება პატრიარქს?

დღეს, ისევე, როგორც 2013-ის დასაწყისში, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, რუსეთისა და საქართველოს ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი მესიჯების გაცვლის აუცილებლობის წინაშე დადგა. საქართველოში მორიგი არჩევნების შემდეგ ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის პოზიციები განმტკიცდა, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტად **დონალდ ტრამპის** არჩევამ შეიძლება შეცვალოს აშშ-ის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცეში, შედეგად სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გავლენა გაიზრდება. ცხადია, ასეთ ვითარებაში მხარეები ურთიერთობის ძირითად პრინციპებზე უნდა შეთანხმდნენ და აბაშიძე-კარასინის ფორმატი ამისთვის არასაკმარისია.

აღსანიშნავია, რომ პატრიარქის ვიზიტამდე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ლეონიდ კალაშნიკოვმა** შემდეგი განცხადება გააკეთა: „თუ მოლდოვა დნესტრისპირეთში მიაღწევს საკუთარი ტერიტორიული კონფლიქტის გადაწყვეტას კონფედერაციის საფუძველზე და, ამასთანავე, განავითარებს ურთიერთობას რუსეთთან, ეს გახდება ნიმუში კონფლიქტის გადაწყვეტისთვის უკრაინასა და საქართველოში“. ამ განცხადებამ რადიკალი სეპარატისტების აღშფოთება გამოიწვია, თუმცა უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობაზე, იმ შემთხვევაში, თუ ის რუსეთის ინტერესებს გაითვალისწინებს, ადრე ვლადიმერ პუტინიც მიანიშნებდა („ვალდაის კლუბსა“ და ევგენი პრიმაკოვის იუბილეზე). ამჯერად კი კალაშნიკოვმა სათქმელი პირდაპირ ითქვა.

2013-ში „ნაცმოძრაობის“ დეპუტატებმა **ზურაბ ჯაფარიძემ** და **სერგო რატიანმა** საგანგებო განცხადებაში გააკრიტიკეს კათალიკოს-პატრიარქის პოზიცია, რომელიც მოსკოვში ვიზიტისას გამოხატა. ჯაფარიძისა და რატიანის რიტორიკამ განარისხა საზოგადოების უდიდესი ნაწილი და მათ დასახულ მიზანს — პატრიარქის მისიის დისკრედიტაციას — ვერ მიაღწიეს. ამჟამად „ნაცმოძრაობა“ კოლაფსშია და პირდაპირი შეტევა პატრიარქზე შეიძლება კიდევ უფრო ძვირი დაუჯდეს, ამიტომ მისმა ლიდერებმა და მათთან დაკავშირებულმა „თვითგამოცხადებულმა ლიბერალებმა”, როგორც ჩანს, „შემოვლითი გზა“ აირჩიეს.

სწორედ იმ დღეებში, როდესაც პატრიარქი მოსკოვში გაემგზავრა, სოციალურ ქსელებში დაიწყო ფოტოების გავრცელება, რომლებზეც ასახულია ისტორიული საეკლესიო შენობა-ნაგებობების რემონტი, რომლის დროსაც, როგორც ჩანს, დაირღვა გარკვეული ნორმები და ეს გამოიყენება, როგორც საბაბი, მასშტაბური კამპანიისთვის ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ. ცხადია, ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესია და თითოეული ჩვენგანის ვალია, მაგრამ ყველა მსურველს შეუძლია, იოლად დარწმუნდეს, ვინ არიან ამ კამპანიის ორგანიზატორები და რა პოლიტიკური დატვირთვის მქონე დასკვნებისკენ მიჰყავთ აუდიტორია. ის, რომ, 2013 წლისგან განსხვავებით, ისინი ველარ ბედავენ პირდაპირ თავდასხმას პატრიარქზე, ალბათ, დადებითი მომენტია, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ მიზნის მიღწევას კვლავინდებურად ცდილობენ, ხოლო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება, როგორც ჩანს, თავიანთი თავისთვის სასიკვდილო საფრთხედ მიაჩნიათ.

**ლუკა ნემსაძე**

თუ შეერთებული შტატების ინტერესი პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ შემცირდება, რაზეც უკვე დაუფარავად საუბრობს არაერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი, ხოლო ევროპის ქვეყნებში ხელისუფლებაში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე ორიენტირებული ლიდერები მოვლენ, საქართველოსა და უკრაინის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადება, სავარაუდოდ, გარდაუვალი იქნება, თანაც ეს შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს, ვიდრე წარმოგვიდგენია და მნიშვნელოვან როლს ამაში საფრანგეთის პრეზიდენტის 2017 წლის არჩევნების შედეგი შეასრულებს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკაში — ტრამპი, საფრანგეთში — ლე პენი?

**„ტრამპის გამარჯვება ამერიკაში ზრდის ჩემს შანსებს საფრანგეთის პრეზიდენტი გავხდე“, — აცხადებს „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი მარინ ლე პენი. რამდენად ახლოა ის წარმატებასთან და რა გავლენას მოახდენს პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც 2017 წლის 23 აპრილს გაიმართება, საფრანგეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების მომავალზე?**



**ლე პენი და მისი გუნდი, სავარაუდოდ, აპირებენ, «ახალი ცივი ომის» პირობებში ქვეყანას ზუსტად ის როლი შეასრულებინონ, რომელიც «ძველი ცივი ომის» წლებში ჰქონდა, რათა კრემლმა საფრანგეთი აღიქვას, როგორც ყველაზე სასურველი თანამოსაუბრე, ხანდახან კი ფარული მოკავშირე და «ხიდი», რომელიც აკავშირებს რუსეთს დასავლეთთან პოლიტიკის, ეკონომიკის თუ კულტურის სფეროში. ამასთანავე, ისინი შეეცდებიან, დაუმტკიცონ ევროპელებს, რომ ევროკავშირის კომუნიკაცია მოსკოვთან ყველაზე კონსტრუქციული სწორედ მათი შუამავლობის პირობებში იქნება**

## ლიბერალები პანიკამ მოიცვა

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ „ლიბერალური ინტერნაციონალი“ შოკში ჩააგდო. ევროპელი ლიბერალები გულის ფანცქალით ელოდებიან არჩევნებს საფრანგეთში, იტალიასა და ავსტრიაში. ბევრი კომენტატორი, რომლებსაც **ლე პენის** გამარჯვება წარმოუდგენლად მიაჩნდათ, დღეს მის შესაძლებლობაზე სრული სერიოზულობით მსჯელობენ.

თუ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებს შევაჯერებთ, ვნახავთ — საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ არჩევნების პირველ ტურში მარინ ლე პენი ხმების დაახლოებით 27-29%-ს მიიღებს, ხოლო მისი კონკურენტი რესპუბლიკელი 30%-ზე ოდნავ მეტს. თუ ვინ გახდება რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატი ამ კვირაში გაირკვევა. 20 ნოემბერს გაიმართა პრაიმერი, სადაც ყველაზე მეტი ხმა ყოფილმა პრემიერ-მინისტრებმა**: ფრანსუა ფიიონმა** (2007-12) და **ალენ ჟუპემ** (1995-97) დააგროვეს – 44 და 28,1 პროცენტი შესაბამისად. ისინი გავიდნენ პრაიმერის მეორე ტურში, რომელიც 27 ნოემბერს გაიმართება, ხოლო ყოფილი პრეზიდენტი **ნიკოლა სარკოზი** 22,1 პროცენტით ასპარეზობას გამოეთიშა. მიუხედავად იმისა, ვინ გაიმარჯვებს ამ შიგაპარტიულ ორთაბრძოლაში არჩევნების ფავორიტი და ლე პენის მთავარი მოწინააღმდეგე, სავარაუდოდ, სწორედ ის იქნება, რადგან მოქმედი პრეზიდენტის — **ფრანსუა ოლანდის** (და, საზოგადოდ, სოციალისტური პარტიის) მდგომარეობა საკმაოდ რთულია და მისი გასვლა მეორე ტურში სათუო ჩანს, სხვა კანდიდატებზე რომ არაფერი ვთქვათ.

გამოკითხვები, აგრეთვე, აჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ლე პენი პირველ ტურში მეორე ადგილზე გავა ან, სულაც, ყველაზე მეტ ხმას მოაგროვებს (და ამის ალბათობა არც ისე მცირეა), მოხდება ის, რაც 2002 წელს, როდესაც მისმა მამამ, **ჟან-მარი ლე პენმა** ყველასათვის მოულოდნელად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გასვლა მოახერხა. იმხანად მის წინააღმდეგ გაერთიანდა უკლებრივ ყველა ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ჯგუფი და მან მძიმე მარცხი იწვნია — **შირაკმა** მიიღო 82,21%, ლე პენმა — 17,79%. სოციოლოგების შეფასებით, ამჯერად სხვაობა უფრო მცირე იქნება და მარინ ლე პენს მხარს ამომრჩეველთა დაახლოებით მესამედი დაუჭერს, თუმცა გამარჯვებაზე ვერ იოცნებებს, მაგრამ დონალდ ტრამპის წარმატებამ ამერიკაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა – აღმოჩნდა, რომ კანდიდატმა, რომელიც მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში გამოკითხვებში ჩამორჩებოდა, შეიძლება გაიმარჯვოს. დღეს პოლიტიკური ექსპერტები, სოციოლოგები და ფსიქოლოგები კიდევ ერთ საინტერესო ფენომენზე მსჯელობენ – ტრამპის მხარდამჭერთა ნაწილი გამოკითხვების დროს თავის სიმპათიებს მალავდა და გამორიცხული არ არის, რომ ანალოგიური რამ საფრანგეთშიც ხდება. მაშინ, როდესაც მასმედიაში „ლიბერალური ინტერნაციონალის“ წარმომადგენლები დომინირებენ, რომლებსაც იოლად შეუძლიათ ოპონენტი დემონიზაციის ან დაცინვის ობიექტად აქციონ, ყველას როდი სურს, თავისი თვალსაზრისი საჯაროდ გამოხატოს და ამას მხოლოდ საარჩევნო უბანზე აკეთებს.

მარინ ლე პენის უპირატესობა არა იმდენად მის ევროსკეპტიკურ და ნაციონალისტურ ლოზუნგებშია, რამდენადაც იმაში, რომ თავს არსებული სისტემის მოწინააღმდეგედ წარმოაჩენს, ზუსტად ისე, როგორც ეს გააკეთა დონალდ ტრამპმა ამერიკაში. ის ადამიანები, რომლებიც ჩუმ პროტესტს უცხადებენ სისტემის უსამართლობას, მარინ ლე პენის მთავარი რეზერვია და მათ ზუსტ რაოდენობას დღეს ვერც ერთი სოციოლოგიური სამსახური ვერ დაადგენს. ამასთანავე, ლე პენმა შეიძლება გამოიყენოს ამომრჩეველთა კიდევ ერთი მოტივი, რომლის გასაშიფრად საფრანგეთის უახლესი ისტორიის გახსენება მოგვიწევს.

## ძველი დიდება სულს ისე მოსწყურდა...

„ახალი ნაციონალიზმი“, ევროსკეპტიციზმი, უკონტროლო მიგრაცია, ისლამისტური ტერორიზმის საფრთხე, ამბოხი მულტიკულტურიზმისა და პოლიტკორექტულობის ლიბერალური ინტერპრეტაციის წინააღმდეგ — ეს საკითხები მარინ ლე პენის წინასაარჩევნო რიტორიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი, ნაკლებად „გაპიარებული“ თემა. 2000 წელს გამოსულ წიგნში „ფრანგები. ფიქრები ერის ბედზე“ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი (1974-81) ვალერი **ჟისკარ დ’ესტენი** წერდა „ცნობიერების მოუშუშებელ ჭრილობაზე ფრანგების იმ ნაწილში, რომელიც უარს ამბობს, მიიღოს სამყარო ისეთად, როგორიც ის გახდა, და დაიკავოს მასში ადგილი, რომელიც ობიექტურად გვეკუთვნის“. მარტივად რომ ვთქვათ, ფრანგების ნაწილი ვერ შეეგუა ქვეყნის როლის დაკნინებას, რომელიც 1940 წლის კატასტროფული მარცხის შემდეგ დაიწყო და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გაგრძელდა (მარცხი ინდოჩინეთში, ალჟირში, სუეცის კრიზის დროს, იმპერიის კრახი, ქვეყნის როლის შემცირება საერთაშორისო არენაზე და ევროკავშირის შიგნით). მოსახლეობის ნაწილს კვალვინდებურად სწყურია დიდება და ის ფრანგი პოლიტიკოსი, რომელიც ააფრიალებს დონალდ ტრამპის ლოზუნგს „გავხადოთ ამერიკა (ამ შემთხვევაში საფრანგეთი) კვლავ დიადი“, სავარაუდოდ, დიდ წარმატებას მიაღწევს. ცხადია, ეს არ ნიშნავს ნაპოლეონის მეთოდების გამოყენებას (დრო შეიცვალა და საფრანგეთს არც სათანადო რესურსი აქვს), არამედ საერთაშორისო არენაზე განსაკუთრებული როლის მოძებნას, რომელიც ფრანგებს სიმაყისა და „განსაკუთრებულობის“ განცდას დაუბრუნებს.

პრობლემის არსი შესანიშნავად ესმოდა **შარლ დე გოლს;** ის აცნობიერებდა, რომ აშშ-სსრკ-ის დაპირისპირების პირობებში საფრანგეთი დამოუკიდებელ „პოლუსად“ ვერ გადაიქცეოდა, მაგრამ შეძლო გამხდარიყო „ხიდი“ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და მთავარი შუამავლის როლი შეესრულებინა. მან შექმნა დოქტრინა, რომელიც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. ფრანგული დიპლომატია მართლაც იქცა „განმუხტვის“ მთავარ არქიტექტორად, ფასდაუდებელია მისი როლი ჰელსინკის აქტის მომზადებისა და ხელმოწერის (1975) პროცესში და ა.შ. იმ პერიოდში ფრანგები ათვითცნობიერებდნენ, რომ, ყველა პრობლემის მიუხედავად, მათი ქვეყანა მსოფლიოში მნიშვნელოვან, განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებდა.

მაგრამ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ საფრანგეთმა ეს შესაძლებლობა დაკარგა. სოციალისტური ბანაკის დაშლისა და ევროკავშირის გაფართოებისგან ყველაზე მეტი ბონუსი შეერთებულმა შტატებმა (პოლიტიკურად) და გერმანიამ (ეკონომიკურად) მიიღეს, ფრანგებმა კი იგრძნეს, რომ მათი ქვეყნის როლი მკვეთრად და საკმაოდ სწრაფად დაკნინდა. აღმოსავლეთ ევროპაში გერმანიის გავლენის ზრდის დასაბალანსებლად საფრანგეთმა სარკოზის პრეზიდენტობის წლებში „ხმელთაშუა ზღვის კავშირის“ შექმნა სცადა, რომლის შემადგენლობაში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად, შევიდოდა თურქეთი, ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ შორის, საფრანგეთის ყოფილი კოლონიები და სამანდატო ტერიტორიები, რომლებზეც მისი გავლენა კვლავინდებურად დიდია. თუმცა ბერლინმა ამ ფორმატის უკან მყისვე დაინახა პარიზის გავლენის ზრდის საფრთხე და ინიციატივა „ბლიცკრიგის ტემპში“ დაბლოკა, წინააღმდეგ წავიდნენ, აგრეთვე, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი. მართალია, კავშირი შეიქმნა, მაგრამ ფრიად „დასაჭურისებული“ სახით და არანაირი განსაკუთრებული სარგებელი საფრანგეთისთვის მას არ მოაქვს. ამასთანავე, აშშ-ის მზარდი ზეწოლის გამო, პარიზი იძულებული შეიქნა, უფრო მჭიდროდ ეთანამშრომლა მასთან ნატოს ფარგლებში და სხვადასხვა კონფლიქტურ რეგიონში, ფაქტობრივად, ვაშინგტონის სატელიტის როლი შეესრულებინა, რაც ფრანგებს, აგრეთვე, არ მოსწონდათ. მთლიანობაში კი კრიზისი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკაში გამოწვეული იყო საერთაშორისო არენაზე ქვეყნის განსაკუთრებული როლის დაკარგვით და ამ თვალსაზრისით ლე პენი ერთ მნიშვნელოვან კოზირს ფლობს.

## გენერალი დე გოლის ანდერძი

მარინ ლე პენს არ შეიძლება ეწოდოს შარლ დე გოლის მემკვიდრე. ეს ორი ფიგურა განსხვავებული პოლიტიკური ტრადიციის ნიადაგზე აღმოცენდა, მაგრამ საგარეო პოლიტიკის მიმართ „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი სწორედ დე გოლის მანევრის გამეორებას ცდილობს. „საფრანგეთისთვის რუსეთი თანამოსაუბრეა, რომელთანაც ურთიერთგაგება და თანამშრომლობა ყოველთვის ბუნებრივი იყო. ეს პოლიტიკური და ადამიანური რეალობა ძველია, როგორც ჩვენი ქვეყნები, და მათ ისტორიასა და გეოგრაფიას უკავშირდება“, — ამბობდა გენერალი დე გოლი.

ლე პენი და მისი გუნდი, სავარაუდოდ, აპირებენ, „ახალი ცივი ომის“ პირობებში ქვეყანას ზუსტად ის როლი შეასრულებინონ, რომელიც „ძველი ცივი ომის“ წლებში ჰქონდა, რათა კრემლმა საფრანგეთი აღიქვას, როგორც ყველაზე სასურველი თანამოსაუბრე, ხანდახან კი ფარული მოკავშირე და „ხიდი“, რომელიც აკავშირებს რუსეთს დასავლეთთან პოლიტიკის, ეკონომიკის თუ კულტურის სფეროში. ამასთანავე, ისინი შეეცდებიან, დაუმტკიცონ ევროპელებს, რომ ევროკავშირის კომუნიკაცია მოსკოვთან ყველაზე კონსტრუქციული სწორედ მათი შუამავლობის პირობებში იქნება. ლე პენის მთავარი არგუმენტი ლაკონურია – კონფრონტაცია რუსეთთან მას აღმოსავლეთით, ჩინეთთან კავშირისკენ უბიძგებს, რაც ევროპისთვის ძალზე წამგებიანია.

თუ შეერთებული შტატების ინტერესი პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ შემცირდება, რაზეც უკვე დაუფარავად საუბრობს არაერთი პოლიტიკოსი და ექსპერტი, ხოლო ევროპის ქვეყნებში ხელისუფლებაში რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციაზე ორიენტირებული ლიდერები მოვლენ, საქართველოსა და უკრაინის მიერ ნეიტრალიტეტის გამოცხადება, სავარაუდოდ, გარდაუვალი იქნება, თანაც ეს შეიძლება უფრო სწრაფად მოხდეს, ვიდრე წარმოგვიდგენია და **მნიშვნელოვან როლს ამაში საფრანგეთის პრეზიდენტის 2017 წლის არჩევნების შედეგი შეასრულებს.**

**ლუკა ნემსაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამიერიდან მილიონები აღარ წავა ისეთ უსარგებლო პროექტებზე, როგორიცაა ლგბტ-თემის დაცვა, ოჯახური ძალადობის მონიტორინგი, ქალთა უფლებები, მათი ჩართულობა პოლიტიკაში და ა.შ. ამას 8 ნოემბერს წერტილი დაესვა".**



# ნიკა ლალიაშვილი: საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ლიბერალურ პარტიებს საქართველოში პულსი არ ესინჯებათ

**მას შემდეგ, რაც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელმა დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა და თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტს ოთხი წლით დაეპატრონა, მსოფლიოს ნეოლიბერალურ სამგლეთში გმინვა-გოდება არ წყდება. მულტიკულტურიზმის მამებს თუ დავუჯერებთ, დემოკრატია საფრთხეშია და კაცობრიობა შუასაუკუნეობრივი სიბნელის მიჯნაზე დგას. ანალოგიური ყაყანია ქართულ ნეოლიბერალურ სპექტრშიც, — ცხრა გრანტს გადამხტარ „ენჯეოებს" განგაში აქვთ ატეხილი, — ბნელ წარსულში ვბრუნდებითო. როგორც ჩანს, ამ შიშს ისინი უსაფუძვლოდ არ განიცდიან და ცოფებს ტყუილუბრალოდ არ ყრიან. ტრამპის ტრიუმფი ნიშნავს, რომ მსოფლიოში დემოკრატიად შერაცხილი „ნეოლიბერალური" ტერორი დასრულდა, რომ ამ იდეოლოგიას ამერიკის მოსახლეობამ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა...**

**რა ცვლილებებს გამოიწვევს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკელთა კანდიდატის გამარჯვება, რა გარდაქმნებია მოსალოდნელი მსოფლიოს გეოპოლიტიკურ ასპარეზზე და როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე?**

**— ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება ტელეკომპანია „მაესტროს" პოლიტიკური ანალიტიკოსი ნიკა ლალიაშვილი.**

**— ბატონო ნიკა, არჩევნებამდე ყველა გამოკითხვა კლინტონის უპირატესობაზე მიუთითებდა და, ალბათ, ძალიან ცოტა თუ წარმოიდგენდა 8 ნოემბერს მის დამარცხებას. როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა დონალდ ტრამპის წარმატება? რატომ განიცადა ასეთი კრახი „ნეოლიბერალურმა" პოლიტიკურმა ფრთამ?**

— დავიწყოთ ტერმინების განსაზღვრით. არავითარი ნეოლიბერალზმი ეს არ არის. ეს არის ჩვეულებრივი კლასიკური ლიბერალიზმი და ადამიანების გარკვეულმა ნაწილმა ტრამპის გამარჯვება სრულიად სამართლიანად აღიქვა ამ იდეოლოგიის ჰეგემონიის დასასრულად. ეს ჰეგემონია გრძელდებოდა რამდენიმე ათეული წელიწადის განმავლობაში და ახლა მართლაც დასრულდა.

რაც შეეხება გამოკითხვებს, რომელიც თქვენ ახსენეთ, იმ ფაქტმა, რომ თითქმის ყველა გამოკითხვა აჩვენებდა კლინტონის უპირატესობას, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველა ეს გამოკითხვა თავიდან ბოლომდე იყო გაყალბებული. სწორედ ამას ამხელდა ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, როცა ამბობდა, რომ კორუფცირებული მედია და სოციოლოგიური სამსახურები ათწლეულების განმავლობაში ატყუებდნენ ადამიანებს. არჩევნების დღეს ეს მედიასაშუალებები და სოციოლოგიური სამსახურები გააფთრებით იბრძოდნენ, ხალხისთვის დაემტკიცებინათ, რომ ტრამპი აგებდა, მაგრამ ვერ შეძლეს. ტრამპმა დამაჯერებლად მოიგო, თუმცა ამერიკელი ხალხისთვის ეს მოულოდნელი არ ყოფილა, მოულოდნელი აღმოჩნდა მხოლოდ მათთვის, ვინც მხოლოდ მედიიდან იღებდა ინფორმაციას. ეს მხოლოდ ამერიკელებს კი არ ეხება, არამედ დანარჩენ მსოფლიოსაც, მათ შორის, ქართველ ლიბერალებსაც, რომლებსაც თავზარი დასცა ამ ამბავმა.

ახლა კონკრეტულად — რამ განაპირობა ტრამპის გამარჯვება. უწინარესად, ერთ ფაქტს გავიხსენებ: 2015 წლის აგვისტოში მან „ფოქსნიუსის" წამყვან **მეგან კელის** განუცხადა, რომ ამერიკის მთავარი პრობლემა არის პოლიტკორექტულობა. კერძოდ, რას გულისხმობდა: პოლიტკორექტულობა ლიბერალების ხელში გადაიქცა, ფაქტობრივად, ახალ რელიგიად, რომელსაც გულმოდგინედ ახვევდნენ თავს კაცობრიობას და ბოლოს მივიდნენ ისეთ აბსურდამდე, რომ საგნებს, მოვლენებს, ობიექტებს, ადამიანებს თავის სახელს ველარ არქმევდნენ. როგორც კი შეეცდებოდი, ამა თუ იმ მოვლენისთვის დაგერქმია შესაბამისი სახელი, მყისვე აინთებოდა წითელი და გეტყოდნენ, რომ ეს არაკორექტულია, ფაშისტი ხარ, რასისტი, კაცთმოძულე, ქალთმოძულე და ა.შ. ზუსტად ასე იქცეოდა ტრამპის მიმართ ლიბერალური პრესა და ამ მხრივ იყო სრული დისბალანსი. წარმოიდგინეთ, 53 ყველაზე ავტორიტეტული გამოცემა ეწეოდა ტრამპის საწინააღმდეგო კამპანიას და მხოლოდ ორი გამოცემა უჭერდა მხარს. მიუხედავად ამ უთანასწორო ბრძოლისა, კონსერვატიულმა ამერიკამ იზეიმა გამარჯვება და ეს გამარჯვება არის იდეოლოგიური გარდაქმნების დასაწყისი ცივილიზებულ მსოფლიოში...

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში რა გამოძახილი შეიძლება მოჰყვეს ამ გარდაქმნებს საქართველოში? აქ ჯერჯერობით ისევ „ლიბერალური" ფრთა ფლობს პროპაგანდისტული საშუალებების დიდ ნაწილს.**

— ვერ დაგეთანხმებით, საქართველოში ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა აჩვენა, რომ ლიბერალურ პარტიებს არათუ შანსი აქვთ, საერთოდ, პულსი არ ესინჯებათ და პოლიტიკური ბანკროტები არიან. მხოლოდ „ნაციონალურმა მოძრაობამ" შეძლო ბარიერის გადალახვა და შევიდა პარლამენტში, მაგრამ ეს პარტიაც რეალურად დაშლის პირას არის, ვხედავთ მისი პოლიტიკური დემონტაჟის პროცესს, რომელიც დროთა განმავლობაში ლოგიკურ დასასრულამდე მივა. იმ გარდაქმნას, რომლებიც დღეს მიმდინარეობს დასავლეთში, დავარქმევდი გლობალურ კონსერვატიულ რევოლუციას და საქართველო, რა თქმა უნდა, ამ გარდაქმნების კვალდაკვალ უნდა განვითარდეს...

**— ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რუსეთთან ურთიერთობის საკითხს. იგი იმთავითვე აცხადებდა, რომ ძალისხმევას არ დაიშურებდა კრემლთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისთვის. როგორ ფიქრობთ, საქართველოზე როგორ იმოქმედებს ვაშინგტონის ეს პოლიტიკა და საქართველოს ხელმძღვანელობა თუ არის მზად ამ პოლიტიკური ცვლილებებისთვის?**

— თავის დროზე „ქართულმა ოცნებამ" გადადგა გარკვეული ნაბიჯები მოსკოვთან დიალოგისკენ და რაღაც დონეზე ამას შედეგი ჰქონდა, თუმცა „ნაციონალურმა მოძრაობამ" ამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლები კრემლის აგენტებად გამოაცხადა და ამაზე ააწყვეს მთელი საინფორმაციო კამპანია. ცხადია, ეს იყო ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი მმართველი გუნდისთვის, რომელიც ასევე განიცდიდა სერიოზულ პოლიტიკურ წნეხს დასავლეთიდანაც. დღეს ეს წნეხი მოხსნილია, თანაც „ქართულ ოცნებას" აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ვფიქრობ, **მომავალში უფრო ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება ურთიერთობების დარეგულირებისკენ და ამას მალე დავინახავთ.** მით უფრო, რომ შესაბამისი ნება ქართველმა ხალხმა გამოხატა ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე, როცა რუსეთთან კონფრონტაციის მომხრე სუბიექტებს ხმა არ მისცა და პარლამენტს მიღმა დატოვა.

**— თქვით, რომ ამერიკაში 8 ნოემბრამდე ჩატარებული ყველა გამოკითხვა გაყალბებული იყო. ამერიკული სოციოლოგიური სამსახურები საქართველოშიც ატარებდნენ გამოკითხვებს და ამის საფუძველზე გვეუბნებოდა ხელისუფლება, რომ ქართველი ხალხის არჩევანი ევროატლანტიკური სტრუქტურებია. როგორ ფიქრობთ, სანდო იყო ის მონაცემები და საერთოდ, ხომ არ ფიქრობთ, რომ დასავლეთში მიმდინარე იდეოლოგიური გარდაქმნების კვალდაკვალ საქართველომაც უნდა გადახედოს თავის საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებს?**

— კიდევ ვიმეორებ: **ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებმა საბოლოოდ გააშიშვლა ისტერიკული ლიბერალური პროპაგანდა, ამიტომ ყველაფერმა, რასაც ისინი აკეთებენ და ამტკიცებენ, აზრი დაკარგა. ასევე ცხადი შეიქნა, რომ აქ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები, ისევე, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული მედიის დიდი ნაწილი, იყო ყალბი.**

რაც შეეხება შეკითხვას ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე, ნატოში შესვლა-არშესვლაზე ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და შესაძლოა, ხელახლა გახდეს პლებისციტის ჩატარება საჭირო, თუმცა ბოლო არჩევნებმა აჩვენა, რომ ხალხი უფრო პრაგმატულად და რეალისტურად უყურებს დღეს ამ საკითხს. ეს უკვე აღარ არის რაღაც მითი, რომელსაც თავის დროზე გვინერგავდნენ: დღეს არა — ხვალ შევალთ, ხვალ არა — ზეგ და ა.შ.

**— ტრამპის საარჩევნო პროგრამა საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებასაც ითვალისწინებს. მცირე ხნის წინათ მან განაცხადა, რომ უახლოეს ხანში შეერთებულ შტატებს სამ მილიონამდე არალეგალი დატოვებს. მიგრანტების პრობლემის წინაშე დგას საქართველოც, რადგან სააკაშვილის პერიოდში სავიზო-საიმიგრაციო პოლიტიკამ „ლიბერალიზმის" პიკს მიაღწია და აფრიკისა თუ ახლო-აღმოსავლეთის ასამდე ისლამურ სახელმწიფოსთან უვიზო მიმოსვლა დააწესეს. საჭიროა თუ არა ამ მხრივ ცვლილებები და უნდა მივყვეთ თუ არა ამერიკას კვალდაკვალ ისევ, როგორც აქამდე მივყვებოდით?**

— ცხადია, საიმიგრაციო სამსახური უნდა მუშაობდეს მაქსიმალური დატვირთვით, არალეგალების შემოსვლა უნდა კონტროლდებოდეს და მხოლოდ ლეგალურად, კანონიერად უნდა შეეძლოთ უცხოელებს აქ ყოფნა. ტრამპის პოლიტიკა ამ მხრივ არის აბსოლუტურად ადეკვატური, რადგან ამბობს, რომ, ვინც შემოსულია კანონის გვერდის ავლით, დაბრუნდება თავის ქვეყანაში.

**— ამის გამო ტრამპი რასისტად და შოვინისტად შერაცხა ამერკულმა მედიამ.**

— არა მხოლოდ ამის გამო, ლიბერალური მედია ასევე მანიპულირებდა მექსიკის საზღვარზე კედლის აშენებაზე გაკეთებული განცხადებით, აბორტის თემაზე და ა.შ. მაგრამ აქ არის ერთი მომენტი, **ტრამპს ხმა მისცა ქრისტიანული ამერიკის დიდმა ნაწილმა. ეს, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება იმისგან, რასაც ლაპარაკობს საქართველოს საპატრიარქო...**

აქამდე საქართველოში კონსერვატიულად მოაზროვნე ადამიანებს ლიბერალები ეძახდნენ „გრუზინებს" და ამაში იდო დიდი ირონია, შეურაცხყოფა. ახლა ეს რეალობა კარდინალურად შეცვლილია, ამიტომ დღეს თუ ვინმე ლიბერალი გეტყვით, — „გრუზინი" ხარო, თამამად შეგიძლიათ უპასუხოთ, რომ ყველაზე დიდი „გრუზინი" დონალდ ტრამპია.

**— დასასრულ, სამართლიანობის აღდგენაზე გკითხავთ. ადვოკატები და უფლებადამცველები ხშირად ამბობენ, რომ „ნაცმოძრაობას" ვაშინგტონიდან მფარველობდნენ და ქართულ მართლმსაჯულებას ამის გამო ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული. ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში ეს წნეხი, ალბათ, მოიხსნება. როგორ ფიქრობთ, უნდა დაიწყონ თუ არა საგამოძიებო სტრუქტურებმა უფრო აქტიური მოქმედება? იქნება თუ არა ამ მხრივ მეტი თავისუფლება?**

— არა მგონია, რომ ტრამპის ადმინისტრაცია ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში ისე, როგორც ამას აკეთებდა მისი წინამორბედი. **ობამას ადმინისტრაცია ნამდვილად ერეოდა ყველაფერში. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, სწორედ ასეთი წნეხის შედეგი იყო თავის დროზე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება.** ტრამპი, ალბათ, უფრო ორიენტირებული იქნება უსაფრთხოებაზე და ის კოლოსალური თანხები, რომლებიც მიდიოდა ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების ჯიბეში, მოხმარდება სწორედ ამ მიმართულებას, ანუ **ამიერიდან მილიონები აღარ წავა ისეთ უსარგებლო პროექტებზე, როგორიცაა ლგბტ-თემის დაცვა, ოჯახური ძალადობის მონიტორინგი, ქალთა უფლებები, მათი ჩართულობა პოლიტიკაში და ა.შ. ამას 8 ნოემბერს წერტილი დაესვა.** სამართლიანობის აღდგენას რაც შეეხება, ეს არის ქართველი ხალხისა და ქართული მართლმსაჯულების პრეროგატივა. ცხადია, თითოეული საქმე უნდა იქნეს გამოძიებული და ყველა, ვინც კი დანაშაული ჩაიდინა, კანონის შესაბამისად გასამართლებული.

> **«ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებმა საბოლოოდ გააშიშვლა ისტერიკული ლიბერალური პროპაგანდა, ამიტომ ყველაფერმა, რასაც ისინი აკეთებენ და ამტკიცებენ, აზრი დაკარგა. ასევე ცხადი შეიქნა, რომ აქ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვები, ისევე, როგორც პოლიტიკურად მოტივირებული მედიის დიდი ნაწილი, იყო ყალბი»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**როგორი იქნება ახალი დროება, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნება ისეთი, როგორიც ბოლო 25 წელიწადი იყო, როცა მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა „ოთხ არაზე“ (არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა ღმერთს, არა სქესს) დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა აშშ-ის ბელადობით ჯერ საკუთარ სახელმწიფოში, შემდეგ — ლათინურ ამერიკაში, ევროკავშირსა და ევროსაბჭოში შემავალ ქვეყნებსა თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის ულტიმატუმის ენით ამერიკაც ვერ ელაპარაკება და საქართველო ვის დაჰკარგვია?!

**მსოფლიოში გლობალური პროცესები დაიწყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენ არ გვეხება... ბრიტანული რეფერენდუმის შედეგმა შეარყია მთელი ევროპა, თუმცა არა ისე, რომ პანიკა გამოეწვია ევროლიბერალ მმართველ ისტებლიშმენტში, რადგანაც ევროკავშირი მინუს თუნდაც ბრიტანეთი, მაინც ნეოლიბერალური იდეოლოგიის ფორპოსტად განიხილებოდა აშშ-ის მიერ ევროპაში, რომლის დომინანტ სახელმწიფოთა ლიდერები (ფრანსუა ოლანდი, ანგელა მერკელი და სხვები) დარწმუნებული იყვნენ, რომ თეთრ სახლში შავ ბიჭს თეთრი ქალი შეცვლიდა, ანუ ალხანას ჩალხანა ჩაანაცვლებდა და ევროკავშირი მხოლოდ „ნაჩალნიკს“ გამოიცვლიდა, ამიტომ არა მხოლოდ დაუფარავად უჭერდნენ მხარს ჰილარი კლინტონს, არამედ შეურაცხმყოფელ ეპითეტებსაც არ იშურებდნენ დონალდ ტრამპის მიმართ, მაგრამ მოხდა სასწაული — ამერიკელმა ხალხმა სწორედ დონალდ ჯონ ტრამპი აირჩია აშშ-ის 45-ე პრეზიდენტად.**




**ჩვენი სამშობლოს ერთადერთი პატრონი საქართველოს დედაეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქია, რომელიც, მიუხედავად ხნოვანებისა, მომენტს არ უშვებს ხელიდან, ესტუმროს ჩვენს ერთმორწმუნე მეზობელს, რომელიც ოკეანისგაღმელმა «მეგობრებმა» მტრად გადაგვკიდეს. ახლაც მისი უწმინდესობა მოსკოვს იმყოფება რუსეთის პატრიარქ კირილეს დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, სადაც შეიძლება ვლადიმერ პუტინს შეხვდეს**

ერთადერთი, რისი თქმაც ახლავე შეიძლება დანამდვილებით, არის ის, რომ 2016 წლის 9 ნოემბრიდან ახალი დროის ათვლა დაიწყო, რომელიც ოფიციალურად მომავალი წლის 20 იანვარს, აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაციის დღეს, გაფორმდება.

**როგორი იქნება ეს ახალი დროება, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნება ისეთი, როგორიც ბოლო 25 წელიწადი, როცა მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა “ოთხ არაზე” (არა სამშობლოს, არა ეროვნებას, არა ღმერთს, არა სქესს) დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობა აშშ-ის ბელადობით ჯერ საკუთარ სახელმწიფოში, შემდეგ — ლათინურ ამერიკაში, ევროკავშირსა და ევროსაბჭოში შემავალ ქვეყნებში თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

და აქ მეტნაკლებობაში არ იგულისხმება მხოლოდ ლგბტ-სექტების გაჯეჯილება და კონკრეტულად ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებების დაკანონება — ეს მხოლოდ დეტალებია (თუმცა ფრიად მნიშვნელოვანი) იმ საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე, რომელსაც “4 არა” ჰქვია. მთავარი ინსტრუმენტი ამ გზაზე მავალი გლობალისტ-სატანისტების მთავარი ინსტრუმენტი კი ე.წ. არჩევანის თავისუფლებაა — **„აირჩიე, რაც გინდა, როგორც გინდა და როცა გინდა, ოღონდაც კანონს, საზოგადოებრივ წესრიგს ნუ დაარღვევ!“**

აი, ეს ერთი შეხედვით უწყინარი პოსტულატი უდევს საფუძვლად ე.წ. ადამიანის უფლებებს.

სინამდვილეში კი რა ხდება ამ კანონის მიხედვით?

აღარ არსებობს სინდისი, მორალი, ზნეობა და სხვა მრავალი რამ, რომელთა გარშემოც იმიტომ ვითარდებოდა ათასწლეულების განმავლობაში კულტურული კაცობრიობა, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური მრწამსისა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი პოსტულატები ყველას მიერ ერთნაირად აღიქმებოდა.

აქედან მომდინარეობდა თუნდაც მსოფლიოს მხატვრული ლიტერატურის გმირების ერთნაირი აღქმაც სხვადასხვა ერის მიერ — **ვაჟკაცი ფრანგისთვისაც ვაჟკაცი იყო და ინგლისელისთვისაც, ოჯახი თათრისთვისაც წმინდა იყო და ქართველისთვისაც; ერთი სიტყვით, სიკეთეს სიკეთე ერქვა ყველასთვის და ბოროტებას — ბოროტება.**

ხვდებით, რაზე აღმართეს ხელი თანამედროვე გლობალისტ-ნეოლიბერალებმა?

**მათი აზრით, არ არსებობს სიკეთე და ბოროტება, რომელთა შორის ბრძოლაა მთელი კაცობრიობის ისტორია. ამიერიდან მთავარია არჩევანის თავისუფლება და კონკრეტული ინდივიდის გადასაწყვეტია, რას მიიჩნევს სიკეთედ და რას — ბოროტებად.**

**დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებისთანავე, რა თქმა უნდა, მყისიერად ვერ გაქრება ლგბტ-ჭირი, რომელიც ეგზემასავით მოსდებია კულტურული კაცობრიობის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ ჩვენთვის ისიც დიდი შეღავათი იქნება, თუ დონალდ ტრამპი, მისი შავი წინამორბედისგან და თეთრი მეტოქისგან განსხვავებით (გახსოვთ, ალბათ, ჯერ კიდევ სახელმწიფო მდივნობის ჟამს მადამ ჰილარისა და ბარაკ ობამას განცხადებები ამ საკითხზე), აშშ-ის მთავარ საგარეო პრიორიტეტად არ გამოაცხადებს მსოფლიოში პედერასტების უფლებების დაცვას.

ამის იმედს კი ჩვენ თვალწინ მიმდინარე მომავალი პრეზიდენტის გუნდის ფორმირებაა. Gგუნდისა, რომელშიც მტრედებიც არიან და ქორებიც, მაგრამ არც ერთი მომხრე ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინებისა. უფრო მეტიც — პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად დაინიშნა მართლმადიდებელი ქრისტიანი, წარმოშობით ბერძენი **რაინს პრიბუსი.**

მკითხველს შევახსენებ, რომ ტრამპის ტრიუმფს დროსა და სივრცეში დაემთხვა ლიტვის სეიმში უმრავლესობით შესვლა „გლეხებისა და მწვანეთა კავშირისა“, რომელსაც ადგილობრივი თუ დასავლური პრესა პრორუსულ პარტიას უწოდებდა; ბულგარეთის პრეზიდენტი გახდა ასევე პრორუსულობაში ეჭვმიტანილი გენერალი **რუმენ რადევი** — ორივე ქვეყანა ნატო-ევროკავშირის წევრია და აბა, მოლდოვას პრეზიდენტის პოსტის ასევე პრორუსი **იგორ დოდონის** მიერ დაკავება, გასაკვირია?

თუმცა, რას ნიშნავს პრორუსი, გინდაც — პროამერიკელი? ვფიქრობ, ეს ტერმინები არასწორია და აღარ უნდა გამოვიყენოთ.

**ზემოჩამოთვლილი პირები, უწინარესად, საკუთარი ერის შვილები არიან, რომლებიც მიხვდნენ, დაინახეს, რომ რუსეთთან კონფრონტაციულ რეჟიმში ყოფნა მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურს ოკეანისგაღმელ თეთრი სახლის შავ ბინადარს, მისი სამშობლოსთვის კონტრპროდუქტიული და უფრო მეტიც, სახიფათოა.**

დონალდ ტრამპის ფაქტორი უეჭველად იქონიებს გავლენას დასავლეთ ევროპაში მომავალ წელს გასამართ არჩევნებზე, დიდი ალბათობით, იქაც ეროვნულ-კონსერვატიული ძალები მოვლენ ხელისუფლებაში და ამიტომ მათ (თუნდაც მარინ ლე პენს ან ნაიჯელ ფარაჯს) პრორუსები ვუწოდოთ?

შვედეთის სამეფოს საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, ჩვენში ავადსახსენებელმა **კარლ ბილდტმა** ტრამპის გამარჯვებას უკვე უწოდა ევროპის დასასრული და მართლაც, გასულ კვირაში ბარაკ ობამას (რომელსაც ადრე ხზოს ალტაცებით შეჰყურებდა ათასობით გერმანელი) ბერლინში ვიზიტისას განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომები მიიღეს. იქამდეც კი მივიდნენ, რომ კანალიზაციის ჭების სახურავები ელექტროშემდუღებელი აპარატით დაადუღეს, ხოლო სამიტის შენობასთან მისასვლელი გზები საიმედოდ გადაკეტეს მოსალოდნელი პროტესტების გამო.

თუმცა მრგვალ მაგიდასთან ბარაკ ობამასა და რამდენიმე ევროპელი ლიდერის სავახშმოდ დასხდომას სამიტს ვერ ვუწოდებთ. ამ სურათმა ერთი ეპიზოდი გამახსენა ფილმ „არ დაიდარდოდან“, **სერგო ზაქარიაძის** გმირი თავის ქელეხში რომ ქეიფობს — აი, ზუსტად საკუთარ ქელეხში მოქეიფეებს ჰგავდნენ იმ სუფრის წევრები, რომლებსაც, ქურდული ჟარგონით თუ ვიტყვით, მათი მაყურებელი განაბივით“, თანამდებობებზე ყოფნა დიდხანს არ უწერიათ.

კიდევ ერთი ანალოგია მახსენდება, ოღონდ ამჯერად **მიშა სააკაშვილსა** და ობამას შორის:

„კოჭლი იხვი“ — ასე უწოდებენ ამერიკის ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს, რომელიც, როგორც წესი, ახალარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციამდე მაინცდამაინც არ აქტიურობს, პრობლემები რომ არ შეუქმნას მომავალ პრეზიდენტს(?!).

**გახსოვთ, ალბათ, ჩვენი მიშიკოს კოჭლი იხვობაც, როგორ მიზანმიმართულად აზიანებდა ქვეყანას. საგანგებო ბრძანებით როგორ მიანიჭა 40 ათასზე მეტ თურქს საქართველოს მოქალაქეობა; როგორ ამოწურა უკანასკნელ თეთრამდე საპრეზიდენტო ფონდი და პრეზიდენტობის ბოლო დღეს როგორ „მოხია“ საზღვარგარეთ საპრეზიდენტო თვითმფრინავით.**

ბარაკ ობამაც ანალოგიურად იქცევა და მისი ბოლო ვოიაჟი, როგორც ამერიკელი „განაბისა“ ევროპელ „ჰარიფებთან“, იყო დონალდ ტრამპისთვის რაც შეიძლება მძიმე მემკვიდრეობის დატოვების მცდელობა, რათა ახალმა პრეზიდენტმა ვერ შეძლოს უმთავრესი დაპირების შესრულება — რუსეთთან ახალი, პრაგმატული ურთიერთობების დამყარება.

ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას **უკრაინაზეც**, რომელსაც, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, „დედა აღარა ჰყავს“ მას შემდეგ, რაც **პოროშენკომ** მიქარა და ეთნიკური რუსებით დასახლებულ აღმოსავლეთ უკრაინაში სამოქალაქო ომი გააჩაღა, რომლის გამოც უკრაინამ სამუდამოდ დაკარგა ყირიმი. დიახ, სამუდამოდ, რადგან **ვლადიმერ პუტინმა** ამას წინათ განაცხადა, ყირიმის თემა დახურულია და ამაზე არავისთან აღარ ვაპირებთ მსჯელობასო.

ვლადიმერ პუტინი სიტყვებს ჰაერზე რომ არ ისვრის, მთელმა მსოფლიომ იცის, მათ შორის დონალდ ტრამპმაც, რომელმაც გაპრეზიდენტებამდე კარგა ხნით ადრე აღიარა, რომ უკრაინის მიერ ყირიმის დაკარგვა ობამას უგუნური პოლიტიკის შედეგია.

უკრაინის „მაყურებელი“ კიდევ ერთი კოჭლი იხვი, აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი **ჯო ბაიდენი** „პრაშჩალნი“ ვიზიტით ჩავა კიევში, სადაც, ალბათ, პოროშენკოს მხარზე ხელს მოუთათუნებს და ოსტაპ ბენდერის სიტყვებით: „ზაპად ვამ პომოჟეტ“ დაემშვიდობება, შემდეგ კი უკრაინას „მამაც აღარ ეყოლება“.

აი ასეთ გეოპოლიტიკურ ფონზე დაიწყო მუშაობა საქართველოს ახალმა, მე-9 მოწვევის პარლამენტმა, თუმცა ძველი რიტორიკით — **ნატო** (რომელსაც მალე აღარ ეყოლება მამა, ყოველ შემთხვევაში ობამასავით მზრუნველი და, აქედან გამომდინარე, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს მიღებაზე საუბარი სასაცილოც აღარ არის), **ევროკავშირი** (რომელსაც თავისი გასჭირვებია და ვიზალიბერალიზაციაზე საუბარიც კი აბსურდია) და ყველაზე მთავარი — **რუსეთს არ დაველაპარაკებით, სანამ...**

ჰო, სანამ რა? სანამ სოხუმცხინვალს არ დაგვიბრუნებენ?

თქვე შეგნებულო მტრებო თუ შეუგნებელო იდიოტებო, **რუსეთს ულტიმატუმის ენით თვით აშშ-ც ვერ ელაპარაკება და საქართველო ვის დაჰკარგვია?!**

ჩვენი სამშობლოს ერთადერთი პატრონი საქართველოს დედაეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი პატრიარქია, რომელიც, მიუხედავად ხნოვანებისა, მომენტს არ უშვებს ხელიდან, ესტუმროს ჩვენს ერთმორწმუნე მეზობელს, რომელიც ოკეანისგაღმელმა „მეგობრებმა“ მტრად გადაგვკიდეს.

ახლაც მისი უწმინდესობა მოსკოვს იმყოფება რუსეთის პატრიარქ **კირილეს** დაბადებიდან 70 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებაზე, სადაც შეიძლება ვლადიმერ პუტინს შეხვდეს.

რაც ყოველგვარი „შეიძლებას“ გარეშეა ცნობილი, არის ის, რომ საქართველოს პატრიარქი რუსულ ტაძარში ქართულად აღასრულებს წირვალოცვას 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე.

მეტი რა ქნას საქართველოს სულიერმა მწყემსმა?! მასაც, ეტყობა, მხოლოდ უფლის იმედი აქვს; ფიქრობს, რომ უფალი არ გაწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, რომელსაც გადარჩენა მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად უწერია.

**დავით მხეიძე**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ანდრანიკ თამარიანმა მანქანა გააჩერა, ხელში „ვინჩესტერით“ გადმოვიდა, თავში დაუმიზნა მერგელ მელტონიანის ბიძაშვილს, 23 წლის ანდრონიკ მელტონიანს, და ერთი გასროლით ადგილზე მოკლა. შემდეგ კვლავ შეეცადა გასროლას, მაგრამ იარაღმა უმტყუნა. ამასობაში ანდრანიკ თამარიანის ბიძამ, სამველ თამარიანმა, ადგილიდან დაძრა მანქანა, რათა გაეტანა აიკ მელტონიანის შვილი ამბარი“.**

# დიანა გვიშიანი: დამისახელეთ ერთი ადამიანი მაინც, რომელსაც თვალწინ ძმისშვილს მოუკლავენ, მის შვილს მანქანით გადაუვლიან და, თუ იარაღი აქვს, არ ესვრის

**2016 წლის 30 ივლისს წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში საზარელი მკვლელობა მოხდა. სოფლის მოსახლეობის თვალწინ 23 წლის ახალგაზრდა „ვინჩესტერიდან“ გასროლით მოკლეს. მას შემდეგ ეძებენ ოჯახის წევრები სამართალს — რამდენიმე საპროტესტო აქცია გამართეს პროკურატურასთან, მაგრამ უშედეგოდ...**

სახელისუფლო პარტიამ ქვემო ქართლში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში რის ვაი-ვაგლახით გაიმარჯვა, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა, რადგან ქვემო ქართლი, როგორც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონი, ყოველთვის ხელისუფლების საყრდენად ითვლებოდა. წალკის რაიონის მცხოვრებნი არჩევნების „ძლივს“ მოგებას სწორედ ამ მკვლელობას უკავშირებენ; თვლიან, რომ ეს განაპირობა სოფელ ნარდევანში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ყოფილმა წევრმა, ამჟამად „ქართული ოცნების“ სახელით საკრებულოში მყოფმა **სამსონ თამარიანმა** ხალხის დასაშინებლად ჩაიდინა. საკრებულოს წევრი სამართალდამცველებს არ დაუკავებიათ, უფრო მეტიც, ის საქმიანობას განაგრძობს და სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის გადაჭარბების მუხლით ნასამართლევი, რაიონის რამდენიმემილიონიან ბიუჯეტს განაგებს. ქვემო ქართლში ასეთი ამბები არ იმალება, საამისოდ პატარააო, — ამბობენ სოფელ ნარდევანის მცხოვრებლები და დასძენენ, როცა ეს ამბავი მთელი სოფლის თვალწინ მოხდა და „ნაცმოძრაობის“ ყოფილი წევრი არ დაიჭირეს, ქვემო ქართლში ხმა დაირხა, ხელისუფლებაში ნაციონალები მოდიანო. სწორედ ამის გამო კინაღამ წააგო ხელისუფლებამ არჩევნები.

**რა მოხდა სოფელ ნარდევანში და რატომ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თამარიანებისა და მელტონიანების ოჯახები, რაც საზარელი მკვლელობით დასრულდა? ამ თემაზე მელტონიანების ოჯახის ადვოკატი — დიანა გვიშიანი გვესაუბრება:**

— უკვე მერამდენე აქცია გავმართეთ საქართველოს პროკურატურის წინ, მაგრამ ამაოდ. არადა, დღისით, მზისით, საშინელი ფაქტის მომსწრე შეიქნა მთელი სოფელი... წალკის რაიონის სოფელ ნარდევანში არის ორი ოჯახი — მელტონიანებისა და თამარიანების. ოჯახის უფროსია **სამსონ მელტონიანი**, „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრი, რომელიც შემდეგ „ქართულ ოცნებაში“ გადავიდა. ამჟამადაც და „ნაცმოძრაობის“ პერიოდშიც წალკის საკრებულოს წევრი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო. არ იცის ქართული, არის ნასამართლევი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების მუხლით. დანაშაული აღიარა და საპროცესო გარიგებით გამოვიდა. 5-წლიანი პირობითი სასჯელი ჰქონდა და ექვსი თვით ეკრძალებოდა სახელმწიფო სამსახურში მუშაობა. მისი ბიოგრაფია და ჩადენილი დანაშაულების ნუსხა ხელთ მაქვს. 2004 წლიდან სამსონ თამარიანი სოფელ ნარდევნის გამგებელი იყო, 2008 წელს დააპატიმრეს, მაგრამ 2010 წელს „ნაცმოძრაობის“ სიით საკრებულოში შევიდა. **სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების გამო დაპატიმრებულ ადამიანს კვლავ საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილება ჩააბარეს, თანაც მან არ იცის სახელმწიფო ენა და აქვს მხოლოდ არასრული საშუალო განათლება. აი ასეთ ადამიანს აბარია რამდენიმემილიონიანი ბიუჯეტი. ეს ყველაფერი ათი წლის განმავლობაში გრძელდება. ასეთია სამსონ თამარიანის მოკლე ბიოგრაფია.**

**აიკ მელტონიანი** საქართველოს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატია. საკანონმდებლო ორგანოში 2003 წელს შევიდა ოპოზიციური პარტიიდან. აიკ მელტონიანი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და სწორედ ამის გამო დაიწყო მელტონიანისა და თამარიანების ოჯახების დაპირისპირება, თავდაპირველად მსუბუქი ფორმით, მაგალითად, დენის კაბელის გადაჭრით, სიტყვიერი შეურაცხყოფით და სხვ.

**2012 წელს, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, ვითარება გამწვავდა, მაგრამ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე დამოუკიდებელი კანდიდატი სამსონ თამარიანი კვლავ საკრებულოში აღმოჩნდა, ამჯერად „ოცნების“ სახელით. აიკ მელტონიანი კი შინ წავიდა, ორი ვაჟი ჰყავს და მათ აღზრდას მოჰკიდა ხელი, თუმცა უსიამოვნებები გრძელდებოდა.**


მერგელ მელტონიანი


ანდრონიკ მელტონიანი

2016 წლის 30 ივლისს სოფელ ნარდევანში ტრაგედია დატრიალდა. საღამოს ხუთ საათზე საკრებულოს წევრი სამსონ თამარიანი თავისი „მერსედესით“ სოფლის ცენტრში აიკ მელტონიანის ვაჟს დაეჯახა, ორივე ფეხი გადაუტეხა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოწმეები ამბობენ, რომ, სანამ მანქანით დაეჯახებოდა, თამარიანი ბავშვს აგინებდა და ერთხელ დაჯახების შემდეგ კვლავ ცდილობდა დაჯახებას, მაგრამ პატარა **მერგელ მელტონიანი** მისმა ბიძაშვილმა გზიდან გადაიყვანა.

შემთხვევის ადგილას უამრავი ხალხი შეიკრიბა, მოვიდა ბავშვის მამა აიკ მელტონიანიც, ყოფილი დეპუტატი, აგრეთვე, პოლიციის უფროსი, სასწრაფო დახმარების მანქანა. ამ მომენტში კვლავ გამოჩნდა სამსონ თამარიანის მანქანა, საჭეს მისი ვაჟი **ანდრანიკ თამარიანი** უჯდა, მის გვერდით იყო ბიძა. ანდრანიკ თამარიანმა მანქანა გააჩერა, ხელში „ვინჩესტერით“ გადმოვიდა, თავში დაუმიზნა მერგელ მელტონიანის ბიძაშვილს, *23* წლის **ანდრონიკ მელტონიანს** და ერთი გასროლით ადგილზე მოკლა. შემდეგ კვლავ შეეცადა გასროლას, მაგრამ იარაღმა უმტყუნა. ამასობაში ანდრანიკ თამარიანის ბიძამ, **სამველ თამარიანმა**, ადგილიდან დაძრა მანქანა იმისათვის, რომ გაეტანა აიკ მელტონიანის შვილი **ამბარი.** ერთი მეტრის დაშორებით იდგა აიკ მელტონიანი, რომელსაც იარაღის ტარების უფლება აქვს, ამოიღო იარაღი და ესროლა მძღოლს — სამველ თამარიანს, რომელიც დაიჭრა და შემთხვევის ადგილიდან გავიდა.

მკვლელი ანდრანიკ თამარიანი დაკავებულია, აგრეთვე, დაკავებულია აიკ მელტონიანიც, რომელმაც თავდაცვის მიზნით ისროლა, მაგრამ მკვლელსაც და მასაც მიყენებული აქვთ ერთი და იგივე მუხლი — განზრახ მკვლელობა. მას შემდეგ, რაც წალკის საკრებულოს დეპუტატი სამსონ თამარიანი მანქანით დაეჯახა მელტონიანების ბავშვს, მივიდა სახლში და ბავშვის მოსაკლავად გაგზავნა შვილი და ძმა. შვილი ანდრანიკ თამარიანი, როგორც მოგახსენეთ, დაკავებულია, მაგრამ მართლმსაჯულების წინაშე არ წარმდგარა სამსონ თამარიანი, დანაშაულის წამქეზებელი და დამნაშავე — მან მანქანით გაიტანა ბავშვი, რომელიც ხეიბარი დარჩა. ჩვენ ვითხოვთ, რომ სამსონ თამარიანი დანაშაულის თანამონაწილედ აღიარონ.

**გამოძიებას აქვს ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც წერია, რომ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანაზე შერჩენილია დაზარალებულის ტანსაცმლის ნარჩენები და სისხლი.**

2016 წლის 30 ივლისიდან, ანუ დანაშაულის ჩადენის დღიდან პროკურატურაში საჩივარი ყოველდღე შეგვაქვს, ვაწყობთ ხალხმრავალ აქციებს, გვაქვს ბრიფინგები, გავავრცელეთ ინფორმაცია სოციალურ ქსელში, მაგრამ მაინც ვერ მივაღწიეთ სამსონ თამარიანის, როგორც თანამონაწილისა და მკვლელობის წამქეზებლის დაპატიმრებას. მას უდანაშაულოდ თვლიან.

შეკითხვები მაქვს გამოძიებასთან — რატომ არ აკისრებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სამსონ თამარიანს? იმიტომ, რომ ის საკრებულოს წევრია? იმიტომ, რომ „ნაცების“ წისქვილზე ასხამს წყალს თუ დიდძალი ფული აქვს ვიღაცას აღებული?

**— ვისზე გაქვთ ეჭვი, ვინ შეიძლება მფარველობდეს თამარიანს?**

— საქმეს ქვემო ქართლის პროკურატურა იძიებს, შესაბამისად, პრეტენზიებიც მასთან გვაქვს. როდესაც პროკურატურაში საჩივარი შეგვქონდა, გვეუბნებოდნენ, გამოძიება მიმდინარეობს, 15 ნოემბერს კი განგვიცხადეს, გამოძიება დასრულდაო. სამსონ თამარიანი უდანაშაულოდ ცნეს, მისი ძმა, რომელმაც მკვლელი შემთხვევის ადგილზე მიიყვანა, — დაზარალებულად.

**დამისახელეთ ერთი ადამიანი მაინც, რომელსაც თვალწინ ძმისშვილს მოუკლავენ, მის შვილს მანქანით გადაუვლიან და, თუ თან იარაღი აქვს, დამნაშავეს არ ესვრის.**

**დაგვეხმარეთ, იქნებ ქვემო ქართლის პროკურორ გიორგი ღონღაძეს ჰკითხოთ, რა ხდება? რატომ არ არის დაკავებული სამსონ თამარიანი? საინტერესოა, ვინ არის დაინტერესებული იმით, რომ ეს უწიგნური, წერა-კითხვის უცოდინარი კაცი წალკის რაიონის ფინანსებს განაგებდეს?**

**არ გავჩერდებით მანამ, სანამ მიზანს არ მივაღწევთ, რათა დანაშაულის კვალიფიკაცია შეიცვალოს, როგორც მიზანმიმართული თავდასხმა მელტონიანების ოჯახზე.**

**არ დარჩენილა არც ერთი ინსტანცია, რომლისთვისაც მელტონიან?ბის ოჯახს არ მიუმართავს. პრემიერ კვირიკაშვილსაც გადასცეს წერილი პირდაპირ ხელში.** კვირიკაშვილი იცნობს აიკ მელტონიანს; დაჰპირდა, რომ დაინტერესდებოდა ამ საქმით, ამის მიუხედავად, საქმეში ყველა მოწმის ჩვენება გაყალბდა. მოწმეები ამბობენ, რომ მათ მსგავსი არაფერი უთქვამთ. საქმეში ჩართული არიან ჰოლანდიელი სამართალდამცველები. თამარიანების ადვოკატია **თამარ სადრაძე,** რომელმაც, სავარაუდოდ, გააყალბა მოწმეების ჩვენებები. დაკითხვაზე მოჰყავთ აზერბაიჯანელი თარჯიმანი, სომხური არ იცის. ამის ფაქტები არსებობს.

დანაშაულს აშკარად პოლიტიკური სარჩული უდევს საფუძვლად. ფაქტია, სამსონ თამარიანმა აიკ მელტონიანი, როგორც „ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი წალკის რაიონში, წინასაარჩევნოდ თავიდან მოიშორა, თანაც იცოდა, რომ არავინ დასჯიდა.

**— მაინც რა გიპასუხათ პროკურორმა?**

— გვიპასუხა, რომ თამარიანებისთვის ბრალი ჯერ არ წარუდგენიათ, რომ გამოძიება მომდინარეებს, ბრალდების კვალიფიკაციის საკითხი სასამართლოზე გადაწყდება და, თუ სამსონ თამარიანის ბრალი დადასტურდება, შესაბამისი რეაგირებაც იქნება. არადა, გამოძიება დასრულდა.

**მორლენ მელტონიანი,**
**მოკლულის მამა:**

— აშკარაა, რომ მკვლელობის ორგანიზატორს — სამსონ თამარიანს პროკურატურა ხელს აფარებს. სამსონის ძმას კი დაზარალებულის სტატუსი მიანიჭეს და დააპატიმრეს ჩემი ძმა, რომელსაც ძმისშვილი თვალწინ მოუკლეს, ხოლო შვილს მანქანა დააჯახეს. პროკურორი ღონღაძე არ გველაპარაკება, ძალიან უხეშად გვექცევა, ოთახიდან გვაძევებს. პროკურორი **ლევან გეგეჭკორიც** ანალოგიურად იქცევა.

**დიდძალი ფული აიღეს სამართალდამცავებმა, თვითონ სამსონ თამარიანი რაიონში ტრაბახობს, 400 ათასი მაქვს გადახდილი და, თუ ხმას ამოიღებენ მელტონიანები, ციხეში ჩავსვამო.**

ერთი თვის წინათ სამსონ თამარიანი გზაზე შემხვდა და ჩემი გაჩერება უნდოდა, მაგრამ არ დავემორჩილე, მერე სოფლის ცენტრში წინ და უკან მივლიდა. პოლიციაში განცხადება შევიტანე, პროვოკაციას მიწყობს-მეთქი, მაგრამ რეაქცია არ მოჰყოლია. უფრო მეტიც, ჩემი ძმის ნივთების წასაღებად რომ დამიბარეს პოლიციაში, იქ სამსონ თამარიანი დამახვედრეს. ხომ იციან, რომ გადარეული ვარ, გადარეული კაცი კი რას ჩაიდენს, ვინ იცის...

რაიონის პოლიციის ხელმძღვანელობა პირველი წუთიდან საქმის კურსში იყო, ბავშვს მანქანა რომ დაეჯახა, პოლიციელი **ედიკ ხაჩატრიანი** იქ იყო, რამდენიმე წუთში კი მკვლელობა მოხდა, მაგრამ პოლიციამ ზომები არ მიიღო.

**სოფელში არიან თვითმხილველები, რომლებიც ამბობენ, რომ თამარიანების ოჯახში წალკის რაიონის პოლიციის თანამშრომლები თითქმის ყოველ ღამე მწვადებს წვავენ და ქეიფობენ.** მის იარაღს პოლიციაში ინახავენ, მთელი არსენალი ჰქონდა სახლში.

ფაქტები მაქვს, არც ერთ სიტყვას ჰაერზე არ ვამბობ. ყველაფერს სასამართლო პროცესზე დავამტკიცებ.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**P.S. ორი დღის განმავლობაში ვცილობდით პროკურორ გიორგი ღონღაძესთან დაკავშირებას, მაგრამ სატელეფონო ზარს არ უპასუხა.**

„ისევე, როგორც ნასვამ ადამიანს ეკრძალება ავტომობილის მართვა, „პლანის“ ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანსაც უნდა ეკრძალებოდეს საჭესთან ჯდომა. აგრეთვე, უნდა აეკრძალოთ საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას იმ აზრის დამკვიდრება, რომ ნარკომანია ჩვეულებრივი ამბავია, რომ ეს, დაავადება კი არა, ბუნებრივი მდგომარეობაა და არავითარი ცოდვა, დანაშაული არ არის. მით უფრო არ უნდა დაუშვას ამ ცოდვით შეპყრობილი ადამიანის მოხვედრა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მამა დავითი (ქვლივიძე): თუ ასეთი თავდადებული მებრძოლები იყვნენ ადამიანის უფლებებისთვის, რატომ სააკაშვილის პერიოდში არ იღებდნენ ხმას?!

**რას მოუტანს სახელმწიფოს ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზება, როგორ აისახება ეს ცვლილება (თუ კი მას მიიღებენ) დემოგრაფიაზე და რა იქნება საბოლოო შედეგი? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის მაცხოვრის ნათლისღების ტაძრის დეკანოზი დავითი (ქვლივიძე).**



**— მამაო, ახალი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ წარმომადგენლები ხელისუფლებისგან მარიხუანისა და მისგან დამზადებული პროდუქტების ლეგალიზებას მოითხოვენ და, თუ კანონში შესაბამისი ცვლილება ახალ წლამდე არ შევა, 31 დეკემბერს პირდაპირ ეთერში დემონსტრაციულად დარგავენ აღნიშნულ ნარკოტიკს. „გირჩის“ ლიდერები ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის, არა მხოლოდ მოხმარების, შენახვისა და კულტივირების ლეგალიზებასაც ითხოვენ...**

— როდესაც ჩვენი ე.წ. ნეოლიბერალები მსგავს სულიერად დამღუპველ საკანონმდებლო ცვლილებებზე საუბრობენ, არგუმენტებად იშველიებენ ევროპას, — ევროპაშია ლეგალიზებული და აქაც უნდა იყოსო. ევროპისგან ჩვენ მართლა ბევრი გვაქვს სასწავლი, კერძოდ, შრომის კულტურა, განათლებისადმი მიდგომა და სხვ., მაგრამ ნარკომანია არის სენი, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს სრული დეგრადაციისკენ.

გარდა ამისა, ასევე ხშირად ამბობენ, ალკოჰოლი უფრო მავნეა ნარკოტიკზე და ისიც უნდა ავკრძალოთო. და განა რა, საქართველოში ალკოჰოლის ზემოქმედებით ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად არ მიიჩნევა? ასეთ შემთხვევაში მანქანის მართვა კანონდარღვევად არ ითვლება? ზოგიერთ ქვეყანაში ამ დანაშაულზე არა მხოლოდ ფულადი ჯარიმაა დაწესებული, არამედ ადამიანს სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც აძლევენ. როდესაც ადამიანი გალოთებული და სულიერად დეგრადირებულია, მას „თეთრი ცხელება“ ემართება — ეჩვენება ბოროტი სულები სხვადასხვა სახით. ეს ნიშნავს, რომ ლოთობა არის უმძიმესი ცოდვა და ადამიანს, რომელიც ლოთობით კვდება, სული მიყიდული აქვს ეშმაკისთვის, ამიტომაც სახარებაში პირდაპირ წერია: „არცა მამათმავალთა, არცა ჩუკენთა, არცა მაგინებელთა და არცა ლოთთა სასუფეველი ცათა ვერ დაიმკვიდრა“. ასეთი კაცისთვის წესის აგებაც კი არ შეიძლება. თუმცა სახარებაში პავლე მოციქული დასძენს: „მარტო წყალს ნუ სვამ, ცოტა ღვინოც იხმიე. „ღვინო ახარებს სულსა კაცისასა“, — ამბობს დავით მეფსალმუნე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ცოტა ღვინის დალევა დაშვებულია. ღვინის სმას აქვს წესი და ის უნდა მიიღო ამ წესით; ღვინო არის წმიდათაწმიდა, ვინაიდან უფალმა იგი გამოიყენა ზიარებაში.

ახლა ვნახოთ, რა არის ნარკოტიკი. როგორც კი ადამიანი გაიკეთებს ნარკოტიკულ საშუალებას, მყისვე ხდება სხვა — მოძრაობები, მიმიკა, ქცევა, კარდინალურად ეცვლება; ზოგს ჰგონია, რომ ამაში უცნაური არაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანს ეუფლება ეშმაკი, ბოროტი ძალა. იგივე ემართება ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარების შედეგად (მარიხუანის, ანუ პლანის ან ბიოს მოწევისას) — მოჩვენებები, ჰალუცინაციები... ზოგიერთის ნერვული სისტემა ვერ უძლებს ამ ყველაფერს და ჭკუიდან გადადის. კიდევ ვიმეორებ: **ნებისმიერი ნარკოტიკი, „მსუბუქი“ თუ მძიმე, არის კარიბჭე ჯოჯოხეთისკენ, ხოლო ხალხი, რომელიც ამის ლეგალიზებას და დაკანონებას ითხოვს, ნებსით თუ უნებლიეთ, ბოროტების სამსახურში დგება. კაცობრიობამ იცის, საიდან მოდის ეს ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების ისტორია.** ეს არის ინდიელების უძველესი რიტუალი. კინოფილმებიდან გვინახავს, როგორ ხდებოდა ინდიელებისა და თეთრკანიანების შერიგება — დასხდებოდნენ წრიულად, შუაში იჯდა ტომის ბელადი, ბუმბულებით შემოსილი, პირველი ის იწყებდა მოწევას, მერე სხვებს გადააწვდიდა და იქმნებოდა „მაგიური წრე“. როცა ყველა გაბრუვდებოდა ნარკოტიკით, ბელადი დგებოდა და იწყებდა ტომის მფარველ სულთან, დემონთან ლაპარაკს, ანუ, **როგორც მარხვა ამზადებს ადამიანს ზიარებისთვის, ქრისტეს ხორცისა და სისხლის მისაღებად, ისე ამზადებდა და ამზადებს დღესაც ნარკოტიკი მას ეშმაკთან შესახვედრად.** ან პირიდან ბოლის გამოშვება რა არის, პირიდან ბოლს ვინ უშვებს? — ურჩხული, რომელიც განგმირა წმინდა გიორგიმ, ანუ ეს უკვე დემონიზმის სიმბოლოა და ნიშნავს, რომ პირით უკმევს საკმეველს ეშმაკს. ნარკოტიკით გაბრუებული კაცი პირდაპირ უკავშირდება დემონს და მის მარწუხებშია მოქცეული...

**— ზოგიერთ ევროპულ და არა მხოლოდ ევროპულ სახელმწიფოში „მსუბუქი“ ნარკოტიკი, დიდი ხანია, ლეგალიზებულია.**

## «დაავადებასთან ერთად, ეს არის მძიმე სულიერი დანაშაული, ამიტომ ნარკოპოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შერბილდეს»

— ზოგიერთ სახელმწიფოს ხელს აძლევს ამის ლეგალიზება, რადგან ნარკომანიით დაავადებული ადამიანი უპრეტენზიოა და არაფერი აინტერესებს ნარკოტიკის გარდა.

რაც შეეხება აზრს, რომ თურმე ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია პირდაპირ დაკავშირებულია დემოკრატიასა და პიროვნების თავისუფლებასთან, ეს აბსოლუტურად უმართებულო მიდგომაა. როგორ შეიძლება, ნარკოდამოკიდებული და, საერთოდ, რამე ვნებას დამონებული ადამიანი თავისუფალი იყოს?! თავისუფლება ნიშნავს, რომ პიროვნება საკუთარი თავის უფალია, — ბატონობს ყველანაირ ვნებასა და ცდუნებაზე — მრისხანებაზე, ლოთობაზე, მრუშობაზე... კაცი, რომელსაც ნარკოტიკზე კანკალი ეწყება და მზადაა, ყველაფერი გაყიდოს, ოღონდ მიიღოს ეს „სიამოვნება“, თავისუფალია?! ის არის ვნების, ანუ ეშმაკის მონა.

**— ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მომხრეები ამბობენ, რომ მოქალაქის აყვანა ქუჩაში და ნარკოტესტირება შარდის ანალიზით პიროვნების შეურაცხყოფაა. მათ ასევე ხშირად მოჰყავთ სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო ყოველწლიურად 18 მილიონ ლარს ხარჯავს ამ ტესტირებაში. რა აზრის ხართ ამაზე?**

— რა არის შეურაცხმყოფელი: დამნაშავის აყვანა და პასუხისგებაში მიცემა?! კანონს დაარღვევ — დაგიჭერენ, ეს ვინმესთვის გაუგებარია?! მე თუ მკითხავთ, ტესტირება უნდა გაიარონ პოლიტიკოსებმაც და განსაკუთრებით მათ, ვისაც მაღალი თანამდებობები უკავია. სახელმწიფოს ნარკომანი არ უნდა მართავდეს, რადგან ნარკოდამოკიდებული ადამიანი ფსიქიკურად დაავადებულია.

ახლა **რაც შეეხება დემოგრაფიას, გაერო ისედაც საგანგაშო დემოგრაფიულ მონაცემებს გვიქვეყნებს ყოველწლიურად და ნარკომანიის ლეგალიზება იქნება მომაკვდინებელი დარტყმა, რომელიც დაასრულებს ყველაფერს. ეს ძალიან კარგად იციან ჩვენმა ე.წ. ლიბერალებმა, მაგრამ მათთვის ეს არ არის მთავარი, მათთვის მთავარია, თავიანთი ვიწროპარტიული ინტერესები და პირადი კეთილდღეობა, რომლისთვისაც ყველაფერს იკადრებენ.**

**— „გირჩს“ რა ინტერესი შეიძლება ჰქონდეს?**

— ისინი არიან გაკოტრებული პოლიტიკოსები და მსგავსი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნით ცდილობენ, იტივტივონ პროცესების ზედაპირზე. ისე, **თუ ასეთი თავდადებული მებრძოლები იყვნენ ადამიანის უფლებებისთვის, რატომ სააკაშვილის პერიოდში არ იღებდნენ ხმას?!** მაშინ არ იყო, ნარკოტიკზე დაჭერილი ხალხით რომ ივსებოდა ციხეები?! რა, მაშინ არ უყვარდათ საქართველო, არ ეწვოდათ გული თავისუფლებასა და დემოკრატიაზე?! აქედან ჩანს, რომ **ეს ადამიანები ყველაფრის მკადრებლები არიან, მათ არ აქვთ არც სინდისი, არც ღირსება და არც პრინციპები. ისინი არიან ფულს დამონებული, პირად კეთილდღეობაზე დახარბებული პოლიტიკანები, რომლებიც ყველაფერს იკადრებენ, ოღონდ თანამდებობა მიიღონ. ისინი არიან საქართველოს მტრები და არ არსებობს დღეს იმაზე დიდი საფრთხე სახელმწიფოსთვის, ვიდრე ასეთი უსინდისო, სულგაყიდული ადამიანები...** რაც შეეხება 18 მილიონს, ეს თანხა არამხოლოდ „ანაშის“ მოწევის შესამოწმებლად, არამედ ყველა ნარკოტესტისთვის არის გათვალისწინებული. მაშინ გავაუქმოთ პოლიცია, რომელიც 24 საათის განმავლობაში პატრულირებს და ხარჯავს უამრავ საწვავს. ან რამდენიმემილიონიანი სამხედრო ხარჯი რაღად გვინდა, ომი ხომ არ გვაქვს ახლა ვინმესთან?

**— თუ პარლამენტი დააკმაყოფილებს „გირჩის“ მოთხოვნას და რეალურად დადგება დღის წესრიგში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების მიღება, რა უნდა გაკეთდეს ამ პროცესის შესაჩერებლად?**

— პარლამენტი ხალხის არჩეულია და ვალდებულია, ხალხს ემსახუროს. დეპუტატებმა „გირჩისა“ და ფულზე გაყიდული გრანტიჭამია პარტიების მოთხოვნები კი არ უნდა შეასრულონ, ხალხს უნდა მოუსმინონ.

**— ხალხის არჩეული იყო წინა მოწვევის პარლამენტიც, რომელმაც ანტიდისკრიმინაციული კანონი დაამტკიცა.**

— ამიტომაც იყო ის პარლამენტი ყველაზე სამარცხვინო და იმ დეპუტატებმაც უნდა იცოდნენ, რომ საშვილთაშვილოდ ეყოფათ ჩადენილი ცოდვა.

**— შარშან და შარშანწინ გამართულ აქციებზე დეკრიმინალიზაციაზე იყო საუბარი, ახლა ლეგალიზებას ითხოვენ...**

— ისინი არიან სახელმწიფოს დაუძინებელი მტრები და, რასაც აკეთებენ, შეუგნებლად, გაუცნობიერებლად კი არა, კონკრეტული, მიზანმიმართული გეგმით აკეთებენ. მალე, ალბათ, გასაღების ლეგალიზებასაც მოითხოვენ და ბოლოს პროპაგანდასაც დაიწყებენ, ნარკოტიკი სასარგებლოა, ყველამ გასინჯეთო. ერთხელაც შეიძლება განაცხადონ, „ჯეფი“ და „კრაკადილი“ (ეს არის ბენზინზე, კანალიზაციის საწმენდ „კროტსა“ და კალიუმის პერმანგანატზე დამზადებული ნარკოტიკი) ჯანმრთელობისთვის საზიანოა და ოპიუმი, ჰეროინი და სხვა ნარკოტიკი დავურიგოთ ადამიანებსო.

**— აქ ლაპარაკია არა მძიმე, არამედ მსუბუქ, მოსაწევ ნარკოტიკზე...**

— წამლის მკეთებელი ასი ნარკომანი რომ ავიღოთ, მათგან მხოლოდ ორ პროცენტს თუ აქვს დაწყებული პირდაპირ ნემსით ნარკომანობა. 98 პროცენტი ამ სამყაროში პლანისა და ანაშის მოწევით შევიდა და თავი საბოლოოდ დაიღუპა. რომც მოვინდომოთ, ამ სფეროში „მძიმე“ და „მსუბუქი“ ნარკოტიკებს გამიჯვნა, შეუძლებელია. იწყება „მსუბუქით“' და მთავრდება „მძიმით“, ანუ სულიერი კატასტროფით.

**აქვე მინდა, პასუხი გავცე იმ ე.წ. ნეოლიბერალ პოლიტიკოსებს, რომლებსაც ევროპის ქვეყნები მოჰყავთ ხოლმე სამაგალითოდ და ხშირად ახსენებენ ჰოლანდიას, რომელშიც ყველაზე „ლიბერალური“ ნარკოპოლიტიკაა. ჰოლანდიაში უამრავი ისეთი წესი არსებობს, რომელსაც ჩვენ არასოდეს მივიღებთ. თქვენ წარმოგიდგენიათ, ქართველ კაცს თავის ხელით მიჰყავდეს ცოლი გასაქირავებლად და ვიტრინაზე აყენებდეს?!**

კიდევ ვიმეორებ: ნარკომანია, დაავადებასთან ერთად, არის მძიმე დანაშაული და ნარკოპოლიტიკა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შერბილდეს. ეს იგივეა, რომ კრიმინალის მიმართ შეამსუბუქო კანონი და საშიშ დამნაშავეებს მწვანე შუქი აუნთო. მე თუ მკითხავთ, სახელმწიფოს ამ საკთხზე უნდა ჰქონდეს პრინციპული პოზიცია და კიდევ უფრო პრინციპული მათ მიმართ უნდა იყოს, ვინც ნარკომანიის ლეგალიზებას ითხოვს. **შეიძლება ეს ხალხი „პლანის“ მოწევის გამო არ დაიჭირონ და რამდენიმე წელი ციხეში არ ჩასვან, მაგრამ მათ უნდა დაუწესდეთ ჯარიმები. გაუხდელობის შემთხვევაში კი იძულებითი სამუშაოები — ქუჩების დასუფთავება, სკვერების კეთილმოწყობა. ისევე, როგორც ნასვამ ადამიანს, ეკრძალება ავტომობილის მართვა, „პლანის“ ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანსაც უნდა ეკრძალებოდეს საჭესთან ჯდომა. აგრეთვე, უნდა აეკრძალოთ საპასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება.** სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას იმ აზრის დამკვიდრება, რომ ნარკომანია ჩვეულებრივი ამბავია, რომ ეს, დაავადება კი არა, ბუნებრივი მდგომარეობაა და არავითარი ცოდვა, დანაშაული არ არის. მით უფრო არ უნდა დაუშვას ამ ცოდვით შეპყრობილი ადამიანის მოხვედრა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში მათი ყოფნა ქვეყნისთვის დიდი საფრთხეა და ამას ნებისმიერ დროს შეიძლება მოჰყვეს დამანგრეველი შედეგები.

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რუსული პროპაგანდის შესახებ რაღაც „სპეციალური კანონის“ მიღების თაობაზე, უტვინოთა და გაუნათლებელთა ჯგროს გარდა, რამდენიმე ისეთი კვალიფიკაციის იურისტმა ილაპარაკა, რომ დარწმუნებული ვარ, მანამდე ფსიქოლოგიური მომზადება გაიარეს, როგორ არ უნდა შერცხვენოდათ და სახეზე არ შემჩნეოდათ ასეთი წარმოუდგენელი უაზრობების საჯაროდ ლაპარაკი. აკი, პირველკურსელი იურისტისთვისაც კი ცნობილია, რომ, როდესაც ადამიანს რაიმეს უკრძალავ კანონით, მას კონკრეტულად უნდა განუმარტო კიდეც, რას ნიშნავს ის, რასაც უკრძალავ.**

# ბოლოს და ბოლოს, გვეტყვით, რას ნიშნავს რუსული პროპაგანდა?

**რუსულ პროპაგანდაზე საუბარი, უფრო ზუსტად, სრულიად უსაფუძვლო და უარგუმენტო ლაყბობა ორიოდე წლის წინათ წამოიწყო ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების უსაქმურმა ნაწილმა. საზოგადოებას მაშინვე ჰქონდა შესაბამისი რეაგირება და არაერთმა ჟურნალისტმა, პოლიტოლოგმა თუ სხვა სფეროს მოღვაწემ გასცა კიდეც პასუხი ამ უსაქმურებს.**




**აბა, გაიხსენეთ, ბოლო ხანს რაზე ატეხა განგაში სხვადასხვა ეკონომიკურმა სტრუქტურამ. «ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მკვეთრად შემცირდა უცხოეთიდან შემოსული გრანტების ოდენობა» — აი, ეს იყო, არის და იქნება მსგავსი მოტუტუცო ელემენტების შფოთისა და პანიკის საგანი**

ბევრი სჯა-ბაასი არ სჭირდება იმას, რა ინტერესი ამოძრავებთ მათ. ეს არის მეტი გრანტისა და დაფინანსების მიღება უცხოეთიდან და არაფრის კეთებაში მაღალი ხელფასის მიღების დაუოკებელი წყურვილი, თორემ, საქართველოში არანაირი რუსული პროპაგანდა რომ არ წარმოებს, ფაქტია. ან, თუნდაც **დავუჯეროთ უსაქმურებს და ვაღიაროთ, რომ მათ მიერ დასახელებული ორიოდე ბეჭდური გამოცემა და ერთი გაჭირვებული ტელევიზია მართლაც აწარმოებს რუსულ პროპაგანდას. ამ შემთხვევაშიც კი ძნელი წარმოსადგენია, როგორ აჯობეს მათ ანტირუსული, ანუ პირდაპირ ამერიკული პროპაგანდის მწარმოებელ იმ ათეულობით ტელევიზიასა და სხვა მედიასაშუალებას, რომლებიც მართლაც მილიონებით ფინანსდებიან(?!).**

ან თუნდაც ნახეთ ის არასამთავრობოები, რომლებსაც რუსულ პროპაგანდაში ადანაშაულებენ, თავიანთი მოკრძალებული ერთ-ორ-ოთახიანი ოფისებითა და 150-ლარიანი ხელფასებით და შეადარეთ ისინი „გამჭირვალობა“, „ღია საზოგადოება“, „დემოკრატიული განვითარება“ და სხვა მსგავსი გაუგებარ-მატრაკვეცული სახელწოდების მქონე ამერიკულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ფეშენებლურ ოფისებში სხედან და რამდენიმე ათასი ლარის ოდენობის ხელფასებით იწონებენ თავს.

ჰოდა, თუ ასეთ პირობებში, დავუშვათ და, მართლაც ჩაგრავს საქართველოში ე.წ. პრორუსული პროპაგანდა პროამერიკულ პროპაგანდას, რა შეიძლება აქედან დავასკვნათ? მხოლოდ ის, რომ ქართველი ხალხისთვის ის, რასაც მავანი პრორუსულ პროპაგანდას უწოდებს, უფრო მისაღები, სწორი და სამართლიანია. მაშასადამე, რა სურთ ამ „მავანებს“? — უნდათ, აკრძალონ სიმართლე და არა რუსული პროპაგანდა. ხომ ასეა?

თუმცა ყოველივე ეს, გასული ორი წლის განმავლობაში უკვე არაერთხელ ითქვა და დაიწერა. მიუხედავად ამისა, ეს უსაქმური ვითომ „ანტირუსები“ მაინც განაგრძობენ და არახუნებენ თავიანთ სრულიად უარგუმენტო და არაადეკვატურ აზრებს რუსული პროპაგანდის შესახებ.

გასულ **კვირაში კიდევ ერთი მძლავრი ტალღა აგორდა ამ მიმართულებით, ოღონდ ამჯერად უკვე სულ სხვა „სიმაღლეები“ დაიპყრეს ამ ვითომ პატრიოტებმა და საქმეში ე.წ. იურისტები ჩართეს.**

ანუ უკვე საუბარია არა მხოლოდ ვითომ პრორუსული მედიასაშუალებების შეჩერებაზე, არამედ ისინი აყენებენ საკითხს, რომ შემუშავდეს სპეციალური კანონი, რომელიც აკრძალავს ყველანაირ პრორუსულ პროპაგანდას საქართველოში.

გულდასაწყვეტია, რომ, სავარაუდოდ, მაღალი მატერიალური სარგოს, ანდა მაღალი სახელმწიფო თანამდებობების მოსალოდნელი მიღების გამო, ზოგიერთ შემთხვევაში, მართლაც მაღალი დონის იურისტებიც იბანძებენ თავს და ტელეეკრანებიდან ისეთ სისულელეებს გველაპარაკებიან, დაჯერებაც კი ჭირს, რომ თავიანთი ნალაპარაკებისა თვითონ მაინც სჯერათ.

ამ დღეებში **რუსული პროპაგანდის შესახებ რაღაც „სპეციალური კანონის“ მიღების თაობაზე, უტვინოთა და გაუნათლებელთა ჯგროს გარდა, რამდენიმე ისეთი კვალიფიკაციის იურისტმა ილაპარაკა, რომ დარწმუნებული ვარ, მანამდე ფსიქოლოგიური მომზადება გაიარეს, როგორ არ უნდა შერცხვენოდათ და სახეზე არ შემჩნეოდათ ასეთი წარმოუდგენელი უაზრობების საჯაროდ ლაპარაკი.**

**აკი, პირველკურსელი იურისტისთვისაც კი ცნობილია, რომ, როდესაც ადამიანს რაიმეს უკრძალავ კანონით, მას კონკრეტულად უნდა განუმარტო კიდეც, რას ნიშნავს ის, რასაც უკრძალავ.**

მაგალითად, თუ კანონით აკრძალულია ქურდობა, მაშინ იქვე განმარტებულიც არის, რას ნიშნავს ქურდობა, ანუ **სხვის პირად ან საზოგადოებრივ საკუთრებაში ფარული შეღწევის გზით სხვისი ნივთების დაუფლება მეპატრონის თანხმობის გარეშე.**

კანონში არის ყაჩაღობის, ძარცვის, მკვლელობისა და ნებისმიერი სხვა სისხლის სამართლის დანაშაულის განმარტება. თვით ისეთ კონკრეტულ დონეზეც კი, თუნდაც საკუთარი თვალით დავინახოთ, რომ ერთმა ადამიანმა მეორე მოკლა, თუკი გვამი არ იქნება ნაპოვნი, მკვლელობის ფაქტი დადასტურებულად არ ჩაითვლება.

მოკლედ, სისხლის სამართლის კოდექსი ისეთი რამეა, რაშიც ყველაფერი კონკრეტულად და დეტალურად არის გაწერილი. **ინსინუაციების საშუალებას მხოლოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსი ტოვებს, მაგრამ, თუკი პატივცემული იურისტები რუსული პროპაგანდის გამო დაკისრებულ სასჯელზე ბჭუტურობენ, ეს ნიშნავს, რომ, მათი აზრით, რუსული პროპაგანდა სისხლის სამართლის დანაშაულის რანგში უნდა იქნას აყვანილი.**

ასეთ შემთხვევაში ვსვამ ლეგიტიმურ და კონკრეტულ კითხვას — **დადეთ დეტალური განმარტება, რა არის რუსული პროპაგანდა?**

ანუ მე, მოქალაქეს, ამიხსენით, რას მიკრძალავთ. რა არ უნდა გავაკეთო მე, კანონმორჩილმა მოქალაქემ, რომ, ჩემდა უნებურად, კანონი არ დავარღვიო?

მაგალითად, **რესტორანში რომ გამოვძღე და ვთქვა: „აუ, ახლა კაი რუს ნაშას გავჟიმავდი!“ — ეს რუსული პროპაგანდა იქნება და დამსჯიან?**

**ან შინ მისულმა ოჯახის წევრებს რომ მივმართო, აუ, ერთი ყველაზე გემრიელი რუსული ბორში გამიკეთეთ, რუსული ბორში რუსული არაჟნით ჩემპიონია ცხელ სადილებს შორის“-მეთქი, ესეც რუსულ პროპაგანდად ჩამეთვლება?**

რა, ფიქრობთ, რამე არასერიოზულს ვწერ?

არა, პატივცემულო მკითხველო, **ეს „დიდი იურისტკები“ (ყურადღება მიაქციეთ: „იურისტკა“ რუსული სიტყვაა და, ალბათ, რუსულ პროპაგანდად ჩამეთვლება) ისეთ რაღაცებს მიედ-მოედებიან, რომ, თუ ყველაფერი არ დავაზუსტებინეთ, მალე, შეიძლება საქართველოს მოქალაქეების 80 პროცენტი სისხლის სამართლის დამნაშავე აღმოჩნდეს.**

**„იურისტკები“-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ეს ტენდენციაც შევნიშნე — რატომღაც, რუსულ პროპაგანდაზე, ძირითადად, მოფემინისტკო-მოშტერო ბევრსერტიფიკატიან ტუტუც ქალებს ალაპარაკებენ** (ისინი თავისი ინიციატივით რომ არ ლაპარაკობენ, ამას, ალბათ, თქვენც შეამჩნევდით).

**ვერ გეტყვით, ეს რისი ბრალია — იმის, რომ თავხედი ქალი თავხედ მამაკაცზე ასჯერ უფრო თავხედია და გაცილებით უფრო თავხედურად ძალუძს სისულელეების ტლიკინი თუ იმისი, რომ ამ ტიპის ქალები მკვეთრად არიან მიდრეკილი კარიერისკენ და კარიერის გამო შეუძლიათ ნებისმიერი სამარცხვინო ქმედება ჩაიდინონ ან სამარცხვინო აზრები აფრქვიონ საჯაროდ, მაგრამ ფაქტია, რუსული პროპაგანდის შესახებ რაღაც სპეციალური კანონისა თუ მუხლის მიღება-დამატება სრულიად უტვინო, ულოგიკო და არაადეკვატური მოთხოვნაა.**

საზოგადოდ, ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის სრული ტუტუცობაა, კანონით აკრძალო ის, რაც ბუნებაში არ არსებობს.

განა შეგიძლიათ დამისახელოთ შემთხვევა, როდესაც საქართველოს რომელიმე მედიასაშუალება ან ჟურნალისტი, ან მოქალაქე ამბობს, რომ საქართველო რუსეთს უნდა მოვუერთოთ? ან რომ ძალიან კარგია, თუ რუსეთმა სოხუმი მიითვისა და ზუგდიდიც უნდა მივცეთ? ან ის თუ გსმენიათ ვინმესგან, რომ რუსული ჯარი უნდა შემოვიყვანოთ თბილისში და საქართველოს ბიუჯეტით ვკვებოთ? ან, იქნებ, დამანახვოთ, როგორ მოგვიწოდებს ვინმე, ყველა ჩვენი საშინაო პრობლემა კრემლს უნდა შევუთანხმოთ და ისე გადავწყვიტოთ ხოლმეო?

მსგავსი ფაქტები ნამდვილად არ მახსენდება და ამიტომ ვსვამ კითხვას ისევ და ისევ დაჟინებით — **სად არის ეს რუსული პროპაგანდა და კონკრეტულად რაში გამოიხატება ის?**

აჰ, თუკი ვინმემ თქვა, რომ საქართველოსთვის სასარგებლოა რუსეთთან გარკვეულ საკითხებში დათმობაზე წასვლა, ეს არის რუსული პროპაგანდა? ყურადღება მიაქციეთ: მეც და ვინმე სხვაც, მსგავს რამეს თუ ვამბობთ, ვამბობთ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს „საქართველოსთვის სასარგებლოა“!

სწორედ საქართველოს, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სარგებელზე ვფიქრობთ უძლიერეს მეზობელ-მტერთან გარკვეული დათმობების გზით და ამიტომ ვართ რუსეთის პროპაგანდისტები?

**განა ისტორიაში მაინც არ წაგიკითხავთ, როგორ თანამშრომლობდნენ ჩვენი „კოლაბორაციონისტი“ საამაყო და ბრძენი მეფეები ყველაზე დაუძინებელ მტერთანაც კი, იმ მიზნით, რომ ქვეყანა და ერი გადაშენებისგან ეხსნათ და სახელმწიფოსთვის მომავალი შეენარჩუნებინათ?**

უკაცრავად და, **ჩვენი ბრალია ვითომ, რომ ამერიკული პროპაგანდა აშკარად ტუტუც, ოდიოზურ, უტვინო და ხალხისთვის მიუღებელ ადამიანებს აქვთ მინდობილი? ან ის, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ლგბტ-პირების უფლებების გადაჭარბებული დაცვა არ მოსწონს არც ევროპელ და არც ქართველ საზოგადოებას, ეს ჩვენი, რუსეთის პროპაგანდისტების, ბრალია?**

ის, რომ ეს ზემოხსენებული კარიერისტი ტუტუცი „იურისტკები“ ხალხში საშინელ ანტიპათიას იწვევენ, საკუთარ სულელურ აზრებში იხლართებიან და ვერც ვერავის აგებინებენ, რა სურთ სინამდვილეში, ესეც ჩვენი, რუსეთის პროპაგანდისტების, ბრალია?

თუმცა, **მე გეტყვით, რაც სურთ მათ — უზნეო და ახუნტრუცებული საქციელის „თავისუფლებად“ გამსაღებლებს.**

აბა, გაიხსენეთ, ბოლო ხანს რაზე ატეხა განგაში სხვადასხვა ეკონომიკურმა სტრუქტურამ. **„ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მკვეთრად შემცირდა უცხოეთიდან შემოსული გრანტების ოდენობა“ — აი, ეს იყო, არის და იქნება მსგავსი მოტუტუცო ელემენტების შფოთისა და პანიკის საგანი.**

როგორც ჩანს, უცხოელები უკვე მხოლოდ აქაური, ფულსა და თანამდებობებზე ქვეყნის გამყიდველების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას აღარ ეყრდნობიან და გრანტებს ისევ ბრმად აღარ იძლევიან. მათ, ეტყობა, თავადვე შეამოწმეს ბევრი რამ. აქედან გამომდინარე, ფაქტია: **საქართველოში არც ქალების უფლებებს არღვევს ვინმე ისე გადაჭარბებულად, როგორც ამას ეს ჩვენი ადგილობრივი გამყიდველი-მეგრანტეები ხატავენ, არც ლგბტ-ებს ერჩის ვინმე და მით უფრო არც რუსული პროპაგანდა წარმოებს.**

ამიტომაც, **სულაც არ არის საჭირო იმ ოდენობის გრანტები, რა ოდენობითაც აქამდე იგზავნებოდა ხსენებული „პრობლემების“ მოსაგვარებლად.**

აი, რეალური მიზეზი, რომლის გამოც მეგრანტე-იურისტკების უგრანტობის პერსპექტივით გონდაკარგული ნაწილი იწყებს ახალ ხმაურს — როგორ სასტიკად ჩაგრავენ ქართველი მუტრუკები ქალებს, როგორც უსწორდებიან ქართველი ბნელები ლგბტ-პირებს და როგორ გრიგალისებურ რუსულ პროპაგანდას აწარმოებს ორიოდე უფულო გაზეთი ათეულობით კარგად დაპურებული ნაირნაირი პროამერიკული მედიასაშუალების წინააღმდეგ.

ბოლოს და ბოლოს, **ასეთმა მონდომებულმა „ანტირუსმა“ ტუტუცებმა, თუ მსუყე გრანტებს ვეღარ მიიღებენ, ეგებ რომელიმე მაღალ სახელმწიფო თანამდებობას მაინც გამოჰკრან ხელი. აკი, დღეს ჩვენი სახელმწიფოს ბედის განმკარგავი სახელისუფლო გუნდიც სწორედ ასეთ ზერელედ დასერტიფიკატებულ სულელებს სწყალობს.**

**ყველაზე ბევრი და შედეგიანი წყლის დასხმა „რუსულ წისქვილზე“ სწორედ ეგაა, ხალხს ასე არასერიოზულად რომ წარმოუჩენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირს, თითქოს ისინი, ქართველი ხალხის ინტერესებით კი არა, იმის მიხედვით ხელმძღვანელობენ, სასამართლო კერძო ტელევიზიას ქიბარ ხალვაშს დაუბრუნებს თუ ძმებ ყარამანაშვილებს დაუტოვებს.**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «გირჩის» წევრები პოლიტიკიდან მიდიან და რესტორანს ხსნიან

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სასამართლო საქმიდან დაწყებული, გადაცემა „ნიჭიერის“ ჟიურის მიერ ერთ-ერთი გამომსვლელი გოგონას ტრაკის (თანაც ამ სიტყვის პირდაპირი გამოყენებით) პირდაპირ ეთერში განხილვით დამთავრებული, გასულ კვირაში ბევრი საინტერესო და საოცარი რამ მოხდა ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ჟიურიში საქართველოს პირველი ლედი ზის და ტრაკს განიხილავს, ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“ (რომელიც როდემდე უნდა იყოს „ახალი“, არავინ უწყის) მაინც ყველაზე მეტად აღმოჩნდა ინტრიგნული მოწოდების სიმაღლეზე და მთელი ქვეყანა 31 დეკემბერს მათ ოფისში ქოთანში დასარგავ მარიხუანაზე აალაპარაკა.**




მოდი, ჯერ მაინც ის ვთქვათ, რით იყო საინტერესო „რუსთავი 2“-ის სასამართლო პროცესი. დიდად არაფრით, იგივე „ოპერა“, რომ ეს ტელევიზია ქართული დემოკრატიის ერთადერთი „შუქურაა“ და, თუკი ტელეკომპანია მის კანონიერ მფლობელებს დაუბრუნდება, მორჩა, ევროკავშირსა და ნატოში აღარ მიგვიღებენ — ეს უკვე მერამდენედ მოვისმინეთ ამ ტელევიზიის „ცირკაჩი“ დირექტორის — **ნიკა გვარამიასგან.**

**ამას ასე სერიოზულად რომ ამბობს ტელევიზიის დირექტორი და მას კვერს უკრავს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, აგრეთვე, პარლამენტის დეპუტატთა ნაწილი, მართლაც სასაცილოა, როდესაც ვინმე ამ ქვეყანაში „რუსულ პროპაგანდაზე“ ლაპარაკობს. ყველაზე ბევრი და შედეგიანი წყლის დასხმა „რუსულ წისქვილზე“ სწორედ ეგაა, ხალხს ასე არასერიოზულად რომ წარმოუჩენ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირს, თითქოს ისინი, ქართველი ხალხის ინტერესებით კი არა, იმის მიხედვით ხელმძღვანელობენ, სასამართლო კერძო ტელევიზიას ქიბარ ხალვაშს დაუბრუნებს თუ ძმებ ყარამანაშვილებს დაუტოვებს.**

ყველაზე დიდი აღმოჩენა ამ ამბავში მაინც „ახალი“ **ზაალ უდუმაშვილია.** კაცი, რომელსაც მთელი იმ ყბადაღებული 9 წლის განმავლობაში კრინტი არ დაუძრავს და არაფერი გაუპროტესტებია ცხოვრებაში, უცებ გამოდის და რიხით აცხადებს: **„თუკი სასამართლო ტელევიზიას ქიბარ ხალვაშს გადასცემს, მე ახალ მენეჯმენტთან არ ვითანამშრომლებ, არა იმიტომ, რომ რამე პირადი მოტივი მაქვს, არამედ, უბრალოდ, ასეთი ხასიათისა ვარ, უსამართლობას ვერ ვეგუები“.**

ინტერნეტის ენით რომ ვთქვათ, აქ უპრიანი იქნებოდა ბევრი ხარხარის „სმაილიკების“ გამოყენება... ანდაც, **მკითხველმა თავად დაძაბოს ფანტაზია და წარმოიდგინოს „უსამართლობასთან შეუპოვრად მებრძოლი ზაალ უდუმაშვილის“ სახე...**

საზოგადოდ, ჟურნალისტების „უზენაესობის“ თემა ისევ და ისევ მოდური პოზაა. პრეზიდენტმა **მარგველაშვილმა** ახალარჩეული პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას სხვა ვერაფერი ნახა ამ ქვეყანაში პრობლემა და განაცხადა: „საქართველოში აღარ უნდა იყოს არასოდეს სამსახურიდან განთავისუფლებული ჟურნალისტი, არც ერთი დახურული ტელეგადაცემა და თოქშოუ!“

ანუ, როდესაც რომელიმე ჟურნალისტი მივა რომელიმე ტელეკომპანიაში და იქ გადაცემას გააკეთებს, მორჩა, იქვე უნდა დაბერდეს და ამ თოქშოუმაც მის გარდაცვალებამდე უნდა იარსებოს? მაშინ, რა საჭიროა ტელემენეჯერები, მმართველები და, საერთოდ, ვინმე? **ერთხელ და სამუდამოდ დავაკომპლექტოთ ყველა ტელევიზია და ეგაა! არანაირი ცვლილება, არანაირი განახლება იმის შიშით, რომ მერე ვინმემ არ განაცხადოს, მე რომ გადაცემა დამიხურეს, ეს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილებააო?**

რატომაც არა? მიდგომა მარტივია და უპრობლემო! ზუსტად ისევე, როგორც კვირის მთავარი თემა — „გირჩის“ მიერ მარიხუანის დათესვის მუქარა, თუკი სახელმწიფო ნარკოტიკის ლეგალიზებას არ მოახდენს კანონით.

ასეთი სახელმწიფო დონის შანტაჟი, ალბათ, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს და, მე თუ მკითხავთ, „გირჩის“ ლიდერები არათუ 31 დეკემბერს (თუკი გაბედეს), არამედ შანტაჟის ბრალდებით ახლავე არიან დასაპატიმრებლები და დასაჯარიმებლები.

მაგრამ ამას ისევ და ისევ ამ უბადრუკმა ხელისუფლებამ მიხედოს. ჩვენი ყურადღება უფრო იმან მიიქცია, „გირჩის“ ლიდერებმა — **გოგა ხაჩიძემ** და **ზურაბ ჯაფარიძემ** — მარიხუანა ღვინოსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს რომ შეადარეს. „ჯანმრთელობას ღვინო და ალკოჰოლიც ვნებს, თუ ბევრს დალევ. მთვრალი ადამიანი უფრო აგრესიულია, ვიდრე მარიხუანის მომხმარებელი“, — ასეთი „ჯიუტი არგუმენტი“ წამოაყენეს მათ.

შესაძლებელია თუ არა მარიხუანით ღვინის ჩანაცვლება, ეს ჩვენმა კარიკატურისტმაც კარგად დაინახა და შესაბამისი ნახატით წარმოგვიდგინა. აკი, „გირჩის“ ლიდერებმა ამას წინათ განაცხადეს, ჩვენ კლასიკური პოლიტიკური პარტია აღარ ვიქნებით და სულ სხვა ტიპის ორგანიზაციას ჩამოვაყალიბებთო. როგორც ჩანს, ისინი ორიგინალური რესტორნის გახსნას აპირებენ, რომელშიც ქორწილებში, დაბადების დღეებსა თუ სხვა საზეიმო ღონისძიებებზე დამკვეთებს ღვინის ნაცვლად მარიხუანას, „მანაგუას“ ან „ხიმიას“ შესთავაზებენ.

ჰო, მართლა, კიდევ მოხდა რაღაც-რაღაც წვრილმანი მოვლენები გასულ კვირაში. მაგალითად, „ქართულმა ოცნებამ“ არასამთავრობო სექტორიდან მოხეკილი „მოფემინისტკო“ გოგოშკები საპარლამენტო თანამდებობებზე ჩამოარიგა... თანამდებობიდან გადადგა საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი... თუმცა ასეთ უკვე შესისხლხორცებულ და შეჩვეულ ჭირზე ღირს კი მკითხველის მოცდენა?

**ველოდი რახანია**

# ივანიშვილი მიუსაფარი პოლიტიკოსებისთვის თავშესაფარს ქმნის

**2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, მოგეხსენებათ, პარლამენტს გარეთ დარჩენილი თითქმის ყველა პარტიის ლიდერმა თავისი პარტია დატოვა და არავინ უწყის, სად გაუჩინარდნენ. საზოგადოებაში არაერთხელ გაჩნდა კითხვა — ნეტავ, სად წავიდნენ ეს გაკოტრებული, მზრუნველობას მოკლებული და მიუსაფარი პოლიტიკოსები? გულჩვილი ხალხი წუხს მათ ბედზე და მოითხოვს, ვინმემ ყურადღება მიაქციოს ამ გაბუტულ პოლიტიკოსებს, ჯავრიან გულზე რამე რომ არ აუტეხონ თავს.**

ქართველი ხალხის ყოველი სატკივრის გულთან მიმტანმა, ჩვენმა „უკეთილესმან და უსაათნოესმან“ **ბიძინა ივანიშვილმა** გადაწყვიტა, არჩევნების შემდეგ დაშლილი პოლიტიკური პარტიებისა და მისი წევრებისთვის სპეციალური თავშესაფარი შექმნას, რომელშიც გაწევრებაც უპატრონოდ დარჩენილ და მიუსაფარ ყველა პოლიტიკოსს შეეძლება.

ახალი პოლიტიკური თავშესაფარი მოეწყობა ისე, როგორც მიგრანტების თავშესაფარი უცხო ქვეყანაში. აშენდება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე, რომელიც სოლოლაკში, ბიძინა ივანიშვილის სასახლის უკან მდებარეობს. მოეწყობა რეკრეაციული ზონა, გასართობი კომპლექსი, სავარჯიშო მოედნები, გამაჯანსაღებელი ცენტრები და ინტიმური ოთახები. წყარო ამბობს, რომ ასეთი ფუფუნების მისაღებად ბენეფიციარმა გარკვეული კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს. ივანიშვილის თავშესაფარში მოთავსებულ მიუსაფარ პოლიტიკოსებს ეკრძალებათ ისეთი სიტყვების წარმოთქმა, როგორიც არის „ოლიგარქი ივანიშვილი“, „ივანიშვილის მონები“, „ივანიშვილის მიკერძოებული სასამართლო“...

**იმისათვის, რომ თავშეფარებულ მიუსაფარ პოლიტიკოსებს გონება არ დაუჩლუნგდეთ, მოეწყობა სხვადასხვა ტიპის აქტივობები, მაგალითად, ივანიშვილის რეზიდენციის ეზოს დაგვა-დასუფთავება, მშენებლობები, რემონტის შემდეგ ტერიტორიის დასუფთავება, ბაღჩის მოვლა-პატრონობა და საბავშვო ბაღიდან ივანიშვილების ნათესავების შვილების გამოყვანა. საღამოს 10 საათისთვის ცაცხვის ჩაისა და გვირილის კომპრესების მომზადება.**

მიუსაფარ პოლიტიკოსებს, აგრეთვე, დაუმონტაჟდებათ სპეციალური ჩიპები, რომლითაც მათი გადაადგილება გაკონტროლდება, რაც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ფარულ გარიგებებსა და შეხვედრებს მესამე ძალასთან.

ცნობილი შეიქნა ისიც, რომ თავშესაფარში მყოფები ეტაპობრივად სხვადასხვა თანამდებობაზე დასაქმდებიან. ეს დამოკიდებული იქნება მათ ყოფაქცევაზე, რაც სპეციალური ქულებით შეფასდება. შემფასებლად წარმოდგენილები არიან: **თამარ ჩუგოშვილი, თამარ ხულორდავა** და კიდევ სხვა რამდენიმე თამარი „ქართული ოცნების“ ახალი და „ძაანჭკვიანი სახეებიდან“.

შეფასების სისტემა 10-ბალიანია. 10 ბალის მქონე პირისთვის გათვალისწინებულია მინისტრის თანამდებობა. შედარებით დაბალი ბალის მქონე პირთათვის კი თანამდებობები ასე გამოიყურება: 9 ბალი — მინისტრის მოადგილე; 8 — მინისტრის მოადგილის თანაშემწე; 7 — მინისტრისთვის ყავის მომდუღებელი; 6 — პარლამენტის ბუფეტის ზედამხედველი; 5 — პარლამენტის დაგვა-დასუფთავების კომიტეტის თავმჯდომარე; 4 — პარლამენტის დაგვა-დასუფთავების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; 3 — პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწის პირველი მოადგილე; 2 — ივანიშვილის რეზიდენციის ბაღჩის მოვლა-პატრონობის სამსახურის უფროსი; 1 — რეზიდენციის კოშკურის 24-საათიანი მორიგე.

კულუარებიდან ჟონავს ინფორმაცია, რომ ამ თავშესაფრის პირობებით დაინტერესებულია **ირაკლი ალასანია, გიორგი ცაგარეიშვილი, ზურაბ აბაშიძე, დავით უსუფაშვილი** მეუღლითურთ და კიდევ რამდენიმე უპატრონო და მიუსაფარი პოლიტიკოსი, ხოლო **გუბაზ სანიკიძე,** როგორც ამბობენ, ამ თავშესაფრის გახსნისთანავე, პირველი მივიდა იქ, კაი თბილი კუთხე მონახა და გემრიელად მიიძინა. ამბობენ იმასაც, რომ **პაატა ბურჭულაძემ** ადგილი უკვე დაიკავა ივანიშვილის სახლის ბანზე, საიდანაც ბანს მისცემს თავშესაფარში მოსულ მიუსაფარ პოლიტიკოსებს, რომლებიც ივანიშვილს თავშესაფრის მისაღებად სავალდებულო „პოლიქრონიონს“ უმღერებენ.

**გრიგოლ ინგაძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სტრატეგიული ფრთოსანი საავიაციო რაკეტა X-101 მაღალი სიზუსტის იარაღია. მიზანში მოხვედრის სიზუსტე 5000 კმ-ის მანძილზე პლუს-მინუს 5 მ-ს შეადგენს. დამიზნების სისტემა კომბინირებულია: ინერციული ნავიგაცია კორექციის ელექტრონული სისტემით, ბოლო ეტაპზე კი ირთვება თვითდამიზნების ქობინი. ფრენის ცვალებადი პროფილის, სიმაღლის დიდი დიაპაზონის (30-მეტრიდან — 10 კმ-მდე) და რადიოლოკაციური შეუმჩნევლობის ტექნოლოგიების წყალობით, X-101-ის აღმოჩენა და განადგურება ძალიან რთულია. შექმნილია ამ რაკეტის ატომური ვარიანტიც — X-102, 250-კილოტონიანი ქობინით.

# «ისლამური სახელმწიფოს» პოზიციები ახალი ფრთოსანი რაკეტებით დაბომბეს

**რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია სტრატეგიული ბომბდამშენების — Ty 95MC-ების მიერ განხორციელებული სარაკეტო დარტყმები სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების პოზიციებზე.**



ეს პირველი ოფიციალური მტკიცებულებაა „დათვების“ (ასე უწოდეს ნატოელებმა ამ თვითმფრინავს) მიერ ახალი ფრთოსანი რაკეტების — X-101-ის გამოყენების შესახებ.

აქამდე ამ რაკეტებს მხოლოდ სტრატეგიული სარაკეტო თვითმფრინავები — Ty-160-ები იყენებდნენ. რაკეტა X-101 ერთ-ნახევარი მეტრით გრძელია Ty-95-ის საშტატო შეიარაღებაზე — ფრთოსან რაკეტა X-55-ზე და იარაღისთვის განკუთვნილ ნაკვეთურში ვერ თავსდება, ამიტომ ბომდბამშენს X-101-ის ტიპის ორი რაკეტა გარე საკიდებზე ჩამოჰკიდეს. სულ კი მოდერნიზებულ თვითმფრინავს შეუძლია 8 X-101 ფრთოსანი რაკეტა გადაიტანოს (Ty-95-ის დოლურა გამშვებ მოწყობილობაში 6 ერთეული X-55 თავსდება).



### ფრთოსანი რაკეტა X-101-ის ტექნიკური მახასიათებლები:

**სტრატეგიული ფრთოსანი საავიაციო რაკეტა მაღალი სიზუსტის იარაღია.**

**მიზანში მოხვედრის სიზუსტე 5000 კმ-ის მანძილზე პლუს-მინუს 5 მ-ს შეადგენს.**

* რაკეტას შეუძლია გაანადგუროს მოძრავი მიზნები;
* დამიზნების სისტემა კომბინირებულია: ინერციული ნავიგაცია კორექციის ელექტრონული სისტემით, ბოლო ეტაპზე კი ირთვება თვითდამიზნების ქობინი.
* ფრენის ცვალებადი პროფილის, სიმაღლის დიდი დიაპაზონის (30-მეტრიდან — 10 კმ-მდე) და რადიოლოკაციური შეუმჩნევლობის ტექნოლოგიების წყალობით, X-101-ის აღმოჩენა და განადგურება ძალიან რთულია.
* შექმნილია ამ რაკეტის ატომური ვარიანტიც — X-102, 250-კილოტონიანი ქობინით.
* სიგრძე — 7,45 მ;
* დიამეტრი — 742 მმ;
* ფრთების განშლა — 3 მ;
* სასტარტო მასა — 2200-2400 კგ
* ქობინის მასა — 400 კგ;
* სიჩქარე (მაქსიმალური) — 270 მ/წმ-ში;
* მოქმედების სიხშირე (მაქსიმალური) — 5500 კმ.

# «სარმატის» ფონზე ამერიკული რაკეტები «რეაქტიული კბილის ჯაგრისებია»

**PC-28 „სარმატი“ თავისი კლასის რაკეტებში ყველაზე სრულყოფილი და დიდია. ერთი ასეთი რაკეტა საკმარისია იმისათვის, რომ პირისაგან მიწისა აღიგავოს პატარა სახელმწიფო ან, მაგალითად, შტატი ტეხასი“, — წერს სამხედრო ექსპერტი მაიკლ პეკი გამოცემა The National Interest-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**



**მაიკლ პეკმა** ერთმანეთს შეადარა რუსული საკონტინენტთაშორისო „სარმატი“ და ახალი ამერიკული რაკეტა, რომელმაც უნდა შეცვალოს აშშ-ის შეიარაღებული ძალების არსენალში ამჟამად არსებული „მინიტმენ III“.

39-ტონიანი „მინიტმენი“ 100-ტონიან და 2 ათეულზე მეტი ქობინის მქონე „სარმატთან“ შედარებით „რეაქტიული კბილის ჯაგრისია“, — წერს მაიკლ პეკი.

აშშ სახმელეთო სტრატეგიული შეკავების საკონტინენტთაშორისო რაკეტაზე მუშაობით ახალ სარაკეტო რბოლაში ჩაერთო. ახალი ბალისტიკური რაკეტის შექმნა აშშ-ის ბიუჯეტს 85 მილიარდი დოლარი დაუჯდება. პენტაგონი ამ სამუშაოების აუცილებლობაზე ალაპარაკდა, რადგან აშშ-ის ბალისტიკური შეიარაღების ინფრასტრუქტურა 1960-იან წლებში შეიქმნა, „მინიტმენ III“ კი პირველად 1970 წელს გამოჩნდა.

ამერიკელი ექსპერტი წერს, რომ „სარმატს“ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისთვის გვერდის ავლის უნარის გამოვლენა შეიძლება არც დასჭირდეს, რადგან აშშ-ის სარაკეტო თავდაცვის სისტემა მოძველებულია და მხოლოდ ჩრდილოეთ კორეისა და ირანის შეიარაღებას შეიძლება გაუწიოს წინაალმდეგობა.

# აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის ხელმძღვანელი პოსტიდან გადადგა



**ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ჯეიმს კლეპერი, რომელიც აშშ-ის ნაციონალურ დაზვერვას 6 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა, თანამდებობიდან გადადგა.**

75 წლის კლეპერი პოსტზე დარჩება 2017 წლის იანვრამდე, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე.

# ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ ვაშინგტონის დამოკიდებულება ნატოს მიმართ შეიცვლება

**„დონალდ ტრამპის მიერ აშშ-ის პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ ვაშინგტონის დამოკიდებულება ნატოს ქვეყნების მიმართ შეიცვლება“, — წერს ამერიკელი სამხედრო ანალიტიკოსი ტოდ ვუდი The Washington Times-ში გამოქვეყნებულ სტატიაში.**



ამერიკელი ექსპერტის აზრით, 20 ტრილიონზე მეტი საგარეო ვალის მქონე აშშ თავს უფლებას ვეღარ მისცემს, დაიცვას მსოფლიო. ტედ ვუდი მიიჩნევს, რომ აშშ-ის პრეზიდენტად ტრამპის არჩევა ნატოს როლის გადაფასებას გამოიწვევს.

„ნატოს გაფართოება უნდა შეჩერდეს იქამდე, სანამ აშშ გადაწყვეტს, რისთვის უნდა იბრძოლოს, სანამ ჩვენ არ მივხედავთ საგარეო ვალს და გავაუმჯობესებთ ეკონომიკას, ჩვენ ვერ დავიკისრებთ ახალ ვალდებულებებს. როგორც ტრამპმა თქვა, ეს, უბრალოდ, სიბრიყვეა“, — წერს ვუდი.

ამერიკელი ანალიტიკოსის აზრით, ამჟამად საერთოდ არ ღირს ნატოს გაფართოებაზე მსჯელობა. „გააძლიერებს კი ეს ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას? ეს, რა თქმა უნდა, ზოგ ქვეყანას მშვიდი ძილის საშუალებას მისცემს, მათ ხომ ეცოდინებათ, რომ ჩვენი ატომური ქოლგა იცავთ. მაგრამ ნამდვილად გვინდა ჩვენი მამაკაცებისა და ქალების გაგზავნა ამ ქვეყნების დასაცავად და ჩვენი რესურსების ხარჯვა?

ნატოს გაფართოებისას შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ვაშინგტონის მხარდაჭერა ალიანსში ჩერნოგორიის გაწევრების საკითხში, არადა, ამ ქვეყანაში უამრავი კორუფციული სკანდალია დაკავშირებული **მილო ჯუკანოვიჩის** სახელთან, რომელიც 1991 წლიდან პრაქტიკულად უცვლელად იკავებს პრემიერმინისტრის პოსტს.

როდესაც ნატო დაუფიქრებლად ფართოვდება და თავის შემადგენლობაში შეჰყავს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და სსრკ-ის ყოფილი მოკავშირეები, ეს რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინს** აძლევს საბაბს, გაზარდოს სამხედრო ხარჯები, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს უწოდოს აგრესორი და განამტკიცოს თავისი ძალები“, — აღნიშნავს ტედ ვუდი.

ამა წლის 19 მაისს ნატოს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ოქმს ალიანსში ჩერნოგორიის შესვლის შესახებ. ქვეყანამ მიიღო დამკვირვებლის სტატუსი ამ ორგანიზაციის სხდომებზე, სრულფასოვანი წევრი კი ის მას შემდეგ გახდება, როცა ზემოაღნიშნულ ოქმს ნატოს წევრი ყველა ქვეყნის პარლამენტი მოიწონებს.

აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას დონალდ ტრამპმა დაუშვა ნატოს დაშლის შესაძლებლობა. მისი თქმით, მოკავშირეები ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან „არ იხდიან საწევროს, თვითონ ორგანიზაცია კი მოძველდა და, თუ ნატო დაიშლება, ალბათ, ასეა საჭირო“.

## პისტოლეტი სნაიპერისთვის



**რუსმა ინჟინერმა ანდრეი ნიკოლაევმა პისტოლეტებისთვის სნაიპერის კომპლექსი „ლირა“ გამოიგონა.**

ამ კომპლექსით 2-3-ჯერ მეტ მანძილზე, ანუ 25-50-ის ნაცვლად 100-200 მეტრზე შეიძლება სნაიპერული ცეცხლის გახსნა ისეთი პისტოლეტებიდან, როგორებიცაა „მაკაროვი“, „იარიგინის პისტოლეტი“, „გლოკი“, „ტე-ტე“ და „სერდიუკოვის პისტოლეტი“. ამის შესაძლებლობას იძლევა სპეციალურად შექმნილი ვაზნები. ამას გარდა, როგორც გამომგონებელმა განაცხადა, „ლირას“ მეშვეობით მებრძოლს შეუძლია ცეცხლი გახსნას საფარიდან.

პისტოლეტზე, აგრეთვე, შეიძლება დამონტაჟდეს ფირფიტები Weabver-ის ტიპის სამიზნისთვის და ფარანი.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**20 წლის ერაყელმა მიგრანტმა ამირმა, რომელმაც ინტეგრაციის პროგრამის მიხედვით თავშესაფარი მიიღო ავსტრიაში, 2015 წლის დეკემბერში ვენის ერთ-ერთ დახურულ აუზში 10 წლის ბიჭი გააუპატიურა. ბოროტმოქმედი მსხვერპლს აუზის გასახდელში ჩაუსაფრდა, კარი ჩაკეტა, ბავშვი გააუპატიურა და შემდეგ მშვიდად გაემართა აუზში საცურაოდ. მან თავისი მოქმედება ახსნა „საგანგებო სექსუალური სიტუაციით“ — 4 თვის განმავლობაში ქალთან კონტაქტი არ მქონიაო.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...



## «ვერ გაიგო სიტყვა «არა»: ავსტრიაში სასამართლომ გაამართლა მიგრანტი, რომელმაც 10 წლის ბიჭი გააუპატიურა

**ავსტრიის უზენაესმა სასამართლომ შეაჩერა განაჩენის გამოტანა ერაყელი ლტოლვილის მიმართ, რომელსაც აუზში 10 წლის ბიჭის გაუპატიურების გამო 6 წლით პატიმრობა ემუქრებოდა, — იუწყება ბრიტანული გამოცემა Intependent-ი.**

20 წლის მიგრანტმა **ამირმა**, რომელმაც ინტეგრაციის პროგრამის მიხედვით თავშესაფარი მიიღო ავსტრიაში, 2015 წლის დეკემბერში ვენის ერთ-ერთ დახურულ აუზში 10 წლის ბიჭი გააუპატიურა. ბოროტმოქმედი მსხვერპლს აუზის გასახდელში ჩაუსაფრდა, კარი ჩაკეტა, ბავშვი გააუპატიურა და შემდეგ მშვიდად გაემართა აუზში საცურაოდ. მან თავისი მოქმედება ახსნა „საგანგებო სექსუალური სიტუაციით“ — 4 თვის განმავლობაში ქალთან კონტაქტი არ მქონიაო.

დანაშაულის უამრავი მტკიცებულების მიუხედავად, მოსამართლემ გააუქმა პედოფილისთვის განსაზღვრული სასჯელი — 6-წლიანი პატიმრობა.

მოსამართლის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის, რომ მოძალადემ არ იცოდა გერმანული ენა და ვერ გაიგო ბავშვის უარი.

საქმე გაიგზავნა გადასახედად ასეთი ფორმულირებით: **„სასამართლომ ვერ დაამტკიცა, რომ ლტოლვილმა ვერ გაიგო ბიჭის ნათქვამი „არა“.**

მსხვერპლის დედამ, წარმოშობით სერბმა, რომელიც შეძრწუნებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით, განაცხადა, რომ მისი შვილი **გორანი** დღემდე ვერ იძინებს ძლიერი დასაძინებელი საშუალებების გარეშე და ყოველ ღამე ყვირის და ტირის. პროკურორმაც განაცხადა, რომ ბავშვს მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა აქვს.

ერაყელი მიგრანტის განმეორებითი სასამართლო პროცესი 2017 წელს უნდა გაიმართოს, მანამდე კი მოძალადე დროს წინასწარი დაკავების საკანში გაატარებს.

სასამართლოს ამ „ჰუმანურმა“ გადაწყვეტილებამ გააოგნა ავსტრიის მოქალაქეები და აღაშფოთა გერმანელი პოლიტიკოსები.

წევრმა პარტიისა „ალტერნატივა გერმანიისთვის“ — **ჰიუ ბრონსონმა** განაცხადა, რომ „სასამართლოს უნდა რცხვენოდეს ამ გადაწყვეტილების გამოტანის გამო, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამწუხარო იურიდიული და პოლიტიკური შედეგი“.

მიახლოებითი გამოთვლებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ევროპაში 6 მილიონზე მეტი მიგრანტი გადასახლდა და ამის გამო ევროკავშირის ქვეყნებში მემარჯვენე განწყობილებამ მკვეთრად მოიმატა.




## შოტლანდიაში პოლიციელებს ჰიჯაბის ტარების ნება დართეს

**შოტლანდიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ჰიჯაბი ისლამის მიმდევარი ქალი-პოლიციელების უნიფორმად აქციოს“, — იუწყება ბრიტანული გაზეთი The Independent-ი.**

პოლიციის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ სიახლე მუსლიმან ქალებს სამართალდამცველ ორგანოებში მუშაობის დაწყებაზე დააფიქრებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადრე ეს გონებაშიც არ გაუვლიათ. აქამდე მუსლიმან ქალებს, რომლებიც პოლიციაში მსახურობდნენ, ჰიჯაბის ტარების უფლება მხოლოდ უფროსი ოფიცრის ნებართვით შეეძლოთ.

2001 წელს შოტლანდიის პოლიციაში ნება დართეს, ეტარებინათ ჰიჯაბი, როგორც უნიფორმის ნაციონალური ელემენტი. ამით ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ აამაღლებდა სამართალდამცავი სამსახურების პრესტიჟს, მას უფრო დემოკრატიულ ორგანოდ აქცევდა და ახალ კადრებს მიიზიდავდა.

ინიციატივა მოიწონა შოტლანდიის პოლიციის მუსლიმანთა ასოციაციამ (SPMA), რომელიც კავშირს ამყარებს შოტლანდიაში მცხოვრებ მუსლიმანურ თემსა და პოლიციას შორის.

„ეს უეჭველად შთააგონებს მუსლიმან ქალებს, შევიდნენ სამართალდამცავი ორგანოების რიგებში, — განაცხადა SPMA-ის ხელმძღვანელმა ფაჰიდ ბაშირმა, — ეს სწორი მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯია“.

## საქველმოქმედო ტურნირი გოლფში ორგიით დასრულდა



**ქალაქ კოლამბიაში (ილინოისის შტატი, აშშ) ამერიკელი დენის დოერტის ორგანიზებით ჩატარდა საქველმოქმედო ტურნირი გოლფში, რომელსაც 12 სტრიპტიზის მოცეკვავე ქალი ესწრებოდა.**



ღონისძიება დასრულდა მრავალრიცხოვანი სქესობრივი აქტით პირდაპირ სათამაშო მოედანზე, ბავშვთა შორის კიბოს გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლისთვის შეგროვებულმა თანხამ კი შეადგინა... 0 დოლარი, — იუწყება ტელეარხ 14NEWS-ის ვებგვერდი.

ტურნირის ორგანიზატორი დენის დოერტი ამბობს, რომ ბიკინიში გამოწყობილი გოგონები მხოლოდ სასმელის დასარიგებლად დაიქირავა. თუმცა ამ ღონისძიების დროს გადაღებულ ფოტოებზე ჩანს, რომ ბევრმა გოგონამ „მუშაობის“ პროცესში უარი თქვა ბიკინიზე და ტურნირის მონაწილეებთან და ერთმანეთთან სექსით დაკავდა.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დავითისდროინდელი საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგის — სელჩუკთა არმიების ძირითადი უპირატესობა ქართულ, ჯვაროსნულ თუ ბიზანტიურ არმიებთან ბრძოლაში დისტანციური ბრძოლის უნარი და მობილურობა იყო. ამას სელჩუკები მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებით აღწევდნენ, რაც ცივილიზებული სახელმწიფოს მცხოვრებთათვის შეუძლებელი იყო. შესაბამისად, როდესაც მომთაბარე იბრძოდა მის ბუნებრივ გარემოში, ანუ გაშლილ სივრცეში, სადაც მანევრირებისა და ელვისებური მოძრაობის შესაძლებლობა იყო, მას მეტოქე არ ჰყავდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცივილიზებულ სახელწიფოთა მძიმედ შეიარაღებული მეომრები მათთან მიახლოებასა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმას ვერ ახერხებდნენ.**

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

## ტყუილ-მართალი ერთმანეთში ავურიეთ და ხალხმაც დაიჯერა ზოგიერთი გარეკილი პოლიტიკანის დემაგოგია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-42 (368-371)

**როდესაც ვსაუბრობთ თურქებზე, გვერდს ვერ ავუვლით ე.წ. ყივჩაღთა თემას, ვინაიდან ყივჩაღებიც თურქული მოდგმის ხალხია და ობივატელი შეიძლება შემომედავოს საქართველოს ვაიპრეზიდენტის მიერ თავის დროზე წამოროშილი ფრაზებით: „ყივჩაღებმა გადაარჩინეს საქართველო“ ან „ჩვენს ძარღვებში ყივჩაღთა სისხლი ჩქეფს“ (ეს სიტყვები დორბლიანმა მიშამ წამოაყრანტალა 2005 წლის 3 ოქტომბერს ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან შეხვედრისას საპატიო სტუმრის საამებლად). ჩვენი მიზანი არ არის ისტორიის სანაგვეზე მოსროლილ სააკაშვილთან პოლემიკა, უბრალოდ, ჩვენდა სამწუხაროდ, ბევრი ქართველი იზიარებს მიშას უაზრო ფრაზებს და სწორედ მათთვის ვისაუბრებ ამ თემაზე უფრო დეტალურად.**

**ქართველ საზოგადოებაში ასეთი მცდარი ვერსიების პოპულარობა, სამწუხაროდ, ქართველი ისტორიკოსების დიდი „დამსახურებაა“, ვინაიდან ძალიან გადაავამლაშეთ ყივჩაღების როლის შეფასებაში. რა თქმა უნდა, ჩვენი სახელმწიფოებრიობის თითქმის 30-საუკუნოვანი ისტორიის ერთ კონკრეტულ მონაკვეთში (საუბარია, სულ რაღაც, 10-15 წელზე) ყივჩაღებმა გარკვეული პოზიტიური როლი შეასრულეს (ამას მათ არც არავინ უკარგავს), მაგრამ ტყუილ-მართალი ერთმანეთში ავურიეთ და ხალხმაც დაიჯერა ზოგიერთი გარეკილი პოლიტიკანის დემაგოგია.**

და მაინც, ვინ არიან ყივჩაღები და საიდან მოვიდნენ?!

ყივჩაღები თურქული მოდგმის ხალხია, რომლებიც ხაზარებს შემოჰყვნენ აზიიდან ევროპაში. ხაზართა ხაკანატის დასუსტების შემდეგ ყივჩაღებმა სამხრეთ ვოლგისპირეთში გადაინაცვლეს. IX საუკუნეში მათ შეურთდა ალტაიდან წამოსული ყივჩაღთა მეორე ნაკადი და ასე შეიქმნა ორი შტო. IX-X საუკუნეებში ყივჩაღები მაინცდამაინც მრავალრიცხოვანნი არ ყოფილან და დიდ ტერიტორიებსაც არ ფლობდნენ, იმხანად ისინი პაჭანიკების მიერ იყვნენ შევიწროებულნი. სურათი დიამეტრალურად იცვლება XI საუკუნის პირველი ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც პაჭანიკებმა დატოვეს ყირიმი, დონისა და დნეპრის მიმდებარე მიდამო და „გამოთავისუფლებული“ ტერიტორია ყივჩაღებმა „შეავსეს“.

**XI-XII საუკუნეებისა მიჯნა ყივჩაღთა ოქროს ხანად ითვლება. ამ პერიოდში ყივჩაღები მომთაბარეობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე — ყაზახეთიდან ბესარაბიამდე. ისინი იპყრობდნენ და ანადგურებდნენ რუსეთის სამთავროებს, არაერთხელ ააოხრეს ქალაქი კიევიც.** არის ცნობები იმის თაობაზე, რომ ყივჩაღები რუს ტყვეებს აზოვის ზღვის პირას არსებულ პორტ ტმუტარაკანში მონებად ჰყიდნენ გენუელ და ვენეციელ ვაჭრებზე.

**როგორც სხვა თურქები, ყივჩაღებიც ცხოვრობდნენ ველად, მომთაბარეობდნენ სტეპებში და თავს ამით ირჩენდნენ. იყვნენ სრულიად უწიგნურნი, ჭუჭყიანები და ველურნი. ყივჩაღებს სწამდათ, რომ უძველესი დროიდან მოიპოვეს მარადიული ბედნიერება, რომელიც ჩვილს დედის რძესთან ერთად აქვს შეთვისებული. მიაჩნდათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ებანავათ, თორემ ამით ბედნიერებას ჩამოირეცხდნენ. ჭამდნენ ყველაფერს, თანაც უმს, და ხშირად გაუტყავებლადაც კი. მათი რელიგია იყო წარმართული, ეთაყვანებოდნენ მზესა და მთვარეს.**

და ასეთი ხალხის პირისპირ დადგა **დავით აღმაშენებელი.** ასეთი ხალხის მორჯულება და გაქრისტიანება გადაწყვიტა საქართველოს მეფემ. თუ რატომ გადადგა ეს ნაბიჯი, ამის უამრავი მიზეზი არსებობს, მაგრამ მათგან გამოვყოფთ 4 ძირითადს:

**1.** ყივჩაღებმა ძალიან შეავიწროეს ოსებიც და დიდი საძოვრები დაათმობინეს. მოგეხსენებათ, ოსები იმხანად საქართველოს ყმადნაფიცებად ითვლებოდნენ და ამიტომ მათი შემაწუხებლებისთვის პასუხი უნდა გაეცა დავით აღმაშენებელს. ყივჩაღთა თარეშის რეაგირების გარეშე დატოვება ვასალი ოსების დაკარგვას ნიშნავდა. ყივჩაღებთან დაპირისპირება კი დიდი სისულელე იქნებოდა, ვინაიდან სამხრეთით საქართველო დიდ ომს აწარმოებდა თურქ-სელჩუკებთან. ამ დროს „ჩრდილოეთის ფრონტის“ გახსნა ასევე მომთაბარე თურქულ ტომთან — ყივჩაღებთან გაუმართლებელი იქნებოდა. ამიტომ მიღებული იქნა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლების თაობაზე.

გაცილებით უკეთესი იქნებოდა, თუ საქართველოში ერთმორწმუნე ჩრდილოკავკასიელებს ჩამოასახლებდნენ, მაგრამ მათი მასობრივი მიგრაციის შემთხვევაში „გამოთავისუფლებულ“ ტერიტორიებს მომთაბარე ყივჩაღები დაიკავებდნენ, რაც ნამდვილად დაუშვებელი იყო.

**2.** „დიდმა თურქობამ“ და სელჩუკების წინააღმდეგ წარმოებულმა ინტენსიურმა ომებმა ასიათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა. დავით მეფეს ისედაც მცირერიცხოვანი ჯარი ჰყავდა და ყოველი ახალი ციხე-ქალაქის აღება და მასში გარნიზონის ჩაყენება კიდევ უფრო ამცირებდა ქართულ ლაშქარს. **„ხედავდა მეფე ამ მრავალ ღვთის წყალობას, საკვირველ გამარჯვებებს, რომ ღმერთი აძლევდა ქვეყნებს, ქალაქებსა და ციხეებს, მაგრამ არ იყო მის სამეფოში იმდენი სიმრავლე ლაშქრისა, რომ ქალაქებში და ციხეებში ჩაეყენებინა და სალაშქროდაც საკმარისი ყოფილიყო“, — წერს მემატიანე.**

მეფეს იმდენი მოლაშქრე კი ჰყავდა, რამდენიც ესაჭიროებოდა ახალი ქვეყნების შემოსაერთებლად, მაგრამ, თუ ამ ლაშქარს ციხეებში ჩააყენებდა, სალაშქროდ საკმარისი ძალა აღარ დარჩებოდა. დავითს ან მუდამ უნდა ელაშქრა და ერთხელ აღებული ქვეყანა ხელმეორედ აეღო, ან უნდა გამოეძებნა ახალი ლაშქარი, რომელსაც მათ შესანარჩუნებლად აღებულ ციხე-ქალაქებში ჩააყენებდა.

მემატიანე წერს: „მეფემ შარვანში სალაშქროდ გაგზავნა თავისი ძე დემეტრე „სპითა ძლიერითა“, გაიმარჯვა „საკვირველ ომში“, აიღო ციხე ქალაძორი და უკან დაბრუნდა“. შარვანი კი აიღო, მაგრამ მიატოვა, ვინაიდან ქვეყნის დამჭერი ძალა არ ჰყავდა. მეორე წელს მეფემ სომხეთში ილაშქრა, არაქსის პირას, აქაც გაიმარჯვა, მაგრამ ქვეყანა მიატოვა და უკან დაბრუნდა.

ასე რომ, **მხოლოდ რომელიმე ქვეყნის დალაშქვრა თუ ქალაქის აღება არ იყო საკმარისი; აუცილებელი იყო, მეფეს ჰყოლოდა ციხეთა და ქალაქთა „დამჭირავი ძალა“, მეომრები, რომლებსაც ქალაქის აღების შემდეგ ადგილზე დატოვებდნენ მის „დასაჭერად“. ეს მოითხოვდა ჯარის რაოდენობის მნიშვნელოვნად მომატებას. სამწუხაროდ, მაშინდელი საქართველოს დემოგრაფიული რესურსი ძალიან მწირი იყო და ამის საშუალებას არ იძლეოდა. არადა, ქვეყანას ახალი სისხლი, ახალი ენერგია სჭირდებოდა, რათა წარმატებით დაგვირვინებულიყო კარგად დაწყებული მამულიშვილური საქმე, ამიტომ შექმნილ ვითარებაში ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლებას სხვა ალტერნატივა არ ჰქონდა.**

**3.** აღმაშენებელმა აქცენტი პროფესიული ჯარის შექმნაზე გადაიტანა და ამ საქმის უბადლო ოსტატები ყივჩაღები იყვნენ. მომთაბარე ყივჩაღი, თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ბაშვობიდან ყალიბდებოდა პროფესიონალ მეომრად, რომელიც თავის ცხოვრებას მშვილდით ხელში ცხენზე ატარებდა. ამიტომაც იყვნენ ყივჩაღები განთქმული მეომრები და ბრწყინვალე ცხენოსნები. ველად გაზრდილი მომთაბარეები იბრძოდნენ ნებისმიერ კლიმატურ პირობებში. მათთვის პაპანაქება სიცხე, ქარბუქი და გრიგალი ან კოკისპირული წვიმა არ წარმოადგენდა ბრძოლისთვის ხელშემშლელ ფაქტორს.

**4.** დავითისდროინდელი საქართველოს მთავარი მოწინააღმდეგის — სელჩუკთა არმიების ძირითადი უპირატესობა ქართულ, ჯვაროსნულ თუ ბიზანტიურ არმიებთან ბრძოლაში დისტანციური ბრძოლის უნარი და მობილურობა იყო. ამას სელჩუკები მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებით აღწევდნენ, რაც ცივილიზებული სახელმწიფოს მცხოვრებთათვის შეუძლებელი იყო. შესაბამისად, როდესაც მომთაბარე იბრძოდა მის ბუნებრივ გარემოში, ანუ გაშლილ სივრცეში, სადაც მანევრირებისა და ელვისებური მოძრაობის შესაძლებლობა იყო, მას მეტოქე არ ჰყავდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცივილიზებულ სახელწიფოთა მძიმედ შეიარაღებული მეომრები მათთან მიახლოებასა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმას ვერ ახერხებდნენ. ასეთ შემთხვევაში სელჩუკები, როგორც წესი, ყოველთვის იმარჯვებდნენ.

ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა სელჩუკთა არმიის ამ უზარმაზარი ტაქტიკური უპირატესობის განეიტრალების საკითხი. **სანამ ბრძოლები ძირითადად საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში მიმდინარეობდა, დავითი სელჩუკთა უპირატესობას, რელიეფს მორგებული ტაქტიკით — მთებიდან მოულოდნელი თავდას-**



ყივჩაღები

## იცით თუ არა, რომ:

ტაბუს დადების წესი უძველესი დროიდან მოდის. პოლინეზიაში გლოვის დღეებში იკრძალებოდა საჭმლის კეთება, სახლიდან გასვლა, ცეცხლის დანთება და ხმაური, რათა მიცვალებულის სული არ შეეწუხებინათ.




ტერმინი „რქიანი ქმარი“ დაკავშირებულია ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე კომნენოსთან, რომელიც საყვარელებს თავისი დიდებულების ცოლებიდან ირჩევდა. ქმარი კი საკომპენსაციოდ იმპერატორისაგან უზარმაზარ სამონადირეო სავარგულებს იღებდა, რომლის შესასვლელზეც ირმის რქებს ჰკიდებდნენ, როგორც სავარგულის პირად საკუთრებაში გადასვლის ნიშანს.



იტალიელმა მათემატიკოსმა ჯიროლამო კარდანომ სიცოცხლე თვითმკვლელობით იმის გამო დაასრულა, რომ გაემართლებინა მის მიერვე შედგენილი ჰოროსკოპი.



**რა ბედი ეწიათ ვოლგასა და დნეპრს შორის მომთაბარე ყივჩაღებს? ისინი XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მონღოლი ბათო ყაენის მახვილს ემსხვერპლნენ. გადარჩენილთა გარკვეული ნაწილი უნგრელებს შეერია, უმრავლესობა „ოქროს ურდოში" წაასხეს, სადაც მათი ასიმილაცია მოხდა მონღოლებთან, თუმცა ყივჩაღთა მცირე ჯგუფი დარჩა ჩრდილოეთ კასპიისპირეთში, სადაც დღემდე არსებობენ მათი პირდაპირი შთამომავლები — ყალმუხები, რომელთა წარმომადგენელიც არის მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხმებისა და ჩასაფრების გამოყენებით, ქვეითი შუბოსნების, მშვილდოსნებისა და სხვა შენაერთების დროული მანევრებით ანეიტრალებდა (რისი საუკეთესო მაგალითია თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლები), მაგრამ გაშლილ სივრცეში ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში საქართველოს ესაჭიროებოდა ზუსტად ისეთი ეფექტიანი მსუბუქი კავალერია, როგორიც სელჩუკებს ჰყავდათ. მომთაბარე ყივჩაღები სწორედ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად ჩამოიყვანეს საქართველოში.**

არც ის იყო შემთხვევითი, რომ დავითმა ყივჩაღები გადმოასახლა 1118 წელს, როდესაც მას უკვე აღებული ჰქონდა რუსთავი, ლორე და გიში, რის შემდეგაც მისი სამხედრო ამოცანები გაშლილ სივრცეებზე გადიოდა. დავითის სამხედრო გათვლები შესანიშნავად გამოჩნდა შირვანის ომში. როდესაც თავისი არმიის უპირატესობაში დარწმუნებულმა **სულთანმა მაჰმუდმა** (1117—1131) შეუთვალა დავითს, რომ „ის ტყეთა მეფე იყო და ვერასოდეს გაბედავდა ველზე გასვლას". მაგრამ, როდესაც დაინახა შირვანში მის წინააღმდეგ ჩასული აღმაშენებლის არმია, თავისი ტაქტიკური შესაძლებლობებით, სელჩუკ სულთანს გამომწვევი ტონი უმალ გაუქრა, სამშვიდობო განწყობაზე დადგა და ყველაფერი დათმო, რის მიღებაც საქართველოს მეფეს სურდა.

ასეა თუ ისე, **1118 წელს დაიწყო საქართველოში 200 ათასი ყივჩაღის გადმოსახლების პროცესი. თუმცა ამ პროცესს წინ უძღოდა დავით აღმაშენებლის დაქორწინება ყივჩაღთა მთავრის — ათრაქა შარაღანის ძის ასულ გურანდუხტზე და მისი პირველი ცოლის — მარიამ დედოფლის იერუსალიმში მონაზვნად აღკვეცა. ეს გაკეთდა ყივჩაღთა ნდობისა და ერთგულების მოპოვების მიზნით.**

ნიშანდობლივია, რომ დავითმა ყივჩაღები საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად კი არ ჩაასახლა, არამედ გაფანტა საზღვრის მთელ გაყოლებაზე. ყივჩაღების ქართულ მიწა-წყალზე დასახლების აუცილებლობა ნამდვილად არ იყო, მათ აქ არც არაფერი ესაქმებოდათ. ელემენტარულია: **თუკი ყივჩაღების გარეშეც ქართული მიწა-წყალი თურქ-სელჩუკებისგან გათავისუფლებული იყო და მეფეს შიგა თუ გარე მტერი დამარცხებული ჰყავდა, მაშინ რა ფუნქცია უნდა შეესრულებინა ყივჩაღებს კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიაზე?** — არანაირი! მით უმეტეს, ისინი ვერც კი ასხვავებდნენ ერთმანეთისგან ქართველსა და არაქართველს, ქართველებსაც ატყვევებდნენ, რომელთაც შემდეგ მეფე ათავისუფლებდა და უკან აბრუნებდა. ყივჩაღებმა არა ერთხელ და ორჯერ მოუწყვეს აჯანყება აღმაშენებელს, მრავალჯერ სასიკვდილოდ გაიმეტეს, მით უფრო, არ ინდობდნენ რიგით ქართველებსაც. ბუნებრივია, ქვეყნის შიგა ტერიტორიებზე მათი ჩასახლება, სადაც წერიგი სუფევდა, დიდი სიულელე იქნებოდა.

თანაც, **ყივჩაღები მომთაბარეები, უკიდეგანო სტეპებში გაზრდილები იყვნენ და საქართველოს მთიანი რელიეფი საცხოვრებლად არ გამოდგებოდა. საქართველოს ბარი კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ჰქონდა დაკავებული და დავითი ვერც აქ დაასახლებდა ყივჩაღებს, რადგან მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო და ერთი ხელის დაკვრით მიწათმოქმედები ვერ გახდებოდნენ.** ამიტომ მათ გარდა, ვინც მეფემ ციხესიმაგრეებში ჩააყენა, დანარჩენებისთვისაც უნდა გამოეძებნა საძოვრები. იმხანად მართლაც კარგ საზამთრო საძოვრებს წარმოადგენდა ადგილი იორისა და მტკვრის შესართავიდან ბარდავამდე. ჩანს, მეფემ ყივჩაღებს აქ მისცა საზამთრო საძოვრები (მოგვიანებით ყივჩაღებმა გადაინაცვლეს ახალშემოერთებულ შირვანში, სადაც კიდევ უფრო უკეთესი საძოვრები იყო). ზაფხულობით კი ისინი სომხეთში, არარატის ველებზე გადადიოდნენ. **„მოვიდა ქართლად და ყივჩაღთა თვისთა უჩინა საზამთროდ სადგური და საზრდელი და კაცნი ზედამდგომნი მათნი. და განაგო ყოველი საქმე ქართლისა, სომხითისა და ანისისა".**


დავით IV

**აღმაშენებელს ყივჩაღები საზღვრების დასაცავად და უცხოეთში სალაშქროდ სჭირდებოდა, ამიტომაც განასახლა ისინი სომხეთსა და აზერბაიჯანში. აქ მათ უნდა მიეღოთ სელჩუკთა მარბიელი ურდოების პირველი დატყმები და დაეცვათ ქვეყნის საზღვარი. გარდა ამისა, ყივჩაღების დახმარებით დავით მეფე მეზობელ ქვეყნებს არბევდა ან იერთებდა. როგორც ერთი არაბი ისტორიკოსის ნაწერიდან ჩანს, დავით აღმაშენებლის გაწვრთნილი „ყივჩაღთა ლაშქრის ნავარდობა მეზობლებს შიშის ზარსა სცემდა".**

ამიტომ **იმის თქმა, რომ ქართველების ძარღვებში ყივჩაღთა სისხლი ჩქეფს, ნამდვილად გადაჭარბებულია. სხვათა შორის, ყივჩაღთა ასიმილაცია ვერც სომხებსა და შირვანელებში მოხერხდა, რადგან მათი ჩამოსახლებიდან ძალიან მალე გარდაიცვალა დავით აღმაშენებელი, მის მემკვიდრეს — დემეტრე პირველს კი მათთან ურთიერთობა დაეძაბა.** რუსული წყაროების მიხედვით, **დემეტრეს** მეფობის დასაწყისში ყივჩაღებმა, **ათრაქა შარაღანის ძის** მეთაურობით, მასობრივად დატოვეს საქართველო და დარუბანდის გზით უკან გაბრუნდნენ. საქართველოში დარჩა ჩამოსახლებულ ყივჩაღთა უმნიშვნელო ნაწილი, ძირითადად, ისინი, რომელთა გაქრისტიანებაც მოესწრო ამ 10-15 წელიწადში.

**ყივჩაღების წასვლა გარდაუვალი იყო, რადგან მათმა მომთაბარე ბუნებამ ვერ იგუა ქართული ცხოვრების წესი. ისინი, მართალია, სამხედრო სამსახურში ჩადგნენ, მაგრამ ისე იყო მათ სისხლსა და ხორცში გამჯდარი მოპარვა, წართმევა, ყაჩაღობა, რომ გაუჭირდათ სამხედრო დისციპლინის დაცვა. სანამ საქართველოს ისეთი ძლიერი მეფე მართავდა, როგორიც დავითი იყო, ყივჩაღები ავად თუ კარგად მაინც „კონტროლდებოდნენ",** დემეტრე პირველის მმართველობის ხანაში კი ისინი სამშობლოში გაეპარნენ საქართველოს მეფეს. სხვათა შორის, დემეტრეს მათთვის არ დაუხევია კალთები დასარჩენად. ჯერ ერთი, ეს უცხო ეთნოსი ვერ მიიღო ქართულმა სხეულმა და ვერ შეითვისა, რის გამოც ისინი საშიშ ძალად დარჩნენ. მათი უდისციპლინობა სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მეფეს. ამას გარდა, იყო კიდევ ერთი დეტალიც: სანამ დავითი დაპყრობით ომებს აწარმოებდა, ყივჩაღები შეუცვლელი გახლდნენ. დემეტრე პირველის პერიოდში კი დაპყრობით ომებზე ხელი აიღეს და მეფე არსებულის შენარჩუნებაზე გადაერთო. ასეთ დროს ისეთი აგრესიული ძალის ყოლა, როგორებიც ყივჩაღები იყვნენ, საჭირო აღარ იყო.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დემეტრეს ჰყავდა ნეხევარძმა **ცვატა,** რომელიც დავით აღმაშენებელს ყივჩაღთა ბელადის — ათრაქა შარაღანის ძის ასულისგან, გურანდუხტისგან შეეძინა. დემეტრეს შეეშინდა, გურანდუხტს არ გამოეყენებინა ყივჩაღთა დიდი ძალა მცირეწლოვანი ცვატას, იმავე ვახტანგის, გასამეფებლად, ამიტომაც შეუწყო ხელი ყივჩაღებს, დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია, ხოლო გურანდუხტი იერუსალიმში წავიდა, ღვთის საყდარს, ანუ ეკლესიას Fშეაფარა თავი და სიკვდილამდე იქ დარჩა. გურანდუხტის მონაზვნად აღკვეცა, რა თქმა უნდა, იძულებით ხასიათს ატარებდა.

ამის შემდეგ ყივჩაღები მხოლოდ ერთხელ გვახსენებენ თავს, 1177 წელს, როდესაც მეფე **გიორგი მესამეს** განუდგა ძმისწული **დემნა ბატონიშვილი** და მისი სიმამრი საქართველოს ამირსპასალარი **ივანე ორბელი.** ამ კრიტიკულ მომენტში ხელმწიფის დასაცავად, 500 ერთგულ ყმასთან ერთად, გაჩნდა ნაყივჩაღარი **ყობასარი** (ბუნებრივია, ამ 500 ყმაში ყივჩაღებიც ჰყავდა, თვითონაც წარმოშობით ყივჩაღს). ეს ერთგულება დაუფასდა ყობასარს, რომელიც 1177—1184 წლებში საქართველოს ამირსპასალარიც გახლდათ. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ყივჩაღებს საქართველოს სამეფო კარზე სერიოზული გავლენა არ ჰქონიათ. თუ არ ჩავთვლით იმასაც, რომ არ გამორიცხავენ თამარის მეჭურჭლეთუხუცესის — **ყუთლუ-არსლანის** ყივჩაღობას, თუმცა ეს ძალზე სადავო ვერსიაა და სინამდვილისგან შორს დგას.

რა ბედი ეწიათ ვოლგასა და დნეპრს შორის მომთაბარე ყივჩაღებს? ისინი XIII საუკუნის 30-40-იან წლებში მონღოლი **ბათო ყაენის** მახვილს ემსხვერპლნენ. გადარჩენილთა გარკვეული ნაწილი უნგრელებს შეერია, უმრავლესობა „ოქროს ურდოში" წაასხეს, სადაც მათი ასიმილაცია მოხდა მონღოლებთან, თუმცა, ყივჩაღთა მცირე ჯგუფი დარჩა ჩრდილოეთ კასპიისპირეთში, სადაც დღემდე არსებობენ მათი პირდაპირი შთამომავლები — ყალმუხები, რომელთა წარმომადგენელიც არის მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი.**

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**

**როგორც სხვა თურქები, ყივჩაღებიც ცხოვრობდნენ ველად, მომთაბარეობდნენ სტეპებში და თავს ამით ირჩენდნენ. იყვნენ სრულიად უწიგნურნი, ჭუჭყიანები და ველურნი. ყივჩაღებს სწამდათ, რომ უძველესი დროიდან მოიპოვეს მარადიული ბედნიერება, რომელიც ჩვილს დედის რძესთან ერთად აქვს შეთვისებული. მიაჩნდათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ებანავათ, თორემ ამით ბედნიერებას ჩამოირეცხდნენ. ჭამდნენ ყველაფერს, თანაც უმს, და ხშირად გაუტყავებლადაც კი. მათი რელიგია იყო წარმართული, ეთაყვანებოდნენ მზესა და მთვარეს**

## იცით თუ არა, რომ:

ბაზალეთის ბრძოლაში გამარჯვებულმა **მეფე თეიმურაზმა** გიორგი სააკაძის მხარეს მებრძოლ იმერელ ტყვეებს თითო ყურის მოჭრა მიუსაჯა, მხოლოდ ხოსია მაჭავარიანს გადაუწყვიტა ორივე ყურის მოჭრა, რაზეც გამწარებულმა მაჭავარიანმა შეჰყვირა: არ მეგონა, თუ ასეთი გულბილწი იყავიო.





მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი ბანკი „ინგლისის ბანკი" დააარსა მეკობრე უილიამ პატერსონმა, რომელიც ბაჰამის კუნძულებზე ყაჩაღობდა და ამ გზით დიდძალი ქონება დააგროვა. 1694 წელს პატერსონმა ძარცვა-გლეჯას თავი დაანება და... ბანკი დააარსა.





## უინსტონ ჩერჩილი

**(1874-1965), დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი**

პოლიტიკა თითქმის ისეთივე ამაღელვებელი და სახიფათოა, როგორც ომი. მათ შორის ერთადერთი განსხვავება არის ის, რომ ომში მხოლოდ ერთხელ შეიძლება მოგკლან, ხოლო პოლიტიკაში — მრავალგზის.

* * *

**არ ისურვოთ ჯანმრთელობა და სიმდიდრე, ისურვეთ იღბალი. „ტიტანიკზე" ხომ ყველაზე მდიდრები და ჯანმრთელები იყვნენ, მაგრამ იღბლიანი რამდენიმე აღმოჩნდა.**

* * *

როცა არწივნი დუმან, თუთიყუშები იწყებენ ყბედობას.

* * *

**პესიმისტი ყოველ შესაძლებლობაში სიძნელეებს ხედავს, ოპტიმისტი კი — ყოველ სიძნელეში შესაძლებლობებს.**

* * *

ადამიანებს შესანიშნავად შეუძლიათ შენახვა საიდუმლოების, რომელიც არ იციან.

* * *

**დემოკრატია საშინელი ფორმაა მმართველობის, მაგრამ უკეთესი არ არსებობს.**

* * *

თქვენ გქონდათ არჩევანი ომსა და სირცხვილს შორის. თქვენ აირჩიეთ სირცხვილი და ამიტომ მიიღებთ ომს.

* * *

**ძალაუფლება ნარკოტიკია. ვინც ერთხელ მაინც გასინჯა, ყველა მოიწამლა სამუდამოდ.**

* * *

ორატორმა უნდა ამოწუროს თემა და არა მსმენელთა მოთმინება.

* * *

**დიპლომატი ადამიანია, რომელიც ორჯერ დაფიქრდება, სანამ არაფერს იტყვის.**

* * *

მტრები გყავს? — კარგია. ესე იგი, ცხოვრებაში რაღაც სიკეთე მაინც გაგიკეთებია.

***

**სკოლის მასწავლებელი ისეთ ძალაუფლებას ფლობს, რომელზეც პრემიერმინისტრები მხოლოდ ოცნებობენ.**

* * *

ვერასდროს მიაღწევთ დანიშნულების ადგილს, თუ გზაში ყველა მყეფარე ძაღლს ქვებს დაუშენთ.

* * *

**ყველაზე დამაბრმავებელ სინათლესაც კი აქვს ჩრდილი.**

* * *

ერი, რომელიც ივიწყებს წარსულს, კარგავს მომავალს.

* * *

**ჩვენ ვცხოვრობთ დიდი მოვლენებისა და პატარა ადამიანების ეპოქაში.**

* * *

ბრბოს სჭირდება დიქტატორი, ხალხს — პრეზიდენტი, ერს — მეფე.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შვეიცარიაში ახალგაზრდა სოციალისტებთან ჩატარებული ლექციისას ლენინის განცხადება, რომ მოხუცებულობის გამო ვერ მოესწრებოდა სოციალიზმის გამარჯვებას, ხოლო ისინი (სტუდენტები) მოესწრებიან და დაინახავენ, იყო პოლიტიკური მოუმწიფებლობა და წინდაუხედაობა, რადგან არ გასულა 10 თვე და, არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ ლენინიც კი მოესწრო სოციალიზმის გამარჯვებას. რეალობას მოწყვეტილი აღმოჩნდა მარქსის მეცნიერული განსაზღვრებაც, რომ რევოლუცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ განვითარებულ ქვეყანაში, საიდანაც ის გავრცელდება დედამიწაზე.**

დასასრული. დასაწყისი იხ. №41-42 (370-371)

# სტალინი — რევოლუციის, რუსეთისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი

**ერთხელ სტალინს უთხრეს, გენერალისიმუსი ჩან კაიში თავის მასწავლებლად გაღიარებთო. სტალინმა ღიმილით უპასუხა, — მეც გამიჩნდა მოსწავლეო! ერთ-ერთ ჟურნალისტს კი, როცა მან პეტრე დიდსა და სტალინს შორის პარალელების გავლება შესთავაზა, სტალინმა თავი წარუდგინა, როგორც ლენინის მოწაფე.**



## ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს — ეს არის არა მარქსიზმი, ლენინიზმი ან ბიძინიზმი და არა ამერიკა ან რუსეთი, არამედ სტალინიზმის იდეალების დამკვიდრება

სტალინი — ლენინის მოწაფე, ერთობ სასაცილოა. სტალინი არასოდეს ყოფილა არც ლენინის და არც არავის მოწაფე, რაც ადვილად დასტურდება სხვადასხვა საარქივო თუ მემუარული ლიტერატურით. მაშ, რატომ დასჭირდა სტალინს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეტარებინა ლენინის მოწაფის სახელი?!

**„მოწაფე“ სტალინს არ სჭირდებოდა „მასწავლებლის“ ნაწერებში ქექვა. მას უკვე მოფიქრებული ჰქონდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალური სისტემის მშენებლობის გეგმა, რომელსაც ლენინის ნააზრევთან თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო. სტალინი სრულიად დამოუკიდებლად, არაორდინარულად ფიქრობდა და მოქმედებდა. ის, რასაც სტალინი ლენინიზმს უწოდებდა, სინამდვილეში წარმოადგენდა სტალინიზმს — სრულიად ახალ მოძღვრებას. მსგავსება ლენინიზმთან მხოლოდ გარეგნული, მოჩვენებითი იყო“** (ვ. გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“, გვ.41).

**ფრიდრიხ ენგელსის** ფილოსოფიური ნაშრომი რუსეთის ცარიზმსა და პირველი მსოფლიო ომის შედეგებზე სტალინმა მკაცრად გააკრიტიკა, ხოლო ენგელსი, როგორც მარქსიზმის კლასიკოსი, მიწასთან გაასწორა. სტალინის მიერ გამოთქმულ შეფასებას პოლიტბიუროს ყველა წევრმა დაუჭირა მხარი და ენგელსის ნაშრომის გამოქვეყნება ჟურნალ „ბოლშევიკში“ 1934 წელს, პირველი მსოფლიო ომის 20 წლის თავზე, უარყოფილი იქნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ენგელსი არასრულფასოვნად იცნობდა რუსეთის ისტორიასა და გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, უნდა ვივარაუდოთ, რომ არც რევოლუციური ორთაბრძოლის მისი ზოგიერთი დებულება იქნებოდა სტალინისთვის მისაღები.

**ახლახან გამოქვეყნებული საარქივო მასალების მიხედვით გაკეთებული დასკვნებით, მარქსი არ იყო არც მსოფლიო რევოლუციის არქიტექტორი, რაც ისტორიამ დაამტკიცა, და არც პროლეტარიატის დიდი ბელადი, რადგან მან ვერ განმარტა ცნება „პროლეტარიატი“ და მისი ადგილი მსოფლიო რევოლუციაში.**

მწერალი და მკვლევარი **იური მუხინი** ახლახან გამოცემულ წიგნში „რატომ არის ხალხი სტალინის მხარეს“ განმარტავს: **„მარქსიზმი, ფორმალურად გვევლინება მეცნიერებად ადამიანთა საზოგადოებაზე ზუსტად ისევე, როგორც ზოოლოგია — ცხოველთა სამყაროს საზოგადოებაზე, ხოლო ბოტანიკა — მცენარეული სამყაროს საზოგადოებაზე, მაგრამ მკვეთრი განსხვავება არის ის, რომ მარქსი საკუთრივ ადამიანით არ ინტერესდება. მარქსისთვის ადამიანი არის რაღაც, რომელიც დამოკიდებულია ისეთ რამეზე, რომელიც თვითონ ადამიანზე არ არის დამოკიდებული“.**

როდესაც ვამბობთ, რომ რევოლუციის არქიტექტორი სტალინი იყო, ეს მარტივი მაგალითებითაც მტკიცდება:

„ბოლშევიკური პარტიის დიდი გამარჯვება 1917 წლის 25 ოქტომბერს სულაც არ იყო განპირობებული მარქსიზმის ყოვლისშემძლეობით. იგი არც ლენინიზმის ტრიუმფს ნიშნავდა. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამდე რუსეთი ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერებამ მიიყვანა. პოლიტიკურ პარტიებს რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში გადამწყვეტი როლი არ უთამაშიათ. პოლიტიკური პარტიებისთვის ფართო სამოღვაწეო ასპარეზი შექმნა თებერვალ-მარტის რევოლუციამ. ხელისუფლებისთვის მებრძოლ პოლიტიკურ ძალებს შორის ყველაზე ორგანიზებული აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტია, რომლის სტრატეგია და ტაქტიკა ეფუძნებოდა არა მარქსიზმს, არა ლენინიზმს, არამედ სოციალისტური მოძღვრების ახალ მიმდინარეობას — სტალინიზმს (ვ. გურული, „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“, გვ.34).

ბოლშევიკების ლიდერი **ვლადიმერ ლენინი** არც **პეტრე დიდის** როლში გამოდგა და არც **ემელიანე პუგაჩოვის.**

ეს სისტემა თავიდან ბოლომდე იოსებ ჯუღაშვილის მიერ იყო აშენებული, მას არაფერი აქვს საერთო კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსისა და ვლადიმერ ლენინის იდეებთან. ის მთელი თავისი სიდიადითა თუ ნაკლით მხოლოდ სტალინის კუთვნილებაა“ (ვ. გურული, „მეფე-მამა“).

აქ შეიძლება კიდევ მოვიყვანოთ მეცნიერისა და მწერლის — იური მუხინის შეფასება მარქსიზმის მოძღვრებისა, როგორც მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის (რომელზეც ზემოთ ვწერდი):

„ბოტანიკოსისთვის აუცილებელია, შეისწავლოს იმ ნიადაგის ფიზიკო-ქიმიური შემადგენლობა და განსაზღვროს კლიმატური პირობები, თუ რომელი მცენარე შეესაბამება იმ გარემოს, რომელშიც ფიქრობს ამა თუ იმ მცენარის დარგვას, მის განვითარებას და ნაყოფის მიღებას. ამ წინაპირობების გაუთვალისწინებლად სრულიად ფუჭი იქნება მისი მცდელობა ამა თუ იმ მცენარის განვითარება-გაზრდის თვალსაზრისით. ასეთივე პრობლემის წინაშე დგას ზოოლოგიც, რომელსაც სურს, გადააადგილოს ესა თუ ის ცხოველი ერთი ადგილიდან მეორეზე. მას ამისთვის გარემო პირობების შესწავლა და კლიმატის განსაზღვრა სჭირდება. **მარქსისთვის** კი ამ რთული გადაადგილებებისა და მისი ნიადაგობრივი თუ კლიმატური პირობების განსაზღვრა სრულიადაც არ წარმოდგენს პრობლემას, რადგან მისთვის ადამიანი ნაკლებად ღირებულია და მისი თეორიაც არა ადამიანზე, არამედ საზოგადოებაზეა გათვლილი.

მარქსის მოძღვრების ძირითადი მიმართულებაა ის, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდება იმ ქვეყანასა და პირობებში იქნება შესაძლებელი, რომელშიც განვითარებულია მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ამას სრულიად გაიაზრებს საზოგადოება, სწორედ მაშინ მოხდება რევოლუცია, რომელიც მსოფლიო რევოლუციაში გადაიზრდება“.

1917 წლის დასაწყისში შვეიცარიაში ახალგაზრდა სოციალისტების შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა **ლენინმა** ასე მიმართა მსმენელებს: „მე მოხუცი ვარ (იმხანად ლენინი 47 წლისა იყო) და ვერ ვიცოცხლებ სოციალიზმის გამარჯვებამდე, მაგრამ თქვენ, ახალგაზრდები, ამას მოესწრებით და დაინახავთ“. 10 თვის შემდეგ სოციალიზმმა გაიმარჯვა და ამას მოესწრნენ არა მხოლოდ ის ახალგაზრდები, რომლებსაც ლენინმა ლექცია წაუკითხა, არამედ თვით ლენინიც.

**ლენინის ეს განცხადება იყო პოლიტიკური მოუმწიფებლობა და წინდაუხედაობა, რადგან არ გასულა 10 თვე და, არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ ლენინიც კი მოესწრო სოციალიზმის გამარჯვებას. რეალობას მოწყვეტილი აღმოჩნდა მარქსის მეცნიერული განსაზღვრებაც, რომ რევოლუცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ განვითარებულ ქვეყანაში, საიდანაც ის გავრცელდება დედამიწაზე.**

სწორედ ამაზე მიუთითებს პროფესორი **ვახტანგ გურული**, როდესაც ამბობს: „სტალინი რეალურს იდეალურზე არასოდეს გაცვლიდა“.

ასე რომ, მარქსის თეორია რუსეთისა და ჩინეთის რევოლუციის მაგალითებმა ფარატინა ქაღალდად აქცია.

**მარქსის მეორე განსაზღვრება „კომუნიზმში ყველამ შესაძლებლობის მიხედვით მისცეს სახელმწიფოს და ყველამ მოთხოვნილების შესაბამისად მიიღოს სახელმწიფოსაგან“ კი ის აბსურდია, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო, რადგან ადამიანის მორალი არ მიდის იქამდე, რომ მან სახელმწიფოს მისცეს იმდენი, რამდენიც მის მოთხოვნას შეესაბამება.**

მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი საზოგადოების განვითარებისა და მისი უზრუნველყოფის მოძღვრება არც ერთი კუთხით არ მიუდგა რუსი ხალხის ტრადიციებსა და თვითმყოფადობას. ეს თეორია უფრო ჰგავდა უწყლო წისქვილის აშენების პროექტს, რომელსაც არანაირი ენერგია არ მიეწოდებოდა რუსული ხასიათიდან გამომდინარე.

სტალინმა კი ზედმიწევნით იცოდა რუსი ხალხის ბუნება, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა, მაგრამ მსოფლიოს მმართველები ფარული ხელით ყველა ხერხს მიმართავდნენ, გზიდან ჩამოეშორებინათ სტალინი, რომელიც რუს ხალხს სწორი გზით მიუძღვებოდა. ამ რუსი ხალხის მტრებს სამოქალაქო ომში სტალინის გაწირვის პროექტი ჩაუვარდათ, მაგრამ შემდეგ ხელი მოჰკიდეს უფრო რთულ, მაგრამ საიმედო ამოცანას — ეს იყო „რუსული შოვინიზმი“.

მსგავსად ცნობილი გამოთქმისა „კართაგენი უნდა დაინგრეს“, **ტროცკი** და უცხოეთიდან დაფინანსებული მისი ბანდა განუწყვეტლივ უჩიჩინებდნენ რუს ხალხს, რომ მას მართავს დაბალი განათლების არარუსი, პარანოიკი სტალინი და რომ ხელისუფლებაში სტალინის ყოფნა რუსი ხალხის დისკრედიტაციაა. ამას ამტკიცებდა კაცი, რომელიც რუს ხალხზე ამბობდა: **„რუსებს გადავაქცევთ თეთრ ზანგებად და დავატრიალებთ ისეთ ტრაგედიას, რომლის მსგავსიც აღმოსავლეთის დიქტატორებსაც კი არ დაესიზმრებოდათ... რუს ხალხს გამოვიყენებთ ფიჩხად, რომელსაც დავაყრით მსოფლიო რევოლუციის აგიზგიზებულ კოცონზე“.**

სტალინის შებრძოლება ტროცკის ბანდასა და მათ მიერ გადაბირებულ ლენინთან აშკარად ცეცხლთან თამაში იყო, მაგრამ განგებისგან მოვლენილი და მის მიერ ძალამოკრებილი რაინდი ერთი წუთითაც არ იხევდა უკ- ▶

**მსგავსად ცნობილი გამოთქმისა «კართაგენი უნდა დაინგრეს», ტროცკი და უცხოეთიდან დაფინანსებული მისი ბანდა განუწყვეტლივ უჩიჩინებდნენ რუს ხალხს, რომ მას მართავს დაბალი განათლების არარუსი, პარანოიკი სტალინი და რომ ხელისუფლებაში სტალინის ყოფნა რუსი ხალხის დისკრედიტაციაა. ამას ამტკიცებდა კაცი, რომელიც რუს ხალხზე ამბობდა: «რუსებს გადავაქცევთ თეთრ ზანგებად და დავატრიალებთ ისეთ ტრაგედიას, რომლის მსგავსიც აღმოსავლეთის დიქტატორებსაც კი არ დაესიზმრებოდათ... რუს ხალხს გამოვიყენებთ ფიჩხად, რომელსაც დავყრით მსოფლიო რევოლუციის აგიზგიზებულ კოცონზე»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი საზოგადოების განვითარების და მისი უზრუნველყოფის მოძღვრება არც ერთი კუთხით არ მიუდგა რუსი ხალხის ტრადიციებსა და თვითმყოფადობას. ეს თეორია უფრო ჰგავდა უწყლო წისქვილის აშენების პროექტს, რომელსაც არანაირი ენერგია არ მიეწოდებოდა რუსული ხასიათიდან გამომდინარე.

◀ ან. დასახული მიზნის მისაღწევად მან ჯერ მარქსის, ხოლო შემდეგ ლენინის მანტია მოისხა. მარქსის მანტია სტალინს სინდიოფალის პოზიციაში აყენებდა და დიდხანს ვერ იგუა, შემდეგ კი, როცა აუცილებელი შეიქნა, სისხლსა და სირცხვილში ამოსვრილი ლენინის მანტია მოისხა და ლენინის დროშა აღმართა.

**ლენინის კუბოსთან სტალინის მიერ დადგმული მიზანსცენა არაფრით ჩამოუვარდება შექსპირის ტრაგედიის (რომელიც გინდათ) კულმინაციურ მიზანსცენას, ხოლო სტალინის მიერ მთავარი გმირის როლის შესრულების დონე გაცილებით აღემატება მსოფლიოში სახელგანთქმული ნებისმიერი მსახიობის მიერ ტრაგიკული როლის შესრულებას.**

**სტალინმა სრულიად ბუნებრივად და დამაჯერებლად გამოსტაცა რუსეთის რევოლუციის დამფინანსებელ ფარულ ხელს არა მხოლოდ რუსეთის მართვის სადავეები, არამედ რუსეთი და რუსი ხალხი, რომელიც აშკარა კატასტროფის წინაშე დადგებოდა იმ მასონური პროგრამის განხორციელების შედეგად, რომელიც რუსეთს თავს დაატყდებოდა ტროცკისა და მისი ბოროტმოქმედი ანტიქრისტიანული იდეებით გაჟღენთილ ბოროტმოქმედი ბრბოების ხელში.**

სტალინმა დიდხანს ატარა ლენინის სისხლიანი სამეფო მანტია და სწორედ ამ მანტიითა და ქართული უძირო აზიური „ჩექმებით“ ზედ ლენინის გულზე დამდგარი 30 წლის განმავლობაში სიყვარულით ხელს უქნევდა და უღიმოდა თავისუფალ რუს ხალხს, ხოლო მეორე ხელის თითს დასავლეთს უქნევდა, რათა ღორული დინგი კვლავ არ შემოეყო საბჭოთა ბოსტანში.

სტალინი დაუფარავად ამბობდა, რომ იმპერიალისტების მიერ გაჩაღებულმა პირველმა მსოფლიო ომმა მოიტანა 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია და დედამიწის ერთი მეექვსედი გათავისუფლდა ტირანიისგან. მეორე მსოფლიო ომმა ფაშიზმისგან იხსნა კაცობრიობა, ხოლო დასავლეთმა ერთმნიშვნელოვნად დაკარგა ევროპის უდიდესი ნაწილი.

სტალინი აფრთხილებდა მსოფლიოს: თუ კაპიტალისტები გააჩაღებენ მესამე მსოფლიო ომს, ეს იქნება ბოლო ომი, რომლითაც საბოლოოდ დასამარდება იმპერიალიზმი, როგორც ასეთი, და დედამიწაზე გაიმარჯვებს სოციალიზმი.

უნდა განვმარტო, რატომ არის კაცობრიობის აბსოლიტური ნება ან იდეოლოგია სტალინიზმი. **ის უდიდესი მასშტაბის, მსოფლიოს მომცველი მოძღვრებაა. სწორედ სტალინიზმია პატრიოტულ-სოციალური იდეოლოგია, შესაბამისად — კაცობრიობის მორალურ-პატრიოტული იდეალი. გაივლის დრო და სტალინიზმი თავისი უკვდავი ღირებულებებით — ადამიანზე ზრუნვითა და მისი სოციალური დაცვის ჯერჯერობით მიუღწეველი საკაცობრიო იდეალებით, რელიგიად გამოცხადდება.**




**სტალინიზმი უდიდესი მასშტაბის, მსოფლიოს მომცველი მოძღვრებაა. სწორედ სტალინიზმია პატრიოტულ-სოციალური იდეოლოგია, შესაბამისად — კაცობრიობის მორალურ-პატრიოტული იდეალი. გაივლის დრო და სტალინიზმი თავისი უკვდავი ღირებულებებით — ადამიანზე ზრუნვითა და მისი სოციალური დაცვის ჯერჯერობით მიუღწეველი საკაცობრიო იდეალებით, რელიგიად გამოცხადდება**



თანამედროვე პირობებში სოციალიზმის რღვევა და ადამიანის სულში ჩაფურთხება ათასი უზნეობისა და უსამართლობის პროპაგანდით მოხდა. სოციალისტური იდეალების პატივისცემის, ეროვნული თვითშეგნებისა და, საერთოდ, პატრიოტიზმის განელების მიზნით შექმნეს ე.წ. დემოკრატიული და ეროვნული პარტიები და მიუსიეს ისინი თავგზააბნეულ ქართველ ერს. ამის ნათელი მაგალითია **სააკაშვილის, უსუფაშვილის, ბერძენიშვილებისა** და მათი მსგავსი პირების მიერ შექმნილი ნაციონალურ ქურქში გახვეული პროამერიკული პარტიები. უსუფაშვილ-ხიდაშელის ოჯახი კი არის მაგალითი იმისა, როგორ არ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო და როგორ უნდა იზრდებოდეს თანამედროვე საქართველოში მოზარდი, რომლის დევიზია: „არა — სამშობლოს, არა — პატრიოტიზმს!“.

ვინ იხსნის საქართველოს, ბიძინა ივანიშვილი? — არა. ერთი კაცი, რამდენი ფულიც უნდა ჰქონდეს, სახელმწიფოს ვერ გამოკვებავს. რუსეთი? — რუსეთს თავისი თავი ვერ გამოუკვებავს. ამერიკა? — ამერიკა ხომ ქაღალდის პირამიდაზეა ჩამოკიდებული. ამერიკის შეერთებული შტატები უფრო ადრე დაემხობა, ვიდრე ზოგს ჰგონია.

მაშ, ვინ უნდა იხსნას ჩვენი ქვეყანა? **თქმა იმისა, რომ საქართველო ამაზე ცუდ დღეშიც ყოფილა, მაგრამ გადარჩენილა , ის საკენკია, რომლითაც მხოლოდ შინაური ფრინველები კმაყოფილდებიან.**

ჯერჯერობით საქართველოს ხსნის არავითარი პერსპექტივა არ ჩანს. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა არ არის ერთჯერადი პროცესი. მასში ქირურგიული ჩარევა შედეგს ვერ გამოიღებს — ვერც „გლანდებს“ ამოჭრი და ვერც — ბრმა ნაწლავს. ქვეყნის განვითარებასა და გადარჩენას იდეოლოგია სჭირდება.

**ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა არსებობს — ეს არის არა მარქსიზმი, ლენინიზმი ან ბიძინიზმი და არა ამერიკა ან რუსეთი, არამედ სტალინიზმის იდეალების დამკვიდრება.**

ვიცი, ბევრი გაიცინებს, როდესაც ამას წაიკითხავს; ვიცი, ჩემი ეს მოწოდება რომ დღეს ღიმილის მომგვრელია და სწორედ ამაზე უნდა გავამახვილო ყურადღება: ქვეყნის გადარჩენას სჭირდება ზნეობრივი გარემო. თანამედროვე პირობებში სტალინიზმის იდეების დასამკვიდრებლად ბრძოლა ქარის წისქილებთან ბრძოლაა, რადგან საზოგადოება დემორალიზებულია და ქვეყნად არ არსებობს ზნეობრივი გარემო. **როდესაც თავდაცვის მინისტრი გვეუბნება, მე შვილს პატრიოტად ვერ გავზრდი, ის თავის ნებაზე უნდა გაიზარდოს და იცხოვროსო, სწორედ ეს არის საზოგადოების ცხოვრება უზნეო გარემოში. როცა თავდაცვის მინისტრისგან ასეთ სიტყვებს მოისმენს საზოგადოება და მისი ათასობით წევრი ქუჩაში არ გამოვა საპროტესტო აქციის გასამართავად, სწორედ ეს არის უზნეობა და ზნეობრივი გარემოს უგულებელყოფა.**

მაგრამ სად არიან დღევანდელ საქართველოში ასეთი ადამიანები?!

ქვეყნის გადარჩენა ზნეობრივი გარემოს შექმნაა, მის შესაქმნელად კი, უწინარესად, საზოგადოების გაკეთილშობილებაა საჭირო. სწორედ ეს არის მომავლის საფუძველთა საფუძველი, რომელსაც სტალინიზმი ჰქვია.




**სტალინმა სრულიად ბუნებრივად და დამაჯერებლად გამოსტაცა რუსეთის რევოლუციის დამფინანსებელ ფარულ ხელს არა მხოლოდ რუსეთის მართვის სადავეები, არამედ რუსეთი და რუსი ხალხი, რომელიც აშკარა კატასტროფის წინაშე დადგებოდა იმ მასონური პროგრამის განხორციელების შედეგად, რომელიც რუსეთს თავს დაატყდებოდა ტროცკისა და მისი ბოროტმოქმედი ანტიქრისტიანული იდეებით გაჟღენთილი ბოროტმოქმედი ბრბოების ხელში**

## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროდასავლელი კანდიდატებისადმი ზურგით შებრუნება მათი, ვინც მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებას მიემხრო, მოწმობს, რომ აღმოსავლეთ ევროპამ გული აიცრუა დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებზე... ბულგარეთი და მოლდოვა ის ქვეყნებია, რომლებსაც შეეხო ევროპაში გავრცელებული ანტიგლობალისტური განწყობილება და ხელი შეუწყო აშშ-ში დონალდ ტრამპის არჩევას.**



«ნიუ იორკ ტაიმსი»:

# ახალი ევროპელი პრეზიდენტები რუსეთისკენ შებრუნდნენ

**„ბრექსიტისა“ და დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდეგ ჩაგვაფიქრა იმან, რომ ბულგარეთმა და მოლდოვამ, რომლებიც უწინ კრემლის უღელქვეშ იყვნენ, პრეზიდენტებად აირჩიეს პრორუსულად განწყობილი კანდიდატები. მიზეზები ძირითადად საშინაო პრობლემებია, მაგრამ ამგვარი შედეგი კიდევ უფრო შეარყევს ევროპულ ერთობას.**

ორივე ქვეყანაში არჩევნებმა კორუფციითა და ცხოვრების დონით ძლიერი გულგატეხილობის ნიშნით ჩაიარა. კომუნისტური მმართველობის შემდეგ ორ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ ცხოვრების დონით ეს ქვეყნები კვლავ ჩამორჩებიან მეზობელ ქვეყნებს.

პროდასავლელი კანდიდატებისადმი ზურგით შებრუნება მათი, ვინც მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესებას მიემხრო, მოწმობს, რომ აღმოსავლეთ ევროპამ გული აიცრუა დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებზე... ბულგარეთი და მოლდოვა ის ქვეყნებია, რომლებსაც შეეხო ევროპაში გავრცელებული ანტიგლობალისტური განწყობილება და ხელი შეუწყო აშშ-ში დონალდ ტრამპის არჩევას.

რუსეთის პრეზიდენტი კმაყოფილი უნდა იყოს ბოლო მოვლენების გამო, რომლებიც დასავლეთის სანქციების გაუქმების იმედს იძლევა, მაგრამ ბულგარეთსა და მოლდოვაში არჩევნების შედეგები მაინცდამაინც პუტინის მმართველობით კმაყოფილების გამოხატულება კი არა, ამ ორი ქვეყნის რუსეთთან გეოგრაფიული და ეკონომიკური კავშირის მაჩვენებელია.

გაურკვეველია, შეძლებენ თუ არა არჩეული პრეზიდენტები უკმაყოფილო ხალხის დაშოშმინებას, განსაკუთრებით შეზღუდული უფლებამოსილების პირობებში. არც იმის რაიმე მინიშნება არსებობს, რომ ბულგარეთისა და მოლდოვის ამომრჩევლებს სურთ რუსეთის ბატონობის ქვეშ დაბრუნება. მაგრამ **„ბრექსიტისთვის“ ხმის მიცემა და ტრამპის გამარჯვება გვიჩვენებს, რომ სახალხო უკმაყოფილებას მოულოდნელი და საბედისწერო შედეგები შეიძლება მოჰყვეს.**

პუტინთან უფრო თბილი დამოკიდებულების იდეის ათვისების უნარი კიდევ ერთი დარტყმაა დასავლეთის დარაზმულობაზე არსებულ კრიტიკულ მომენტში, ამიტომ დასავლეთის ლიდერები, რომელთაც ერთიანობის მნიშვნელობა გააზრებული აქვთ, აუცილებლად უნდა აღუდგნენ წარსულში დაბრუნების ნებისმიერ მცდელობას.




«გლოუბ ენდ მეილი»:

# ტრამპისა და პუტინის სატელეფონო საუბარი ახალი გლობალური ეპოქის სიმბოლოა

**ბოლო ორი წლის განმავლობაში სატელეფონო საუბრები აშშ-ისა და რუსეთის ლიდერებს შორის ასე წარიმართებოდა: ბარაკ ობამა აკრეფდა პუტინის ნომერს და აცნობებდა, რომ მისი (პუტინის) ქმედება მსოფლიოს უფრო საშიშ ადგილად აქცევდა.**

ორი მამაკაცი არცთუ ხშირად ელაპარაკებოდა ერთმანეთს ტელეფონით: ბოლო სატელეფონო საუბარი ივლისში გაიმართა. თეთრი სახლის ცნობით, თითქმის ყოველ ჯერზე ობამა პუტინს ორ ძირითად მომენტზე მიუთითებდა: სირიაში „პოლიტიკური გადასვლის“ აუცილებლობაზე (დიპლომატიურ ენაზე ეს გულისხმობდა ბაშარ ასადის წასვლას) და კრემლისგან უკრაინის საქმეებში ჩაურევლობაზე. ჩვენ ცოტა რამ ვიცით იმაზე, რას უპასუხებდა პუტინი ობამას: კრემლში ბევრს არ ლაპარაკობდნენ ამ საუბრების შინაარსზე.

ამჟამად ყველაფერი ცოტა სხვაგვარადაა. სატელეფონო საუბრის შესახებ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი შევიტყვეთ კრემლისგან და არა ტრამპის გარემოცვისგან. უფრო მნიშვნელოვანია, რომ მხარეები შეთანხმდნენ სირიაში ვითარების მოგვარების აუცილებლობაზე (მინიშნება: ასადი შეიძლება დარჩეს), და — არც ერთმა ქვეყანამ არ ახსენა სიტყვა „უკრაინა“.

გეოპოლიტიკური კონფლიქტი, რომელსაც „ახალ ცივ ომს უწოდებენ“, შეიძლება უცებ დასრულდეს მას შემდეგ, როგორც კი ტრამპი 20 იანვარს ფიცს დადებს. აშშ-მა მოიგო „ცივი ომი“, რომელიც 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა. თუ მშვიდობიან დღის წესრიგს აღსრულების პერსპექტივა აქვს და ტრამპისა და პუტინის საუბარმა მისი ჩარჩოები დაადგინა, შეიძლება ითქვას, რომ ეს რაუნდი რუსეთმა მოიგო.

„საუბრისას პუტინი და ტრამპი არა მხოლოდ შეთანხმდნენ რუსეთ-ამერიკის ამჟამინდელი ურთიერთობის უკიდურესად არადამაკმაყოფილებელ საკითხზე, არამედ განაცხადეს, რომ ერთობლივად და აქტიურად დაუჭერენ მხარს მის (ურთიერთობის) ნორმალიზაციას და კონსტრუქციული ურთიერთმოქმედების კალაპოტში ჩაყენებას... მხარეებმა ხაზი გაუსვეს ორმხრივი კავშირის საიმედო საფუძვლის შექმნას მათი (მხარეების) სავაჭრო-ეკონომიკური კომპონენტის განვითარების გზით“, — ნათქვამია ოფიციალურ ინფორმაციაში, რომელიც მოლაპარაკების დეტალებს ეძღვნება.

რუსეთის თვალსაზრისით, „ნორმალიზაცია“ და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარება ნიშნავს: „სანქციების ომის“ დამთავრებას, რომელიც ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო მას შემდეგ, რაც რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია მოახდინა და 2014 წლის გაზაფხულზე მხარი დაუჭირა შეიარაღებულ სეპარატისტებს აღმოსავლეთ უკრაინაში. **ტრამპისა და პუტინის შესაძლო გარიგებამ შეიძლება გამოიწვიოს გააფთრება ევროპისა, სადაც ნატოს წევრ პოლონეთს, ესტონეთსა და ლატვიას აშინებს რუსეთის აგრესიის მსხვერპლად გახდომის პერსპექტივა პუტინის ნეოსაბჭოთა მისწრაფებათა რეალიზაციის ამბიციის განხორციელების შემთხვევაში.**

კრემლის ცნობით, **ორი ლიდერი შეთანხმდა, რომ დასრულდეს ერთმანეთის საშინაო საქმეებში ყოველგვარი ჩარევა. ამის ინტერპრეტაცია შეიძლება, როგორც ტრამპის თანხმობა, ბოლო მოეღოს ათწლეულების განმავლობაში ამერიკელების მიერ მხარდაჭერას იმ პოლიტიკოსებისა და ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც რუსეთში დემოკრატიის გამარჯვებისთვის იბრძვიან.**



# საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო ბრალს სდებს აშშ-ის არმიას

**აშშ-ის შეიარაღებული ძალები და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) თანამშრომლები პასუხისმგებლები არიან ავღანეთში ჩადენილ დანაშაულებზე, — ნათქვამია ჰააგის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მოხსენებაში.**

მოხსენებაში მოყვანილი მონაცემებით, აშშ-ის არმიის სამხედრო მოსამსახურენი შესაძლებელია ავღანეთში 2003 წლის 1 მაისიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს დაკავებული 61 ადამიანისადმი სასტიკ მოპყრობისა და წამების თანამონაწილენი იყვნენ. იგივე შეიძლება ითქვას ცსს-ს ოპერატიული თანამშრომლების ქმედებაზე 27 პატიმრის — ავღანეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ლიტვის მოქალაქეების — მიმართ 2002 წლის დეკემბრიდან 2008 წლის მარტამდე პერიოდში.

ჰააგის სასამართლოს პროკურორები უახლოეს მომავალში გადაწყვეტენ, დაიწყონ თუ არა სრულფასოვანი გამოძიება ბრალდებების წაყენებით.

აშშ-ის სახელმწიფოს წარმომადგენელმა **ელიზაბეტ ტრიუდომ** განაცხადა, რომ გამოძიების საფუძველს ვერ ხედავს. პენტაგონის წარმომადგენლის **ჯეფ დევისის** თქმით, მის უწყებაში უკვე ელოდებიან სასამართლოდან გამოძიების დეტალების შეტყობინებას.

«დეილი მეილი»:

# სამყაროს დასასრულის შესახებ

**ბარსელონის უნივერსიტეტის კოსმოლოგმა ფერგუს სიმპსონმა აპოკალიფსის მოახლოების ალბათობა შეაფასა, რომელიც, მეცნიერის კვლევის შედეგების მიხედვით, XXI საუკუნის მიმდინარე და მომდევნო წლებში 0,2 პროცენტზე მეტია. მისი გათვლით, კაცობრიობა 2100 წელს მშვიდობით გააღწევს. ამის ალბათობა 87 პროცენტია.**



სიმპსონის დასკვნები ეფუძნება მეცნიერულ ჰიპოთეზას — „თეორემას სამყაროს დასასრულის შესახებ“, ანუ „მეორედ მოსვლის არგუმენტს“, რომლის თანახმად, კაცობრიობამ თავისი არსებობის ნახევარი გზა უკვე განვლო. შარშან სიმპსონმა შეაფასა უცხოპლანეტელების მოცულობა და წონა. მისი გათვლებით, უცხოპლანეტელების წონა 300 კილოგრამზე მეტი უნდა იყოს.

**კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე იტალიაში რეფერენდუმის ჩატარების დღესვე დასავლეთი ევროპა, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკიდურესი მემარჯვენე კანდიდატის ხელისუფლებაში მოსვლის მოწმე შეიძლება შეიქნეს. ავსტრიაში სახელმწიფოს მეთაურად შეიძლება ვიხილოთ პრეზიდენტობის კანდიდატი ნორბერტ ჰოფერი.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

«ბი-ბი-სი»:

# კიდევ რომელ ქვეყნებში შეიძლება მოხდეს «ბრექსიტი» და ტრამპი?

**2008 წლიდან პოპულისტები უკეთ ახერხებენ ფინანსური კრიზისით, გლობალიზაციითა და მოსახლეობის სიძნელეების მოგვარების საქმისგან მმართველი ელიტების თვითჩამოცილებით გამოწვეული სახალხო მრისხანების მართვას. ხომ არ გადაიქცევა დონალდ ტრამპის გამარჯვება მრავალგზის გაძლიერებული „ბრექსიტით“ ისეთ ცუნამად, რომელიც გადარეცხავს ევროპის პოლიტიკურ ელიტებს?**
**ამ პრობლემაზე მსჯელობს „ბი-ბი-სი“.**




## გადამწყვეტი კენჭისყრა იტალიაში

4 დეკემბერს იტალიაში უნდა გაიმართოს რეფერენდუმი კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე. იგი სულ უფრო გვაგონებს **მატეო რენცის** მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობისადმი ნდობის (ან უნდობლობის) ვოტუმის გამოცხადებას. პრემიერი უკვე დაემუქრა იტალიის საზოგადოებას, რომ გადადგება, თუ წააგებს ამ რეფერენდუმს.

რეფორმა სენატისა და რეგიონული მთავრობების უფლებამოსილების შეზღუდვას გულისხმობს.

რენცი ამტკიცებს, რომ ამ ცვლილებებით შესაძლებელი იქნება სახსრების მომჭირნეობით ხარჯვა და გაძლიერდება იტალიის მთავრობის სტაბილურობა.

მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ეს ცვლილებები მეტისმეტ უფლებამოსილებას მიანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლით ირკვევა, რომ რენციმ შეიძლება წააგოს ხმათა უმნიშვნელო უმცირესობით, მაგრამ ეს ძლიერ განამტკიცებს იტალიური „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობას“ (M5S), რომელიც ისტებლიშმენტს უპირისპირდება.

ივნისში M5S არცთუ ცუდად წარმოჩნდა რეგიონულ არჩევნებზე, დღეს მისი წარმომადგენლები რომისა და ტურინის მერები არიან. ამ მოძრაობის წევრები — ევროსკეპტიკოსები — იბრძვიან რეფერენდუმის გასამართავად ევროზონიდან გამოსვლის მიზნით.

მოძრაობის დამაარსებელმა, ყოფილმა კომიკოსმა **ბეპე გრილომ** თავის „ტვიტერში“ დაწერა, რომ არჩევნებში ტრამპის ტრიუმფი „მასმედიისთვის, ტელევიზიისთვის, წამყვანი გაზეთებისთვის, ინტელექტუალებისა და ჟურნალისტებისთვის აპოკალიფსი შეიქნა“.

## ავსტრია მარჯვნივ მკვეთრად შეტრიალდება?

კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე იტალიაში რეფერენდუმის ჩატარების დღესვე, დასავლეთი ევროპა, პირველად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, უკიდურესი მემარჯვენე კანდიდატის ხელისუფლებაში მოსვლის მოწმე შეიძლება შეიქნეს. ავსტრიაში სახელმწიფოს მეთაურად შეიძლება ვიხილოთ პრეზიდენტობის კანდიდატი **ნორბერტ ჰოფერი.**

მაისის არჩევნებში მწვანეთა პარტიის ყოფილმა წარმომადგენელმა ალექსანდრ **ვან დერ ბელენმა** ჰოფერს ერთ პროცენტზე ნაკლები ხმებით აჯობა, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ ამ არჩევნების შედეგები გააუქმა ფოსტით გაგზავნილი ბიულეტენების დათვლის პრობლემების გამო. ასე რომ, ავსტრიელებს ახალი არჩევნების გამართვა მოუწევთ.

მართალია, ავსტრიაში პრეზიდენტის თანამდებობა უფრო ცერემონიულია, მაგრამ ჰოფერის გამარჯვებას შეიძლება უდიდესი სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდეს თავისუფლების უკიდურესად მემარჯვენე პარტიისთვის, რომელიც იმიგრაციის წინააღმდეგ გამოდის.

## პოპულისტების შეტევა ნიდერლანდების სამეფოში

ანტიისლამისტი პოლიტიკოსი **გერტ ვილდერსი** ტრამპის არჩევამ გაახარა და ერთ-ერთი მისი ლოზუნგი სათავისოდ გადააკეთა: „ნიდერლანდს კვლავ გავადიადებთ!“.

„ნიდერლანდს ჰოლანდიელებს დავუბრუნებ“, — განაცხადა ვილდერსმა. მისი სიტყვები სრულად შეეხამა ლოზუნგს „დავიბრუნოთ კონტროლი!“, რომლითაც „ბრექსიტის“ მომხრეები 23 ივნისის რეფერენდუმზე გაემართნენ. ყველამ ვიცით, რაც შემდეგ მოხდა.

გამოკითხვის მიხედვით, რომელიც 6 ნოემბერს ორგანიზაცია De Hond-მა მოაწყო, ვილდერსის პოპულისტურ პარტიას პარლამენტში, ალბათ, 27 ადგილი ერგება.

თუ პოპულისტური პარტია ვერ შეძლებს მმართველი კოალიციის შექმნას, მისი პოლიტიკური გავლენა, დიდი ალბათობით, შენარჩუნდება. რაც შეეხება ვილდერსს, მისი საქმის განხილვა სასამართლოში გრძელდება. მას ბრალად ედება რასობრივი სიძულვილის გაჩაღება.

## ახალი ფრანგული რევოლუცია

„ნაციონალური ფრონტის“ ლიდერი **მარი ლე პენი** საფუძველს ურყევს საფრანგეთის პოლიტიკას და შესაძლებელია, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მოხვდეს. არჩევნები გაისად, მაისში გაიმართება.

„ნაციონალურმა ფრონტმა“, რომელიც იმიგრაციისა და ევროკავშირის წევრობის წინააღმდეგ გამოდიოდა, რეგიონულ არჩევნებში ხმების 27 პროცენტი მიიღო, მაგრამ ვერც ერთ რეგიონზე ვერ შეძლო სრული კონტროლის დაწესება, რადგან ორი წამყვანი პარტია მის წინააღმდეგ გაერთიანდა.

მოსალოდნელია, რომ მემარჯვენე ცენტრისტი რესპუბლიკელები და მემარცხენე ცენტრისტი სოციალისტები იმავეს გაიმეორებენ, თუ მარი ლე პენი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გავა.

მარი ლე პენმა ტრამპის არჩევაზე „ტვიტერში“ დაწერა, რომ „იბადება ახალი მსოფლიო და ძალთა გლობალური ბალანსი შეიცვლება ტრამპის არჩევის წყალობით“. მან დასცინა საფრანგეთის მმართველ ელიტას და წამყვან გაზეთებს იმის გამო, რომ მათ ფსონი **ჰილარი კლინტონზე** დადეს. ამასთანავე, განაცხადა, რომ ბრიტანელებმა „ბრექსიტისთვის“ ხმის მიცემით ევროპის ელიტების წინააღმდეგ ბრძოლაში პირველი ზალპი გააკეთეს.

## ნაციონალისტების გამოცოცხლება გერმანიაში

ნაციონალისტური პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ (AFD) 2017 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის უფრო მეტი ამომრჩევლის მიზიდვას აპირებს პოლიტიკური სპექტრის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფლანგებიდან.

ამჟამად პარტიამ გაიმაგრა პოზიციები ანგელა მერკელის ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირთან დაპირისპირებაში. მიიმხრო „ღია კარის პოლიტიკით“ უკმაყოფილო მოქალაქეები.

სექტემბერში AFD-მ მეორე ადგილი მოიპოვა მეკლენბურგ-დასავლეთ პომერანიაში და პირველობა მემარცხენე ცენტრისტულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დაუთმო, მაგრამ 2 პროცენტით გაუსწრო მერკელის პარტიას.

ვარაუდობენ, რომ საპარლამენტო არჩევნებში AFD, სულ ცოტა, 10 პროცენტს დააგროვებს. მას უკვე ჰყავს თავისი დეპუტატები ლანდტაგებში (ადგილობრივ პარლამენტებში) — 16-დან 9-ში; ბუნდესტაგში — არც ერთი.

პარტიის სათავეებთან იდგნენ ეკონომისტები, რომლებიც ევროზონიდან გამოსვლისთვის იღვწოდნენ. ამჟამად AFD თავისი ანტიისლამისტური რიტორიკით თანდათან მარჯვნივ იხრება.

გერმანელი ანალიტიკოსების აზრით, შეიძლება პარალელების გავლება უკმაყოფილებასა, რომელსაც „ბრექსიტი“ და ტრამპის გამარჯვება მოჰყვა, და AFD-ს მომხრეთა მოთხოვნებს შორის. ამან პარტიას შეიძლება „მოულოდნელი წარმატება“ მოუტანოს 2017 წლის ფედერალურ არჩევნებში.

ანგელა მერკელს ჯერ არ მიუნიშნებია, აპირებს თუ არა მეოთხე ვადით გერმანიის კანცლერად დარჩენას.

# ირანის ყოფილი პრეზიდენტი ცხვრებს მწყემსავს

**მახმუდ ახმადინეჯადი პრეზიდენტობის პერიოდში სამსახურში ავტობუსით დადიოდა, მისი ცოლი კი მედრესეში დამლაგებლად მუშაობდა.**



**მისი პრეზიდენტობის დროს:**

**1.** ამერიკული ტელეარხის — „ფოქს ნიუსის“ კორესპონდენტმა ჰკითხა ირანის პრეზიდენტ **მახმუდ ახმადინეჯადს:** „დილით სარკეში რომ ჩაიხედავთ, რას ეუბნებით საკუთარ თავს?“, მან უპასუხა: „სარკეში ვხედავ ადამიანს და ვეუბნები მას: „უბრალო მსახურზე უფრო მეტი არ ხარ“.

**2.** როცა ახმადინეჯადი პრეზიდენტის კაბინეტში პირველად შევიდა, ბევრი ფრიად გააკვირვა იმით, რომ ძვირფასი ირანული (სპარსული) ხალიჩები თეირანის ერთ-ერთ მეჩეთს შესწირა და შეცვალა ჩვეულებრივი იაფი ხალიჩებით. **ჩვენს მკითხველს აქ მწარედ ჩაეცინება, რადგან უთუოდ გაახსენდება საქართველოს ორი ბოლო პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის — ფუფუნებაში განცხრომით ცხოვრებისკენ ავადმყოფური მისწრაფება.**

**„...დაეცა, დაეცა დიდი ბაბილონი, გახდა ეშმაკთა სამკვიდროდ და ყოველი არაწმინდა სულის თავშესაფრად...“** *(იოან., 18, 2).*

**3.** როცა პრეზიდენტი გახდა, თავისი ქონების დეკლარაცია წარადგინა შესაბამის დაწესებულებაში: ავტომანქანა „პეჟო 504“ (1977 წლის მოდელი) და ძველი პატარა სახლი, რომელიც მამისგან მემკვიდრეობად ერგო 40 წლის წინათ და რომელიც თეირანის ერთ-ერთ ულარიბეს რაიონში მდებარეობს.

**4.** მისი ნივთებიდან ერთ-ერთი, რომელმაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლები გააოცა, იყო ძველი პორტფელი, ამ პორტფელით მიდიოდა იგი პრეზიდენტის მოვალეობის შესასრულებლად და ელაგა შიგ იმ დღის საუზმე — რამდენიმე ბუტერბროდი ან პური, ზეთისხილი და ყველი, რომელსაც მისი ცოლი ამზადებდა **(აჰა, სუშიზე გაგიჟებული მიშა, ლაშებში ჩატენილი ლუკმით და თვალ და ხელ შუა გაფუმფულებული მარგველაშვილი, რომელსაც ღიპზე ძლივს ეკვრება პიჯაკი...).**

**5.** იგი ხშირად ეხმარებოდა მეეზოვეებს იმ რაიონების ქუჩების დახვრეტა-დასუფთავებაში, რომლებშიც ცხოვრობდა და მუშაობდა.

**6.** ყოველთვის, როცა სასტუმროში უხდებოდა ღამის გათევა, ითხოვდა, რომ მისცენ ოთახი, რომელშიც დიდი საწოლი არ იდგა, რადგან იძინებდა იატაკზე დაფენილ ლეიბზე.

**7.** მისი ხელმძღვანელობის პერიოდში თანამდებობაზე მინისტრად დანიშვნისას წარდგენილ კანდიდატს უნდა შეევსო მრავალპუნქტიანი დოკუმენტი. მათ შორის, ერთი ისეთიც, რომელიც მოითხოვდა, რომ იგი (მომავალი მინისტრი) უნდა დარჩეს ღარიბი და აფრთხილებდა, რომ მის საკუთარ ანგარიშებს, ისევე, როგორც მისი ნათესავების ანგარიშებს, ყოველთვის შეამოწმებენ.

**8.** მას არ მიუღია საპრეზიდენტო ხელფასი. ამას ხსნიდა იმით, რომ მთელი სიმდიდრე უნდა ეკუთვნოდეს ერს და იგი დაიცავს ამ პრინციპს **(გაავლეთ პარალელი ჩვენი სუპერმოხელეების მუდმივად მზარდი სახელფასო მოთხოვნილების ურყევად და უცილობლად დაკმაყოფილებასთან, რომლისთვისაც მილიონობით ლარი იხარჯება.**

**„მის შუბლზე დაწერილია სახელი, საიდუმლო: დიდი ბაბილონი, მეძავთა და დედამიწის სისაძაგლეთა დედა...“** *(იოან., 17,5).*

გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვახტანგ ადამიამ ნათლად აღწერა, თუ როგორ ვითარდებოდა და ღრმავდებოდა კაპიტალიზმი და როგორ აუცილებლობას წარმოადგენდა რევოლუცია. ამ ნაშრომით მეცნიერმა დაამტკიცა, რომ საქართველომ უდიდეს სახელმწიფოს უამრავი რევოლუციონერი აღუზარდა.**

# ვახტანგ ადამიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

## ქართველმა საზოგადოებამ პატივი მიაგო ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, არაჩვეულებრივ მოქალაქესა და რაფინირებულ ინტელიგენტს — ვახტანგ ადამიას

**17 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ცნობილი მეცნიერის, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორის, საზოგადო მოღვაწის — ვახტანგ ადამიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. მეცნიერის სახელთან დაკავშირებულია უნიკალური ნაშრომები. განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომა, რომელშიც ავტორი 1918-1920 წლებში საქართველოში ინგლისის ჯარის საოკუპაციო საქმიანობაზე მოგვითხრობს. ვახტანგ ადამიას მეორე ნაშრომი ეხება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მიჯნაზე. ღონისძიება აკადემიკოს როინ მეტრეველის, ცხუმ-აფხაზეთის აკადემიის პრეზიდენტ ოთარ ჟორდანიას, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ექვთიმე თაყაიშვილის საისტორიო საზოგადოების ინიციატივითა და ძალისხმევით გაიმართა. საიუბილეო საღამოს სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, საზოგადო მოღვაწეები და სტუდენტები ესწრებოდნენ.**


ვახტანგ ადამია მეუღლესთან ერთად

**ბორის კვარაცხელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— ასეთი საღამოები ძალიან გვჭირდება. აქ ერთმანეთს ვნახულობთ, წარსულ, ლამაზ დღეებს ვიხსენებთ, ერთმანეთს ვეფერებით. ჩვენ ხომ ჯოჯოხეთი, გოლგოთის გზა გამოვიარეთ და აქამდე მოვედით. ახლა ერთად ყოფნა გვჭირდება, **გვჭირდება, გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებიც გვეამაყებოდა...**

დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ აფხაზეთის და არა მხოლოდ აფხაზეთის, საქართველოს უთვალსაჩინოეს წარმომადგენელს, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, არაჩვეულებრივ მოქალაქესა და რაფინირებულ ინტელიგენტს — **ვახტანგ ადამიას.** ამ ადამიანმა თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდების აღზრის კეთილშობილურ საქმეს მოახმარა.

**ბატონი ვახტანგის ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ იყო. მან გამოიარა დიდი სამამულო ომი, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, შემდეგ მშობლიურ სოხუმს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. ორი დისერტაცია დაიცვა და ორივეს უმაღლესი შეფასება მისცეს ოპონენტებმა და საკავშირო პრესამ.**

ვახტანგ ადამია გამორჩეული იყო არა მხოლოდ როგორც უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მისი ცხოვრების წესიც გამორჩეული იყო — მუდამ შემართული, მოწესრიგებული, რაც ჩვენთვის სამაგალითო იყო. მას ჰყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, რომელიც ისე გარდაიცვალა, რომ აფხაზეთში დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს; მისი ორი შვილი წარმატებული ექიმები არიან. (ბატონი ვახტანგის უფროსი ვაჟი კი, ცნობილი ბიზნესმენი, აწ გარდაცვლილი არჩილ ადამია ბოლო წლებში მოსკოვში მოღვაწეობდა, ეწეოდა ქველმოქმედებას, აქტიურად ეხმარებოდა აფხაზეთიდან დევნილებს, გახლდათ გულანთებული პატრიოტი და ქართული კულტურის დიდი ქომაგი — რედ.).

ვახტანგ ადამიას გახსენებისა და ამ არაჩვეულებრივი საღამოს მოწყობისთვის უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა აფხაზეთის ეროვნულ აკადემიას, ცხუმ-აფხაზეთის აკადემიას და მის ხელმძღვანელ **ოთარ ჟორდანიას,** აკადემიკოს **როინ მეტრეველსა** და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას. ვახტანგ ადამია ასეთ პატივისცემას ნამდვილად იმსახურებდა. დღეს ასი წელი გავიდა მისი დაბადებიდან. მართალია, ჩვენ გვერდით აღარ არის, მაგრამ მისი სახელი დარჩა და მუდამ იქნება მადლიერი თაობების გულში.

**ავთანდილ კილასონია, სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:**

— ბატონი ვახტანგ ადამია 1974-75 წლებში ჩემი ლექტორი გახლდათ. საოცრად კეთილშობილი ადამიანი, სიმპათიური, მოწესრიგებული, წარმოსადეგი ვაჟკაცი, სხვა რომ არაფერი გაგეგო მისგან, მხოლოდ გარეგნობით შეეძლო ადამიანების მოხიბვლა, მაგრამ საკმარისი იყო, ხმა ამოეღო და მის გარშემო მონუსხული იდგა ყველა.

დღეს მისი დაბადებიდან ას წლისთავს აღვნიშნავთ, მე აქ ვარ და ძალიან ვამაყობ, რომ მის აღზრდილთა და მადლიერთა შორის ვდგავარ. ვამაყობ, რომ დღეს აქ ვარ და მოხსენებითაც გამოვდივარ. ჩემი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი მასთან ერთად გავიარე, მამასავით დამყვებოდა, პატარა ბავშვივით უხაროდა თავისი აღზრდილების წარმატება.

სოხუმის უნივერსიტეტის წინაშე მას უდიდესი დამსახურება აქვს, ვახტანგ ადამიას დროს გაიხსნა მსოფლიო ისტორიის კათედრა. ის სასახელო თაობების აღმზრდელია. სამწუხაროდ, დევნილობას მოესწრო, თითქოს შეუდრეკელი იყო, მაგრამ აფხაზეთიდან წამოსვლამ, საკუთარი მიწისა და სახლ-კარის დაკარგვამ დაღი დაასვა, ჯანმრთელობა შეურყია და ამ ქვეყნიდან აფხაზეთსა და სოხუმს მონატრებული წავიდა.

**ოთარ ჟორდანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი:**

— დღეს საზოგადოება პატივს მიაგებს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ლამაზ სოხუმელ კაცს, ბატონ ვახტანგ ადამიას.

ვახტანგ ადამიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი, დიდი ხანია, დაიმკვიდრა, რაც მოგეხსენებათ, იოლი არ არის. ვახტანგ ადამიას შრომები ცნობილია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1918-1920 წლებში საქართველოში ინგლისის საოკუპაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ისტორია, ის ნათლად აღწერს იმ პერიოდის საქართველოს მდგომარეობას, თუ როგორ იდგამდა ფეხს ახალი დემოკრატიული საქართველო და ცდილობდა გარეშე მტრის მოგერიებას. ვახტანგ ადამიამ ამ ნაშრომში აღწერა, როგორ არ დაეხმარა ჩვენს ქვეყანას ინგლისი, საფრანგეთი და აშშ.

ვახტანგ ადამიას მეორე უდიდესი ნაშრომი ეხება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მიჯნაზე. ვახტანგ ადამიამ ნათლად აღწერა, თუ როგორ ვითარდებოდა და ღრმავდებოდა კაპიტალიზმი და როგორ აუცილებლობას წარმოადგენდა რევოლუცია. ამ ნაშრომით მეცნიერმა დაამტკიცა, რომ საქართველომ უდიდეს სახელმწიფოს უამრავი რევოლუციონერი აღუზარდა.

* * *

საიუბილეო საღამო თბილ, სიყვარულითა და მონატრებით გაჟღენთილ გარემოში წარიმართა, რომელიც მსუბუქი ვახშმით დასრულდა. „ვემვოტუათ ჯიმალეფი ართიანი", — შეკრების მონაწილეები ასე ლოცავდნენ და ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

**«ბატონი ვახტანგის ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ იყო. მან გამოიარა დიდი სამამულო ომი, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, შემდეგ მშობლიურ სოხუმს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. ორი დისერტაცია დაიცვა და ორივეს უმაღლესი შეფასება მისცეს ოპონენტებმა და საკავშირო პრესამ»**



**ვახტანგ ადამიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი, დიდი ხანია, დაიმკვიდრა, რაც მოგეხსენებათ, იოლი არ არის. ვახტანგ ადამიას შრომები ცნობილია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისი ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1918-1920 წლებში საქართველოში ინგლისის საოკუპაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ისტორია**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

**რადგან ნაცების მმართველობა უარყოფითად ფასდება, ყველაფერ უარყოფითს ლიბერალები კომუნისტებსა და სსრკ-ს უკავშირებენ. ეს არის ამერიკის მიერ დანერგილი ტენდენცია მსოფლიოში, სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის ნიღბით სწორედ ეროვნულ ღირებულებებს ებრძვიან, სალი აზროვნების დასამარებას ესწრაფვიან — ეს არის დათრგუნვის მეთოდი, რათა ჩანასახშივე გაანადგურონ დამოუკიდებელი აზროვნება. საქართველოს ხელისუფლებას კი აზრად არ მოსდის ძალადობრივი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეზღუდვა, არ აქვს უნარი, წინ აღუდგეს ანტისახელმწიფოებრივ ფსიქოლოგიურ ტერორსა და სიცრუის პროპაგანდას.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთის ფაქტორი — ტესტი პატრიოტიზმზე ლიბერასტებისთვის

**ამას წინათ ზუგდიდიდან ჩვენი გაზეთის მკითხველი ვლადიმერ გულუა დამიკავშირდა და მადლიერება გამოხატა ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას მიმართ, რომლის ძალისხმევითაც გაზეთების — ,,საქართველო და მსოფლიოსა“ და „ილორის“ — 1000-1000 ეგზემპლარი უფასოდ ვრცელდება ზუგდიდში. ამასთანავე, გულისტკივილი გამოხატა, რომ საქართველოს მოსახლეობიდან ნახევარი მილიონი ადამიანი კრიმინალების თანამოაზრედ და მხარდამჭერად მოგვევლინა და ეს საშიში მოვლენაა ქვეყნისთვისო.**

„ოდესაში ტექნოლოგიური ინსტიტუტი დავამთავრე და ქართველობით ვამაყობდი, დღეს კი ვინ ვართ ჩვენ? — სვამს კითხვას ბატონი ვლადიმერ გულუა და დასძენს — მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი — აფხაზეთის კავშირგაბმულობის კომისარი — 1937 წელს რეპრესირებული იქნა, იმ პერიოდის მმართველობა სჯობდა თქვენსას“. ეს პირადად მოვახსენე პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარეს, ბატონ **დავით უსუფაშვილს** დადიანების ბაღში, როცა ზუგდიდში ბრძანდებოდა.

ამ მოსაზრებას ემიჯნება ქვეყნის ლიბერალური სპექტრი. სამხედრო ექსპერტმა **ვახტანგ მაისაიამ** პირდაპირ ეთერში განაცხადა: „ნაცების მხარდამჭერი ნახევარი მილიონი ამომრჩეველი ის ადამიანები არიან,რომლებიც კომუნისტურ წყობას მისტირიან, რადგან სააკაშვილმა სსრკ-ის ეპოქაში დააბრუნა ქვეყანა, ხოლო კარგად გათვლილი ცხინვალის ომის შემთხვევაში შეიძლებოდა პოზიტიური შედეგი მიგვეღო“(?!).

**„ბატონ მაისაიას დიდ პატივს ვცემ, ალბათ, მთვრალი იყო“,** — ასეთი კომენტარი გააკეთა ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა.

**„ეს სრული პოლიტიკური სიბეცე და გაუნათლებლობაა“,** — აღნიშნა ერთ-ერთმა პოლიტოლოგმა.

არა, ბატონებო! ვახტანგ მაისაია არც მთვრალი იყო და არც განათლების დეფიციტს განიცდის. მსგავსი რიტორიკა დღეს მისთვის მომგებიანი პოზიციაა. **რადგან ნაცების მმართველობა უარყოფითად ფასდება, ყველაფერ უარყოფითს კომუნისტებსა და სსრკ-ს უკავშირებენ ლიბერალები. ეს არის ამერიკის მიერ დანერგილი ტენდენცია მსოფლიოში, სიტყვის თავისუფლებისა და დემოკრატიის ნიღბით სწორედ ეროვნულ ღირებულებებს ებრძვიან, სალი აზროვნების დასამარებას ესწრაფვიან — ეს არის დათრგუნვის მეთოდი, რათა ჩანასახშივე გაანადგურონ დამოუკიდებელი აზროვნება. საქართველოს ხელისუფლებას კი აზრად არ მოსდის ძალადობრივი ფსიქოლოგიური ზემოქმედების შეზღუდვა, არ აქვს უნარი, წინ აღუდგეს ანტისახელმწიფოებრივ ფსიქოლოგიურ ტერორსა და სიცრუის პროპაგანდას.** რომელ გეოპოლიტიკურ სივრცეში უნდა განვაგრძოთ არსებობა, ჩვენი უსაფრთხოება დაცული რომ იყოს? როცა საქართველომ არსებობა შეინარჩუნა **ერეკლე მეფის** გადაწყვეტილებით, **ილია ჭავჭავაძემ** ეს გზა პოზიტიურად შეაფასა, წარსულის ხსოვნა ანდერძად დაგვიტოვა და საქართველოს მომავალიც განჭვრიტა: **„ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო-რა ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან“.** სწორედ ამ მიზანს ემსახურება დასავლეთის პოლიტიკა და შევარდნაძის ხელისუფლებიდან დღემდე მიზანმიმართულად კლავენ ქართულ მენტალობას.

„არანაირი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა არ მოხდება, სანამ საქართველოს ტერიტორიები რუსეთს აქვს ოკუპირებული“, — ამბობენ ევროკავშირის ემისრები. იმავეს იმეორებენ ხელისუფლეებაში მოკალათებული თუთიყუშებიც. **გრიგორი კარასინიც** აღნიშნავს, რომ საქართველო რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის მზად არ არის, რადგან კვლავ არასასურველი რიტორიკა ისმის ქვეყნიდან. ნატოს ვარშავის სამიტზე გაკეთებული განცხადებების თანახმად, №1 საფრთხე მსოფლიოსთვის არის რუსეთი და არა „ისლამური სახელმწიფო“. სწორედ ამ იდეოლოგიის წინააღმდეგ გამოდიან მოაზროვნე ამერიკელი კონსერვატორები, რომლებმაც ხმა **დონალდ ტრამპს** მისცეს.

**ქვეყნის საგარეო კურსს კორექტირება არ სჭირდება, — ამბობს „მეოცნებეთა“ ერთ-ერთი ლიდერი, მაგრამ საზოგადოებას კარგად ახსოვს ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი გამოსვლა 2013 წელს, როცა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება დააანონსა.** რუსეთი არ ერევა საქართველოში მიმდინარე პროცესებში და ეს საქართველოს თავისუფალი არჩევანის პატივისცემას ნიშნავს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკური ორიენტირები ხელისუფლების არჩევანია და **უცხოელთა დაკრულზე მოცეკვავე კაცუნები უცხო ძალებს მიიჩნევენ საქართველოს ბატონ-პატრონად და არა მის უდიდებულესობა ქართველ ხალხს.**

**„გათავისუფლდით სიძულვილისგან!“ — მოგვიწოდებენ მედასავლეთეები და პარალელურად თვითონ თესავენ სიძულვილს ხალხთა შორის, განსაკუთრებით — რუსების მიმართ. ეს სიძულვილი იქამდე მივიდა, რომ, დასავლეთის ემისრების**



გიორგი კვირიკაშვილი



ლევან ვარშალომიძე

**განცხადებით, რუსული ენერგორესურსებიც კი ევროპისთვის საფრთხის შემცველია(?!). საქართველოში ამ სიძულვილმა კინოინდუსტრიაშიც შეაღწია და ბავშვებისთვის რუსული მულტფილმების ჩვენებაც შეზღუდეს.** პოლიტიკური კურსი ქვეყნის ინტერესებზე უნდა იყოს გათვლილი და ამჟამინდელმა ხელისუფლებამ საკონსტიტუციო უმრავლესობა საგარეო ვექტორის ცვლილებისთვის უნდა გამოიყენოს, მით უფრო, რომ **ამერიკა შავი ზღვის აუზში სამხედრო ძალებს აძლიერებს, რაც საქართველოს რუსეთთან კონფრონტაციის ობიექტად აქცევს. რეალობა ასეთია — საქართველო რუსეთისა და ამერიკის დაპირისპირების პოლიგონად იქცა.**

„პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელმა თავისი პარტიის ლიდერების დასავლელ პოლიტიკოსებთან სირბილს ასეთი ახსნა მოუძებნა: **დავით აღმაშენებელი,** ეკლესიის გარდა, სხვა აღმსარებლობის სალოცავებშიც ლოცულობდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ეროვნული საქმე ეკეთებინაო. არამართლმადიდებლურ სალოცავებში ლოცვა პატივისცემის გამოხატულება იყო სხვა აღმსარებლობის მიმართ. მაგრამ დავით აღმაშენებელი თავისი ქვეყნის იდეოლოგიურ მტრებს მათ სამსახურში ჩადგომას არ სთავაზობდა. და, სანამ აღმაშენებელს თავს გაუტოლებენ, იქნებ დაფიქრდეს „პატრიოტი“? — ამერიკა ჩვენი ეროვნული სულის გაქრობას ცდილობს და უკეთესი პარტნიორობის გამწევი „პატრიოტები“ ამას უკეთ შეასრულებენ?!

ლაღად გრძნობს თავს პრემიერმინისტრი და ისტორიულ რეალობას დიამეტრულად განსხვავებულად წარმოგვიდგენს: **„თურქ და ქართველ ხალხებს შორის მეგობრობა საუკუნეებს ითვლის“**(?!) — იმას ამბობს, რაც უნდა თქვასო, — არ ისვენებენ ბიძინისტები თუ მთავრობისტები, რომელთათვისაც ისტორიის რეალური აღქმა ფარისევლობამ ჩაანაცვლა. კიდევ უფრო შორს წავიდა ლევან ვარშალომიძის „პატრიოტიზმი“, რომელმაც აღნიშნა, **ჩვენ ერთი ერი ვართ, ოღონდ სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთო.** ამ განცხადებით ვარშალომიძემ საკუთარი წარმომავლობა გაასაჯაროა: **ვარშალომიძე გათურქებული სომხების შთამომავალია და მისი ნამდვილი გვარია დემიროღლი.** ასეთი „პატრიოტების“ გარემოცვაში აღარ უნდა გაგვიკვირდეს თურქეთის პრეზიდენტის განცხადებები, როცა აჭარას თურქეთის ტერიტორიად განიხილავს. **დავით აღმაშენებლის მსგავსი პატრიოტი დღეს რომ გვყავდეს ხელისუფლებაში, კვირიკაშვილები, მარგველაშვილები და სხვები, ლიბერასტების ბრბო — ილიპარიტებდნენ, იშადიმანებდნენ და თურქებსაც შეეკვრებოდნენ, ოღონდ ქვეყანა არ გამთლიანებულიყო. აკი უშლიან კიდეც ხელს რუსეთის ხელისუფლების არაერთ შემოთავაზებას დიალოგის დაწყებაზე.**

21-ე საუკუნეში თურქ-სელჩუკებისა თუ მონღოლების როლი ევროპელმა და ამერიკელმა ყაჩაღებმა მოირგეს. რა ამოძრავებთ, ჩვენი დემოკრატიული განვითარებისთვის იღვწიან? — არა. რესურსი გამოელიათ და მის მოსაპოვებლად სხვადასხვა გზა დასახეს, უფრო ვერაგული და ამაზრზენი, ვიდრე შუასაუკუნეებში ველურ ტომებს ჰქონდათ. **მე-20 და 21-ე საუკუნეებში ე.წ. ცივილიზებული დასავლეთის მიერ მსოფლიოში გატარებული ე.წ. დემოკრატიული რეფორმები გაცილებით ამაზრზენია, ვიდრე ველური ტომების თარეში შუა საუკუნეებში. ისე, თანამედროვე ბაღვაშები აჭარასაც ხონჩით მიართმევენ თურქეთს. აკი ბატონი ბიძინა თურქეთის პრეზიდენტს აჭარაში სულთან აბდულაზიზის მეჩეთის მშენებლობასაც დაჰპირდა...**

საქართველოს პრეზიდენტებს, **ზვიად გამსახურდიას** გარდა, ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოს მიმართ პატივისცემა არ გამოუხატავთ. ნეოლიბერალური იდეოლოგიით აღჭურვილნი, ამერიკიდან დაფინანსებული სუბიექტები სამშობლოს, ქართველი ერის თვითმყოფადობის ციტადელის — დედაეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებენ. **ჩვენ იმ საქართველოში ვცხოვრობთ, რომელიც მკვლელებისა და მწამებლების მიერ დაწერილი კანონებით იმართება, რომელშიც სოციალური ფონი ქვეყნის დატოვებისკენ უბიძგებს ახალგაზრდობას, რაც შემაშფოთებელ, უწყვეტ პროცესად იქცა.**

ამერიკის მითითებით, საქართველოში მოქმედი მეხუთე კოლონა ხელს უშლის რუსეთთან ურთიერთობას, ხოლო რუსეთის ფაქტორი ტესტია პატრიოტიზმზე — გვინდა თუ არა ქვეყნის კეთილდღეობა, ქართველობა, ზნეობის შენარჩუნება! რუსეთს არასდროს შემოუთავაზებია საქართველოსთვის უზნეობის დაკანონება. **პროვოკაციების დიდოსტატმა ამერიკამ 1978 წლიდან, როცა თითქოს ქართული ენის წართმევას გვიპირებდა რუსეთი, 1989 წლის 9 აპრილის აქციებით დამთავრებული, როცა ადამიანები მოწამლეს და თავები დაუჩეხეს, ისე იმოქმედა, რომ თავისი სისხლიანი, ბინძური ხელი რუსეთს შეაწმინდა.** გაზეთ „გლასნოსტის“ მთავარი რედაქტორის — **იური იზიუმოვის** მიერ გამოქვეყნებული ვრცელი წერილიდან აშკარაა, რომ 9 აპრილი **ედუარდ შევარდნაძისა** და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოწყობილი იყო. ასე მიზანმიმართულად ცდილობდა ამერიკა საქართველოსა და რუსეთს შორის სიძულვილი დაეთესა, დედამიწის მეექვსედზე გადაჭიმული უზარმაზარი სახელმწიფოსთვის განაპირა მხარეები ჩამოეცილებინა, ხალხთა შორის მეგობრობა მტრობად ექცია, რათა რუსეთი ისე დაესუსტებინა, რომ ფეხზე ველარასოდეს წამომდგარიყო. შედეგად ხელში ჩაიგდებდა რესურსს — დედამიწის სასარგებლო წიაღისეულის 2/3-ს. მოვლენების მსგავსი განვითარება იწინასწარმეტყველა **სტალინმაც.**

როგორ უნდა მოგვარდეს ურთიერთობა რუსეთთან, როცა პარლამენტში ნაცმანიაკების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი **სალომე ზურაბიშვილი** გვყავს? რით მოხიბლა სახელისუფლო წრე რუსეთმოძულე ზურაბიშვილმა — მართლმადიდებლური მრწამსით თუ იდეოლოგიით? ეს ის ზურაბიშვილია, რომელიც თავის დროზე საგარეო საქმეთა სამინისტროში მისაღებ კადრებს ეკითხებოდა, რუსეთის აგენტი ხომ არა ხარო; საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტის შემდგომ კი „შარლი ებდოდ“ იქცა ზნედაცემულ ევროპასთან ერთად, რაც ნიშნავს, რომ სიბილწის ტირაჟირებასაც შეეცდებიან და ჩვენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფასაც. შორს წაგვიყვანს იმის ჩამოთვლა, რამდენი ეროვნული გმირი ჰყავს ქართველებს და, თუ აზროვნება კიდევ შეგვრჩენია, ამ გმირების ცნობიერება და სამშობლოს სიყვარული ვიპოვოთ ჩვენში. საქართველოს მომავალი ჩვენი ეროვნული გმირის — მეფე ერეკლეს ბრძნულმა გადაწყვეტილებამ უზრუნველყო, ხოლო შემდგომ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გზა განსაზღვრა **იოსებ სტალინმა**, რომელიც გონიერების, შორსმჭვრეტელობისა და მიზანდასახულობის გამო, ბრიტანეთის იმჟამინდელმა პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა** ასე შეაფასა: „თუ ჩვენ გენიოსები ვართ, მაშინ სტალინი არის გენიოსი გენიოსთა შორის!“

ქვეყანაში „შარლი ებდოდ“ გადაქცევის მსურველი ბევრი იყო, მაგრამ ვერავინ ბედავს თქვას: „მე ვარ სტალინი“, კავკასიიდან კუდით ქვა რომ ვასროლინოთ მსოფლიოს ხალხების სისხლში ხელგასვრილ ამერიკას! ვინც საკუთარ თავში „შარლი ებდო“ იპოვა, ველარაფერს ვუშველით, მაგრამ ჩემს თანამოაზრეებს მოვუწოდებ: **ეძებეთ საკუთარ თავში სტალინი!**

**იზა თამაზაშვილი**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა რაოდენობა რუსეთში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამ ომის მონაწილე ნებისმიერი სხვა სახელმწიფოში: დაიღუპა 15 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე, 7 მილიონი ჯარისკაცი; 14 მილიონი დაიჭრა. რუსი ისტორიკოსები მოგვიანებით ამტკიცებდნენ, რომ, მიუხედავად მოსკოვის დაჟინებული თხოვნისა შეერთებული შტატების მიმართ, რომელმაც ევროპასა და აზიაში ომის დროს 300 000 ჯარისკაცი დაკარგა, აშშ და დიდი ბრიტანეთი შეგნებულად აჭიანურებდნენ დასავლეთში მეორე ანტიჰიტლერული ფრონტის გახსნას, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ვერმახტის ძალების საგრძნობი ნაწილის დასავლეთში გადაჯგუფება და საბჭოთა კავშირზე შეტევის შესუსტება. მხოლოდ სტალინგრადის ბრძოლამ შეცვალა მოვლენათა მდინარება.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-42 (366-371)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში




## საიდუმლო ომი დიდ ბრიტანეთში

**ცივი ომის საბოლოო და ერთმნიშვნელოვანი შეფასება არასოდეს მოხდება, რადგან ისტორია ვითარდება საზოგადოებასთან ერთად, რომელიც თვითონ ქმნის ისტორიას და მის ნაყოფად წარმოგვიდგება, მაგრამ მრავალი ქვეყნის მეცნიერებმა შეძლეს მიეღწიათ კონსესუსისთვის: ცივი ომის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თავისებურება, დასავლელი დამკვირვებლების აზრით, კომუნიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლა იყო.**

მეოცე საუკუნისთვის დამახასიათებელ სხვა თავისებურებებთან ერთად, ამ ბრძოლის პროცესში დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა ლიდერობა მსოფლიო ასპარეზზე და იგი შეერთებულ შტატებს დაუთმო. აშშ ათწლეულების განმავლობაში იყენებდა კომუნიზმთან ბრძოლას თავისი სიძლიერის გასაზრდელად. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლისა და „ცივი ომის" დამთავრების შემდეგ აშშ მსოფლიოში დომინირებულ პოზიციაზე აღმოჩნდა.

დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული წრეები უკიდურესად შეშფოთდნენ იმის გამო, რომ 1917 წელს კაცობრიობის ისტორიაში პირველად, შორეულ, მაგრამ დიდ სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში დამყარდა კომუნიზმი (ასეა დედანში — მთარგ.).

რევოლუციის შემდეგ კომუნისტებმა რუსეთში სრულად იგდეს ხელთ საწარმოები და განაცხადეს, რომ ამიერიდან წარმოების საშუალებანი ხალხის საკუთრება ხდება. მაშინ ინვესტორებმა უმეტეს შემთხვევაში ყველაფერი დაკარგეს. ისტორიკოსი **დენა ფრენკ ფლემინგი** თავის წიგნში „ცივი ომის სათავეები" აღნიშნავდა, რომ რევოლუციით გამოწვეული ბევრი სოციალური ცვლილება, მათ შორის, ეკლესიისა და თავადების იგნორირება, „შეიძლება მიეღო კიდეც კონსერვატორების იმდროინდელ სამყაროს, მაგრამ მრეწველობის, ვაჭრობისა და მიწის ნაციონალიზაცია — არავითარ შემთხვევაში".

რუსეთის რევოლუციის მაგალითი არსად და არასდროს არ უნდა განმეორდეს. „როგორც ერთხელ თქვა **ჯეი ბი პრისტლიმ**, ინგლისელმა კონსერვატორებმა თავიანთი გონება რუსეთის რევოლუციის მწვერვალზე ჩაკეტეს და აღარც არასოდეს გაუხსნიათ".

კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართული საიდუმლო ომები, რომლებიც დასავლეთისთვის უმეტესად უცნობი იყო, რევოლუციის კვალზე უცებ დაიწყო. ეს მოხდა მაშინ, როცა დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მა თავიანთი ჯარები ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ წარგზავნეს. **1919-1920 წლებში ლონდონი და ვაშინგტონი თეთრების მხარეს დადგნენ. დააფინანსეს 10 სამხედრო ინტერვენცია სსრკ-ის წინააღმდეგ. ყველა მათგანი, რომელთა მიზანი ახალი მთავრობის დამხობა იყო, წარუმატებლად დასრულდა.** კომუნისტურმა ელიტამ და სტალინმა თანდათან განამტკიცეს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, ქვეყანაში ტოტალიტარული მმართველობა დამყარდა, რომლის ტერიტორიაზე ჯაშუშობაში ეჭვმიტანილ უცხოური სახელმწიფოს მოქალაქეებს რეგულარულად აპატიმრებდნენ. მას შემდეგ, რაც რუსეთში კომუნისტური რეჟიმის დამხობა რეალურად შეუძლებელი გახდა, დიდმა ბრიტანეთმა და მისმა მოკავშირეებმა შეცვალეს სტრატეგია და იგი სხვა ქვეყნებში კომუნიზმის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ტაქტიკით ჩაანაცვლეს.

**1936 წლის ივლისში ფაშისტმა დიქტატორმა ფრანკომ მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება ესპანეთის მემარცხენე მთავრობის წინააღმდეგ და სამოქალაქო ომში, რომელიც მას (გადატრიალებას) მოჰყვა, დაამარცხა ოპოზიცია. ეს ყველაფერი ლონდონის, ვაშინგტონისა და პარიზის მთავრობათა ჩუმი მხარდაჭერით განხორციელდა.** მიზეზთა შორის, რომელთა გამოც **ადოლფ ჰიტლერის** დროულად შეჩერება ვერ მოხერხდა, კომუნისტური მტრის არსებობა იყო. ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ჰიტლერსა და **მუსოლინის** ნება დართეს, დაებომბათ ესპანეთის ოპოზიცია.

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ჰიტლერმა რუსეთის წინააღმდეგ განახორციელა მასირებული შეტევა 1941, 1942 და 1943 წლებში, და ცოტა დააკლდა რუსული კომუნიზმის გასანადგურებლად.

**მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა რაოდენობა რუსეთში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ამ ომის მონაწილე ნებისმიერ სხვა სახელმწიფოში: დაიღუპა 15 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე, 7 მილიონი ჯარისკაცი; 14 მილიონი დაიჭრა.** რუსი ისტორიკოსები მოგვიანებით ამტკიცებდნენ, რომ, მიუხედავად მოსკოვის დაჟინებული თხოვნისა შეერთებული შტატების მიმართ, რომელმაც ევროპასა და აზიაში ომის დროს 300 000 ჯარისკაცი დაკარგა, აშშ და დიდი ბრიტანეთი შეგნებულად აჭიანურებდნენ დასავლეთში მეორე ანტიჰიტლერული ფრონტის გახსნას, რასაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ვერმახტის ძალების საგრძნობი ნაწილის დასავლეთში გადაჯგუფება და საბჭოთა კავშირზე შეტევის შესუსტება. მხოლოდ სტალინგრადის ბრძოლამ შეცვალა მოვლენათა მდინარება, წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანიის ჯარები და დაიძრა დასავლეთისკენ... **მხოლოდ 1944 წელს გაიხსნა მეორე ფრონტი, მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა ჯარი ნორმანდიაში გადასხეს და შეხვდნენ საბჭოთა ჯარებს ბერლინში** (მკითხველს ვთხოვ, ყურადღება მიაქციოს ავტორის მიერ დაშვებულ ისტორიულ შეცდომას. საბჭოთა ჯარები მოკავშირეებს ბერლინში კი არ შეხვდნენ, არამედ მდინარე ელბაზე. ბერლინი საბჭოთა ჯარებმა გაათავისუფლეს. ასეთი იყო უმაღლესი მთავარსარდლის — იოსებ სტალინის ბრძანება, რომელიც მარშალმა ჟუკოვმა ზუსტად შეასრულა. მოკავშირეები გერმანიის დედაქალაქს არც მიახლოებიან. ეს არ არის წიგნის ავტორის უნებლიე შეცდომა, იგი, როგორც ჩანს, ან სრულად იზიარებს, ან მოქცეულია ამერიკული პროპაგანდის გავლენის ქვეშ, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ფაშიზმზე გამარჯვება მთლიანად მოკავშირეების დამსახურებაა და ამ გამარჯვებაში უპირველესი და გადამწყვეტი როლი აშშ-მა შეასრულა — მთარგმნელი).

ბრიტანელი ისტორიკოსები აღიარებენ იმ ინტრიგების რეალობას, რომლებმაც ჩამოაყალიბა მათი ქვეყანა და სხვა ქვეყნები. „უახლეს ისტორიაში ინგლისი დივერსიული საქმიანობის ცენტრი იყო. ეს იცოდა ყველამ, მაგრამ არა თვით ბრიტანელებმა, — აღნიშნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანელმა ისტორიკოსმა **მაკკენზიმ**, — ასე შეიქმნა უცნაური, გაორებული სურათი: გარე სამყაროსთვის ინგლისი იყო ინტრიგების, გაიძვერობისა და აბსოლუტური საიდუმლოების სახელმწიფო; ინგლისში კი ეჩვენებოდათ, რომ ამ ქვეყნის სტრატეგია მსუბუქი ბლეფია, უბრალოა და კეთილი ნებით არის ნაკარნახევი". მაკკენზი ადასტურებს, რომ ბრიტანეთის ლეგენდარული საიდუმლო ომი აბრუნებს ქვეყანას „მცირე ომების" ისტორიაში, რომელთა შედეგადაც შეიქმნა ბრიტანეთის იმპერიის ტერიტორია". მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სტრატეგებმა დაასკვნეს, რომ მათი საიდუმლო ოპერაციები „უნდა ემყარებოდეს ინდოეთში, ერაყში, ირლანდიასა და რუსეთში მიღებულ გამოცდილებას, ანუ დივერსიულ ტაქტიკას, რომელიც ირლანდიის რესპუბლიკური არმიის (ირა) ტაქტიკასთან იქნება შერწყმული".

**1938 წლის მარტში, ჰიტლერის მიერ ავსტრიის ანექსიის შემდეგ, „მი-6"-ში შეიქმნა ახალი დეპარტამენტი, რომელიც D განყოფილების სახელწოდებითაა ცნობილი. მას უნდა ეწარმოებინა დივერსიული საქმიანობა ევროპის ტერიტორიაზე.** D განყოფილებამ საიდუმლო ქვედანაყოფები შექმნა იმ ქვეყნებში, რომლებსაც გერმანიის ჯარების შეჭრა ემუქრებოდა. 1940 წელს, როცა გერმანიის ჯარების ინგლისის სამხრეთში შეჭრა გარდაუვალი ჩანდა, D განყოფილებამ დაიწყო შეიარაღების რეზერვების ფორმირება და აგენტების გადაბირება დიდი ბრიტანეთის მთელ ტერიტორიაზე ისე, რომ ხელისუფლება საქმის კურსში არ ჩაუყენებია. დიდი ბრიტანეთის „მი-6"-ის შიგა საიდუმლო სამსახურები ფრიად შეშფოთდნენ, როცა დაიწყეს D განყოფილების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მიღება და, როცა მათი რამდენიმე აგენტი დააპატიმრეს ჯაშუშობის ბრალდებით. მოგვიანებით გაირკვა სიმართლე".

მტრის ზურგში სამუშაოდ გათვალისწინებული აგენტების შერჩევა და მათთან მუშაობის ორგანიზება ნებისმიერი დამკვირვებლისთვის ფრიად საიდუმლო და დაფარული იყო: „ამ უცნობების (D განყოფილების აგენტების) გამოჩენა, რომლებიც მკაცრი სტილის უნიფორმაში იყვნენ გამოწყობილი და შიშის მომგვრელი ლიმუზინებით გადაადგილდებოდნენ, აგრეთვე, საიდუმლოებით გაჟღენთილი გარემო აშფოთებდა ადგილობრივ მოსახლეობას", — იხსენებს სპეციალური ოპერაციების სამმართველოს საიდუმლო აგენტი **პიტერ უილკინსონი**. საიმდუმლო აგენტების წინააღმდეგ „აღშფოთებას ვერ მალავდნენ სამხედრო სარდლობას დამორჩილებული წარმომადგენლები, რადგან ისინი (აგენტები) უარს ამბობდნენ, ეპასუხათ, რა საქმიანობას ეწევიან, რასაც ამართლებდნენ „სრული საიდუმლოებით". ნახევარი საუკუნის შემდეგ ლონდონის იმპერიული სამხედრო მუზეუმის მიერ მოწყობილმა გამოფენამ სახელწოდებით — „საიდუმლო ომები", საზოგადოებას დაანახვა, როგორ ქმნიდნენ ინგლისში წინააღმდეგობის ძალების საიდუმლო არმიებს „დამხმარე ქვედანაყოფების" სახელწოდებით.

ეს ქვედანაყოფები აღჭურვილი იყო იარაღითა და ასაფეთქებელი საშუალებებით. **ბრიტანეთის „გლადიოს" ეს პირველი რაზმები „სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ და მტრის ზურგში უნდა დარჩენილიყვნენ გერმანელების კუნძულზე შეჭრის შემთხვევაში, იმოქმედებდნენ სამალავებიდან, გამოიყენებდნენ იარაღს, რომელიც იატაკქვეშა საწყობებში ინახებოდა და განახორციელებდნენ დივერსიულ ოპერაციებს გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ", მაგრამ ვერავინ დაამტკიცებს, ამოქმედდებოდა თუ არა ეს გეგმა, რადგან მოსალოდნელი თავდასხმა არ განხორციელებულა.**

1940 წლის აგვისტოსთვის ჩრდილოეთის ზღვის ინგლისისა და შოტლანდიის სანაპიროების გასწვრივ შეიქმნა, „საკმაოდ უწესრიგო ორგანიზაცია", რომელსაც უნდა დაეცვა დესანტის გადმოსხმის სავარაუდო ადგილები.

D განყოფილებას საიდუმლო სამხედრო ოპერაციების წარმოება მხოლოდ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შეეძლო. ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **უინსტონ ჩერჩილმა** გასცა ბრძანება **საიდუმლო ქვედანაყოფების** შექმნის შესახებ სახელწოდებით **„სპეციალური ოპერაციების სამმართველო"** (სოს), რომლის მიზანი იყო, „დახმარება გაეწია ევროპისთვის მტრის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე წინააღმდეგობის მოძრაობის ორგანიზებისა და დივერსიების მოსაწყობად". პრემიერმინისტრის 1940 წლის 19 ივლისის მემორანდუმში ეწერა: „შესაბამის სამინისტროებთან კონსულტაციის შემდეგ პრემიერმინისტრმა დაადგინა, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ახალი ორგანიზაცია გარეშე მტრის წინააღმდეგ დივერსიებისა და საბოტაჟის მოწყობის კოორდინაციის მიზნით. სოს დაექვემდებარა სამხედრო-ეკონომიკურ სამინისტროს, რომელსაც სათავეში **ჰიუ დალტონი** ედგა.

მას შემდეგ, რაც გერმანიის ჯარებმა ხელთ იგდეს საფრანგეთი, ყველას მიაჩნდა, რომ ჰიტლერელებს უკვე ვერაფერი შეაჩერებდა. აქედან გამომდინარე, მინისტრმა დალტონმა მოითხოვა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებულიყო საიდუმლო სამხედრო ოპერაცია: „მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა შევქმნათ წინააღმდეგობის მოძრაობა, მსგავსი ირლანდიური „შინ ფეინისა" („ჩვენ თვითონ"), ასევე, ამჟამად იაპონიის წინააღმდეგ მოქმედი პარტიზანების ან ესპანელი მოხალისეებისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ველინგტონის კამპანიაში, ან მსგავსი იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც თვით ნაცისტებმა შექმნეს მსოფლიოს ქვეყნებში. დალტონმა ხაზგასმით აღნიშნა: „საერთაშორისო დემოკრატიამ" უნდა გა-

▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1936 წლის ივლისში ფაშისტმა დიქტატორმა ფრანკომ მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება ესპანეთის მემარცხენე მთავრობის წინააღმდეგ და სამოქალაქო ომში, რომელიც მას (გადატრიალებას) მოჰყვა, დაამარცხა ოპოზიცია. ეს ყველაფერი ლონდონის, ვაშინგტონისა და პარიზის მთავრობათა ჩუმი მხარდაჭერით განხორციელდა. მიზეზთა შორის, რომელთა გამოც ადოლფ ჰიტლერის დროულად შეჩერება ვერ მოხერხდა, კომუნისტური მტრის არსებობა იყო. ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ჰიტლერსა და მუსოლინის ნება დართეს, დაებომბათ ესპანეთის ოპოზიცია.**

◀ მოიყენოს ბევრი მეთოდი, სამრეწველო და სამხედრო საბოტაჟის, შრომითი აგიტაციისა და გაფიცვების, მუდმივი პროპაგანდის, გერმანელი ლიდერების წინააღმდეგ ტერაქტების, ბოიკოტებისა და არეულობის მოწყობის ჩათვლით“. სამხედრო წინააღმდეგობა უნდა ჩამოყალიბებულიყო ბრიტანეთის სამხედრო-სადაზვერვო ორგანიზაციის გულადი ბიჭების დახმარებით: „ეს იქნება ახალი ორგანიზაცია დათრგუნვილი ქვეყნების მოქალაქეთა გასამხნევებლად, მათი კოორდინაციის მიზნით და მათთვის დახმარების აღმოსაჩენად... საჭიროა აბსოლუტური გასაიდუმლოება, ფანატიკური ენთუზიაზმი, განსხვავებული ეროვნების ადამიანებთან მუშაობის სურვილი, სრული პოლიტიკური სანდოობა“.

მინისტრმა დალტონმა სპეცოპერაციების სამმართველოს ხელმძღვანელობა ანდო გენერალ-მაიორს, სერ **კოლინ გაბინსს**, ჩია მთიელ კაცს, რომელიც შემდგომ გავლენიანი ადამიანი გახდა. სწორედ მან შექმნა ბრიტანული „გლადიო“. „შემუშავდა გეგმა, თუ როგორ შეიძლებოდა დავხმარებოდით ოკუპირებული ქვეყნების ხალხებს, ძალა გამოეცალათ გერმანიისთვის ნებისმიერი ხერხის გამოყენებით — დივერსიების, „პასიური წინააღმდეგობის“, უეცარი თავდასხმების ჩათვლით, — ასე აღწერდა გაბინსი სოს-ის ამოცანებს, — ამასთან ერთად, ამ ორგანიზაციას ევალებოდა ისეთი ქვედანაყოფების შექმნა, რომელთა წევრები ორგანიზებული, გაწვრთნილი და შეიარაღებული იქნებოდნენ საბრძოლო ქმედების დამამთავრებელ ფაზაში ჩასართავად. სოს-ი შეიქმნა, როგორც „გლადიოს“ ასლი, მეორე მსოფლიო ომის გახურებული ბრძოლების პერიოდში. „უფრო მარტივად რომ ვთქვათ, გეგმა ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დიდი ოდენობით პერსონალის შეღწევას, იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების შეტანას“, — განაზოგადა გაბინსმა ამბიციური გეგმა.

სოს-ში D განყოფილების ბევრი თანამშრომელი მუშაობდა და, ბოლოს და ბოლოს, ეს სამმართველო წამყვან დამოუკიდებელ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, რომელშიც 13 ათასი თანამშრომელი იყო გაერთიანებული. გლობალური მასშტაბით იგი „მი-6“-თან თანამშრომლობდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ოპერაციებს აზიასა და შორეულ აღმოსავლეთში აწარმოებდა, დასავლეთ ევროპა მისი საქმიანობის მთავარ ასპარეზად რჩებოდა, უმეტესი ძალისხმევა კონცენტრირებული ჰქონდა ეროვნული საიდუმლო არმიის შექმნაზე. იგი აწყობდა საბოტაჟებისა და დივერსიის აქტებს მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ქმნიდა ორგანიზაციის ბირთვს, რომელშიც აერთიანებდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების უნარის მქონე გაწვრთნილ მებრძოლებს.

„სპეციალური ოპერაციების სამმართველო ხუთი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა ევროპაში ბრიტანეთის საშინაო პოლიტიკის გატარების ძირითად საშუალებად, — აღნიშნული იყო ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტის სამდივნოს მოხსენებაში, — უაღრესად მნიშვნელოვან იარაღად“, იმიტომ, რომ მას შეეძლო მრავალი განსხვავებული ამოცანის შესრულება. და, ამრიგად „სანამ სოს-ი განაგრძობდა მუშაობას, ვერც ერთი ევროპელი პოლიტიკოსი ვერც იფიქრებდა, რომ ინგლისელები დაინტერესებულები არ არიან ან დაიხოცნენ“.

ოფიციალურად სპეციალური ოპერაციების სამმართველო გააუქმეს 1946 წლის იანვარში და სამმართველოს უფროსი **კაბინსი** გადადგა, მაგრამ სერ **სტიუარტ მენზისი**, რომელიც „მი-6“-ს სათავეში ედგა 1939-დან 1952 წლამდე, არ აპირებდა, შელეოდა ისეთ ღირებულ იარაღს, როგორიც საიდუმლო არმიები იყო: **დიდი ბრიტანეთის მონაწილეობა დივერსიულ ოპერაციებში „ცივი ომის“ პერიოდშიც გრძელდებოდა. უფრო ადრე საიდუმლო კაბინეტის ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ, „დიდი ალბათობით, სოსი რაიმე ფორმით შექმნილი უნდა იყოს ნებისმიერი სხვა ომის დროს“.** 1945 წლის 4 ოქტომბერს ბრიტანეთის შტაბების უფროსებმა წინასწარ განუსაზღვრეს სოს-სა და მის მიმდევარ „მი-6“-ს სპეცოპერაციების ხანგრძლივი დროის ამოცანები. ებრძანა, რომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეექმნათ ქსელის ძირითადი სტრუქტურა, რომელიც შეძლებდა სწრაფად გაფართოებულიყო ომის დაწყების შემთხვევაში და, ამასთანავე, უზრუნველეყო საზღვარგარეთ ბრიტანეთის მთავრობის საიდუმლო ქსელების ოპერატიული მოთხოვნების შესრულება. „ქსელის შექმნის პრიორიტეტი ეძლეოდა ქვეყნებს, რომლებიც საბჭოთა კავშირთან კონფლიქტის ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდნენ და ჯერ არ იყვნენ საბჭოთა გავლენის ქვეშ“. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთ ევროპა ბრიტანეთის სპეცსამსახურების საიდუმლო ომების ცენტრალურ თეატრალად დარჩა.

მას შემდეგ, რაც სოს-მა არსებობა შეწყვიტა, „მი-6“-ის სტრუქტურაში შეიქმნა სპეცოპერაციების ახალი განყოფილება გენერალ-მაიორ **კოლინ გაბინსის** ხელმძღვანელობით. სპეცსამსახურების საქმიანობის საკითხებში ჰოლანდიელი სპეციალისტის **ფრანს კლიუიტერის** აზრით, „მი-6“ აქტიურად ირჯებოდა ანტიკომუნისტური საიდუმლო არმიების შესაქმნელად. ასეთი ქსელები შეიქმნა დასავლეთ გერმანიაში, იტალიასა და ავსტრიაში. გაბინსის ინფორმაციით, **1945 წლის შემდეგაც სოს-ის პერსონალი დარჩა სხვა ქვეყნებში, მათ შორის, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიაში, საბერძნეთსა**

**სპეციალური ავიასადესანტო სამსახური და ამერიკელი «მწვანე ბერეტები», რომლებიც გაწვრთნილი იყვნენ საიდუმლო მისიების განსახორციელებლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე, «ცივი ომის» პერიოდში ხშირად გვევლინებოდნენ ერთი მიზნისთვის მებრძოლი ძალის ორ შემადგენელ ნაწილად, სხვა საიდუმლო ოპერაციების განხორციელების პარალელურად ილვწოდნენ საიდუმლო არმიების შესაქმნელად. საზღვაო ქვეითების ყოფილი ოფიცრები — ჯაილსი და პრესტონი, რომლებიც ავსტრიაში «გლადიოს» სისტემას ქმნიდნენ, ადასტურებენ, რომ არმიაში გაწვეულ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ ძველ, ნაპოლეონისდროინდელ ფორტ «მონქტონში», სადაც «მი-6» წვრთნიდა თავის აგენტებს ბრიტანეთის სპეციალურ ავიასადესანტო სამსახურთან ერთად**




**და თურქეთში. ამ ორგანიზაციასა და მის მიმდევრებს, „ფაშისტური გერმანიის დამარცხების გარდა, ჰქონდათ სხვა პოლიტიკური ინტერესებიც“. 1945 წლის დირექტივა „აშკარად მიუთითებდა, რომ სოსის მთავარი მტერი იყო კომუნიზმი და საბჭოთა კავშირი“, რადგან ევროპაში ბრიტანეთის ინტერესებს „ემუქრებოდა საბჭოთა კავშირი და ევროპული კომუნიზმი“.** რამდენიმე წლის შემდეგ, კერძოდ, 1948 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ერნესტ ბევინმა** მოუწოდა ბრიტანეთის პარლამენტს სპეციალიზებული შეიარაღებული ფორმირებების შექმნისკენ, რომლებსაც გამოიყენებდნენ საბჭოთა „მეხუთე კოლონის“ ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ. პარლამენტარებმა იმ დროს უკვე იცოდნენ, რომ ეს წინადადება რეალიზაციის სტადიაში იყო.

რადგან ვაშინგტონსაც და ლონდონსაც ორივეს ერთი მტერი ჰყავდა, ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობა ძალიან ინტენსიური იყო. თეთრი სახლის ბრძანებით, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ფრენკ ვიზნერი** დასავლეთ ევროპაში ქმნიდა საიდუმლო არმიების ქსელს და თავისი ოპერაციების განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობდა „მი-6“-თან არსებული სპეციალური ოპერაციების განყოფილების პოლკოვნიკ გაბინსთან. საფრანგეთის სპეცსამსახურების თანამშრომლების — **როჯერ ფლიგოტისა** და **რემ კაუფერის** ინფორმაციით, ცსს-მ და „მი-6“-მა პირველი ნაბიჯი გადადგეს გერმანიის, ავსტრიისა და ჩრდილოეთ იტალიის ღერძის საიდუმლო ნაწილების ლიკვიდაციით და ამის შემდეგ დაიწყეს დამარცხებული ფაშისტური გერმანიის ჯარისკაცების გადაბირება ახალ საიდუმლო ანტიკომუნისტურ არმიაში. „და მართლაც, ომში გამარჯვებული დემოკრატიული ქვეყნების საიდუმლო სამსახურები ცსს-სა და საიდუმლო დაზვერვის სამსახურის სპეციალური ოპერაციების სამმართველოს (SIS) კოორდინაციით, ცდილობდნენ, ორიენტაცია შეეცვალათ ზოგიერთი „კომანდოსისთვის“ მათი ყოფილი მოკავშირის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

**სპეციალური ავიასადესანტო სამსახური და ამერიკელი „მწვანე ბერეტები“, რომლებიც გაწვრთნილი იყვნენ საიდუმლო მისიების განსახორციელებლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე, „ცივი ომის“ პერიოდში ხშირად გვევლინებოდნენ ერთი მიზნისთვის მებრძოლი ძალის ორ შემადგენელ ნაწილად, სხვა საიდუმლო ოპერაციების განხორციელების პარალელურად ილვწოდნენ საიდუმლო არმიების შესაქმნელად. საზღვაო ქვეითების ყოფილი ოფიცრები — ჯაილსი და პრესტონი, რომლებიც ავსტრიაში „გლადიოს“ სისტემას ქმნიდნენ, ადასტურებენ, რომ არმიაში გაწვეულ ახალგაზრდებს აგზავნიდნენ ძველ, ნაპოლეონისდროინდელ ფორტ „მონქტონში“, სადაც „მი-6“ წვრთნიდა თავის აგენტებს ბრიტანეთის სპეციალურ ავიასადესანტო სამსახურთან ერთად.** ამ უკანასკნელის მიერ მომზადებულ აგენტებს შორის იყო **დეტიმო გარაუ** — „გლადიოს“ იტალიური ბაზის ინსტრუქტორი. „ვიყავი ინგლისის ქალაქ პულში. მივიღე სპეცდანიშნულების ჯარებიდან მიწვევა. ერთი კვირის განმავლობაში მათთან გავიარე მომზადების რამდენიმე სახეობა, — დაადასტურა ინსტრუქტორმა გარაუმ „გლადიოს“ მხილების შემდეგ 1990 წელს. — ვივარჯიშე მათთან ერთად და ვიპოვე მათთან საერთო ენა. შემდეგ ჩავედი ჰერეფორდში, რათა დამეგეგმა და ჩამეტარებინა საწვრთნელი მეცადინეობები სპეციალურ საავიაციო სამსახურთან ერთად“.

ინგლისელები იმხანად ყველაზე გამოცდილები იყვნენ დივერსიებისა და არასტანდარტული საომარი ოპერაციების მოწყობის საქმეში. სპეცდანიშნულების მათი ძალები შექმნილი იყო მეორე მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, ჩრდილოეთ აფრიკაში მტრის ზურგში ღრმად შეჭრის მიზნით. ბრიტანეთის სპეცდანიშნულების ძალების ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე იყვნენ გერმანიის ეს-ეს-ის ჯარები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომამდე შეიქმნა და რომლებსაც **ჰიმლერი** ედგა სათავეში. როგორც ყველა სპეცდანიშნულების ჯარები, გერმანული ეს-ესი ელიტური საბრძოლო გაერთიანება იყო, და რეგულარულ არმიაზე უპირატესი მდგომარეობით გამოირჩეოდა. ამასთანავე, ეს-ესელები „ფანატიკური მკვლელების“ სახელით იყვნენ ცნობილი. მეორე მსოფლიო ომში ნაცისტების დამარცხების შემდეგ, 1946 წლის ნიურნბერგის ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, ეს-ესი დანაშაულებრივ ორგანიზაციად გამოცხადდა და აიკრძალა.

**1945 წელს გაუქმდა ბრიტანეთის სპეციალური დანიშნულების ძალებიც — CAC-ი. მაგრამ ბრიტანეთის იმპერიის დაცემის გამო საჭირო გახდა საიდუმლო დივერსიული, ზოგჯერ უაზრო ოპერაციების განხორციელება, კვლავ აღდგა ეს ორგანიზაცია და 1947 წელს უკვე იბრძოდა მტრის ზურგში მალაიზიაში. ინგლისის ჰერეფორდში განლაგებული მათი შტაბ-ბინიდან განხორციელებული მრავალრიცხოვანი ოპერაციები ფართოდ არ გახმაურებულა. მათ შორისაა 1958 წლის ოპერაცია ომანში — დიდი ბრიტანეთის სატელიტ ქვეყანაში. CAC-ის ნაწილებმა, რომლებიც დიქტატორ სულთანს ეხმარებოდნენ, გაანადგურეს მემარცხენე პარტიზანები.**

CAC-ის ოპერაციათა შორის ყველაზე უფრო გასაიდუმლოებული 1980 წელს განხორციელდა. ეს იყო ლონდონში ირანის საელჩოს შტურმი, ამაზე უფრო იდუმალი კი — 1982 წელს ფოლკლენდის ომის დროს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი ძალები მობილიზებული იყო ყურეში 1982 წელს, როცა მათ (ამ ძალებმა) ამერიკელ „მწვანე ბერეტებთან“ ერთად ფარულად გაწვრთნეს და აღჭურვეს კოსოვოს გამათავისუფლებელი არმია ნატოს ძალების მიერ სერბეთის პროვინციის დაბომბვის წინ და დაბომბვის დროს.

ბრიტანეთის პარლამენტის წევრმა, კონსერვატორმა **ნაიჯელ ვესტმა** მართებულად აღნიშნა, რომ, როგორც „მწვანე ბერეტები“ აშშ-ში, „ბრიტანეთის CAC შეძლებდა ოპერაცია „გლადიოში“ სტრატეგიული როლის შესრულებას საბჭოთა ჯარების მიერ დასავლეთ ევროპის ოკუპაციის შემთხვევაში. **ორი სახელმწიფოს ორივე სამხედრო ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობდა ერთმანეთთან. ამ თანამშრომლობის ნიშნად ამერიკის სპეციალური დანიშნულების ძალების წევრები არაოფიციალურად იხურავდნენ განმასხვავებელ მწვანე ბერეტებს, რათა გარეგნულად მაინც დამსგავსებოდნენ თავიანთ CAC-ელ კერპებს.** ეს „უცხოური თავსაბურველი“ არ მოსწონდა აშშ-ის არმიის ბევრ უფროს ოფიცერს და მხოლოდ **კენედიმ** თავისი პრეზიდენტობისას ოფიციალურად დააწესა ეს ბერეტები, როგორც სპეციალური დანიშნულების ძალების უნიფორმის შემადგენელი ნაწილი.

ამ თანამშრომლობას ბრიტანელებიც ყურადღებით ეკიდებოდნენ და საპასუხო პატივისცემის გამოსახატად 1962 წელს „მწვანე ბერეტების“ მეთაური, სახმელეთო ჯარების ოფიცერი, გენერალ-მაიორი **უილიამ იარბორო** CAC-ის საპატიო წევრად აირჩიეს.

გაგრძელება იქნება



ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჯუნგლის ბავშვების“ ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნება დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე — წლოვანებაზე, იზოლაციაში მოხვედრის დროზე; იმაზეც, როდის დააღწია თავი ამ მდგომარეობას; გენეტიკურ ფაქტორზე; ადგილზე — სად იზრდებოდა; მის ჯანმრთელობაზე და სხვ. კერძოდ, სოციალიზაცია შესაძლებელია, თუ ბავშვის წლოვანება არ აღემატება 6-7 წელს. ფსიქოლინგვისტიკაში ეს წლოვანება, ენის ათვისების თვალსაზრისით, კრიტიკულად ითვლება.**

# «ჯუნგლის ბავშვები»

**„ჯუნგლის ბავშვები“, „ბავშვები-მაუგლი“, „ველური ბავშვები“ — ასე მოიხსენიებენ იმ ბავშვებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზისა და მდგომარეობის გამო საზოგადოებაში, ადამიანთა შორის, ცხოვრების უფლება წაერთვათ.**

არსებობს მოსაზრება, რომ „ჯუნგლის ბავშვებს“ პრაქტიკულად არ აქვთ შანსი, გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, თუმცა ლიტერატურაში მოიპოვება მაგალითები, როგორ ახერხებდნენ ეს ბავშვები ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებას. რადგან მათ თავიდანვე არ უცხოვრიათ სოციუმში, არ ჰქონიათ სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილება, სხვა ადამიანების მხრიდან არ უგრძნიათ მზრუნველობა და სიყვარული, ისინი მეტყველების დეპრივაციის პირობებში აღმოჩნდნენ. მეტყველების დეპრივაციისას კი სოციალიზაცია და ადაპტაცია მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი.

„ჯუნგლის ბავშვების“ ნორმალურ ცხოვრებაში დაბრუნება დამოკიდებულია მრავალ სხვადასხვა ფაქტორზე — წლოვანებაზე, იზოლაციაში მოხვედრის დროზე; იმაზეც, როდის დააღწია თავი ამ მდგომარეობას; გენეტიკურ ფაქტორზე; ადგილზე — სად იზრდებოდა; მის ჯანმრთელობაზე და სხვ. კერძოდ, სოციალიზაცია შესაძლებელია, თუ ბავშვის წლოვანება არ აღემატება 6-7 წელს. ფსიქოლინგვისტიკაში ეს წლოვანება, ენის ათვისების თვალსაზრისით, კრიტიკულად ითვლება.

ფოტოგრაფმა ჯულია **ფულერტონ-ბარტენმა** შექმნა ფოტოპროექტი „ცხოველების ბავშვები“. მან მსოფლიოს მასშტაბით შეაგროვა ისტორიები ამ უცნაურ ბავშვებზე, რომლებიც სოციუმის გარეთ აღიზარდნენ. ეს ფოტოები ერთდროულად ამაღელვებელიცაა და შემაძრწუნებელიც. თუმცა შესრულებულია ზღაპრულ სტილში, სინამდვილეში ცხოვრების საშინელ რეალობას ასახავს.

„არსებობს ორი განსხვავებული სცენარი: ბავშვი, შესაძლოა, შემთხვევით აღმოჩნდა ტყეში ან ცხოვრობს სახლში, მაგრამ ისეთი ძალადობისა და ჩაგვრის პირობებში, რომ ცხოველთა გარემოცვაში უკეთ გრძნობს თავს ვიდრე ადამიანებს შორის“, — ყვება ფოტოგრაფი BBC Culture-სთან ინტერვიუში.



## ჯონ სებუნია, უგანდა, 1991 წელი

**პროექტზე მუშაობისას ფოტოგრაფმა კონსულტაციისთვის მიმართა ბრიტანელ ანტროპოლოგსა და ფერალურ ბავშვებზე სატელევიზიო გადაცემის წამყვანს — მერი-ენ ოჩოტს, რომელიც ნამყოფი იყო უკრაინაში, ფიჯიზე და უგანდაში, სადაც შეხვდა ასეთ ბავშვებს.** მან ბევრი სასარგებლო რჩევა მისცა ფოტოგრაფს. „მეც შევეცადე, რაც შეიძლება რეალობასთან მიახლოებული ფოტოები შემექმნა“, — ამბობს ფოტოგრაფი.

ეს ფოტო ჯონ სებუნიას ცხოვრებას ასახავს. ჯონი შინიდან გაიქცა 1988 წელს, როცა შემთხვევით შეესწრო საზარელ ფაქტს — როგორ მოკლა მამამისმა დედამისი. ჯონი ცხოვრობდა ჯუნგლებში მაიმუნებთან. ის 1991 წელს დაიჭირეს, როცა 6 წლისა იყო და ბავშვთა თავშესაფარში მიაბარეს. ბიჭს მუხლები დაკოჟრილი ჰქონდა, რადგან მაიმუნივით დადიოდა.

საბედნიეროდ, ბიჭმა ისწავლა ლაპარაკი და ბავშვთა გუნდშიც კი მღეროდა.



## ოქსანა მალაია, უკრაინა, 1991 წელი

**ამ ფოტოზე უკრაინელი გოგონა ოქსანა მალაიაა აღბეჭდილი. ის 1991 წელს იპოვეს ძაღლებთან.** 8 წლის გოგონამ 6 წელი ამ ოთხფეხა მეგობრებთან ერთად იცხოვრა, მას შემდეგ, რაც ლოთმა მშობლებმა შინიდან გამოაგდეს. სითბოს ძებნაში მიადგა საძაღლეს, რომელშიც ორმა ძაღლმა „შეიფარა“, ზამთრის ყინვებში მათთან ჩახუტებულს ეძინა და ასე გადაურჩა გაყინვასა და სიკვდილს.

როცა გოგონა იპოვეს, ის ოთხზე დარბოდა, სუნთქავდა ენაგადმოგდებული, კრეჭდა კბილებს, იღრინებოდა და ყეფდა; ადამიანურად ვერ მეტყველებდა, იცოდა მხოლოდ ორი სიტყვა „კი“ და „არა“. ახლა ოქსანა 30 წლისაა და ოდესის ერთ-ერთ კლინიკაში ცხოვრობს. თითქოს ბედის ირონიაა ის, რომ ოქსანა იქ შინაურ ცხოველებს უვლის.



## მარინა ჩაპმანი, კოლუმბია, 1959 წელი

**ჯულიას პროექტის შექმნა შთააგონა წიგნმა „გოგონა სახელის გარეშე“, რომელშიც მოთხრობილია კოლუმბიელი ქალის — მარინა ჩაპმანის შესახებ. „მარინა სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი შორეული სოფლიდან მოიტაცეს 1954 წელს, როცა 5 წლისა იყო, და დატივეს ჯუნგლებში, — ყვება პროექტის ავტორი, — 5 წელიწადი მან მაიმუნ-კაპუცინების ოჯახთან ერთად იცხოვრა, სანამ მონადირეებმა არ იპოვეს“.**

გოგონა იკვებებოდა სხვადასხვა ხილით, კენკრით... ბანანებით, რომლებიც მაიმუნების „ტრაპეზის“ შემდეგ რჩებოდა. ხის ფუღუროებში ეძინა და ოთხზე დადიოდა, როგორც მაიმუნი. მაიმუნები მას არ კვებავდნენ (როგორც ზღაპარშია). გოგონას თვითონ უნდა ესწავლა ბრძოლა არსებობისთვის.

ფიზიკური მოქნილობა და გონებრივი შესაძლებლობები დაეხმარა მარინას ამის გაკეთებაში. ის მაიმუნებს ბაძავდა საქციელით, რის გამოც პრიმატებიც მიეჩვივნენ მას და ისევე უქექავდნენ გოგონას კეფაზე თმას, როგორც ერთმანეთს.

ახლა მარინა ჩეპმანი იორკშირში ცხოვრობს ქმართან და ორ ქალიშვილთან ერთად.



## მადინა, რუსეთი, 2013 წელი

**„ამ უცნაურ და ველურ ბავშვებს ხშირად მალავენ, რადგან ოჯახსა თუ საზოგადოებას რცხვენია მათი გამოჩენა“, — წერს მერი-ენი თავის საიტზე, — ბავშვები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. ხშირ შემთხვევებში ამის მიზეზი რამდენიმე ფაქტორის ტრაგიკული კომბინაციაა, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, ძალადობა ოჯახში და სიღარიბე ერთად“.**

როგორც ჯულია ფულერტონ-ბატენი ყვება, „მადინა ძაღლებთან დაბადებიდან ცხოვრობდა, მათთან ერთად ჭამდა, თამაშობდა და იძინებდა. როდესაც სოციალურმა მუშაკებმა 3 წლის გოგონა იპოვეს, ის შიშველი იყო, ოთხზე დადიოდა და ძაღლივით იღრინებოდა“. „მადინას მამამ ქალიშვილის დაბადებიდან მალევე დატოვა ოჯახი, 23 წლის დედამ კი სმა დაიწყო. ის ხშირად იყო მთვრალი და, ცხადია, შვილს ვერ უვლიდა. იმ დროს, როცა მისი შვილი ძვლებს ხრავდა ძაღლებთან ერთად, მას შეეძლო მშვიდად მჯდარიყო სუფრასთან და საჭმელი ეჭამა“, — ამბობს ფოტოგრაფი.

მადინა თავშესაფარში წაიყვანეს. ექიმების თქმით, მიუხედავად ყველაფრისა, გოგონა ჯანმრთელი იყო ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც.



## შამდეო, ინდოეთი, 1972 წელი

**„ეს ისტორიები სულაც არ ჰგავს ისტორიებს ტარზანზე, — ამბობს ფოტოგრაფი, — ბავშვებს ბრძოლა უწევდათ ცხოველებთან, რათა საკვები მოეპოვებინათ. მათ უნდა ესწავლათ ბრძოლა არსებობისთვის, რათა გადარჩენილიყვნენ. ამ ისტორიებმა შემძრეს და შემაშინეს“.** პროექტი „ფერალური ბავშვები“ (ამ მოვლენის ლათინური სახელწოდებაა Homo Ferus — „ბავშვი მაუგლი“) მოგვითხრობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის 15 ბავშვის ისტორიას, რომლებიც სხვადასხვა წლებში იზოლირებული იყვნენ ადამიანებისგან.

ამ ფოტოზე გამოსახულია **შამდეო** — ბიჭი, რომელიც იპოვეს ინდოეთის ჯუნგლებში 1972 წელს. ერთი შეხედვით, ის 4 წლისა ჩანდა. ბიჭი მგლის ლეკვებთან თამაშობდა. კანის შეფერილობა ძალიან მუქი ჰქონდა, კბილები — წვეტიანი; მუხლებზე, იდაყვებზე, ხელისა და ფეხის ტერფებზე — კოჟრები, ხოლო ფრჩხილები ბრჭყალებს მიუგავდა. ბიჭი ნადირობდა ქათმებზე, ჭამდა მიწას და შეეძლო ძაღლებთან ურთიერთობა. როდესაც ბავშვი დედა ტერეზას სარეაბილიტაციო ცენტრში წაიყვანეს, ვერ გადაეჩვია უმი ხორცის ჭამას.

შამდეო 1985 წელს გარდაიცვალა, ისე, რომ ვერ ისწავლა ლაპარაკი და მხოლოდ ჟესტების დახმარებით გამოხატავდა სათქმელს.

## სუჯით კუმარი, ფიჯი, 1978 წელი

**„სუჯიმი 8 წლისა იყო, როცა ქუჩაში იპოვეს. ბიჭი კაკანებდა და ხელებს ფრთებივით იქნევდა, ერთი სიტყვით, მამალს ბაძავდა, — ყვება კიდევ ერთ ისტორიას ფოტოგრაფი, — ის საჭმელს კენკავდა, სკამზე შესკუპდებოდა და ყიოდა, ლაპარაკი არ შეეძლო. ამის მიზეზი იყო ის, რომ მშობლებმა ბიჭი საქათმეში დაამწყვდიეს“.**

ეს ბიჭი ბავშვობაში მშობლებმა საქათმეში ჩაკეტეს. დედამ თავი მოიკლა, მამა მოკლეს. ბავშვზე პასუხისმგებლობა ბაბუამ დაიკისრა, მაგრამ ის, საერთოდ, არ უვლიდა შვილიშვილს. სუჯითი 8 წლის იყო, როდესაც გამვლელები შემთხვევით შეხვდნენ გზაზე. ბავშვის ქცევა მათ ძალიან უცნაური მოეჩვენათ. ბიჭი კრიახობდა, ქათამივით პირით მიწიდან იღებდა ნამცეცებს და ჭამდა, ხელების ქნევით ქათმის ფრთების იმიტაციას აკეთებდა. უცნაური ბიჭი თავშესაფარში გადაიყვანეს, მაგრამ იქაც ისე აგრესიულად იქცეოდა, რომ 20 წლის განმავლობაში მიბმული იყო საწოლზე.

ასეთი ბავშვების ნორმალურ ცხოვრებასთან ადაპტაცია ძალიან რთულია, იმაზე რთული, ვიდრე მათი იზოლაციის წლები იყო. „როცა მათ პოულობენ, ეს მათთვის დიდი შოკია. ისინი უკვე ადამიანებს ნაკლებად გვანან — მათ გადაიღეს ცხოველების მოქმედებები, მათი თითები თათებს დაემგვანა და კოვზის დაჭერაც არ შეუძლიათ. უცებ კი, ადამიანები მათგან მოითხოვენ სწორად ჯდომასა და ლაპარაკს“.

ახლა ბიჭი-ქათამი თითქმის 40 წლისაა და ვინმე ელისაბედ კლაიტონის ობოლ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობს მისივე მეთვალყურეობის ქვეშ, რომელმაც ის თავშესაფრიდან თავისი პასუხისმგებლობით გამოიყვანა.



სუჯითი 8 წლის იყო, როდესაც გამვლელები შემთხვევით შეხვდნენ გზაზე. ბავშვის ქცევა მათ ძალიან უცნაური მოეჩვენათ. ბიჭი კრიახობდა, ქათამივით პირით მიწიდან იღებდა ნამცეცებს და ჭამდა, ხელების ქნევით ქათმის ფრთების იმიტაციას აკეთებდა. უცნაური ბიჭი თავშესაფარში გადაიყვანეს, მაგრამ იქაც ისე აგრესიულად იქცეოდა, რომ 20 წლის განმავლობაში მიბმული იყო საწოლზე.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ივანე მიშუკოვი, რუსეთი, 1998 წელი

**ისტორიები, რომლებსაც ჯულია ფულერტონ-ბატენის ფოტოები მოგვითხრობს, დიდ ტკივილს გამოხატავს, მაგრამ მათში არის დადებითი მომენტიც — ეს არის თვითგადარჩენის ისტორიები.**

„ყველა ადამიანს სჭირდება სხვა ადამიანებთან კონტაქტი, მაგრამ ამ ბავშვების ცხოვრება გადარჩენისთვის ბრძოლაზეა კონცენტრირებული. შესაძლოა, მათთვის უფრო ადვილი იყო არსებობა, ვინც წლები ცხოველებთან გაატარა, ვიდრე მათთვის, ვინც განწირული იყო მარტოობისთვის“.

ივანე სახლიდან რომ გაიქცა, 4 წლისა იყო. ის საჭმლის ნარჩენებით კვებავდა ველურ ძაღლთა ხროვას და გახდა მათი ლიდერი. ბიჭმა 2 წელი ქუჩაში გაატარა, სანამ ბავშვთა სახლში არ მიყვანეს.

**მაიკლ ნიუტონი** თავის წიგნში „ველური გოგოები და მხეცი-ბიჭები. მაუგლი-ბავშვების ისტორიები“ წერდა, რომ „ძაღლებისადმი ივანის დამოკიდებულება უკეთესი იყო, ვიდრე ადამიანებისადმი. ის გამვლელებს საჭმელს თხოვდა და უნაწილებდა ძაღლებს. ისინი კი ზამთრის გრძელ და ცივ ღამეებში ათბობდნენ მას“.

ჯულია ფულერტონ-ბატენი თვლის, რომ სინამდვილეში ეს ველური ისტორიები ბევრ რამეს ჰფენს ნათელს ჩვენს ცივილიზებულ სამყაროში, რომ მტრობა ქალაქში, შესაძლოა, ჯუნგლებზე არანაკებია.

„ივანე გაიქცა და ეს იყო მისი არჩევანი — არ ეცხოვრა ოჯახთან ერთად. როგორი საშინელი უნდა ყოფილიყო ცხოვრება სახლში, ქუჩაში ძაღლებთან ყოფნა რომ გადაეწყვიტა. ამ პროექტის მიზანი არ ყოფილა ადამიანების გრძნობებზე თამაში, მაგრამ მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, თუ დღემდე რა საშინელებები ხდება. ამ პროექტის მონაწილე სამმა ბავშვმა საქველმოქმედო დახმარება მიიღო“.

# ალბინოსი ადამიანების გასაოცარი სილამაზე

**ალბინიზმი ეს არის კანის, თმისა და თვალის ფერადი გარსის პიგმენტაციის თანდაყოლილი უქონლობა. დაავადებას იწვევს პიგმენტ მელანინის სინთეზისთვის საჭირო ფერმენტ თიროზინაზას არარსებობა (ან ბლოკირება).**



ალბინიზმი მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებაა და გადადის რეცესიული გენით. სამედიცინო სტატისტიკის თანახმად, ალბინიზმის გენს ატარებს ყოველი 70 ადამიანიდან ერთი, ხოლო ყოველი 17 000 ბავშვიდან ერთი ალბინოსი იბადება. თიროზინაზას სინთეზზე პასუხისმგებელ გენებში შესაძლოა, განვითარდეს სხვადასხვა დარღვევა. სწორედ ამ დარღვევების ხასიათზეა დამოკიდებული ალბინოსებში პიგმენტის დეფიციტის ხარისხიც.

არის შემთხვევები, როდესაც თიროზინაზას სინთეზი ნორმაშია. მეცნიერების აზრით, ამ შემთხვევაში ხდება იმ გენების მუტაცია, რომელიც არეგულირებს მელანინისთვის საჭირო სხვა ენზიმის გამომუშავებას. ალბინიზმით დაავადებულ ადამიანებს აქვთ არაბუნებრივად თეთრი კანი, თეთრი (ან ქერა) თმა და წითელი თვალები.



განარჩევენ ალბინიზმის შემდეგ სახეებს:

**ტოტალური** (თვალ-კანის ალბინიზმი) — კლინიკურად ვლინდება კანის, თმისა და თვალის ფერადი გარსის ტოტალური დეპიგმენტაციით ბავშვის დაბადებისთანავე. მას თან ახლავს მომეტებული მგრძნობელობა მზის სხივებისადმი (დამწვრობა მზისგან, ფოტოფობია). დამახასიათებელია კანის სიმშრალე, დარღვეულია ოფლის გამოყოფა. შეიძლება იყოს იმუნოდეფიციტი, განვითარების სხვადასხვა ანომალია.

**არასრული ალბინიზმი** (ალბინოიდიზმი) — ხასიათდება თიროზინაზას აქტივობის ნაწილობრივი დაქვეითებით. ამ დროს ადგილი აქვს პიგმენტაციის ხარისხის შემცირებას. ასაკთან ერთად პიგმენტაციის ხარისხი იმატებს. სხვა ორგანოების მხრივ დარღვევები არ შეინიშნება.

**კანის ალბინიზმი** (ნაწილობრივი) — დამახასიათებელია განსაზღვრული ლოკალიზაციის თანდაყოლილი დეპიგმენტირებული ლაქები, სადაც შეიძლება იყოს პიგმენტირებული კუნძულები მკვეთრი საზღვრებით. აქრომიულ უბნებში თმას არ აქვს პიგმენტი. თვალის მხრივ დარღვევები არ შეინიშნება, შეიძლება იყოს ფერადი გარსის ჰეტეროქრომია.

**თვალის ალბინიზმი** — კანისა და თმის ფერი ჩვეულებრივია, თვალის ფერად გარსში კი პიგმენტები არ არის და ძლიერ შუქზე ჩანს მოწითალო ფერის. ცვლილებები, შესაძლოა, მოხდეს ბადურა გარსში, ჩამოყალიბდეს მხედველობის სხვადასხვა დარღვევა — ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი, ასევე, სინათლის მიმართ მგრძნობელობის მომატება, სიელმე და სხვა ანომალიები.



**ალბინიზმის მკურნალობა უშედეგოა. მელანინის დეფიციტის აღდგენა და მხედველობის დარღვევის ნორმალიზება შეუძლებელია. ავადმყოფი უნდა მოერიდოს მზეს ან მზეზე გასვლისას გამოიყენოს ულტრაიისფერი გამოსხივებისგან დამცავი ფილტრი, მუქი სათვალე ან ლინზები (ჩვეულებრივ ამ ფუნქციას ასრულებს მელანინი).**

ხშირია შემთხვევები, როცა ასეთ ადამიანებს დასცინიან თავიანთი განსხვავებულობის გამო. მათ გარეგნობას სხვადასხვა ცრურწმენასაც უკავშირებენ. ყველაფრის მიუხედავად, ეს თოვლივით თეთრი ადამიანები ძალიან ლამაზები არიან, რასაც ფოტოკოლაჟი აუცილებლად დაგიმტკიცებთ.

**ამ ფოტოზე აღბეჭდილ გოგონას ტიპი ჰქვია. მისი მშობლები, ველური ბუნების ფოტოგრაფები, საცხოვრებლად ნამიბიაში გადავიდნენ, სადაც გოგონა ველურ კატებთან, სპილოებთან, გველებთან, ბაყაყებთან და სხვა გარეულ ცხოველებთან ერთად გაიზარდა.**



ბავშვობაში ტიპის ისეთ ადამიანებთან ერთად არასოდეს უცხოვრია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ცხოველები საშიში არსებები არიან, პირიქით, როდესაც ველურ ცხოველებს ხედავდა, მათ მიმართ მხოლოდ ჩახუტების სურვილი უჩნდებოდა.

საოცარია, ტიპის მიმართ საშიში ცხოველების დამოკიდებულება, ისინი გოგონას ისეთივე სიყვარულით ეპყრობოდნენ, როგორც ტიპი მათ. პატარას საუკეთესო მეგობრები სპილო სახელად აბუ და ლეოპარდი J & B იყვნენ.

ტიპი ადგილობრივებისგან ბევრ საინტერესო რამეს სწავლობდა — ის ჰიმბას ენასაც ითვისებდა და მშვილდოსნობაშიც ვარჯიშობდა. გარკვეული პერიოდის მანძილზე გოგონა მშობლებმა საფრანგეთის ერთ-ერთ სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ტიპიმ ადაპტაცია ვერ შეძლო და ამიტომ საგანმანათლებლო პროგრამები სახლში ისწავლა.

შესაძლოა, პატარას ისტორია დაუჯერებლად მოგეჩვენოთ, რადგან ის წიგნის გმირს ჰგავს, მაგრამ ეს რეალობაა.

პატარა ტიპი უკვე გაიზარდა, 16 წლისა აფრიკიდან წამოვიდა, ახლა 24 წლისაა და პარიზში ცხოვრობს.



**P.S. რისი ბრალია მსგავსი შემთხვევები? ალბათ, ადამიანთა დაბალი სულიერი განვითარების, უკიდურესი გულგრილობის... ერთი კი ცხადია, ადამიანების სისასტიკეს, ცხოველების სისასტიკესთან შედარებით, საზღვარი არ აქვს.**

# 6 წლის გოგონა იოგას ასწავლის

**2 წელია, პატარა გოგონა შრუტი პანდეი ჩრდილოეთ ინდოეთში იგოის გაკვეთილებს უფროსებს უტარებს.**



პანდეი იგოით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ძმის ვარჯიშს თვალს ადევნებდა. ის ვარჯიშს ყოველ დილით 5:30 საათიდან იწყებს. ბავშვის გაკვეთილებზე სხვადასხვა ასაკის ადამიანები დადიან. შრუტის ეს პროცესი ძალიან მოსწონს.

„მიხარია, როცა ადამიანები ჩემს ინსტრუქციებს ასრულებენ. თავი ნამდვილი მასწავლებელი მგონია“, — ამბობს გოგონა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ფსიქოლოგი არნე დიტრიხი: „ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ იმას, რაც ზედაპირზე დევს. საუბარი იმაზე, თუ როგორ მოიჭრა ვან გოგმა საკუთარი ხელით ყური, და ასევე უსასრულო კამათი ამ ფაქტის მართებულობაზე ჩვენს ცნობიერებაში მეტისმეტად რეალურ სურათს ქმნის. ჩვენ უცებ ვერ გავიხსენებთ მხატვარს, რომელიც ერთდროულად გენიალურიცაა და ფსიქიკურად ჯანმრთელიც. ინტუიციურად დარწმუნებულნი ვართ, ის ფაქტები, რომლებიც ყველაზე ადვილად გვახსენდება, უფრო ხშირად ხდება, ამიტომ რეალური მაგალითები ხშირად დაუმსახურებლად მიჩნეულია ტიპურად“.**

# უკავშირდება თუ არა გენიოსობა ფსიქოლოგიურ გადახრებს?

**ამ კითხვაზე პასუხის ძებნისას, ალბათ, ყველას გაახსენდება ვინსენტ ვან გოგი, ვირჯინია ვულფი და რობინ უილიამსი. ეს ადამიანები ნამდვილად დიდი შემოქმედები იყვნენ და, ამასთანავე, ჰქონდათ სერიოზული პრობლემები სულიერი ჯანმრთელობის მხრივ.**



ვან გოგის ავტოპორტრეტი (ფრაგმენტი)

ვან გოგმა ყური მოიჭრა, ვირჯინია ვულფმა ძლიერი დეპრესიის გამო თავი მდინარეში დაიხრჩო, რობინ უილიამსი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვეს. სავარაუდოდ, თავი მოიკლა...

მაგალითები იმდენად ბევრია, რომ ძნელია, ეჭვი არ შეგეპაროს, რომ შემოქმედებასა და ფსიქოლოგიურ გადახრას შორის კავშირი მართლაც არსებობს.

რას ამბობენ ამაზე მკვლევარი მეცნიერები? ხშირად ისინი ამ მოსაზრებას არ ეთანხმებიან. რეალურად კი ამ თემაზე სერიოზული შრომები ძალიან ცოტაა. 1988 წლამდე ჩატარებული 29 კვლევიდან 15 ამ კავშირს უარყოფს, 9 შრომა ადასტურებს, 5 კი ერთმნიშვნელოვან პასუხს ვერ იძლევა. ამასთანავე, ამ კვლევების უმრავლესობა ლიტერატურული მონაცემების მიმოხილვაა, ვიდრე მკაცრი მეცნიერული ექსპერიმენტები, რომლებსაც შეუძლია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა. მკვლევართა წინაშე მდგარი მთავარი სიძნელე კრეატიულობის მკვეთრი განსაზღვრის არარსებობაა. 2011 წლის კვლევებში მეცნიერები განსაზღვრავენ ადამიანის შემოქმედებით მონაცემებს მისი მოღვაწეობის სფეროდან გამომდინარე. ყველა მხატვარი, ფოტოგრაფი, დიზაინერი და მეცნიერი მკვლევარებმა ავტომატურად მიაკუთვნეს შემოქმედებითი კატეგორიის ადამიანებს, ყოველგვარი სპეციალიზაციისა და მიღწევის გაუთვალისწინებლად. **შვედეთის მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ბიპოლარული დარღვევები, 35%-ით მეტი შანსი აქვთ, ზემოჩამოთვლილი პროფესიების წარმომადგენელი იყოს.**

ამასთანავე, მეცნიერები არ ითვალისწინებდნენ დაავადების სიმძიმეს, მიაკუთვნებდნენ რა ბიპოლარულ დარღვევებს **დეპრესიასა** და **შიზოფრენიას.**

**ცნობისთვის:**

**დეპრესია (ლათ. depression — დათრგუნვილი) ადამიანის ფსიქიური აშლილობაა, რომელსაც ნეგატიური განწყობა, სევდა და დათრგუნულობა ახასიათებს; ასევე — გუნებისა და თვითშეფასების გაუარესება, ცხოვრების ინტერესის დაკარგვა. დეპრესის მქონე პაციენტების 80% სრულად იკურნება. თუმცა ძალიან მძიმე დეპრესიამ ადამიანი შეიძლება ისე დააუძლუროს, რომ მუშაობა ვერ შეძლოს და თვითმკვლელობამდეც მივიდეს.**

**ფსიქოზური აშლილობებიდან ყველაზე რთული არის შიზოფრენია.შიზოფრენია ბერძნული სიტყვაა და ფსიქიკის გახლეჩას (Schizo-გახლეჩა, phrene — ფსიქიკა, გონება) ნიშნავს. შიზოფრენია, რომელიც ხანგრძლივი ფსიქიკური აშლილობაა, განაპირობებს ადამიანის შემეცნებითი და ემოციური სფეროს ფუნდამენტურ ცვლილებებს და გავლენას ახდენს მეტყველებაზე, აზროვნებაზე, აღქმაზე. სიმპტომების მრავალფეროვნების გამო, ისინი პირობითად დაყოფილია პოზიტიურ და ნეგატიურ სიმპტომებად. სიმპტომთა ორივე ჯგუფი გულისხმობს ნორმალური ფუნქციონირებიდან გადახრას, იმ განსხვავებით, რომ პოზიტიური სიმპტომები ასახავს „პათოლოგიურ გადაჭარბებას“, ხოლო ნეგატიური სიმპტომები — „პათოლოგიურ დეფიციტს“.**



რობი უილიამსი



ვირჯინია ვულფი

ფსიქიკური დარღვევების კრეატულობასთან კავშირის გასამართლებლად ყველაზე ხშირად მოჰყავთ აიოვას შტატის უნივერსიტეტის ფსიქიატრიის პროფესორ **ნენსი ანდრეასენის** (ცნობილი ამერიკელი ნეირობიოლოგი და ნეიროფსიქიატრი, კრეატიულობის ფენომენისა და ფსიქიკური დაავადებების გამომწვევი პროცესების მკვლევარი) მიერ 1987 წელს გამოქვეყნებული გამოკვლევა. მასში გაანალიზებულია 60 ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობა, რომელთაგან ნახევარი მწერალი იყო. **როგორც ანდრეასენმა გაარკვია, მწერლები უფრო მეტად მიდრეკილნი აღმოჩნდნენ ბიპოლარული დარღვევებისადმი, ვიდრე კვლევის სხვა მონაწილეები.** ამ კვლევას სერიოზული კრიტიკაც მოჰყვა. ერთი მხრივ, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა მიდგომის ეფექტიანობა, რომელიც ინტერვიუს ეფუძნებოდა; სარწმუნო და უტყუარი მონაცემების მისაღებად კი საჭირო იყო სხვა კრიტერიუმი. ანდრეასენის კრიტიკოსები ასევე აღნიშნავდნენ, რომ მეტი ობიექტურობისთვის ინტერვიუერი ვერ უნდა ხედავდეს კვლევის მონაწილეებს, რადგან მოსაუბრის გარეგნობამ, მანერებმა, ასევე ადგილმა, სადაც მიმდინარეობს საუბარი, შესაძლოა, დაამახინჯოს მკვლევარის დასკვნები. მაგალითად, ბევრმა მწერალმა ანდრეასენთან შესახვედრად აირჩია თავისი „საყვარელი თავშესაფარი“ — განმარტოების ადგილი, სადაც შეეძლო მუშაობა და ყურადღებას სხვა რამეზე ვერ გადაიტანდა. ასეთი არჩევანი სამუშაოს ავტორის შეცდომაა, როგორც სოციოფობიის თუ სხვა გადახრის გამოვლენა.

ცნობილია, ასევე, უფრო ვრცელი კვლევებიც, რომლებიც XX საუკუნის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა. მაგალითად, **1904 წელს ჰეველოკ ელისმა (1959—1939) შეისწავლა 1000 შემოქმედებითი მოღვაწის ბიოგრაფია და ვერ იპოვა ვერანაირი კავშირი ფსიქიკის დარღვევასა და ავადმყოფობას შორის.** 1949 წელს ეს დასკვნები დაადასტურა ახალმა კვლევამ, რომელმაც მოიცვა 19 ათასი გერმანელი მხატვარი და მეცნიერი, რომლებიც ცხოვრობდნენ გასული სამი საუკუნის განმავლობაში.

**რატომ არის, რომ, მეცნიერული მტკიცებულებების უქონლობის მიუხედავად, დღეს კავშირი სიგიჟესა გენიალობას შორის ლამის აქსიომადაა მიჩნეული?**

ფსიქოლოგი **არნე დიტრიხი** ამას ასე ხსნის:

„ჩვენ ვამჩნევთ მხოლოდ იმას, რაც ზედაპირზე დევს. საუბარი იმაზე, თუ როგორ მოიჭრა ვან გოგმა საკუთარი ხელით ყური, და ასევე უსასრულო კამათი ამ ფაქტის მართებულობაზე ჩვენს ცნობიერებაში მეტისმეტად რეალურ სურათს ქმნის. ჩვენ უცებ ვერ გავიხსენებთ მხატვარს, რომელიც ერთდროულად გენიალურიცაა და ფსიქიკურად ჯანმრთელიც. ინტუიტიურად დარწმუნებულნი ვართ, ის ფაქტები, რომლებიც ყველაზე ადვილად გვახსენდება, უფრო ხშირად ხდება, ამიტომ რეალური მაგალითები ხშირად დაუმსახურებლად მიჩნეულია ტიპურად“.



**შეუძლებელია, გულწრფელი პატივისცემით არ განეწყო ჯეიმს კემერონის მიმართ. საქმე ის არის, რომ კემერონი ერთგვარი ილონ მასკია კინოინდუსტრიის სამყაროდან. განა ყველა რეჟისორი გარისკავს მარიანის ღრმულში ჩასვლას; განა ყველას შეუძლია მსოფლიოს კინოთეატრების უმეტესობას უბიძგოს იმისკენ, რომ განაახლონ ტექნიკური აღჭურვილობა თავისი ახალი ფილმის საჩვენებლად?! კემერონს ეს შეუძლია. აი ასეთი ადამიანია ის.**

# ჯეიმს კემერონი კინოტექნოლოგიის განვითარებაზე მუშაობას განაგრძობს




ამჟამად ჯეიმს კემერონი „ავატარის“, რომელიც 2009 წელს გამოვიდა, ერთდროულად ოთხ გაგრძელებას გეგმავს. ამ ფილმმა შემქმნელებს 2,8 მილიარდ დოლარზე მეტი მოგება მისცა, რამაც ყველა დროისა და ხალხის აბსოლუტურ რეკორდსმენად აქცია. ფილმის სიუჟეტზე კამათი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ტექნიკური თვალსაზრისით „ავატარი“ თავისი დროისთვის მართლაც ფოიერვერკი იყო კინოინდუსტრიაში. ახლახან ჯეიმს კემერონი კინოსა და ტელევიზიის ინჟინერთა საზოგადოებამ თავის წევრად საზეიმო ვითარებაში მიიღო. ამ საზოგადოებში, რომელიც 1916 წელს დაფუძნდა, თავის დროზე ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურები გაწევრდნენ, როგორებიც არიან **ჯორჯ ლუკასი, უოლტ დისნეი** და **რეი დოლბი** — გამომგონებელი, რომელმაც ხმაურის ჩამხშობი სისტემები შექმნა და ასევე, კინოინდუსტრიისთვის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიებიც. ცერემონიაზე კემერონი საზეიმოდ დაჰპირდა შეკრებილთ, რომ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებს თანამედროვე ფილმების ტექნოლოგიების გასაუმჯობესებლად.

კემერონი სხვა რეჟისორების ფონზე ყოველთვის გამოირჩეოდა სპეციალური ეფექტების გამოყენების თვალსაზრისით და გაცილებით უსწრებდა დროს. გაიხსენეთ თუნდაც მისი „ტერმინატორი“ და „უცხოები“ — ეს ფილმები ხომ ნამდვილად გარღვევა იყო მოწინავე ტექნოლოგიებში.

**საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილების საფოსტო სერვისის პროგრამისტებმა შექმნეს ისეთი სისტემა, რომელიც ფილტრავდა ფოსტას და ეძებდა მასში სიმბოლოებს, სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც სპეცსამსახურებს აინტერესებდათ. მას შემდეგ, რაც წერილი მოიძებნებოდა, ისინი ცალკე სერვერზე აიტვირთებოდა, რომელიც ხელმისაწვდომი მხოლოდ ფბრ-ისა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებისთვის იყო.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კომპანია Yahoo ფარულად კითხულობდა თავისი მომხმარებლების წერილებს

**დღეს არავის უკვირს მოსმენები, რადგან საკუთარი და სხვა ქვეყნების მოქალაქეების ცხოვრებაზე თვალთვალი დიდი სახელმწიფოების ცხოვრებაში დამკვიდრებული და საკმაოდ ფეხმოკიდებული ტენდენციაა. სააგენტო Reuters-მა გამოაქვეყნა მორიგი სტატია, რომლითაც ავტორს დღის სინათლეზე გამოაქვს კომპანია Yahoo-ს საქმიანობა მისი მილიონობით მომხმარებლის პირადი გზავნილების სკანირების შესახებ.**




პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მოცემული პარამეტრებით საფოსტო გზავნილების სკანირებას აწარმოებს, Yahoo-ს პროგრამისტებმა შარშან დაწერეს. ადრე Yahoo-ს ხელმძღვანელობა კონფრონტაციაში შევიდა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოსთან, როცა სპეცსამსახურები შეეცადნენ, ჰქონოდათ წვდომა მომხმარებელთა მიმოწერაზე. კომპანია ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, აშშ-ის ხელისუფლებამ მაინც მოახერხა ზემოქმედება. ამ „დათმობის“ გამო პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა Yahoo-ს ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა **ალექს სტამოსმა** და Facebook-ში გადაბარგდა. წლების განმავლობაში ის წინააღმდეგი იყო, პირადი ინფორმაციები უცხოსთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო, მაგრამ, არ გაითვალისწინა რა მისი აზრი, კომპანიის ხელმძღვანელობამ საკითხი თავისებურად გადაჭრა. გადაწყვეტილება კი კომპანიის ხელმძღვანელმა **მარის მაიერმა** მიიღო.

საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილების საფოსტო სერვისის პროგრამისტებმა შექმნეს ისეთი სისტემა, რომელიც ფილტრავდა ფოსტას და ეძებდა მასში სიმბოლოებს, სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც სპეცსამსახურებს აინტერესებდათ. მას შემდეგ, რაც წერილი მოიძებნებოდა, ისინი ცალკე სერვერზე აიტვირთებოდა, რომელიც ხელმისაწვდომი მხოლოდ გფბ-სა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებისთვის იყო.

რა თქმა უნდა, ამ ინფორმაციას კომპანიაში არავინ დაადასტურებს, და შესაძლოა, არც კომენტარი გააკეთონ, მაგრამ Reuters-ის თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი წყარო არ ცდება. **YAHOO ნამდვილად აწარმოებს ასობით მილიონი თავისი მომხმარებლის საფოსტო მიმოწერის სკანირებას და უზიარებს მათ სპეციალურ აგენტებს. ღიად რჩება შეკითხვა: ხელისუფლებასთან მსგავს თანამშრომობაზე დათანხმდნენ თუ არა ისეთი უზარმაზარი ამერიკული კორპორაციები, როგორიცაა Google და Apple?**



# ძროხები «კუნძულზე»

**ახალ ზელანდიაში ორი ძროხა და ბოჩოლა დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ მიწის პატარა ნაგლეჯზე შერჩნენ. ცხოველებს დიდხანს მოუწიათ უჭმელ-უსმელს ამ „კუნძულზე“ დგომა, სანამ პატრონმა ისინი იქიდან არ ჩამოიყვანა.**

როგორც ფერმერმა აღნიშნა, მიწისძვრის შედეგად მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაწილი 3 მეტრ სიმაღლეზე აიწია. მისი ცხოველების გადარჩენა კი მართლაც საოცრების ტოლფასია.

ძროხები მიწისძვრის ეპიცენტრთან ახლოს აღმოჩნდნენ — ქალაქ კაიკოურთან ახლოს. მიწისქვეშა ბიძგებმა 7.5 მაგნიტუდას მიაღწია. ამის შემდეგ რამდენიმე მცირე ბიძგი განმეორდა. შედეგად 2 ადამიანი დაიღუპა, ცუნამის საფრთხის გამო კი ათასობით ადამიანი ევაკუირებული იქნა.

# პალეონტოლოგებმა ციმბირში უძველესი თუთიყუშის ნაშთები აღმოაჩინეს

**რუსმა პალეონტოლოგებმა ბაიკალის კუნძულ ოლხონზე წარმოებული გათხრებისას აღმოაჩინეს თუთიყუშის ძვლები, რომლებიც 16-18 მილიონი წლით თარიღდება. კვლევა ჟურნალ Biology Letters-ში გამოქვეყნდა.**

მიუხედავად იმისა, რომ ფრინველის ნაშთები აქ ადრეც აღმოაჩინეს, ასეთი ეგზოტიკური სახეობა ციმბირში პირველად შეხვდათ.

მოცემული ძვალი მიეკუთვნებოდა პატარა ფრინველს. „სამწუხაროდ, ძვალი ცუდადაა შენახული და ამ ფრინველის გარეგნობას ვერ აღადგენთ“, — ამბობს კვლევის ავტორი ნიკიტა ზელენკოვი.

მეცნიერების აზრით, ნაპოვნი ნიმუშები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ მილიონი წლის წინათ თუთიყუშები ევრაზიის ტერიტორიაზე ბინადრობდნენ ან გადამფრენი ფრინველების მიგრაციის გზა ბაიკალის ტბის გასწვრივ გადიოდა.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ახალმა აღმოჩენამ შეიძლება შეცვალოს მეცნიერების აზრი მსოფლიოში თუთიყუშების გავრცელების მარშრუტის შესახებ. აქამდე მიაჩნდათ, რომ ეს ფრინველები ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში აფრიკიდან მოფრინდნენ, მაგრამ, ახალი აღმოჩენის მიხედვით, უძველეს დროში ეს ეგზოტიკური ფრინველები ამერიკაში აზიიდან ბერინგის ყურეს გადაფრენით ხვდებოდნენ.





# კუბაში გაველურებული ძროხები ახალ ჯიშად აღიარეს

**დასავლეთ კუბაში გაველურებული შინაური ძროხებისა და ხარებისგან ახალი ჯიში წარმოიშვა, რომელიც სრულად განსხვავდება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში არსებული ჯიშებისგან.**

ჩლიქოსნები, რომლებიც ოდესღაც ესპანელმა კოლონიზატორებმა ჩამოიყვანეს და შემდეგ ბედის ანაბარა მიატოვეს, დროთა განმავლობაში ტანით დაჩიავდნენ. ძროხას ცური ძალიან დაუპატარავდა და მასში ჩამდგარი რძე ძლივს ჰყოფნით ბოჩოლებს გამოსაკვებად.

რქები უფრო წაწვეტებული გაუხდათ და დაუმოკლდათ. ამ ცხოველებს, შინაური ძროხებისგან განსხვავებით, არსებობისთვის ბრძოლა უწევთ.

ძროხები ტყის მცენარეების ფოთლებით იკვებებიან, ასევე, ლიანებითა და თესლებით. ამასთან, ისინი იმდენად დახელოვნდნენ სასმელი წყლის პოვნაში, რომ მას ზღვის ფსკერზეც კი პოულობენ და მის დასალევად ცურვით მიდიან.

ადამიანებს ეს ცხოველები მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ესხმიან თავს, ანუ მხოლოდ მაშინ, თუკი ვინმე მათ დაჭერას შეეცდება. ცხოვრობენ ჯგუფებად. ტყვეობაში ძალიან აგრესიულები ხდებიან, უარს ამბობენ საკვებზე. ტყვეობას ვერ იტანენ და შეიძლება გულიც გაუსკდეთ.

# «ზღვის პანდა» — ყველაზე პატარა დელფინი მსოფლიოში

**მას შემდეგ, რაც ყველაზე პატარა დელფინს, ბრაკონიერების გამო, გადაშენების საფრთხე დაემუქრა, მექსიკის ხელისუფლებამ თევზების ბინადრობის მთელ არეალზე თევზჭერა აკრძალა.**

კალიფორნიული ზღვის გოჭი (Vaquita) ყველაზე პატარა დელფინია მსოფლიოში და ახლა მას სახელმწიფო იცავს. ამ სახეობის არსებობა მხოლოდ 1985 წელს დადასტურდა. სამწუხაროდ, მისი პოპულაცია სწრაფად მცირდება: 1997 წელს 567 ცხოველი ირიცხებოდა, 2015 წელს კი — 59. ამ თევზის მთავარი პრობლემა ბრაკონიერების მიერ დაგებული ბადე-მახეებია, რომლებიც სულ სხვა თევზისთვისაა დაგებული.



**პატარა დელფინებს „ზღვის პანდებს“ უწოდებენ.**

# უცნაური ცხოველი ჯერბოა

**დედამიწაზე არსებობს არაერთი უცნაური ცხოველი, რომელთა შესახებაც ცოტამ თუ იცის. ზოგი მათგანი სხვადასხვა ცხოველის ჰიბრიდს მოგაგონებთ. მაგალითად, იხვნისკარტა თახვისა და იხვის ჰიბრიდს ჰგავს. ის მრავალი ათასწლეულის განმალობაში დედამიწაზე ბინადრობს, მაგრამ იხვთან და თახვთან გენეტიკური კავშირი არ აქვს.** დედამიწაზე ბინადრობს კიდევ ერთი უცნაური მღრღნელი, რომელსაც **ჯერბოას** უწოდებენ. ის ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიაშია გავრცელებული და კენგურუსა და თაგვის ჰიბრიდს ჰგავს. ჯერბოას კურდღელივით დიდი ყურები აქვს, თაგვის ცხვირი და უკანა კიდურები კი — კენგურუსავით გრძელი.



**ფერმერის სკოლა**
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკოლოგიურად სუფთა მანდარინის მოსავლის მისაღებად აუცილებელია მათი განოყიერების სისტემაში, მწვანე სასუქებთან ერთად, ჩავრთოთ ბიოჰუმუსი და ბიოკომპოსტები. ბიოჰუმუსის შეტანა ხდება სამ წელიწადში ერთხელ — 15-20 ტ/ჰა-ზე, რაც საშუალებას გვაძლევს მთლიანად გამოვრიცხოთ მინერალური სასუქების გამოყენება და მხოლოდ რომელიმე საკვები ელემენტის დეფიციტის გამოვლინებისას შევიტანოთ შემცირებული დოზით.**

# მანდარინის მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგია



**მეციტრუსეობა საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია. სასიამოვნო გემოს ოქროსფერი ნაყოფი არომატული თვისებებით ყოველთვის იპყრობდა ადამიანის ყურადღებას. განსაცვიფრებელია ამ კულტურის მრავალფეროვნება, მუდმივი ევოლუცია, ახალი ფორმების წარმოქმნის ფართო დიაპაზონი. ჩვენში ციტუსოვნებიდან მანდარინის კულტურას წამყვანი ადგილი უჭირავს, ამიტომ მკითხველს ვთავაზობთ მანდარინის მოვლა-მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიას.**

მანდარინის ბაღების გაშენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილის შერჩევას და მის სწორ ორგანიზებას. არჩევენ ვაკე და მცირე დაქანების (0-50 გრადუსი), აგრეთვე, საშუალო დაქანების (5-200 გრადუსი) ფერდობებს, ძლიერად დაქანებული ფერდობის დახრილობა კი 20-30 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.

მანდარინის ჯიშები განსხვავდება განვითარების სიძლიერითა და ხანგრძლივობით, ამიტომ ისინი სხვადასხვა კვების არეს მოითხოვს. მცენარეთა განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საძირეები, ადგილის კლიმატური და ნიადაგური პირობები და სხვა ფაქტორები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სუბტროპიკულ ზონაში, სადაც მცენარეები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყინვისგან არ ზიანდება, ხშირი ნარგავების გაშენება მიზანშეწონილი არ არის. ამიტომაა, რომ, აგროწესების მიხედვით, მანდარინის კვების არედ მიღებულია 5X2 მეტრი ფართობი, ე.ი. 1000 ძირი — ჰექტარზე. ნერგების დასარგავად ორმოების ამოღების ვადები და მათი ზომები დამოკიდებულია ნაკვეთის მომზადების წესზე. მანდარინს რგავენ შემოდგომაზე — ოქტომბერში ან გაზაფხულზე — ვეგეტაციის დაწყებამდე.**

**შემოდგომაზე** დარგვა კარგ შედეგს იძლევა განსაკუთრებით იმ რაიონებში, რომლებშიც თბილი და ხანგრძლივი შემოდგომა იცის. ასეთი ჰავის პირობებში უკეთ ხდება დაფესვიანება და მცენარე ზრდას ადრე გაზაფხულზე იწყებს.

**გაზაფხულზე** დარგული მცენარე კი სუბტროპიკული რაიონებისთვის დამახასიათებელი გვალვების მავნე მოქმედებას განიცდის. შემოდგომაზე რგვის უარყოფითი მხარე არის ის, რომ შესაძლებელია გამოზამთრების პირველსავე წელს მცენარე ყინვამ დააზიანოს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ, **თუ მცენარეები ადრე შემოდგომაზე გაშენდა, არაუგვიანეს 25 ოქტომბრისა, და მათ დარგვისთანავე შემოეყარა საკმარისი მიწა, დაღუპვისგან დაცული იქნება. ყინვების შემთხვევაში დაზიანდება მიწისზედა ნაწილი, რომელიც პირველ წელს სწრაფად აღდგება.**

* დარგვამდე 2-3 კვირით ადრე ორმოებიდან ამოღებული მიწის ზედა ფენას შეურევენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს. მათი დოზები დამოკიდებულია ნიადაგის შედგენილობაზე. თუ სასუქი ნიადაგის დამუშავებამდე არ იყო შეტანილი, დარგვისას შეაქვთ 10-25 კგ-მდე გადამწვარი ნაკელი და 500-800 გრამამდე



**მანდარინის პლანტაციაში საჭიროა აზოტიანი სასუქების ყოველწლიური შეტანა — მისი წლოვანების, მოსავლის დონისა და ნიადაგის ნაყოფიერების გათვალისწინებით. ნეშომპალა-კარბონატულ, ალუვიურ, გაეწრებულ, წითელმიწა, ყომრალ ნიადაგებზე გაშენებულ ბაღებში შეაქვთ:**
**1-3 წლამდე — 30-40 გ/მცენარეზე; 4-5 წლამდე — 60-80 გ/მცენარეზე;**
**6-8 წლამდე — 100-150 გ/მცენარეზე; 9 წელზე მეტი — 200-250 გ/მცენარეზე**

სუპერფოსფატი. მძიმე თიხნარ ნიადაგებს უმატებენ 30 კგ ქვიშას, მჟავე ნიადაგებზე კი — კირს.

* ნერგი არ უნდა დაირგას ღრმად ან ზერელედ, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის მომავალი განვითარებისთვის. ნარგავის ფესვის ყელი 2-3 სმ-ით მაღლა უნდა იყოს, რაც საჭიროა იმისათვის, რათა მიწის დასკდომის შემდეგ ნერგი ნიადაგში ნორმალურად მოთავსდეს. ახალგაზრდა მცენარე საიმედოდ უნდა მივაკრათ ჭიგოს, რადგან აუკვრელი ნერგი ქარის დროს ქანაობს, ფესვები ერყევა და ცუდად ვითარდება.

მანდარინის ნარგავების განვითარების მთელი ციკლი შეიძლება დაიყოს სამ ძირითადად პერიოდად:

**პირველი** — ახალგაზრდა მცენარეების ფორმირება მსხმოიარობის დაწყებამდე, რომლის განმავლობაში ხეები ინტენსიურად იზრდება; **მეორე** — გაძლიერებული მსხმოიარობა, მცენარის ვეგეტაციურ ზრდასთან ერთად ვითარდება გენერაციული ორგანოები; **მესამე** — იკლებს მცენარეთა ზრდისა და მსხმოიარობის ტემპი, რომელიც საბოლოოდ მათი დაღუპვით მთავრდება.

* ახალგაზრდა ნარგავების ზრდა-განვითარება, მსხმოიარობა, აგრეთვე, ყინვაგამძლეობა დიდადაა დამოკიდებული მწკრივთაშორისებში ნიადაგის მოვლის ხერხებზე. მწკრივთაშორისებში მრავალწლიანი ბალახების თესვა რეკომენდებულია მანამ, სანამ ნარგავები ხუთი წლისა გახდება. ითესება ხის შტამბიდან 75-100 სმ-ის დაშორებით.

ციტრუსოვნები, განსაკუთრებით კი მანდარინი, უხვად მსხმოიარე მცენარეებს მიეკუთვნება. ისინი ერთსა და იმავე ნაკვეთზე დიდხანს იზრდება. ყოველწლიურად მოსავალთან ერთად ნიადაგიდან გამოაქვს საკმაო რაოდენობით საკვები ნივთიერებები და აღარიბებს მას.

**მანდარინის ზრდა-განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, აგროტექნიკის ამოცანაა კვების გაძლიერება ზრდის დასაწყისში ვარჯის ფორმირების დასაჩქარებლად. შემდგომში სასუქები, განსაკუთრებით კი აზოტიანი, გამოიყენება ზრდის ტალღების დაწყების წინ.**

მანდარინის პლანტაციაში საჭიროა აზოტიანი სასუქების ყოველწლიური შეტანა — მისი წლოვანების, მოსავლის დონისა და ნიადაგის ნაყოფიერების გათვალისწინებით. ნეშომპალა-კარბონატულ, ალუვიურ, გაეწრებულ, წითელმიწა, ყომრალ ნიადაგებზე გაშენებულ ბაღებში შეაქვთ: 1-3 წლამდე — 30-40 გ/მცენარეზე; 4-5 წლამდე — 60-80 გ/მცენარეზე; 6-8 წლამდე — 100-150 გ/მცენარეზე; 9 წელზე მეტი – 200-250 გ/მცენარეზე.

**ფოსფორიანი სასუქები** ადიდებს და აჩქარებს მანდარინის მსხმოიარობას, ხელს უწყობს მცენარეში აზოტის შეღწევას და არეგულირებს აზოტურ კვებას, ფოსფორი ხნოვანი ნაწილებიდან ადვილად გადაინაცვლებს ახალგაზრდაში, ამიტომ მასში იგი ყოველთვის მეტია. ფოსფორის სიმცირე აფერხებს მცენარის ზრდა-განვითარებას, ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობას, უვითარდება მცირე ზომის მუქი მწვანე ფოთლები.

ფოსფორიანი სასუქების შეტანის ოპტიმალურ ვადად ითვლება დეკემბერი-მარტი, ნიადაგის დამუშავების წინ. ფოსფორიანი სასუქების გამოყენება ხდება რეკომენდირებული დოზებით: 1-5 წლამდე 150 გრ მცენარეზე; 6 და მეტი წლისაზე კი — 300 გრ მცენარეზე.

**კალიუმი** მნიშვნელოვანი რაოდენობით შედის ნაყოფში და ვეგეტატიურ ორგანოებში. მისი შეტანა მანდარინის პლანტაციაში ხდება ნიადაგში გაცვლითი კალიუმის შემცველობის საფუძველზე. ღარიბ, ალუვიურ, ეწერ და წითელმიწა ნიადაგებზე 1-5 წლამდე შეიტანება 50 კგ/ჰა, ხუთ წელზე მეტი ხნის ნარგაობაში 100 კგ, მდიდარ კარბონატულ ნიადაგებზე 1-5 წლის ასაკში შეიტანენ 60 კგ, ხოლო 5 წლის შემდეგ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ 100 კგ/ჰა. კალიუმიანი სასუქების შეტანის საუკეთესო ვადებია დეკემბერი და მარტი, გადაბარვისას ნიადაგში ჩაკეთებით 15-20 სმ-ის სიღრმეზე.

მიკროელემენტების — **თუთიისა და მანგანუმის** — შეტანა უნდა მოხდეს ყოველწლიურად გაზაფხულზე ფოთლებზე შესხურებით, შემდეგი ნარევით: თუთია (500 –1000 მგ/ლიტ).+მანგანუმი (300–700მგ/ლიტ), შესაძლებელია მათი ცალ-ცალკე შესხურება.

ორგანულ სასუქებს მანდარინის მცენარების განოყიერების სისტემაში პირველი ადგილი უკავია. ნიადაგში ორგანული ნივთიერებების სიმცირის დროს მცენარეს ინტენსიურად ცვივა ყვავილები და ნასკვები. მანდარინის ნარგაობაში სასუქად შეიძლება გამოვიყენოთ ორგანული სასუქის ყველა ფორმა: ნაკელი, ბიოჰუმუსი, ტორფკომპოსტები და სხვა, რომელთა ნორმები ცვალებადობს მცენარის ასაკისა და ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ნაკელი ნიადაგში მანდარინის რიგთაშორისებში უნდა შევიტანოთ: 1-დან 5 წლამდე — 25; 5-10 წლამდე — 40; ათზე მეტი წლის პლანტაციაში კი 60 ტონა ჰექტარზე.

ციტრუსოვანთა ბაღების ნაყოფიერების აღდგენაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწვანე სასუქებს. ახალგაზრდა პლანტაციის დამუშავებულ ზოლში, აგრეთვე, მსხმოიარე პლანტაციების მწკრივთაშორისებში, სადაც ნიადაგი დაფარული არ არის ხის ვარჯით, შემოდგომა-ზამთრის სიდერატები 20 ივლისიდან 15 აგვისტომდე უნდა დავთესოთ. თუ რაიმე მიზეზით სიდერატები ვერ დავთესეთ, მაშინ 1 აგვისტოდან მწკრივთაშორისებში უნდა დავტოვოთ ბუნებრივი ბალახი, რომელიც ითიბება, როცა 30-40 სმ-ის სიმაღლეს მიაღწევს.

**მჟავე რეაქციისა და ჩარეცხილ ნიადაგებზე შემოდგომა-ზამთრის სიდერატებად გამოიყენება: ყვითელი, ლურჯი და თეთრი ხანჭკოლა, ბარდა და ჩიტფეხა, ხოლო კარბონატული და ტუტე რეაქციის ნიადაგებზე — მუხუდო, ცერცვი, ცერცველა და ცულისპირა.**

ეკოლოგიურად სუფთა მანდარინის მოსავლის მისაღებად აუცილებელია მათი განოყიერების სისტემაში, მწვანე სასუქებთან ერთად, ჩავრთოთ ბიოჰუმუსი და ბიოკომპოსტები. ბიოჰუმუსის შეტანა ხდება სამ წელიწადში ერთხელ — 15-20 ტ/ჰა-ზე, რაც საშუალებას გვაძლევს მთლიანად გამოვრიცხოთ მინერალური სასუქების გამოყენება და მხოლოდ რომელიმე საკვები ელემენტის დეფიციტის გამოვლინებისას შევიტანოთ მათი შემცირებული დოზები.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნიადაგის დამულჩვით მოსავლიანობის გადიდებასაც. დამულჩვის შემდეგ აღარ არის საჭირო ნიადაგის ოთხჯერადი გათოხნა, ვინაიდან მას უკვე შენარჩუნებული აქვს საკმარისი ტენი და შესაბამისი ტემპერატურა. ამ პირობებში მცენარე გაცილებით მეტ ნასკვს ინარჩუნებს და მოსავლის ნამატი 30%-ს აღწევს.

სუბტროპიკული ხეხილოვნებიდან განსაკუთრებით დაბალი ყინვაგამძლეობით გამოირჩევიან ციტრუსები, მათ შორის მანდარინი, მათი ყინვაგამძლეობა არ წარმოადგენს მყარ სიდიდეს, იგი იცვლება სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით.

**ყინვებისგან დაცვის ღონისძიებებია:** საზამთროდ მიწის შემოყრა, ინდივიდუალური და ჯგუფური შეფუთვა და ღია გათბობა. მიწის შემოყრა შეიძლება ფესვის ყელიდან 30-35 სმ სიმაღლეზე 10 წლამდე ლიმონსა და ფორთოხალზე, ხოლო მანდარინზე — 5 წლის ასაკამდე.

მანდარინის პლანტაციაში მოსავლის რაოდენობას წინასწარ საზღვრავენ. პირველი პროგნოზირება ჯერ კიდევ ყვავილობის პერიოდში ხდება, ხოლო შედარებით უფრო რეალური სურათი ნასკვების ცვენის შემდეგ გამოიხატება. დროული კრეფა საჭიროა, რათა, სუსტ ყინვაგამძლე მცენარეთა სახეობანი უკეთ მომზადებული შეხვდეს ზამთარს და შევძლოთ ყინვისგან დაცვის ყველა ღონისძიებების ჩატარება.

მანდარინის კრეფისას დაცული უნდა იქნას კრეფის წესები, რათა ხარისხიანი ნაყოფი არ დაზიანდეს. **სარეალიზაციოდ არ უნდა მოიკრიფოს ისეთი ნაყოფი, რომელსაც აქვს ვიზუალური დაზიანებები. ნაყოფის ხარისხის განმსაზღვრელია სიმწიფე, შაქრიანობა, წვენის შემცველობა, სიმკვრივე, ნაყოფის ზომა და მჟავიანობა. ნაყოფი მოსაკრეფად მზადაა, როცა მისი ზედაპირის 75 % გაყვითლებულია. არ არის მკრივი, თითის დაჭერით იგრძნობა მცირე სირბილე, კანი ადვილად სცილდება რბილობს.**

კრეფის დაწყებამდე მცენარეს უნდა მოშორდეს დაავადებული ნაყოფები, მიწაზე დავარდნილი არ უნდა შეერიოს ხეზე მოკრეფილ ნაყოფებს. დაავადებულ ნაყოფზე ხელის შეხების შემდეგ საჭიროა, გამოყენებული იქნას ხელსაწმენდი. არ უნდა გადავავსოთ ყუთები. ყუთში ნაყოფების რიგები უნდა იყოს 3 ან 4. შეინახება მხოლოდ მშრალი ნაყოფი. საცავში ოპტიმალური ტემპერატურა უნდა იყოს 7,2 გრადუსი. ოპტიმალური ტენიანობა 85-90%, ხშირად უნდა განიავდეს, არ უნდა მოხდეს ეთილენის დაგროვება, **ნაყოფი ინახება იატაკიდან 20-25 სმ-ის სიმაღლეზე.**

მანდარინის ნაყოფი შეიძლება შერჩევით მოიკრიფოს ან მთლიანად. ვკრეფთ სპეციალური სეკატორით და ვაწყობთ სპეციალურ ყუთებში, ვახარისხებთ ზომების მიხედვით. მანდარინის ნაყოფი ხარისხდება ორ ჯგუფად: სტანდარტულად და არასტანდარტულად.

**რეზო ჯაბნიძე,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**

1982 წელს ვენახის ფართობმა ქვეყანაში 144.0 ათას ჰექტარს მიაღწია, რაც უდავოდ ჭარბი იყო და იგი მალე (1985წ.) დარეგულირდა – 125-127 ათასი ჰა-ს ფარგლებში; მათ შორის, საკარმიდამო ვენახს 39.0 ათასი ჰა ეჭირა, რაც საგრძნობლად (3-4 ათასი ჰა-თი) აღემატებოდა ქვეყანაში რეგისტრირებულ მთელ ფართობს. აღნიშნულ წლებში ქვეყანაში ყოველწლიურად ვაწარმოებდით 500-700 ათას ტონა ყურძენს. ღვინის ქარხნებში გადამუშავდებოდა 500-600 ათასი ტონა ყურძენი და მზადდებოდა 28-30 მლნ დ/ლ ღვინო — ღვინომასალა. დარგში წარმოებული ყველა სახის პროდუქტის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ამონაგები შეადგენდა 500-550 მლნ მანეთს, რაც 10-ჯერ აღემატება ამჟამინდელს.

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მევენახეობის დარგის შუქ-ჩრდილები

**მიმდინარე წლის რთველი წარმატებული იყო — ქვეყანაში დაიკრიფა და ღვინის ქარხნებში გადამუშავდა 140 ათას ტონაზე მეტი ხარისხიანი ყურძენი. გილოცავთ! რთველი ეროვნული დღესასწაულია; ვენახში ადამიანის მიერ ვაზისადმი ღვთაებრივი სიყვარულით გაწეული შრომის დამაგვირგვინებელი საზეიმო რიტუალია, უფლის მადლი; ბარაქა, არ მოაკლდეს ჩვენს ქვეყანას!**



სამეურნეო წელი ამინდის ჭირვეულობით წინა წლებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა: სეტყვა-ქარიშხლმა, გვალვამ, მზის მცხუნვარებამ (40(-45(-ზე მეტი) საგრძნობლად შეაფერხა მცენარის ფიზიოლოგიური აქტიურობა, ზრდა-განვითარება; საკმაოდ იყო ზვრებში მავნებელ დაავადებათა გავრცელების ფაქტები, ფოთლებისა და მარცვლების არუჯვა — სიდამწვრე, ჭკნობა, ნაადრევი ცვენა; ყლორტების ზრდის შეჩერება, რამაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს მომავალი წლის მოსავალზე, რომლის რეაბილიტაციისთვის ზრუნვა ვენახში მოვლითი სამუშაოები რთველის დამთავრებისთანავე უნდა დავიწყოთ, დაწყებულია კიდეც.

ქვეყანაში იგრძნობა მოძრაობა ახალი ვენახების გასაშენებლად, რაც მხარდაჭერას იმსახურებს.

გულწრფელად უნდა ითქვას, **მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყანაში ყურძნის წარმოების სანედლეულო ბაზა – ვენახის ფართობი (137 400 ჰა), წარმოებული პროდუქცია და მიღებული შემოსავალი არ შეესაბამება დარგის ეკონომიკური პოტენციალის შესაძლო წვლილს ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებაში.** გავიხსენოთ უახლოესი წარსულის სტატისტიკა: ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის პერიოდში (1970-1990 წ.წ.) მევენახეობის წილად მოდიოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის **18-20%.**

ღვინის წარმოებას კვების მრეწველობის პროდუქციაში 15-16% უკავია; საგრძნობი იყო ამ დარგების წილი ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში, რაც საქართველოში ამ დარგების განვითარების, მათი საწარმოო-ეკონომიკური პოტენციალის ორიენტირად, რესურსად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

**1982 წელს ვენახის ფართობმა ქვეყანაში 144.0 ათას ჰექტარს მიაღწია, რაც უდავოდ ჭარბი იყო და იგი მალე (1985წ.) დარეგულირდა — 125-127 ათასი ჰა-ს ფარგლებში; მათ შორის, საკარმიდამო ვენახს 39.0 ათასი ჰა ეჭირა, რაც საგრძნობლად (3-4 ათასი ჰა-თი) აღემატებოდა ქვეყანაში რეგისტრირებულ მთელ ფართობს. აღნიშნულ წლებში ქვეყანაში ყოველწლიურად ვაწარმოებდით 500-700 ათას ტონა ყურძენს. ღვინის ქარხნებში გადამუშავდებოდა 500-600 ათასი ტონა ყურძენი და მზადდებოდა 28-30 მლნ დ/ლ ღვინო — ღვინომასალა.**

**დარგში წარმოებული ყველა სახის პროდუქტების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი ამონაგები შეადგენდა 500-550 მლნ მანეთს, რაც 10-ჯერ აღემატება ამჟამინდელს.**

განვითარებადი სტატუსის მქონე ქვეყანამ უარი არ უნდა თქვას ამ შესაძლებლობაზე; ეს არის ჩვენი წუხილის მოტივი... მაგრამ არსებული ნედლეულის ბაზა — ვენახის ფართობი დარგის ეკონომიკური პოტენციალის რეალიზებას ვერ უზრუნველყოფს. სამოქმედო მიზნობრივი სამოქმედო პროგრამა კი არ გვაქვს. მეცნიერების, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ყოფილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია სოფლის მეურნეობის, მათ შორის, მევენახეობა-მეღვინეობის რეაბილიტაციისა და განვითარების კონცეფციები, რომელთა ბაზაზე ჩამოყალიბებულია დარგების განვითარების სტრატეგია პრიორიტეტული მიმართულებებით. მეცნიერთა მიერ ქვეყანაში ვენახის ფართობის გაზრდა რეკომენდირებულია 70-75 ათას ჰა-მდე; ყურძნის საჰექტრო მოსავლიანობა, ხარისხიანი მეღვინეობის ზონებში (ადგილწარმოშობის დასახელების მიკროზონებში რეგისტრირებულია 18 დასახელება, პერსპექტივაში — გაცილებით მეტი) ნავარაუდევია 6-7 ტონის ფარგლებში, რაც ქვეყანაში ყოველწლიურად უზრუნველყოფს ხარისხიანი ყურძნის წარმოებას. ეს მნიშვნელოვანი, უტყუარი რესურსია ქვეყნის ეკონომიკისთვის. ამ გათვლების განხორციელება სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

ამავე ფარგლებში განიხილება ქართული ცქრიალა ღვინოების სანედლეულო ბაზის განვითარება რეკომენდირებულ მიკროზონებში (შიდა ქართლი, შუა და ზემო იმერეთი).

**უნდა აღდგეს ქართული საკონიაკე (ბრენდი) სპირტის გამოხდის ტრადიცია ტრადიციული სახელწოდების მიკროზონებში. პარალელურად უნდა განვითარდეს სუფრის ყურძნის წარმოების კულტურა.**

დარგის განვითარების პრიორიტეტული მიმართულება და საფუძველია ჯანსაღი, უვირუსო, გენეტიკურად სუფთა, სერტიფიცირებული სარგავი მასალის (ნამყენი ნერგის) წარმოების ბაზის განვითარება. ამ მიმართულებით საფუძველი ჩაყრილია. 2007 წლიდან სოფელ ჯიღაურში (მცხეთა-საგურამო) ფუნქციობს ვაზისა და ხეხილის სერტიფიცირებული ნერგის წარმოების საბაზო სანერგე. დასაჩქარებელია ანალოგიური ფილიალების განვითარება მევენახეობის ძირითად რეგიონებში სამრეწველო სანერგეების შესაქმნელად. ეს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია და მისი განხორციელება უნდა დაჩქარდეს.

აქვე დავძენთ: ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნით, საქართველოში, როგორც ფილოქსერიან ზონაში, ვენახი მხოლოდ ნამყენი ნერგით უნდა გაშენდეს.

**დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად ქვეყანაში ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედის ნარგაობა 5 ათეულ ჰა-ს არ აღემატება. ნერგის მწარმოებლებს საძირე მასალის შემოზიდვა გვიწევს უკრაინიდან, მოლდოვიდან და ევროპის ქვეყნებიდან; ნერგის მწარმოებლები საძირე მასალას ძველ, მიტოვებულ ვენახებში აგროვებენ, რაც დაუშვებელია.**

გავიხსენოთ: **გასული საუკუნის 80-იან წლებში ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეებს ქვეყანაში ეკავა 1000 ჰა-ზე მეტი ფართობი. არასწორ ინფორმაციებზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოებში მიაჩნიათ, რომ ვაზის სარგავი მასალის, ნერგის წარმოების სფეროში პრობლემები არ არსებობს, ამიტომ ქვეყანაში მრავალწლოვანი კულტურების განვითარებისთვის ხელშემწყობი ეკონომიკური პროექტები მევენახეობაზე არ ვრცელდება. მდგომარეობა მეტად მძიმეა და სასწრაფოდ გამოსასწორებელი.**

შველა უნდა იმასაც, რომ ფერმერების, მეწარმეების, პრაქტიკოსების დასახმარებლად ახალი მეცნიერეული რეკომენდაციები იკლებს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი ობიექტების, ინსტიტუტების მოშლის გამო.

**XXI საუკუნის დასაწყისში (2003წ.) ქვეყანაში განხორციელებული ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, მავნებლური გადაწყვეტილებების შედეგად განადგურდა საუკუნოვანი, მძლავრი ეროვნული მეცნიერება, ინსტიტუტები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრები... აღდგენითი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები კი იგვიანებს, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის.**

## პირდაპირ წარმოებული ჰიბრიდების ე.წ. უწამლო ვაზის გავრცელებისა და უპერსპექტივობის შესახებ საქართველოში

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში ვაზის ფესვის მავნე მწერის-ფილოქსერის წინააღმდეგ წარმატებით გადაწყდა კულტურული (ევროპულ-აზიური) ვაზის მყნობა ფილოქსერაგამძლე საძირე ჰიბრიდებზე, რასაც პირველ ეტაპზე თან ახლდა სიძნელეები: მყნობის წესების ათვისება, ნამყენი ნერგის დაბალი გამოსავალი, ტექნიკური ბაზის გაუმართაობა და სხვა, რამაც მეცნიერების-სელექციონერების წინაშე კვლავ დააყენა ახალი ამოცანა — ჰიბრიდიზაციის გზით მიეღოთ პირდაპირ ხარისხოვანი მოსავლის მომცემი, კომპლექსურად (ფილოქსერის, ჭრაქის, ნაცრის) გამძლე ჰიბრიდული ჯიშები ე.წ. პირდაპირ წარმოებული ჰიბრიდები, რომლებიც, ამასთანავე, შეინარჩუნებდა ან გააუმჯობესებდა გასამრავლებელი კულტურული საწარმოო ჯიშის ხარისხოვან მაჩვენებლებს — სამეურნეო-ტექნოლოგიურ თვისებებს, გამოსადეგი იქნებოდა ყველა ეკოლოგიური პირობებისთვის, რაც, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა – გენეტიკური ბარიერი ვერ იქნა გადალახული, შედეგად საზოგადოებას დარჩა ათასობით ჰიბრიდი, რომელიც საქართველოშიც გავრცელდა ე.წ. უწამლი ვაზის სახელწოდებით, მათ შორის, ქართლშიც, სადაც მოიხსენიება **ბიბრიდას, ჯიბრიდას, დირბულას, ქინწურას, ფრანგულას** სახელით. კახეთში **ვაქირულას, შანიძისას** ეძახიან, გურიაში — **ჭეიშვილს, კაჭიჭს...**

ზოგი მათგანი გამოირჩევა მოსავლიანობით, ჭრაქის, ნაცრის მიმართ შედარებითი გამძლეობით, რასაც შეცდომაში შეჰყავს მევენახე-მეურნე; საქმის „გაადვილებით" ნაკლები დანახარჯებით მიღებული ყურძნითა და ღვინისმაგვარი სითხით იგი კმაყოფილია, რაც გაუმართლებელი და მიუღებელია შემდეგი მიზეზების გამო: **უწინარეს ყოვლისა, დაბალია მავნე ორგანიზმების მიმართ მათი გამძლეობა; უმეტესობა მასობრივად ავადდება ანტრაქნოზით და სხვა დაავადებებით, რომელთა გამოც ყურძენი სიმწიფეში ლპება; ყურძენი დაბალშაქრიანია – 12-16% ფარგლებში; მჟავიანობა მაღალია და 8-17% აღწევს; ღვინო — ნაკლებ სხეულიანი, არამდგრადი, ზოგჯერ ინტენსიურად შეფერილი, მაგრამ პიგმენტების ნაკლები სიმყარით (იშლება და ქრება) არასასიამოვნო სპეციფიკური სუნით („მელიის" ტონებით) და გემოთი.** დუღილის პროცესში წარმოიშობა უმაღლესი სპირტები (ალკოლოიდები), რომლებიც იწვევს თავის ტკივილს, უარყოფითად მოქმედებს ადამიანის მხედველობაზე, შეიცავს დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტ კანცეროგენულ ნივთიერებებს – მალვიდინის დიგლუკოზიდებს; წითელი ღვინოები დისტილატში იძლევა მეთილის სპირტს დიდი რაოდენობით; საკონიაკე სპირტებში ჩნდება სპეციფიკური გემო. ყოველივე აღნიშნული, **ვფიქრობ, საკმარისია იმისთვის, რათა უარი ვთქვათ ე.წ. უწამლ მევენახეობა-მეღვინეობაზე,, იგი აკრძალულია ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონითაც (1998წ.)** ვენახი უნდა გავაშენოთ მხოლოდ მეცნიერებისგან რეკომენდებული და კანონით დამტკიცებული სამეწარმეო ვაზის ჯიშებით – ნამყენი ნერგით.

გამოსასწორებელია სხვა ხასიათის დარღვევებიც: **ბოლო წლებში მცხეთა-თბილისის არეალში „ალადასტურის" სახელით ვრცელდება წითელყურძნიანი ჯიში, რომელსაც არავითარი მსგავსება და მახასიათებლები არ აქვს ქართულ (გურიის ჯიშთა ჯგუფიდან) აბორიგენულ ალადასტურთან; იგი მოლდოველი სელექციონერების მიერ გამოყვანილი ჰიბრიდია „მოლდოვას" სახელწოდებით. ამავე ზონაში „თბილისურის" სახელით ვრცელდება იგივე „უწამლი" ჰიბრიდი, რომელსაც, აგრეთვე, საერთო არაფერი აქვს ქართული სელექციური ჯიშის ნამდვილ „თბილისურთან", რომელიც გამოყვანილია ქართველი სელექციონერების — პროფ. ვ. ქანთარიასა და პროფ. ნ. ჩახნაშვილის მიერ, ამ სტრიქონების ავტორის მონაწილეობით.**



XXI საუკუნის დასაწყისში (2003წ.) ქვეყანაში განხორციელებული ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი, მავნებლური გადაწყვეტილებების შედეგად განადგურდა საუკუნოვანი, მძლავრი ეროვნული მეცნიერება, ინსტიტუტები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრები... აღდგენითი სახელმწიფოებრივი ღონისძიებები კი იგვიანებს, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საკმარისი არ არის

**ნოდარ ჩხარტიშვილი,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1851 წელს მოედანზე დასრულდა თეატრისა და ქარვასლის შენობა, ამიტომ მოედანს ერთხანს თეატრალურს უწოდებდნენ. როცა 1856 წელს პასკევიჩი გარდაიცვალა, მის პატივსაცემად ცენტრალურ მოედანს თბილისში ყოფილი მეფისნაცვალის — გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის სახელი უწოდეს. ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ამ მოედანს თბილისში შემოკლებით ერევანსკის მოედანს უწოდებდნენ. ხოლო უფრო გვიან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დაუმკვიდრდა სახელი ერევნის მოედანი. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მოედანს სახელი შეეცვალა და თავისუფლების მოედანი ეწოდა.**



# თავისუფლების მოედანი

**მოედანმა თავისი არსებობის მანძილზე არაერთი სახელი გამოიცვალა. თავდაპირველად მოედანს შტაბის მოედანს უწოდებდნენ. 1825 წლიდან ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, ხოლო 1827 წლიდან კავკასიის მეფისნაცვალი იყო გენერალი პასკევიჩი. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში პასკევიჩმა სასტიკად დაამარცხა თურქეთის მრავალრიცხოვანი არმია და გაათავისუფლა მისგან მიტაცებული ქართული ტერიტორიები — ახალციხე და ახლქალაქი, აგრეთვე, თურქები გარეკა სომხეთის დედაქალაქ ერევნიდან. 1828 წელს რუს გენერალ პასკევიჩს ერევნის ციხესიმაგრის აღების გამო ერევნის გრაფის — პასკევიჩ-ერევანსკის წოდება მიანიჭეს.**
**1851 წელს მოედანზე დასრულდა თეატრისა და ქარვასლის შენობა, ამიტომ მოედანს ერთხანს თეატრალურს უწოდებდნენ. როცა 1856 წელს პასკევიჩი გარდაიცვალა, მის პატივსაცემად ცენტრალურ მოედანს თბილისში ყოფილი მეფისნაცვალის — გრაფ პასკევიჩ-ერევანსკის სახელი უწოდეს. ამის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, ამ მოედანს თბილისში შემოკლებით ერევანსკის მოედანს უწოდებდნენ. ხოლო უფრო გვიან, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, დაუმკვიდრდა სახელი ერევნის მოედანი. 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მოედანს სახელი შეეცვალა და თავისუფლების მოედანი ეწოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ მას ჯერ ზაკფედერაციის მოედანი (ამიერკავკასიის მოედანი) ერქვა (ამიერკავკასიის სფსრ-ის შექმნის გამო), შემდეგ კი — ლენინის მოედანი. ძალიან მოკლე დროით მოედანმა იარსება ბერიას მოედნის სახელით (1953 წლამდე). 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მოედანს დაუბრუნდა ძველი სახელი — თავისუფლების მოედანი.**

თბილისის მთავარ მოედანს დაახლოებით ორი საუკუნის ისტორია აქვს. მოედანი არცთუ შორეულ წარსულში ქალაქის გალავნის გარეთ მოქცეულ უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა, მეფეთა ბაღებით გარშემორტყმული და ლეღვის ხეებითა და შირაზის ვარდებით დამშვენებული. გალავნის კედელი დაახლოებით დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთ მხარის განაშენიანების ხაზს გასდევდა (ოდნავ სიღრმეში) და პუშკინის ქუჩის მოშენების სწვრივად ეშვებოდა. იქ კი, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კარიბჭე **კოჯრის კარი** იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (ამჟამინდელ რუსთაველის გამზირის ხაზზე), მეორე კი კოჯრისკენ მიდიოდა დღევანდელი ლეონიძის ქუჩის გაყოლებით.

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის — პლატონ იოსელიანის ცნობით, დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმია, XVII საუკუნის მიწურულს მეფის ქარვასლა მდგარა. იგი საკმაოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე სადგომს მოიცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წლის შემოსევისას. ვახუშტის და XVIII საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ბაღებითაა გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით, აქ იყო მეფის, დედოფლისა და მამასახლისის ბაღები, ხოლო პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზე, მეფისა და დედოფლის ბაღების გარდა, გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშტი ბატონიშვილს ამ ადგილებში ერთადერთი შენობა აქვს ნაჩვენები, რომელსაც იგი **ბეჟანის ქარვასლას** უწოდებს. იგი დაახლოებით იქ იდგა, სადაც ქალაქის თვითმართველობის შენობა.

ვრცელ მინდორს **სოლოლაკის ხევი** (გვიანდელი **ავანაანთ ხევი**) კვეთდა. ხევს სოლოლაკის ქედის ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა მტკვრისკენ. ძალიან ღრმა და განიერი ხევი იყო.

ერევანსკის მოედანზე ხევის არსებობის ხანაში მოედანი პრაქტიკულად ორად იყო გაყოფილი. უფრო სწორად კი მოედანი რეალურად 1824—1825 წლებში აგებული „საქალაქო სახლის“ (მოგვიანებით „კავკასიის კორპუსის შტაბი“) წინ ჩამოყალიბდა (დღევანდელი პუშკინის სკვერის ტერიტორიაზე). იგი სამი მხრიდან მოშენებული იყო, ხოლო სამხრეთიდან ხევი საზღვრავდა, რომელიც მოგვიანებით თეატრის შენობამ ამოავსო. **შედეგად თეატრსა და საქალაქო პოლიციის შენობას შორის გაჩნდა ახალი მოედანი, რომელსაც უწოდებდნენ სწორედ „თეატრალურს“.** უკვე 1934 წელს, როდესაც დაიწყო თეატრის შენობა აიღეს, მოედანი გაერთიანდა და შეიქმნა ის ურბანული სივრცე, რომელსაც დღეს უკვე თავისუფლების მოედანი ჰქვია.

1847-1851 წლებში გადაიხურა სოლოლაკის ხევის ერთი ნაწილი (ლეონიძის ქუჩა და მოედანი). ეს გამოწვეული იყო ამავე წლებში მოედანზე თეატრისა და ქარვასლის მონუმენტური შენობის აგებით (იტალიური კლასიციზმი; არქ. ჯოვანი სკუდიერი). ერევანსკის მოედნის ქვეშ გაიყვანეს ვეებერთელა ხვრელი წყლის გასასვლელად. ერთ-ერთი თანამედროვის მოგონებით, ერთხელ ურემი ჩავარდნილა ცხენით და მუხრან ბატონის ბორანთან ამოუყვია თავი.

1850 წლის გაზეთ „კავკაზში“ ვკითხულობთ: „26 ივლისს, ნაშუადღევის 5 სთ-ზე თბილიში მოვიდა კოკისპირული წვიმა, წყალმა სოლოლაკში მოიტაცა ძროხა, გაატარა ერევნის მოედნის ქვეშ გაყვანილ ვეებერთელა ხვრელში და ჩაიტანა მუხრანის ხევთან“. ეს ხევი იწყებოდა სოლოლაკის ყელიდან (ამაღლების ეკლესიის ტერფი, ამჟამად დავითაშვილის ქუჩა), კვეთდა გუდოვიჩის (ჭონქაძის), რტიშჩევის (ჯაფარიძის), პასკევიჩის (მახარაძის), სერგიევის (მაჩაბლის) დაუსახლებელ ქუჩებს, გზას იკაფავდა ერევნის მოედნისკენ და ჩადიოდა მტკვარში მუხრანის (ბარათაშვილის) ხიდის ქვეშ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ერევანსკის მოედნის შუაგულში გასაყიდი შეშის ურმების გასაჩერებელი იყო, კვირაობით კი დიდი და აურზაურიანი ბაზრობა იმართებოდა. რა არ იყიდებოდა აქ: მწვანილი და ფართალი, ავეჯი და ოთხფეხი საქონელი, ქათიბი და მუნდირი, შეშა და თივა, ყარამანიანის პორტრეტები და ბუკინისტური წიგნებიც.

პუშკინის ქუჩაზე ძველად ჩაიხანები და მიკიტნის დუქნები მეფობდა, სადაც ყომარი და სხვა აზარტული თამაშები იყო გავრცელებული. ქუჩებში საზანდარი თავისუფლად მღეროდა ქალაქურ მუსტაზადებს.

როცა ვორონცოვის ბრძანებით 1847 წელს თამამშევმა მოედანზე თეატრი და ქარვასლა ააგო, ბაზარი ცოტა ქვევით დასწიეს, სწორედ იქ, სადაც ახლა პუშკინის სკვერია. ბაზრის ხალხის მოსაზიდად და გასართობად ბალაგანები იყო გამართული. აქ იაფფასიანი ცირკის არტისტები ოინბაზობდნენ (პ. უმიკაშვილი, ივერია, 1899 წ.). ერთ მხარეს ჯამბაზი გადიოდა თოკზე, მეორე მხარეს ცნობილი აბელა იდგა ოჩოფეხებზე და ხალხს აცინებდა. ამ უბანს ჩოჩქოლი და ღრიანცელი არ აკლდა. დღე ბაზრობა იყო, საღამოთი – ცირკი. პოლიცია, რომელიც ჯარში ნამყოფი ინვალიდებისგან შედგებოდა, ყურსაც არ იბერტყავდა ქალაქში წესრიგის დასაცავად. ერევნის მოედანი სრულიად მოუვლელი და უყურადღებოდ იყო მიგდებული. უჩვეულო ბაზარს ზედ ერთვოდა ჭუჭყი, ტალახი. ქვაფენილები ცოტა მოგვიანებით გაჩნდა. ნამტვრევი წვეტიანი ქვები ისე უშნოდ იყო მიყრილ-მოყრილი, რომ ადამიანს უჭირდა მასზე სიარული.

ერევნის მოედნის ეს ბაზარი 1885 წლამდე ბოგინობდა. 1885 წლის 23 ივნისიდან ბაზარი ვერაზე გადაიტანეს. მოვაჭრეებს ყაზახები ძალისძალათ ერეკებოდნენ. ურმები, პოვოსკები გარეკეს ვერაზე, კვერცხის, ქათმისა და მაწვნის გამყიდველებიც მიაყოლეს. „სოლოლაკში მცხოვრებს ერთი ქილა მაწონი რომ უნდოდეს, ვერაზე უნდა წავიდეს“, — წერდა თანამედროვე.

ბაზრის ადგილზე ბაღი გაშენდა, რომელსაც ხალხი **ახალ ბაღს** უწოდებდა. 1892 წლის 25 მაისს ერევანსკის მოედნის ახალ ბაღში ქართული საზოგადოების შეწირულობის ხარჯზე დაიდგა პუშკინის ბრინჯაოს ბიუსტი (მოქანდაკე რ. ხუდოროვიჩი), რის შემდეგაც მას პუშკინის სკვერი დაერქვა. ბაღის ხშირი სტუმრები იყვნენ სემინარიის მოწაფეები, რომლებიც თავისუფალ დროს საუბრობდნენ პოეზიაზე, პოლიტიკაზე.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება XIX საუკუნის პირველ მეოთხედში დაიწყო. მოედნის დღევანდელი მოშენება, ერთი-ორი ნაგებობის გარდა, XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა და სტილისტურად საკმაოდ ჭრელ სურათს ქმნის.

1824—1825 წლებში აიგო საქალაქო სახლი (შემდგომ კავკასიის კორპუსის შტაბი). 1825 წელს იაკობ ზუბალაშვილის მიერ ვინმე თურქესტანიშვილისგან გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე აშენდა სასტუმრო „პალასი“. 1838 წელს შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა სასულიერო სემინარიის განსათავსებლად.

1830-იან წლებში მოედნის სამხრეთ მხარეზე, იქ, სადაც ადრე ბეჟანის ქარვასლა იდგა, ააგეს ქალაქის პოლიციის განყოფილების შენობა (ყოფილი მერია), პოლიცმეისტერის კანცელარიით.

1851 წელს ერევანსკის მოედანზე, ქალაქის პოლიციის წინ გაკეთდა შადრევანი. წყალი გამოყვანილი იყო სოლოლაკის წყაროებიდან. 1878—1879 წლებში პოლიციის შენობა საფუძვლიანად გადაკეთდა და გადმოვიდა საქალაქო სახლი. 1921 წლიდან შენობაში განთავსდა სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭო, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ – თბილისის მერია.

თეატრი-ქარვასლის შენობის წინ, შესასვლელთან რკინის ლომები დადგეს (ახლა ამ ლომების ნახვა შეგიძლიათ სიონის ცენტრალური შესასვლელის მახლობლად, ქარვასლის წინ). 1874 წელს ხანძრის შემდეგ აღადგინეს მარტო ქარვასლა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1930-იან წლებში, მოედნის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია ჩატარდა, რამაც იმსხვერპლა ქარვასლის შენობაც (1934 წ.). 1956 წლის 21 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურიძე, უ. ჯაფარიძის მონაწილეობით, არქიტექტორები: გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, კ. ხეჩინაშვილი, შ. ყავლაშვილი). ძეგლი 1991 წელს პარადულად ხალხის თანდასწრებით მონაგრიეს. მისი ადგილი მოგვიანებით შადრევანმა დაიკავა. 1967 წელს მოედნის ქვეშ ამოქმედდა ამავე სახელწოდების მეტროსადგური.

მოედნის მოპირდაპირე მხარეს, გალავნის დასწვრივ ერთ-ორ სართულიანი სახლები აშენდა, იმდროინდელი თბილისისთვის დამახასიათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აჟურული ორნამენტებით შემკობილი მოაჯირები და ტიმპანები ჰქონდა. ერთ ასეთ სახლში, რომელიც ყოფილი მეგობრობის მუზეუმის ადგილას იდგა, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩერებულა. ეს სახლები XIX საუკუნის მეორე ნახევარში სხვა ნაგებობებმა შეცვალა, რომელთა დიდმა ნაწილმა დღემდე მოაღწია.

მოედნის შუაგულში 1956 წლის 21 აპრილს ლენინის მოედანზე დაიდგა ლენინის მონუმენტი.

1991—1992 წლების ე. წ. თბილისის ომის დროს მოედანზე რამდენიმე შენობა განადგურდა. 1992 წელსვე გამოცხადდა საავტორო უფლებების მოსაპოვებელი არქიტექტურული კონკურისი დანგრეული კვარტლის რეკონსტრუქციაზე, რომელიც განხორციელდა კიდეც 1999 წლიდან 2 საცხოვრებელი სახლის აშენებით (ლეონიძის ქ.) და საქართველოს ეროვნული ბანკის ახალი კორპუსის რეკონსტრუქციით (არქ. გიორგი გეგეშიძე). თუმცა იმავე წელსვე გამოცხადდა ახალი კონკურსი უკვე მრავალფუნქციურ ნაგებობაზე, უშუალოდ მოედნის მიმდებარედ. შედეგად 2002 წელს მოედანზე გაიხსნა ახალი სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი“.

2006 წლის 23 ნოემბერს მოედანზე საზეიმოდ გაიხსნა სვეტზე აღმართული წმინდა გიორგის ქანდაკება (რომელიც მოქანდაკე ზურაბ წერეთლის საჩუქარია ქალაქისთვის). 27-ტონიანი 9 მეტრი სიმაღლის ქანდაკებაზე ორი კგ ოქრო დაიხარჯა.







**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“ №10**

29 ნოემბერს სავსემთვარეობაა. მომატებული ემოციები და ნერვიული აღგზნებულობა შექმნის დაძაბულ ვითარებას და ნებისმიერი წვრილმანი ან ჭირვეულობა, შესაძლოა, კონფლიქტის წყაროდ იქცეს. წარმატებას მიაღწევენ ვერძის, კუროსა და მშვილდოსნის ნიშნით დაბადებულები.

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**23 - 29 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

სამსახურში ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ. კოლეგები ხელს შეგიწყობენ დავალებების შესრულებაში, ხელმძღვანელობამ კი შეიძლება პრემიით წაგახალისოთ.

თუ საყვარელ ადამიანთან უთანხმოება შეგექმნებათ, საუკეთესო გამოსავალი გულწრფელი საუბარი იქნება. შეეცადეთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის უფროს წევრებზე ზრუნვას.

თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი კრიტიკულ ზღვარზეა. ივარჯიშეთ და გაიმყარეთ იმუნიტეტი ვიტამინებით მდიდარი საკვებით.

**დადებითი დღე: 23 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ნოემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

ნებისმიერი საქმე გამოგივათ, რომელსაც ხელს მოჰკიდებთ. თუ შეუპოვრად იმოქმედებთ და ყველა დეტალს გაითვალისწინებთ, წარმატებას სწრაფად მიაღწევთ. კოლეგებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობები შეინარჩუნეთ.

მარტოხელა კუროებს გამოუჩნდებათ თაყვანისმცემელი და მასთან ურთიერთობის გაღრმავებას მოიწადინებენ, ოღონდ ამისთვის დრო უნდა გამონახონ.

დიდია ტრავმირების ალბათობა, გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 25 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 ნოემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

შეეცადეთ, დროულად და ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოთ დავალებები, რომლებსაც ხელმძღვანელობა დაგისახავთ. ყურადღების მოდუნება შეიძლება ძვირად დაგიჯდეთ.

მარტოხელა ტყუპებს წარმატება ელით პირად ცხოვრებაში. მათ აღაფრთოვანებთ საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილი წარმომადგენელთან პაემანი და ურთიერთობის გაღრმავებას მოიწადინებენ.

დიდია ძვლოვანი სისტემის დაზიანების ალბათობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ხერხემალს.

**დადებითი დღე: 25 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ნოემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

შესაძლოა, შემოგთავაზონ სხვა სამუშაო მაღალი ანაზღაურებით. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად გააანალიზეთ პირობები, რომლებსაც გთავაზობენ.

დაქორწინებულ კირჩხიბებს საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან ფლირტი ძვირად დაუჯდებათ — მეუღლე გაუნაწყენდებათ და მასთან შერიგებას საკმაო დრო დასჭირდება.

დიდია ვირუსული დაავადების გამწვავების ალბათობა. გაიმყარეთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 28 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ნოემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

თუ აპირებთ რომელიმე მომგებიან პროექტში ფულის ჩადებას, ამის დრო უკვე დადგა. გარშემო მყოფებთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და თავი დაანებეთ „თქვენი უდიდებულესობის“ პოზიციიდან ლაპარაკს.

ლომების უმრავლესობას რომანტიკული განწყობა ურთიერთობების გაღრმავებისკენ უბიძგებს იმ ადამიანთან, რომლის მიმართაც, კარგა ხანია, სიმპათია გაუჩნდათ.

ამ პერიოდში სასარგებლო იქნება მასაჟი და სუნთქვითი სავარჯიშოების შესრულება.

**დადებითი დღე: 29 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 25 ნოემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

მოგიწევთ რთული სამუშაოს შესრულება. არ ანერვიულდეთ — ძალაც გეყოფათ და გამოცდილებაც. ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ეძებეთ შემოსავლის დამატებითი წყაროები.

მარტოხელა ქალწულები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომლის თვისებებითაც მოიხიბლებიან, მაგრამ ურთიერთობა მეგობრობაზე შორს არ წავა.

ტონუსის ასამაღლებლად და ჭარბი წონის მოსაცილებლად მეტი იმოძრავეთ, შეასრულეთ სავარჯიშოები ან დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით.

**დადებითი დღე: 23 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ნოემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

შესაძლოა, გაგიჩნდეთ მოღვაწეობის სფეროს შეცვლის სურვილი. ახლა ამისთვის შესაფერისი პერიოდია.

თავი აარიდეთ აზარტულ თამაშებსა და საეჭვო კომერციულ გარიგებებს.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუ მის მოთხოვნებსაც გაითვალისწინებთ. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

დიდია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ორგანოების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 27 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ნოემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

მოგიწევთ სამუშაოს სასწრაფოდ შესრულება. ნებისმიერ სირთულეს და დაბრკოლებას კოლეგების დახმარებით გადალახავთ. შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან მოსალოდნელია უთანხმოება, რომლის მიზეზიც საყოფაცხოვრებო საკითხზე განსხვავებული თვალსაზრისი იქნება. შეეცადეთ, მოძებნოთ კომპრომისული გამოსავალი.

დიდია მოწამვლის ალბათობა. დაიცავით კვების რეჟიმი და გააკონტროლეთ პროდუქტების ვარგისიანობის ვადა.

**დადებითი დღე: 26 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

პროფესიულ სფეროში წარმატებას აუღელვებელი და თანამიმდევრული მოქმედებით მიაღწევთ.

მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები. ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მოგიწევთ, მომჭირნეობის გამოჩენა.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და, თუ რომელიმე ადამიანის კეთილგანწყობის მოპოვებას მოისურვებთ, მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს — შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 29 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 24 ნოემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

ნებისმიერმა უთანხმოებამ ხელმძღვანელობასთან, შესაძლოა, დიდი კონფლიქტი გამოიწვიოს, ამიტომ ყველა დავალება გულმოდგინედ შეასრულეთ.

თუ საქმეს ისე ვერ აკეთებთ, როგორც ჩაფიქრებული გქონდათ, კოლეგები დაიხმარეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, შესაძლოა, ბზარი გაჩნდეს და ამის მიზეზი თქვენი წინდაუხედავი საქციელი ან გაუაზრებლად ნათქვამი სიტყვები იქნება.

ამ პერიოდში თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება.

**დადებითი დღე: 27 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ნოემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

გაგიჩნდებათ ახალი იდეების განხორციელების სურვილი და, თუ არ იზარმაცებთ, მიზანს აუცილებლად მიაღწევთ. ნუ შეგეშინდებათ ცვლილებებისა და ექსპერიმენტების.

მარტოხელა მერწყულებს ელით რომანტიკული თავგადასავალი საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან, რასაც, არ არის გამორიცხული, ურთიერთობის გაღრმავება მოჰყვეს.

ორგანიზმი სრულად გამოიკვლიეთ, რადგან, შესაძლოა, დაავადება ფარულად მიმდინარეობდეს.

**დადებითი დღე: 27 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 ნოემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

შესაძლოა, მიიღოთ მაცდუნებელი შემოთავაზება ახალი სამსახურის დაწყების შესახებ. თუ სამსახურის შეცვლას გადაწყვეტთ, კარგად გააანალიზეთ პირობები, რადგან შესაძლოა იქ წყალქვეშა რიფები აღმოჩნდეს.

მარტოხელა თევზებმა თავი უნდა დაანებონ ყოყმანს. სიყვარული თავისით არ მოვა თქვენთან, ამიტომ იაქტიურეთ და ეძებეთ შესაფერისი ადამიანი.

ამ პერიოდში მოწყვლადია ძვლები, სახსრები, ხერხემალი. შეამცირეთ ფიზიკური დატვირთვა და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 28 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 ნოემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით



**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 23-29 ნოემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**23 ნოემბერი** — კარგი დღეა მცენარეების მოსამზადებლად ე.წ. ზამთრის აცრებისთვის, აგრეთვე, სასათბურე ბიოსათბობის დასამზადებლად.

**24 ნოემბერი** — რეკომენდებულია თესლის, მცენარეთა დაცვის საშუალებებისა და მინერალური სასუქების შეძენა. არ არის სასურველი ოთახის მცენარეების მორწყვა.

**25 ნოემბერი** — რეკომენდებულია ერთწლიანი მცენარეების დათესვა, აგრეთვე, დამჭნარი ფოთლების შეგროვება და ხეებისა და ბუჩქების ფესვებთან დაყრა — ეს ხეებს ბუნებრივი ელემენტებით მოამარაგებს და ნიადაგს გამოშრობისგან დაიცავს.

**26 ნოემბერი** — კარგი დღეა მცენარეების მოსარწყავად და ნიადაგში მინერალური სასუქების შესატანად.

**27 ნოემბერი** — რეკომენდებულია ბოსტნეულის (კიტრის, კომბოსტოს, ჭარხლი) დაკონსერვება, ჩირის დამზადება.

**28 ნოემბერი** — ეს მთვარის 29-ე დღეა და ყველაზე მძიმე დღედ ითვლება მთვარის ციკლში. არ ღირს რაიმე სამუშაოების წარმოება მიწაზე.

29 ნოემბერი — არ არის სასიკეთო დღე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საწარმოებლად.

# მაიდნის მირაჟი უკრაინაში



**კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე, ევრომაიდნის მესამე წლისთავის აღსანიშნავად გამართული აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის შეტაკებები მოხდა. აქტივისტებმა კიევის ცენტრში მანქანის საბურავები მიიტანეს და დაწვა სცადეს, რასაც სამართალდამცველებთან დაპირისპირება მოჰყვა.**

აქციის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ პოლიცია მშვიდობიანი აქციისთვის ხელის შეშლას ცდილობდა, რის შემდეგაც ევროპის მოედნის მხრიდან მაიდნისკენ ნიღბიანი ახალგაზრდების ჯგუფი დაიძრა და საბურავებს ცეცხლი წაუკიდა. ამას გარდა, აქციის მონაწილეებმა მოძრაობა „უკრიანული არჩევანის" ოფისსა და რუსული „სბერბანკის" განყოფილების მინები ჩაამსხვრიეს. როგორც „ბი-ბი-სი" იუწყება, მაიდანზე უკრაინელ პოლიტიკოსებთან ერთად ოდესის საოლქო ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილიც იმყოფებოდა, რომელმაც თანამდებობა 7 ნოემბერს დატოვა და ახალი პოლიტიკური მოძრაობა დააფუძნა.



## «ნეა-ონლაინი»:

# მიგრანტებმა დაარბიეს საბერძნეთის კუნძული ხიოსი

**მიგრანტებმა ცეცხლი წაუკიდეს დროებითი განთავსების ბანაკს, დაარბიეს მაღაზიები, დაამტვრიეს მანქანები...**

ბოლო პერიოდში ლტოლვილები საბერძნეთში პერიოდულად აწყობენ საპროტესტო აქციებს, რომლებიც, როგორც წესი, სამართალდამცველებთან შეტაკებაში გადაიზრდება. საბერძნეთის ტერიტორიაზე იმყოფება 62 ათასი ადამიანი, რომლებიც ისწრაფვიან ცენტრალურ და ჩრდილოეთ ევროპაში გადასვლას, მაგრამ „ბალკანეთის მიგრაციული მარშრუტის" დახურვის შემდეგ იძულებულები არიან, დარჩნენ საბერძნეთში.

# დონალდ ტრამპმა პრეზიდენტობის პირველი 100 დღის საქმიანობის გეგმა გამოაქვეყნა

**ამერიკის შეერთებული შტატების ახალარჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც პრეზიდენტობის პირველი 100 დღის განმავლობაში საიმიგრაციო პოლიტიკის, ვაჭრობისა და თავდაცვის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საუბრობს.**



„ვაპირებ, გამოვცე ბრძანება ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობის შეთანხმებიდან გამოსვლის შესახებ. აღნიშნული შეთანხმება ჩვენი ქვეყნისთვის პოტენციურ კატასტროფას წარმოადგენს. ამის ნაცვლად მოლაპარაკებებს ჩავატარებთ ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებების შესახებ, რომლებიც აშშ-ს სამუშაო ადგილებსა და წარმოებას დაუბრუნებს", — განაცხადა დონალდ ტრამპმა და, რომ გარემოს დაცვის მიმართულებით მისი წინამორბედის მიერ დაწყებულ რეფორმებს განაგრძობს.

ტრანს-წყნარი ოკეანის პარტნიორობა სავაჭრო შეთანხმებაა, რომელსაც ხელი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის 12 ქვეყანამ შარშან, თებერვალში მოაწერა. აღნიშნული შეთანხმების მიზანი სატარიფო ბარიერების შემცირება და შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში შრომითი კანონმდებლობის, ეკოლოგიისა და ინტელექტუალური საკუთრების სფეროებში შიდა წესების რეგულირებაა.



# იური ლუცენკო: უკრაინა თავის მოქალაქეებს სხვა ქვეყნებს არ გადასცემს

უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ უარყო ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის საქართველოში შესაძლო ექსტრადირების შესახებ. ამ ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს. **„უკრაინა თავის მოქალაქეებს სხვა ქვეყნებს არ გადასცემს. წერტილი", — განაცხადა იური ლუცენკომ.**

უკრიანის გენერალურმა პროკურორმა ასევე განაცხადა, რომ 20 ნოემბერს ჰააგაში მიემგზავრება, სადაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში შეხვედრები აქვს დაგეგმილი. როგორც მანამდე „უკრაინსკაია პრავდამ" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მიხეილ სააკაშვილის საქართველოსთვის გადაცემის საკითხი განიხილებოდა.

# გოგონების წინადაცვეთა სისხლისსამართლებრივი წესით დაისჯება

**შესაბამისი ცვლილება საქართველოს კანონმდებლობაში იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და იმედოვნებს, რომ ახალი პარლამენტი მას მხარს დაუჭერს.**



„ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ბევრი ნაბიჯი, მათ შორის, საკანონმდებლო, გადაიდგა ბავშვთა უფლებების დაცვის მაღალ ხარისხში ასაყვანად. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებით. იმედი მაქვს, რატიფიცირება ახალი პარლამენტის ფარგლებში მოხდება, სადაც ჩვენ რამდენიმე დღის წინათ ჩავამატეთ ახალი მუხლი, რომელიც ქალის გენიტალიების დამახინჯებას ეხება. თუკი ამას პარლამენტი მხარს დაუჭერს, იქნება ცალკე მუხლი, რომ გოგონების ე.წ. წინადაცვეთა სისხლისსამართლებრივი წესით დაისაჯოს. ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვეგონა, რომ ასეთი რამ არსებობს საქართველოში. არის სხვადასხვა ქვეყანა მსოფლიოში, მათ შორის, აფრიკის კონტინენტზე, სადაც გოგონებს ასე ასახიჩრებენ, და ჩვენ გვინდა, რომ საქართველოში ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც ორ თუ სამ სოფელში არსებობს, სასწრაფოდ აღმოიფხვრას", — განაცხადა იუსტიციის მინისტრის პოსტზე წარდგენილმა თეა წულუკიანმა.

„ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" ინფორმაციით, კახეთში ეთნიკური ავარებით დასახლებულ სოფლებში გოგონების წინადაცვეთის პრაქტიკა გამოიყენება.

## გია ხუხაშვილი:

# მივცეთ მინისტრებს 100 დღე და მარტში დავთვალოთ წიწილები

**„ეს მინისტრთა კაბინეტი წინას ჯობია, მაგრამ რაიმე წარმატების გარანტიებზე საუბარი ნაადრევია", — განაცხადა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობის შეფასებისას.**



ექსპერტმა გია ხუხაშვილმა ეკონომიკური გუნდი შეაფასა და აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ყოფილი მინისტრის — დიმიტრი ქუმსიშვილის ფინანსთა მინისტრის პოსტზე გადანაცვლება ლოგიკური ნაბიჯი იყო, რადგან ეს უფრო მისი სფერო, ვიდრე ეკონომიკა. რაც შეეხება გიორგი გახარიას, რომელიც ეკონომიკის მინისტრის პოსტზე დაინიშნა, გია ხუხაშვილის შეფასებით, ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან გახარიამ თავი წარმოაჩინა, როგორც საკმაოდ კარგი კომუნიკატორი ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის, ანუ პოტენციურ ინვესტორსა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის.

გია ხუხაშვილი ეკონომიკურ გუნდში გადაადგილებებს ოპტიმიზმით უყურებს, თუმცა ჯერ რამე წარმატებაზე საუბარს ნაადრევად მიიჩნევს.

„ის ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელიც დეკლარირებულია, არ გვაძლევს საფუძველს, ძალიან დაიმედებული ვიყოთ. ვფიქრობ, უფრო რადიკალური და მასშტაბური ნაბიჯები აქვს ეკონომიკურ გუნდს გადასადგმელი, რათა მთავარ გამოწვევებს უპასუხოს. თვით კადრების მიმართ პრეტენზიები არ მაქვს, პირიქით, ვფიქრობ, ამ მხრივ, ვითარება გაუმჯობესდა. მთავარი კითხვა არის სხვა, სახელებს და გვარებს რომ თავი დავანებოთ, უნდა გაგვიჩნდეს განცდა, რომ ეს გუნდი იღებს პასუხისმგებლობას და მესამე მხარე არ აპელირებს. ეს არის ცენტრი, რომელთანაც პრეტენზია უნდა გვქონდეს ან რომელიც უნდა შევაქოთ. მინისტრთა კაბინეტის ამ შემადგენლობით ამ კითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. გაუგებარი იყო ჩემთვის კახა კალაძის მოძრაობები — რატომ წავიდა და დაბრუნდა, ვერ გავიგე. რაც შეეხება ძალოვან მინისტრებს, არავისთან მაქვს პრეტენზია, მაგრამ გარკვეული ცვლილებები იქაც რომ მომხდარიყო, კარგი იქნებოდა, რადგან კვირიკაშვილის მიმართ გაჩენილიყო განცდა, რომ ის არის მთავარი მენეჯერი. ვნახოთ, ძალიან კრიტიკული არ ვიქნები, მივცეთ 100 დღე და მარტში დავთვალოთ წიწილები", — განაცხადა გია ხუხაშვილმა.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894